სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2005 წლის პირველი ნახევარი

შესავალი

მიმდინარე წლის იანვარ ივლისში სახალხო დამცველის ოფისში შემოვიდა 1205 განცხადება. მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით - 477, ხოლო სოციალურ ეკონომიკური - 435. მათ შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანი - 242 განცხადება შეეხებოდა უკანონო პატიმრობას, 102 - შრომითი უფლებების დარღვევას, 145 - საბინაო პრობლემებს და სხვა.

თუ შევადარებთ წინა წლებს, სტატისტიკა ასეთია. 2003 წლის პირველ ნახევარში შემოვიდა 1024 განცხადება, მეორე ნახევარში - 540, 2004 წლის პირველ ნახევარში - 333, მეორეში - 947.

საგაზაფხულო ანგარიშშიც ვახსენე, რომ უპირველესი ამოცანა, რაც მუშაობის დასაწყისში სახალხო დამცველის ოფისის წინაშე დავისახეთ, იყო სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აღმოფხვრა და ამ მიზნით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ჩვენი ოფისის მიერ წლის დასაწყისში თბილისის მასშტაბით, მოგვიანებით კი მთელ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელდა და დღემდე ხორციელდება პოლიციის განყოფილებებისა და წინასწარი დაკავების საკნების ფართომასშტაბიანი მონიტორინგი. ყოველი ვიზიტის დროს დგება სპეციალური ოქმი, რომლის ფორმა რამდენჯერმე დაიხვეწა პრაქტიკური გამოცდილების გათვალისწინებით. მონიტორინგი სხვადასხვა თვეში სხვადასხვა ინტენსივობით ხორციელდებოდა, რადგან ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს მოითხოვდა. სულ მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში პოლიციის განყოფილებებსა და წინასწარი დაკავების საკნებში განხორციელდა 1489 ვიზიტი, რომლის დროსაც აღმოჩენილი იქნა 1191 სხვადასხვა სახის დარღვევა. მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაიკითხა 406 დაკავებული, საიდანაც 192-ს, ანუ დაკავებულთა 47-%-ს აღენიშნებოდა სხეულის შესამჩნევი დაზიანება. ამ 192-იდან მხოლოდ 55 პიროვნება აღიარებდა ფიზიკური ზეწოლის ფაქტს.

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების ტიპები მკვეთრად განსხვავდება იმ სურათისგან, რაც წინა წლებში, თუნდაც 2004 წელს გვხვდებოდა. ჯერ ერთი, ფიზიკური დაზიანებების აბსოლუტური უმრავლესობა მიყენებული დაკავების დროს და არა დაკავების შემდეგ - პოლიციის განყოფილებასა და წინასწარი დაკავების საკანში. ამას აღიარებენ თავად დაკავებულებიც, თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ იმას, რასაც წინა ანგარიშშიც გავუსვი ხაზი: დაზიანებათა რაოდენობა გვაფქირებინებს, რომ პოლიცია დაკავების დროს, ძალიან ხშირად, გადაჭარბებით იყენებს ძალას მაშინაც კი, როცა ამის საჭიროება არ არსებობს, თუმცა, ამის მონიტორინგი, სამწუხაროდ, ფაქტობრივად შეუძლებელია.

თუმცა, თავად ის დარღვევები, რომელთა აღმოჩენაც ხდებოდა, თავისთავად საგანგაშოა და სერიოზული ფიქრის საფუძველს იძლევა. იმავე 8 თვის განმავლობაში 161 დაკავებულს არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება, 141 დაკავებულს არ გადაეცა დაკავებულთა უფლებების ნუსხის ასლი, 219-ს არ ჩაბარდა ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება და ა.შ. ცხადია, ამგვარი დარღვევების აღმოფხვრას მომავალში გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამავე დროს, მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში სხვადასხვა ტიპის აღრიცხვის ჟურნალები იყო და

აღრიცხვაც არ წარმოებდა წესიერად. ჩვენი რეკომენდაციების შედეგად, მიმდინარე წლის მაისში შემუშავდა, დაიბეჭდა და დარიგდა ერთიანი ჟურნალები პოლიციის ყველა განყოფილებაში, ხოლო პოლიციის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრეინინგი, თუ როგორ შეავსონ ეს ჟურნალები.

წამებასთან დაკავშირებით სერიოზულად შეიცვალა კანონმდებლობაც. კერძოდ, შეიცვალა წამების დეფინიცია და მკვეთრად გაიზარდა სანქცია, ბრალდებულის მიერ წინასწარი გამომძიების დროს მიცემული ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებისთვის აუცილებელია მის მიერვე ამ ჩვენების დადასტურება სასამართლო სხდომაზე, მოხდა გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება და სხვა. საქართველო მე-13 ქვეყანაა, რომელმაც ამ ოქმის რატიფიკაცია მოახდინა. ოქმი მას შემდეგ ამოქმედდება, როცა მის რატიფიკაციას მოახდენს მინიმუმ 20 ქვეყანა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და, როგორც ჩანს, ოქმი მალე ამოქმედდება, რის შემდეგაც საქართველო ვალდებულია, შექმნას წამების საწინააღმდეგო მონიტორინგის ეროვნული მექანიზმი. ვფიქრობთ, ის გამოცდილება, რაც მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა დააგროვა, კარგი საფუძველია იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში მონიტორინგის ეფექტური ეროვნული მექანიზმები შეიქმნას.

ხსენებული ოქმის ფარგლებში შედის არა მხოლოდ ციხეებისა თუ პოლიციის საკნების მონიტორინგი, არამედ ნებისმიერი დახურული ინსტიტუცია, მათ შორის ფსიქიატრიული საავადმყოფოებიც. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებზე საზოგადოებრივი კონტროლის გამოცდილება საქართველოში, პრაქტიკულად, არ არსებობს და სახალხო დამცველის ოფისში მიმდინარე წელს ამ მხრივაც ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ჩვენს ოფისში, ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით მომზადდა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის პროგრამა, სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა ჩატარდეს მონიტორინგი, მომზადდა რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული საკმაოდ ვრცელი კითხვარი (18-დან 30 გვერდამდე თითოეული), ევროკავშირის პროექტის ფარგლებში ტრეინინგი ჩავუტარეთ მონიტორებს, რის შემდეგაც დაიწყო მონიტორინგი. უნდა ითქვას, რომ უკვე პირველივე გასვლებმა, რომლებშიც, საშუალოდ, 20-მდე მონიტორი მონაწილეობდა, ძალიან სერიოზული შედეგები მოგვცა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ყველანაირად გვიწყობს ხელს ამგვარი მონიტორინგის განხორციელებაში.

ფსიქიატრიული საავადმყოფოების მონიტორინგი არის პირველი ნაბიჯი, საიდანაც ვაპრიებთ გადავიდეთ ზოგადად ჯანდაცვის სისტემისა და პაციენტთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის ფართომასშტაბიან მონიტორინგზე, თუმცა, კარგად გვესმის ისიც, რომ ეს ძალიან ფართო და რთული თემაა და ძალიან სპეციფიურ და კვალიფიციურ მომზადებას მოითხოვს.

პოლიციის განყოფილებებისა და წინასწარი დაკავების საკნების მონიტორინგს, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების გარდა, ჩვენს მიერ მიცემული მანდატის საფუძველზე ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ამ მანდატის მქონე პირებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს შეამოწმონ პოლიციის ნებისმიერი განყოფილება და სამმართველო, წინასწარი დაკავების ნებისმიერი საკანი თუ სხვა სათავსო. კანონი სახალხო დამცველის შესახებ არ იძლევა ამ უფლების სხვაზე დელეგირების უფლებას, ამიტომ ეს

უფლება ჩვენ გადმოგვცა შს მინისტრმა მასთან გაფორმებული სპეციალური მემორანდუმის საფუძველზე.

და ბოლოს, პოლიციის მონიტორინგის კიდევ ერთი სახე იყო წამების საწინააღმდეგო ეროვნული გეგმის ფარგლებში განხორციელებული მოულოდნელი ვიზიტების პროგრამა, რასაც ერთობლივად ახორციელებდნენ საქართველოში ეუთოს მისიის, სახალხო დამცველის ოფისის, უშიშროების საბჭოს, გენერალური პროკურატურისა და შსს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები (მონიტორინგის მასალები ტექსტში ცალკე თავად არის გამოყოფილი). ამასთან, ეუთოს პროექტის ფარგლებში დავბეჭდეთ პლაკატები დაკავებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა უფლებების ჩამონათვალით, ამ პლაკატებზე მივუთითეთ ჩვენი ოფისის ცხელი ხაზის ტელეფონები და დავიწყეთ მათი გაკვრა პოლიციის ყველა განყოფილებაში, წინასწარი დაკავების საკნებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამასა და შვედეთის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის სახელობის ინსტიტუტთან ერთად ვატარებთ ტრეინინგებს მოსამართლეების, პროკურორების, პოლიციელებისა და ადვოკატებისთვის როგორც თბილისში, ისე რეგიონებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც ადამიანის უფლებებთან არის დაკავშირებული.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობასთან ბრძოლისა და მსგავსი ფაქტების მონიტორინგთან დაკავშირებით ჩვენს მიერ გაკეთებული რეკომენდაციებიდან ჯერჯერობით არ შესრულდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დღემდე არ მომხდარა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან საზოგადოებრივი კომისიების ფორმირება.
2. სახალხო დამცველის რწმუნებულებს არა აქვთ კანონით ცალსახად განსაზღვრული უფლება, დახურულ დაწესებულებში მონიტორინგის დროს დაუბრკოლებლად ისარგებლონ ფოტო, ვიდეო და აუდიო ფიქსიაციის საშუალებით და მობილური ტელეფონებით, რაც აძნელებს მონიტორინგის შედეგების ფიქსაციას. დღეს ამგვარი ფიქსაციის განხორციელება გვიხდება ამა თუ იმ მინისტრისა თუ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვით, ზოგჯერ კი საერთოდ ვერ ვახერხებთ.

მიმდინარე წელს თავად პროკურატურამ და შს სამინისტრომაც გააძლიერეს ბრძოლა წამებისა და სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ, რაც სტატისტიკაშიც აისახება. კერძოდ, მიმდინარე წელს სამართალდამცავ ორგანოებში ადამიანის უფლებების ფაქტებთნ დაკავშირებით აღძრულია 106 სისხლის სამართლის საქმე, მაშინ როცა შარშან ეს ციფრი მხოლოდ 38 იყო.

ასევე, მიმდინარე წელს მკვეთრად შეიცვალა სტატისტიკა წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საანგარიშო პერიოდის შემდეგ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში (2005 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩავლით) თავდებში გამოშვებული პატიმრების რიცხვი იყო 66, რაც შემდეგ თვეებში მკვეთრად გაიზარდა (ივლისი - 63, აგვისტო - 108, სექტემბერი - 183).

სასამართლო რეფორმა

მიმდინარე წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან თემა, ჩემი აზრით, სასამართლო რეფორმაა. წინა მოსხენებაში ვრცლად ვისაუბრეთ სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემაზე. მოქმედ მოსამართლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაწყვეტილებებს ან კანონიერი ქურდებისა თუ სხვა გავლენიანი კრიმნიალური ავტორიტეტების გავლენით იღებდა, ან ქრთამს იღებდა, ან პროკურორს შესიციინებდა თვალებში, რომ მას მისი ძველი დანაშაულები არ შეეხსენებინა. შესაბამისად, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოსთვის აუცილებელი იყო რეფორმის გატარება, თუმცა, რეფორმის ერთ ეტაპზე საკმაო სირთულეები წარმოიშვა, რამაც გაართულა სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. კერძოდ, მიმდინარე წლის გაზაფხულზე თბილისის რაიონული სასამართლოების გაუქმებისა და საქალაქო სასამართლოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ძალიან გაიწელა ბევრი სასამართლო პროცესი, რითაც არა ერთი განსასჯელის იქნა დარღვეული. პირველ ეტაპზე სისხლის სამართლის კოლეგიაში მხოლოდ 6 მოსამართლე იყო დანიშნული, თანაც ყველანი ახლები იყვნენ და უკვე დაწყებული საქმეებიც კი თავიდან ჰქონდათ გასაცნობი, რის გამოც არაერთი პროცესი ძალიან გაიწელა. ამ ეტაპზე ეს პრობლემა გარკვეულწილად მოხსნილია.

მეორე მხრივ, ინსტიტუციური პრობლემები, რომლებზეც წინა მოლხსენებაში ასევე ვრცლად ვისაუბრეთ, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთლიანად გადაწყვეტილია ან გადაწყვეტის გზაზე დგას. კერძოდ, მკვეთრად უმჯობესდება მოსამართლეთა მატერიალური უზრუნველყოფა, მკვეთრად იზრდება მათი ხელფასები, რაც აუცილებელი პირობაა კორუფციის შემცირებისა და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბებისთვის. სასამართლოს ინსტანციებს შორის უფლებამოსილებათა მკვეთრი გამიჯვნა და უზენაესი სასამართლოსთვის მხოლოდ კასაციის უფლების დატოვება ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისკენ არის მიმართული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების დაჩქარებას.

მოსამართლეთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის გამო მიმდინარე წელს ჩვენ დავაყენეთ ---- მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, საიდანაც ... დაკმაყოფილდა, ხოლო დანარჩენების წინააღმდეგ .....

სასჯელაღსრულების სისტემა

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება წინა მოხსენებაში აღწერილისგან. ზოგადი მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში ისეთივე კატასტროფულია, როგორიც იყო. ჯერჯერობით არც კორუფციის მასშტაბების შემცირებაზე შეიძლება ლაპარაკი და ის თანამდებობის პირები, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც წინა მოხსენებაში დავაყენეთ - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი შოთა კოპაძე და #7 საპყრობილის დირექტორი გელა კიკილაშვილი - კვლავ ინარჩუნებენ თანამდებობებს.

მეორე მხრივ, დაგვიანების მიუხედავად, უკვე დასასრულს მიუახლოვდა 2 ახალი საპყრობილის მშენებლობა, რაც გააუმჯობესებს პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობებს. ახალ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი შეირჩა კონკურსის გზით, ხოლო შესარჩევ კომისიაში სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, თუმცა, ამ კონკურსის დროს გამოიკვეთა ერთი სერიოზული პრობლემა. ზოგიერთ ვაკანსიაზე მსურველთა რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო ვაკანსიათა რაოდენობაზე და, შესაბამისად, არჩევანის საშუალება, პრაქტიკულად არ იყო. ეს უკვე თავისთავად მიგვანიშნებს, რომ მიუხედავად ხელფასების გაზრდისა, ეს მატება არ არის საკმარისი და საჭიროა ხელფასების გაცილებით მკვეთრი ზრდა თუ გვინდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემა პროფესიონალებით დაკომპლექტდეს და კორუფცია მნიშვნელოვნად შემცირდეს.

ასევე მისასალმებელია გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს გაუქმებას და მისი ჯანდაცვის სამინისტროსთვის გადაცემას.

და ბოლოს, სახალხო დამცველის ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდში აღმოჩენილი იქნა არაერთი დარღვევა, მათ შორის ისეთი შემთხვევებიც, როცა პირები საპროცესო ვადებისა თუ სხვა პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენი ჩარევის შემდეგ, მოხერხდა მსგავსი პატიმრების გათავისუფლება და საქმეზე ძიების დაწყება, თუმცა, ეს რეაგირება, ჩვენი აზრით, ყოველთვის არ იყო მომხდარი დანაშაულის სიმძიმის შესაფერისი. კონკრეტული შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ტექსტში და აქ მათზე არ გავამახვილებ ყურადღებას.

ასევე, რამდენიმე შემთხვევაში, ჩვენი არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, ვერ მოხერხდა მძიმე ავადმყოფების, მათ შორის სიმსივნით დაავადებული ავადმყოფის გადაყვანა სპეციალიზირებულ ჰოსპიტალში, რაც, ოფიციალური პასუხების თანახმად, შესაბამისი თანხების უქონლობით იყო გამოწვეული, თუმცა, ეს არანაირად არ ამცირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

აღმსარებლობის თავისუფლება

წინა მოხსენებაში აღვნიშნავდით, რომ რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისით რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, თუმცა, პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი დარჩა. ჯერ ერთი, საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში (2005 წლის აპრილი-ივნისი) სახალხო დამცველის ოფისში შემოვიდა 12 განცხადება სხვადასხვა რელიგიათა მიმდევრების უფლებების დარღვევის შესახებ. ეს მაშინ, როცა მანამდე, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, არც ერთი მსგავსი განცხადება არ ყოფილა. ამ შემთხვევათაგან უმრავლესობაში ნათლად იკვეთება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი - როცა ან უშუალოდ სახელმწიფო მოხელეები არღვევენ ცალკეული რელიგიური მიმდინარეობის უფლებებს (იხ. დანართში ორსანტიისა და ყვარლის შემთხვევები), ან პოლიციის წარმომადგენლები თავიანთი უმოქმედობითა თუ ცინიკური დამოკიდებულებით ფაქტობრივად აქეზებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ავიწროებენ

რელიგიურ უმცირესობებს. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ყველა ეს შემთხვევა და მოპოვებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადავუგზავნეთ როგორც შს მინისტრს, ისე გენერალურ პროკურატურას. რეაგირებები მათი მხრიდან, ჯერ-ჯერობით, არ არის დამაკმაყოფილებელი, თუმცა, ამ საქმეების შესწავლის დროს ერთი საინტერესო მოვლენა შევამჩნიეთ: როგორც წესი, დაბალი რანგის გამომძიებლები, ვინც უშუალოდ სწავლობენ ამ საქმეებს, მიდრეკილი არიან, დამალონ რელიგიურ უფლებათა დარღვევის ფაქტები და რომ არა კონტროლი, ალბათ ამ ფაქტების უმრავლესობა გამოუძიებელი დარჩებოდა. თუმცა, ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონტროლი ამ საქმეებზე პირადად გენერალური პრკოურორის მხრიდან საკმაოდ მკაცრია.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნა რელიგიათა საბჭო, რომლის მიზანია არა მხოლოდ იმ პრობლემათა გადაწყვეტაზე ზრუნვა, რომლებიც რელიგიური ორგანიზაციების წინაშე დგას, არამედ ზოგადად ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ პრობლემებზე მუშაობა, ტოლერანტობის კულტურის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა და ჰუმანიტარული აქციების განხორციელება. საბჭომ, სახალხო დამცველის ოფისთან ერთად, უკვე განახორციელა რამდენიმე ჰუმანიტარული აქცია, მათ შორის დახმარება ბავშვთა სახლებს, დახმარება სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას და სხვა.

ასევე სასიამოვნოა, რომ მსგავსი საბჭო შეიქმნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ინიციატივითაც. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეს საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან პირველი ნაბიჯია, რომლის მიზანია რელიგიური უმცირესობების ჩართვა ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც უკავშირდება რელიგიურ მიმდინარეობათა ისტორიული საკუთრებისა და ახალი სალოცავების მშენებლობების უფლებას. ეს საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია და სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს ისტორიული მფლობელებისადმი იმ ტაძრების დაბრუნების საკითხი, რომლებიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია და რომელთა ისტორიული კუთვნილება ეჭვს არ იწვევს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელხო დამცველის შესახებ კანონის 21-ე მუხლის ბ) პუნქტისა და 22.3 მუხლის შესაბამისად, რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს კულტურის მინისტრს, სასწრაფოდ გადაწყვიტოს სომეხთა სამოციქულო ეკლესიისთვის იმ ტაძრების დაბრუნების საკითხი, რომელთა ისტორიული კუთვნილება ეჭვს არ იწვევს, ხოლო დანარჩენ ტაძრების კუთვნილების შესასწავლად სასწრაფოდ შეიქმნას კომპეტენტური კომისია. ამ ეტაპზე, ყველაზე სწრაფად შეიძლება გადაწყდეს შემდეგი ტაძრების დაბრუნების საკითხი: ნორაშენი (თბილისი, ლესელიძის ქუჩა) და სურბნიშანი (ახალციხე), რაც იქნება კეთილი ნების გამოვლენისა და დიალოგის დაწყების ნიშანი.

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეთნიკურ უმცირესობათაგან ყველაზე მეტ დისკრიმაციას წალკაში მცხოვრები ბერძნები განიცდიდნენ. დისკრიმინაციის მიზეზი იყო არა ეთნიკური შუღლი, არამედ ჩვეულებრივი კრიმინალი, უბრალოდ, ადგილობრივი კრიმინალები, პირველ რიგში, სწორედ ბერძნებს ძარცვავდნენ, რადგან ძირითადად

მოხუცებულები არიან დარჩენილი და მათი ძარცვა უფრო ადვილი და უსაფრთხო იყო, ხოლო სახელმწიფო არაფერს აკეთებდა ამ პრობლემის გადასაჭრელად. იგივე გრძელდებოდა მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც, რაც კარგად ჩანს ჩვენ ანგარიშში მოყვანილი ფაქტებიდანაც, თუმცა, 2005 წლის მარტში წალკაში შსს სპეცრაზმი ჩადგა, რის შემდეგაც კრიმინალური მდგომარეობა გამოსწორდა. პოლიციამ დააკავა რამდენიმე მძიმე დანაშაულში, მათ შორის მკვლელობასა და ძარცვაში ეჭვმიტანილი პირები. ასევე თანამდებობიდან გათავისუფლდა წალკის პოლიციის უფროსი, რაც ჩვენი წინა მოხსენებაში ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, რადგან იგი არა მხოლოდ არაფერს აკეთებდა დამნაშავეთა წინააღმდეგ, არამედ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგი თავად ჩადიოდა დანაშაულს. ამის შესახებ მასალები გადავეცით საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

მთლიანობაში, უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინა პერიოდთან შედარები სიტუაცია მკვეთრად არ შეცვლილა, თუმცა, გარკვეული წინსვლა აღინიშნება: ადგილებზე გაიხსნა რამდენიმე საპასპორტო მაგიდა, მიმდინარეობს მუშაობა გზების შესაკეთებლად, უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელებამ, ქუთაისში დაარსდა სახლმწიფო მართვის სკოლა, სადაც მომზადებას გაივლიან ძირითადად ეთნიკური უმცირესობების წამომადგენლები, რათა შემდგომში გაცილებით გაიზარდოს საჯარო და სახელმწიფო სამსახურებში მათი დასაქმების მაჩვენებელი. ამ კუთხით ეს სკოლა ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტს როგორც კომპაქტურად ასევე დისპერსიულად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო და საჯარო საქმიანობაში, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი მონაწილეობის პრობლემას.

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, ჩვენს მოხსენებაში ასეთ ფაქტებზე საკმაოდ ვრცლად არის საუბარი, თუმცა, უნდა გამოვყო რამდენიმე შემთხვევა. კერძოდ, 2005 წლის 28 ივნისს მარნეულის რაიონის სოფ. სადახლოში დაიკარგა ამ სოფლის მკვიდრი სასულიერო პირი - მოლა კარა, იგივე სარადინ ფალანგოვი. მისი გაუჩინარების ფაქტი დღემდე არ არის გამოძიებული, ადგილობრივი მოსახლეობა კი ამ ფაქტთან დაკავშირებით ბრალს ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობასა და სოფლის გამგეობის ხელმძღვანელებს ადანაშაულებს.

და ბოლოს, ორი შემთხვევა, როცა საქართველოს არმიიდან მოხდა ეთნიკური უმცირესობების მასობრივი გაქცევა - ახალციხიდან გაიქცა 13 სომეხი ჯარისკაცი, ხოლო დედოფლისწყაროდან - 10 აზერბაიჯანელი. მიზეზი ორივე შემთხვევაში იდენტური იყო - ჩაგვრა ეთნიკურ ნიადაგზე და შეურაცხყოფა ქართული ენის არცოდნის გამო. ვფიქრობ, ამ საკითხებს უფრო სერიოზული მიდგომა და უფრო მკაცრი გამოძიება სჭირდება, ვიდრე ეს ხდება. ამასთან, ჩვენი რეკომენდაცია იქნება თავდაცვის სამინისტროს მიმართ, სამხედრო ნაწილებში უზრუნველყოს ქართული ენის არმცოდნე ახალწვეულებისთვის ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

გარდა ამისა, ჩვენ ძალაში ვტოვებთ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც წინა მოხსენებაში გვქონდა გამოთქმული.

სასამართლო საქმეების აღსრულება

სასამართლო გადაწყვეტილებების არაღსრულება ქართული მართლმსაჯულების ერთ-ერთი აქილევსის ქუსლია და ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს. ამის შესახებ ჩვენ წინა მოხსენებაშიც ვრცლად ვისაუბრეთ. ჩვენს მიერ იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი სტატისტიკური მასალებიდან ირკვევა, რომ აღსრულება ბიუჯეტთან დაკავშირებულ საქმეებზა შეადგენს 4%-ს, ხოლო სხვა მოვალის არსებობს პირობებში - 38,9-ს. ამჟამად სახელმწიფოს დავალიანება სხვადასხვა კრედიტორების მიმართ 45 მილიონ ლარს აღწევს. ჩვენს ოფისში შემოდის არაერთი განცხადება აღუსრულებელ საქმეებთან დაკავშირებით, თუმცა, ჩვენს რეკომენდაციებზე იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ყოველთვის ერთი და იგივე პასუხია - ისინი უარს ამბობენ აღსრულებაზე, რადგან ეს თანხები ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, მომავალი წლის ბუიჯეტში სრულად გაითვალისწინოს ბიუჯეტის დავალიანებების დაფარვა, რადგან კერძო პირების უფლებების დაცვა და მათი ინტერესების გათვალისწინება (მათი რიცხვი, ჩვენი მონაცემით, დაახლოებით 1400-ია) არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესები. მით უმეტეს, რომ მეწარმეებისთვის მათი კუთვნილი ვალის დაბრუნება ბიუჯეტისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდება, რადგან ბევრი მეწარმე, ბიუჯეტის ვალის მიუღებლობის გამო ან გაკოტრდა, ან გაკოტრების პირასაა, ხოლო მათთვის ვალის დაბრუნება ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენასა და გადასახადების მოცულობის გაზრდას. აღარაფერს ვამბობ იმ საფრთხეზე, რაც ბიუჯეტს შეიძლება დაემუქროს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სასამართლო საქმეების არაღსრულების გამო საქმეების წაგების შემთხვევაში, რისი ორი მაგალითიც უკვე გვაქვს მიმდინარე წელს.

თუმცა, გარდა სახელმწიფო ვალისა, აბსოლუტურად არ არის დამაკმაყოფილებელი სასამართლო საქმეთა აღსრულება კერძო პირთა შორისაც, რაც ამ სისტემის არაეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს. ერთ-ერთი მიზეზი, სხვათა შორის, აღმასრულებელთა დაბალი ხელფასიც არის.

საკუთრების უფლება და კერძო მეწარმეთა უფლებების დარღვევის ფაქტები

წინა მოხსენებაში ჩვენ ვსაუბრობდით საკუთრების უფლების დარღვევის რამდენიმე ფაქტზე, რომლებიც დღემდე აქტუალური დარჩა და, მეტიც, ზოგიერთ მათგანს გაგრძელებაც მოჰყვა. კერძოდ, გასულ წელს გორის მერიის კოლეგიის დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ნოდარ მაისურაძესთან დადებული ხელშეკრულება 230 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, ხოლო ამ მიწაზე მოყვანილი მოსავალი წაართვეს და სახელმწიფო კუთვნილი შპს „სალთვისის“ საწყობებში შეინახეს.

მეტიც, აღიძრა საქმე მაისურაძის წინააღმდეგ, თითქოს იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტ მიწას ფლობდა, თუმცა, შემოწმებით დადგინდა, რომ მეტობას ადგილი არ ჰქონია, თავად მერიის დადგენილება კი მაისურაძემ სასამართლოში გაასაჩივრა. მან ასევე მოახერხა დატაცებული ხორბლის ნაწილის დაბრუნება, თუმცა,

იგივე ისტორია განმეორდა 2005 წელს და მეიჯარის მიერ მოყვანილი 500 ტონამდე ხორბალი მოსახლეობამ პოლიციის თვალწინ მიიტაცა. გორის რაიონის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი კომბაინები რამდენიმე დღის განმავლობაში იღებდნენ მაისურაძის ხორბალს, პოლიცია ამას მშვიდად ადევნებდა თვალს, ხოლო ამ ამბის გადასაღებად მისულ ჟურნალისტებს მოსახლეობამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა, პოლიციას არც ამაზე მოუხდენია რეაგირება. დაზარალებულის თქმით, ამ უკანონო ქმედებას ორგანიზებას უწევდა შპს „სალთვისი 2-ის“ ხელმძღვანელობა.

მოგვიანებით, ჩვენი ჩარევის შემდეგ, დაიწყო ძიება ჟურნალისტებისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, ეჭვმიტანილთაგან 1 ძებნილია, ორი გირაოს გადახდის შემდეგ გათავისუფლდა წინასწარი პატიმრობიდან, ხოლო კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა საქმე აღძრა დატაცების ფაქტზე, თუმცა, დამნაშავეები ჯერ დასჯილი არ არიან. ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ შს სამინისტროს, განსაკუთრებით მკაცრად გამოიძიოს იმ პოლიციელების ქმედება, რომლებმაც თავისი უმოქმედობით, ფაქტობრივად, ხელი შეუწყვეს ამ უკანონობის განხორციელებას.

ასევე საანგარიშო პერიოდში მოხდა ზუგდიდში, მდ. ჩხოუშიას ნაპირზე არსებული მაღაზიების უკანონო დანგრევა. ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, არიან ეჭვმიტანილებიც, 2 თანამდებობის პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, ხოლო მესამეზე გამოცხადებულია ძებნა, თუმცა, არანაკლებ სერიოზული პრობლემაა მოქალაქეთა ზიანის ანაზღაურება, რაც ასევე სახელმწიფომ უნდა იკისროს.

ასევე, გორში რაიონული სასამართლოს მოსამართლის გოჩა გოჩიტაშვილის 2004 წლის 11 ივნისის დადგენილებით, კანონის იგნორირებით, მოქალაქეებს ვ.კუსრაევსა და რ.თანდიაშვილს ჩამოერთვათ მათი კუთვნილი ქონება - 110 ყუთი ბანანი, 10 ყუთი ვაშლი და თანდიაშვილს - მისი კუთვნილი ავტომანქანა „ზილ 130“, ასევე ისინი დაჯარიმდნენ 500 ლარით. ჩვენ საქმის შესწავლის შემდეგ მოვითხოვეთ მოსამართლის დისციპლინარული წესით დასჯა, რაც საანგარიშო პერიოდში დაკმაყოფილდა.

მეწარმეთა უფლებების დარღვევის ფაქტები შევისწავლეთ საბაჟო აღმოსავლეთზე, ტერმინალ ოპიზას ტერიტორიაზე, სადაც საქონლის იპორტიორებს, რომლებიც ეწეოდნენ საქონლის იმპორტს აზიის ქვეყნებიდან (ირანი, თურქეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი), ტვირთის განბაჟების დროს, იმის ნაცვლად, რომ ბაჟის ოდენობის განსაზღვრა მომხდარიყო ტვირთის საბაზრო ღირებულების მიხედვით, მებაჟეები იმპორტიორებისგან ითხოვდნენ 1000 ლარის გადახდას თითოეულ კუბურ მეტრ საქონელზე, მიუხედავად ტვირთის სახეობისა. იმის გამო, რომ იმპორტიორები უარს აცხადებდნენ აღნიშნული უკანონო მოთხოვნის შესრულებაზე, შეფერხებული იყო განბაჟების პროცესი და მათ დამატებით უხდებოდათ კონტეინერების შენახვის ხარჯების გაღება. თავად მებაჟეები არაფორმალურ საუბარში აცხადებდნენ, რომ ისინი ფინანსური პოლიციის მოთხოვნას ასრულებდნენ და მათ არ ჰქონდათ სხვანაირად მოქცევის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმომადგენლები თითქმის 2 კვირის განმავლობაში ყოველდღე დადიოდნენ ტერმინალში, ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩავატარეთ პრესკონფერენცია, გავავრცელეთ სპეციალური განცხადება, საქმის შესწავლის რეკომენდაციით მივმართეთ ფინანსთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, თუმცა საქმის გამოძიება დღემდე ჭიანურდება, ხოლო გენერალური ინსპექციის ის თანამშრომლები, რომლებიც თავიდან იძიებდნენ ამ საქმეს, თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. თავად იმპორტიორებიც, რაკი ხედავდნენ, რომ მათ პრობლემებს ვერ ვწყვეტდით, უარს ამბობდნენ საკუთარი ვინაობის

დაფიქსირებაზე, რადგან ეშინოდათ, რომ უარეს დღეში ჩავარდებოდნენ. თავისთავად, მომავალში რამდენადაც არ უნდა დაირღვეს მათი უფლებები, საეჭვოა მათ სადმე იჩივლონ, რადგან, მიუხედავად ამდენი ძალისხმევისა, სამართალს ვერ მიაგნეს.

შრომითი უფლებები

საკმაოდ ბევრია შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები, ასევე საჩივრები სახელფასო დავალიანებათა არგასტუმრების გამო. სახელფასო დავალიანებები ჩვენ ოფისსაც გააჩნია ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლების მიმართ და, მიუხედავად ფინანსთა სამინისტროში არაერთხელ გაგზავნილი წერილისა და ფინანსთა სამინისტროდან არაერთხელ მიღებული დაპირებისა, სამინისტრომ არ დაგვიფარა დავალიანება, რის გამოც იძულებული გავხდით, ჩვენი დანაზოგიდან და საპრემიო თანხებიდან გავისტუმროთ ძველი დავალიანება, რითაც იზარალეს იმ თანამშრომლებმა, ვისაც პრემიები უნდა მიეღოთ თუნდაც ერთხელ მაინც წელიწადში - საახალწლოდ. სამაგიეროდ, მეტ წარმატებებს ვაღწევთ სხვისთვის დახმარების გაწევაში. მაგალითად, ჩვენი დახმარებით მოხერხდა სახელფასო და საშვებულებო დავალიანებების გასტუმრება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის დაახლოებით 1400 ყოფილი თანამშრომლისთვის, თუმცა, ამ საქმის მოგვარებას დასჭირდა რამდენიმე თანამშრომლის რამდენიმეთვიანი მისვლა-მოსვლა და მიმოწერა ერთი უწყებიდან მეორეში, სანამ არ დადგინდა, ვის და რა ფორმით უნდა გადაეხადა ეს თანხა.

არაერთ მოქალაქეს დავეხმარეთ მათი შრომითი უფლებების აღდგენაში, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებს აქ არ ჩამოვთვლი, რადგან მათზე თავად მოხსენებაში საკმაოდ ვრცლად არის ლაპარაკი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ყველაზე სერიოზული საქმე, რაც სახალხო დამცველის ოფისმა გამოიძია, დაკავშირებულია მოსახლეობის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან. ამ თემაზე სახალხო დამცველის ოფსში შემოსული განცხადებების კვალდაკვალ ჩატარდა მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - იმერეთში, რაჭაში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხეში. ჩატარებული მოკვლევისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მომსახურების შედეგად ნამდვილად ირღვევა მომხმარებელთა უფლებები, რაზაც თავად მოხსენებაში არის ლაპარაკი.

სამართალდამცავი სისტემა

პროკურატურა და პოლიცია

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ექვსი თვის განმავლობაში **პროკურატურისა და პოლიციის** ორგანოებთან ურთიერთობაში სხვადასხვა ტენდენცია გამოიკვეთა.

როგორც პროკურატურის, ისე პოლიციის მხრიდან ადგილი აქვს ოფიციალური პასუხების დაგვიანებას ან ისეთი წერილობითი პასუხების გამოგზავნას, რომლებიც შინაარსობრივად არ პასუხობს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დასმულ შეკითხვებს. შესაბამისად, საჭირო ხდება ხელახალი შეკითხვების გაგზავნა, რითიც ირღვევა განცხადებების და საჩივრების განხილვის ვადები.

სახალხო დამცველის აპარატში სისხლის სამართლის საქმეებზე შემოსულია უამრავი საჩივარი, რომლებშიც ადგილი აქვს საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებისთვის დადგენილი ვადების ხელოვნურად გაჭიანურებას, ან ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების საერთოდ არშესრულებას.

თუმცა, იკვეთება სასიკეთო ტენდენციებიც:

სახალხო დამცველის აპარატის უშუალო ჩარევის შემდეგ რამდენჯერმე მოხდა პროკურატურის ორგანოების მიერ გამოტანილი არაღძვრის დადგენილების გასაჩივრება გენერალურ პროკურატურაში. გენერალურმა პროკურატურამ გააუქმა ზემოაღნიშნული დადგენილებები და საქმეები დააბრუნა პროკურატურის ორგანოებში დამატებითი ძიებისათვის.

სახალხო დამცველის აპარატი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის და მონიტორინგის მთავარ სამმართველოსთან.

რაც შეეხება პოლიციის ორგანოების საქმიანობას, მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული ყოველდღიური მონიტორინგისა, კვლავ ადგილი აქვს ეჭვმიტანილებისთვის ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებს, თუმცა, წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ფიზიკურ დაზიანებათა უმრავლესობა მიყენებულია დაკავების პერიოდში და არა დაკავების შემდეგ. მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა პოლიციის განყოფილებებსა და წინასწარი დაკავების საკნებში ჩაატარა 1500-მდე გასვლა, რის შედეგადაც აღმოჩენილი იქნა 1200-მდე სხვადასხვა სახის დარღვევა. ამ დარღვევების ანალიზი მოცემულია მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც მოხსენებას თან ახლავს.

გივი ჯანიაშვილის საქმე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე ნანა დრიაევამ, რომლის განცხადებით, 2005 წლის 12 მაისს მისი მეუღლე გივი ჯანიაშვილი უკანონოდ დააკავეს შსს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მეუღლეს ჩაუდეს დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება და, მიუხედავად იმისა, რომ მას

წინააღმდეგობა არ გაუწევია სპეც-დანიშნულების რაზმისთვის, სასტიკად ცემეს. აღნიშნულის შესახებ არსებობს ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა 18/2005.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ გივი ჯანიაშვილს, მის მეუღლეს ნანა დრიაევას, ასევე გივი ჯანიაშვილის დაკავების ოპერაციის მონაწილეებს შსს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებს: გიორგი ჩახნაშვილს, კახაბერ ცალქალამანიძეს, დავით ლომჯარიასა და ილია ზაალიშვილს. სოდ-ის თანამშრომლები აცხადებენ, რომ გივი ჯანიაშვილმა მათ გაუწია წინააღმდეგობა, რის შემდეგაც გამოიყენეს საპასუხო ზომები, რომლის დროსაც დაკავებულმა მიიღო აღნიშნული დაზიანებები. ს.ო.დ.-ის თანამშრომლების მიერ გივი ჯანიაშვილისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ხარისხიდან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ გადააჭარბეს საკუთარ უფლებამოსილებას. გივი ჯანიაშვილის დაკავებისას ადგილზე იმყოფებოდა შ.ს.ს. ოპერატიული დეპარტამენტის ათამდე შეიარაღებული თანამშრომელი და ძნელად წარმოსადგენია, რომ დაკავებულს ისეთი წინააღმდეგობა გაეწია, რომ მის დასაკავებლად საჭირო ყოფილიყო მისთვის ასეთი სახის დაზიანებების მიყენება.

2005 წლის 3 ივნისს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაგზავნილ იქნა (№ 1132/07-7/656-დ) წერილი საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ლაცაბიძის მისამართით თანდართულ მასალებთან ერთად შემდგომი რეაგირებისათვის.

2005 წლის 27 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოვიდა პასუხი, რომლის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გივი ჯანიაშვილის მეუღლის, ნანა დრიაევას განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად გამოძიების დაწყების მიზნით გადაეგზავნა ქ. თბილისის პროკურატურას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა ბრალდებულ გივი ჯანიაშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებული წინასწარი გამოძიებით. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს, ბ-ნ შოთა გენგაშვილს, რომლის განმარტებით, აღნიშნული საქმის წინასწარ გამოძიებას აწარმოებს გამომძიებლი დათო ხვედელიძე. თუმცა, როგორც საქმიდან ირკვევა, წინასწარი გამოძიების დაწყებიდან ბოლო დრომდე რაიმე საგამოძიებო მოქმედება არ იყო ჩატარებული.

<u>მერაბ ცაავას საქმე</u>

2005 წლის 20 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე მერაბ ცაავამ, რომლის განცხადებით, იგი ეწეოდა გარე ვაჭრობას მარჯანიშვილის ქუჩაზე. ა/წ 19 ივნისს საღამოს 8 საათზე, მასთან მივიდა შ.ს.ს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის №1 განყოფილების უფროსი თემურ მღებრიშვილი, რომელიც იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში. თემურ მღებრიშვილმა, თანმხლებ პირებთან ერთად, მოქალაქე მერაბ ცაავას ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა მიაყენა და გაუნადგურა მის მიერ გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები.

ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ა/წ 20 ივნისს შ.ს.ს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის №1 განყოფილების უფროსს თემურ მღებრიშვილს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩამოერთვა ახსნა-განმარტება.

2005 წლის 29 ივნისს სახალხო დამცველის აპარატმა წერილით მიმართა (№ 1416/07-7/984-ც) ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაეტარებინათ შესაბამისი ზომები. 2005 წლის 5 ივლისს ქ. თბილისის პროკურატურის პასუხის თანახმად, ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №1005893 საქმეზე, საქართველოს შსს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის №1 განყოფილების უფროსის თემურ მღებრიშვილის მიმართ - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე (დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა მერაბ ცაავას ცემის ფაქტზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობით. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს, ბ-ნ შოთა გენგაშვილს, რომლის განმარტებით, გამოძიებას აწარმობს გამომძიებელი გიორგი ნიკოლეიშვილი. გამომძიებლის განცხადებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას დაიკითხნენ: მერაბ ცაავა, თემურ მღებრიშვილი და მოწმეები. ასევე, მერაბ ცაავას ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა. დაგეგმილია რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

<u>თ.შალუტაშვილის საქმე</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2005 წლის 26 აპრილს განცხადებით მომართა ბრალდებულ თენგიზ შალუტაშვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლევან სამუშიამ. საჩივარში იგი მიუთითებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლის – ე.ბიძინაშვილის 2005 წლის 17 აპრილის ბრძანება (აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე), რომელიც საოლქო სასამართლოს მოსამართლე ო.ჯორბენაძემ 2005 წლის 25 აპრილის დადგენილებით ძალაში დატოვა, გამოტანილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თენგიზ შალუტაშვილს ბრალი წაეყენა დაკავებიდან 48 საათის გასვლის შემდეგ, რითიც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი, 146-ე მუხლის 7-ე პუნქტი და 283-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2005 წლის 17 აპრილის ბრძანებაში ვკითხულობთ: „ბრალდებულ თენგიზ შალუტაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს დაცულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, გარდა ს.ს.ს.კ-ის 146-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 283-ე მუხლის პირველი ნაწილისა", ხოლო ბრძანებაში წერია, რომ მართალია, თ.შალუტაშვილს ბრალი წაეყენა 48 საათის შემდეგ, მაგრამ აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს დაკავებულის განთავისუფლების საფუძველს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად მიუთითებს: „ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. დაკავებულს ამ ვადის ამოწურვამდე უნდა წაეყენოს ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება და იგი დაუყონებლივ უნდა გათავისუფლდეს".

აღნიშნული საქმის მასალები 2005 წლის 28 ივნისს გადაგზავნილ იქნა გენერალურ პროკურატურაში იმისათვის, რომ მიეღოთ ზომები ზემოთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

პროკურატურამ არ გაითვალისწინა სსს კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი, არ მიიღო ზომები მოსამართლეთა უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით და, ამის ნაცვლად, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თ. შალუტაშვილს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, რითიც აღნიშნული პიროვნების სამართლებრივი სტატუსი უცვლელი დარჩა.

<u>ი.ფიცხელაურის საქმე</u>

სახალხო დამცველის აპარატს 2005 წლის 29 მარტს საჩივრით მომართა მოქალაქე ირმა ფიცხელაურმა. იგი საჩივარში აღნიშნავდა, რომ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის - გ. პავლიაშვილის მხრიდან დარღვეულ იქნა მისი კანონიერი უფლებები (აუქციონის ჩატარებასთან დაკავშირებით). ამის გამო ი. ფიცხელაურმა მიმართა გორის რაიონის პროკურატურას, რომელმაც გ. პავლიაშვილის მიმართ გამოიტანა სისხლის სამართლის არაღძვრის დადგენილება. ირმა ფიცხელაურის განმარტებით, არაღძვრის დადგენილება უკანონოა, რადგან მოკვლევა სრულად არ ჩატარებულა.

სახალხო დამცველის აპარატმა მოიძია საქმის მასალები, ასევე, ახსნა-განმარტება ჩამოართვა აღმასრულებელ გ. პავლიაშვილს. ამის შემდეგ მოქ. ირმა ფიცხელაურს მიეცა რეკომენდაცია, არაღძვრის დადგენილება გაესაჩივრებინა გენერალურ პროკურატურაში. გასაჩივრების შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ გააუქმა არაღძვრის დადგენილება და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გორის პროკურატურას დაუბრუნა.

<u>ა. რობაქიძის საქმე</u>

2004 წლის 24 ნოემბერს ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე, №166 საშ. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, პატრულმა გააჩერა „ბმვ“-ს მარკის ავტომობილი, რომელშიც იმყოფებოდნენ სტუდენტები: ა. ბართაია, გ. ქურდაძე, ი. მიქაბერიძე, კ. აზარიაშვილი, ლ. დანგაძე და ა. რობაქიძე. აღნიშნული პიროვნებები გადმოვიდნენ ავტომობილიდან, რის შემდეგაც პატრულის თანამშრომლის გ. ბაშალეიშვილის მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად ა. რობაქიძე ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიების ვერსიით, სტუდენტებმა პატრულს გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა, რასაც საპასუხო გასროლა მოჰყვა. სრულიად საპირისპიროს მოწმობს თვითმხილველთა ჩვენებები და არაერთი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა.

მოკლულის მხარის წარმომადგენელები დაჟინებით ითხოვდნენ საქმის მასალების ასლების გადაღებას, რაზეც იღებდნენ სრულიად უკანონო უარს.

ჩვენს მირე მოპოვებული მასალების საფუძველზე, 24.05.05 გენერალური პროკურორის მოადგილეს კახა კობერიძეს მივმართეთ რეკომენდაციით, უზრუნველეყო საქმის სრული და ობოექტური გამოძიება. გარდა ამისა, ამ ფაქტის შესახებ ვრცლად ვისაუბრეთ 2005 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაშიც, რის შემდეგაც ძიებაში მოხდა ცვლილებები. ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის

მოადგილის შ.გენგაშვილის განცხადებით, საქმეს იძიებს ქ. თბილისის პროკურატურის გამომძიებელი რ.ლაზარია. საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გ. ბაშალეიშვილი მიცემულია პასუხისგებაში და ბრალად ედება სხვისი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა (სსკ-ის მუხლი 116); მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო. გამოძიება თითქმის დასრულებულია და საქმე უახლოეს დღეებში გადაეცემა სასამართლოს.

<u>ვაზისუბნის საბავშვო ბაღის გაქურდვა</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქ. თბილისის №I საპყრობილის შემოწმების დროს დაფიქსირდა რამდენიმე საყურადღებო ფაქტი.

მიმდინარე წლის 17 მაისს ქ. თბილისის პირველ საპყრობილეში ახსნა-განმარტებები ჩამოერთვა ბრალდებულებს: მ.ჯაფარიძეს, გ.აგაჯანოვსა და ა.ხალგატიანს. ისინი 13 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს II განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ვაზისუბნის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის გაქურდვის ფაქტზე. მათგან ორი - აგაჯანოვი და ხალგატიანი - არასრულწლოვანია.

როგორც ბრალდებულების ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, აღიარებითი ჩვენებების მიღების მიზნით, მათზე პოლიციელთა მხრიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა. მათ შორის ერთ-ერთი - ჯაფარიძე განსაკუთრებით სასტიკ მოპყრობაზე მიუთითებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვა დაკავებაში მონაწილე სამ პოლიციელს და ისანი-სამგორის მე-II განყოფილების უფროსს თ. მუშკუდიანს.

20 მაისს საქმის გამოძიების უზრუნველყოფის რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსს ლ.მაღრაძეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს შ.ხიზანიშვილს. ქ.თბილისის პროკურორისგან - გიორგი ღვინიაშვილისაგან და საქ. გენპროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისგან - გიორგი ჩხეიძისაგან მივიღეთ პასუხები, სადაც გვაცნობებენ, რომ 27 მაისს ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება პოლიციელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

როგორც ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ნ.კვეზერელი აცხადებს, ჯაფარიძის ფიზიკური დაზიანებების შესასწავლად დანიშნულია კომისიური ექსპერტიზა; დაკითხულნი არიან როგორც დაზარალებულები, ასევე, დაკავებაში მონაწილე პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები; არ ჩატარებულა არც ერთი ამოცნობა და გამოძიების ამ ეტაპზე კონკრეტული ეჭვმიტანილები გამოკვეთილი არ არიან.

ამ საქმიდან საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დაკავებულებიდან ორი სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში აღნიშნავდა, რომ შეეძლოთ იმ პირთა ამოცნობა, რომლებიც მათ დაკავებაში მონაწილეობდნენ. ხოლო ნ.კვეზერელმა მიუთითა, თითქოს, დაკავებულების განცხადებით, მათ არ შეუძლიათ ამოცნობა.

ამასთან, ძალიან დაგვიანებულია ზემოხსენებული ექსპერტიზის ჩატარება და ამ ეტაპზე არ არიან გამოვლენილი კონკრეტული ეჭვმიტანილები, მაშინ, როდესაც დადგენილია დამკავებულ პოლიციელთა ვინაობა.

<u>ნათია ხურციძის საქმე</u>

2005 წლის 15 მარტს სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისს განცხადებით მიმართა მოქალაქე ციალა ხურციძემ. იგი აღნიშნავდა, რომ 2005 წლის 14 მარტს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქუთაისის პოლიციის №5 განყოფილების ვაკისუბნის ქვეგანყოფილებაში საპატრულო პოლიციის მანქანით მიიყვანეს მისი არასრულწლოვანი შვილი ნათია მოსეს-ასული ხურციძე. პოლიციის განყოფილებაში ჩატარდა ნათია ხურციძის პირადი ჩხრეკა. გარდა ამისა, პოლიციამ იმავე დღეს გაჩხრიკა მისი საცხოვრებელი ბინა. როგორც განცხადებიდან და შემდეგ გამოკითხვის ოქმიდან ირკვევა, ნათია ხურციძე პოლიციის ქვეგანყოფილებაში დაახლოებით ექვსი საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული. ციალა ხურციძე მოითხოვდა აღნიშნულ ფაქტზე სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის რეაგირებას და მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის დარღვეული უფლების დაცვას.

სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის წარმომადგენლები შეხვდნენ ქუთაისის პოლიციის მე-5 განყოფილების ვაკისუბნის ქვეგანყოფილების უფროსს ბაკურ მოდებაძეს და აღნიშნული საქმის მომკვლევს ბესიკ თვარაძეს. პოლიციის მე-5 განყოფილების ვაკისუბნის ქვეგანყოფილებიდან და საპატრულო პოლიციიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვაკისუბნის ქვეგანყოფილების თანამშრომელთა მხრიდან ადგილი აქვს ადამიანის უფლების დარღვევას, კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად: "პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთან დაკავებულის მიყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი. მასში უნდა აღინიშნოს: ვინ, როდის, რა ვითარებაში, კანონში აღნიშნულ რა საფუძვლებზე არის დაკავებული, რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი, რომელ საათზე მიიყვანეს მოკვლევის ორგანოში. ოქმს თავიანთი ხელმოწერებით ადასტურებენ პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, რომელსაც დავალებული აქვს მისი შედგენა, თანამდებობის პირი ან მოქალაქე, რომელმაც პირი დააკავა და დაკავებული." ნათია ხურციძის შემთხვევაში, მართალია, მოქალაქე პოლიციის დაწესებულებაში თანამშრომლებმა მიიყვანეს, მაგრამ კანონით განსაზღვრული პირების მიერ დაკავების ოქმი შედგენილი არ ყოფილა, რის გამოც ადგილი აქვს პიროვნების უკანონო დაკავებას (რადგანაც არ არსებობს შესაბამისი აქტი), პროცესუალური გაფორმების გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში. სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 147 მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

მოქალაქე ნათია ხურციძეს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა ქუთაისის შს მე-5 განყოფილების ვაკისუბნის (ბუხაიძის) ქვეგანყოფილებაში (პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით) და პირადი ჩხრეკის ოქმში ჩხრეკის ჩატარების საფუძვლად მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი. აღნიშნული პირი (ნათია ხურციძე) არსებული დოკუმენტებით ეჭვმიტანილი არ არის დანაშაულის ჩადენაში (არ არსებობს ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება) და არ იყო დაკავებული (არ არსებობს დაკავების ოქმი). შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა საფუძვლით ჩაუტარდა მას პირადი ჩხრეკა? იმ შემთხვევაში, თუ მას აღმოაჩნდებოდა რაიმე ნივთმტკიცება,

აუცილებლად დააკავებდნენ (დოკუმენტურადაც), თუმცა, რადგან ასეთი არ აღმოჩნდა, პოლიციამ პირის დაკავების ოქმი არ შეადგინა და აღნიშნულ საქმეზე შეინარჩუნა მოკვლევის 20 დღიანი ვადა.

მას შემდეგ, რაც პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ნათია ხურციძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ მიიღეს, იგი გაათავისუფლეს ხელწერილის საფუძველზე, რომლის მიხედვით, ნათია ხურციძეს ქალაქის დატოვება ეკრძალება პოლიციის მე-5 განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორის, მზია სირაძის თანხმობის გარეშე.

“ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არის ბრალდებულის წერილობითი ვალდებულება, რომელსაც იგი აძლევს სასამართლოს იმის შესახებ, რომ არ დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, არ აწარმოებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ხელს არ შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, გამოცხადდება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით. ხელწერილის მიმცემი კისრულობს ვალდებულებას, არ გავიდეს აღნიშნული დასახლებული პუნქტიდან მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვის გარეშე და შეატყობინოს მათ, თუ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი მითითებული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.”

შესაბამისად, ეს უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს აქვს და არა პოლიციის განყოფილების ინსპექტორს, რითაც კიდევ ერთხელ იკვეთება საქმის შემსწავლელ პოლიციელთა არაპროფესიონალიზმი და კანონის არცოდნა.

საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებთან. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის 21-ე მუხლის გ) პუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა პროკურატურას, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით იმ პოლიციელების მიმართ, რომლებმაც უკანონოდ დააკავეს მოქალაქე ნათია ხურციძე.

<u>ადვოკატები პოლიციის შენობაში არ შეუშვეს</u>

* * *

მიმდინარე წლის 27 მარტს სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელს გიორგი მშვენიერაძეს ადვოკატმა დალი სულაქველიძემ ტელეფონით შეატყობინა, რომ მას არ უშვებდნენ წყალტუბოს პოლიციის შენობაში დაკავებულ პირებთან შესახვედრად. როდესაც გიორგი მშვენიერაძე პოლიციის წინასწარი დაკავების საკნების მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან ერთად წყალტუბოს შს სამმართველოში მივიდა, სამმართველოს შენობის კარი დაკეტილი დახვდა. შენობასთან იდგნენ ადვოკატები, რომლებიც ამაოდ ითხოვდნენ შენობაში შესვლას, თუმცა, მათ წესრიგში ჰქონდათ დოკუმენტაცია (ორდერი, პირადობის მოწმობა). მორიგე პოლიციელმა შენობაში შესვლის უფლება არც სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის თანამშრომლებს მისცა, მიუხედავად იმისა, რომ მათ სახალხო დამცველის რწმუნებები და პირადობის მოწმობები წარადგინეს. პოლიციელმა თავიდან რაღაც მნიშვნელოვანი საქმე მოიმიზეზა, შემდეგ განაცხადა, რომ სამმართველოს უფროსის მისვლამდე ვერავის შეუშვებდა, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები.

სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი და მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუკავშირდნენ იმერეთის ოლქის პროკურორს მიხეილ ჩოგოვაძეს, ქუთაისის რაიონულ პროკურორს ჯუმბერ ლელაძეს, შს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს შოთა ხიზანიშვილს, იმერეთის შს

სამხარეო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსს ზაზა გონგაძეს. ამ პირებთან სატელეფონო საუბარში დაახლოებით ერთი საათი გავიდა, რის შემდეგ სამმართველოს შენობის კარი ქუთაისის რაიონული პროკურორის თანაშემწემ რამაზ ჯიბუტმა გააღო. როგორც მან განმარტა, არ იცოდა, რომ ადვოკატებსა და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს შენობაში შესვლის პრობლემა შეექმნათ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები ერთი საათის, ხოლო ადვოკატები - ოთხი საათის ლოდინის შემდეგ შეხვდნენ დაკავებულ პირებს. ეჭვმიტანელებმა განაცხადეს, რომ ისინი რამდენიმე საათით ადრე დააკავეს იმ დროსთან შედარებით, რომელიც დაკავების ოქმებშია მითითებული.

* * *

მიმდინარე წლის 2 აპრილს ადვოკატი ილო ჯანელიძე ქუთაისის პოლიციის შენობაში არ შეუშვეს, რის გამოც ის დაუკავშირდა სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელს გიორგი მშვენიერაძეს. პოლიციელებმა იგნორირება გაუკეთეს მის განმარტებას, რომ ადვოკატს დაკავებულ პირთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლება ჰქონდა. პოლიციამ ილო ჯანელიძე მანამ არ შეახვედრა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, სანამ გიორგი მშვენიერაძე არ დაუკავშირდა შს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს შოთა ხიზანიშვილს. პოლიციის უფროსთან შოთა ხიზანიშვილის სატელეფონო ზარის შემდეგ მოხერხდა ჯერ გიორგი მშვენიერაძის შენობაში შესვლა და სამართველოს უფროსთან ჯიმშერ ფანჩულიძესთან შეხვედრა, ხოლო შემდეგ ადვოკატის შეხვედრა დაკავებულ პირთან.

<u>ბ. საღინაძის საქმე</u>

სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე ბ. საღინაძემ პოლიციელთა მიერ საცხოვრებელი კოტეჯიდან უკანონო გამოსახლების შესახებ.

მოქალაქე ბ. საღინაძე დაახლოებით 40 წლის განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში. არის დევნილი აფხაზეთიდან.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილების შემდეგ, ბათო საღინაძე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა შ.ს.ს კუთვნილ კოტეჯში სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის განკარგულებით, რაც დასტურდება 2000 წლის 20 აპრილის წერილით. წერილს ხელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავნჯდომარე – პოლიციის გენერალ-მაიორი ვ. დავითაია აწერს. იმ დროისათვის მოქმედი კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით და კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილთა გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: ა) დევნილებთან იდება შეთანხმება; ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით; დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.” გამოსახლების თაობაზე ბ.საღინაძესა და შს სამინისტროს შორის შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია. პოლიციამ იძულებით გამოიყვანა ბ.საღინაძის ოჯახი კოტეჯიდან, რისი უფლებაც პოლიციას კანონის საფუძველზე არ ჰქონდა. თუკი პოლიციას

მიაჩნდა, რომ ბ.საღინაძეს უკანონოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჰქონდა დაკავებული კოტეჯი, საკითხის გადაწყვეტა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო სასამართლო წესით, თანახმად დასახელებული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172 მუხლისა (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა). აღნიშნულ თვითნებობას თავადვე აღიარებენ მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შ.ს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები მიმდინარე წლის 28 იანვრისა და 17 აპრილის წერილებით, რომელსაც ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ბატონი ალექსანდრე მაისურაძე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მივიჩნიეთ, რომ ადგილი ჰქონდა პოლიციელთა მხრიდან მათი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას და მოქალაქის უფლებების უხეშ დარღვევას, ამდენად, რეკომენდაციით მივმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, აგრეთვე, შ.ს.ს. ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოს სათანადო რეაგირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია არ დაინტერესდა პოლიციელთა უკანონო ქმედებების შესწავლით და მიმდინარე წლის 15 მაისის წერილით გვიპასუხეს, რომ ბ.საღინაძის გამოსახლების საკითხი გასაჩივრებულია სასამართლოში და ელოდებიან მოსამართლის გადაწყვეტილებას. თუმცა, ეს სრულიად არ უშლის ხელს გენერალური ინსპექციის კომპეტენციის ფარგლებში პოლიციელთა უკანონო ქმედებების მოკვლევას.

ამდენად, შესაბამისი პასუხი შსს-დან ვერ მივიღეთ და ვერ შევძელით მოქალაქე ბ.საღინაძის უფლებების აღდგენა.

სახალხო დამცველის აპარატი
პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი
(01-08 2005წელი)

სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის შემადგენლობაში არსებობს მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ძირითადი ფუნქცია პოლიციის საქმიანობაზე კონტროლი, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირებაა. 2005 წლის იანვრიდან მონიტორინგის ჯგუფი პოლიციის რაიონული განყოფილებების, ქვეგანყოფილებების და თბილისის ქალაქის სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის მონიტორინგს ინტენსიურად ახორციელებს. ყოველი ვიზიტის შემდეგ ივსება შესაბამისი ოქმი, რომლის ასლი, დანართის სახით, მოთავსებულია ამ თავის ბოლოს. ამ ოქმების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატის კვლევისა და შეფასების ცენტრში ყოველთვიურად პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების ამსახველი ინფორმაცია იყრის თავს. მიღებული მონაცემების დამუშავება პრობლემატური საკითხების გამოვლენის, მათზე მსჯელობისა და გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა.

მონიტორინგის ჯგუფების მიერ ხორციელდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოჩენა და მათზე რეაგირება. მონიტორინგის ჯგუფები პოლიციის წინასწარი დაკავების საკნების შემოწმებისას, განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სხვა არაჰუმანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტებზე. ასევე მიმდინარეობს კონტროლი პოლიციის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული პროცესუალური ნორმების შესრულებაზე. პროცესუალურ ნორმებში იგულისხმება: დაკავებულისთვის მისი უფლებების განმარტება, შეტყობინების უფლება, დუმილის უფლების განმარტება, დაცვის (ადვოკატის აყვანის) უფლების განმარტება და რეალიზება, დაკავებულთა უფლებების ნუსხის ასლის და ეჭვმიტანილის დაკავების ოქმის ასლის გადაცემა.

იანვრის თვიდან მონიტორინგის ჯგუფების მუშაობა განსხვავებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა. იანვრისა და თებერვლის თვეებში მონიტორინგი გაცილებით აქტიური იყო ვიდრე მარტისა და აპრილის თვეებში. გარკვეულ ეტაპზე მოქმედებდა პოლიციის 24 საათიანი მონიტორინგის რეჟიმი, რაც გარკვეულწილად პრევენციულ ხასიათს ატარებდა. მაისის თვიდან მნიტორინგის ჯგუფების პოლიციის განყოფილებებში ვიზიტების დინამიკა სტაბილურად იზრდება. **ივნისსა და ივლისში ვიზიტების რიცხვი წინა თვეების მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება.**

მონიტორინგის ჯგუფების პოლიციის განყოფილებებში ვიზიტების დინამიკა თვეების მიხედვით



სახალხო დამცველის აპარატი
პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკური
მონაცემების ანალიზი
(01-08 2005წელი)

8 თვის განმავავლობაში მონიტორინგის საბჭოს მიერ თბილისის მასშტაბით, პოლიციის განყოფილებებსა და ქალაქის სამმართველოში **1489** ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტების მაქსიმალური რაოდენობა დაფიქსირდა ივნისში – **397** ვიზიტი, მინიმალური კი აპრილის თვეში – **25**.

სულ იანვრის თვიდან მონიტორინგის საბჭოს მიერ პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში განხორციელებული **1489** ვიზიტის შედეგად **1191** დარღვევაა აღმოჩენილი, აქედან ადამიანის უფლებათა დარღვევების რაოდენობა შეადგენს **1113**-ს, რაც დარღვევათა საერთო რაოდენობის **93%**-ია. პროცესუალური დარღვევების რაოდენობაა **78 (7%).**

მონიტორინგის ჯგუფის მონაცემებით ადამიანის უფლებათა დარღვევების დინამიკა თვეების მიხედვით



მონიტორინგის საბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების მაქსიმალური რაოდენობა აგვისტოს თვეში დაფიქსირდა – **298** დარღვევა. მინიმალური კი იანვრის თვეში – **66**.

რაც შეეხება სამართალდამცავთა მხრიდან, კანონით განსაზღვრული პროცესუალური ნორმების შეუსრულებლობას, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მარტი-აპრილის მონაცემებით მნიშვნელოვნად გამოსწორდა სამართალდამცავთა მხრიდან სარეგისტრაციო ჟურნალის არასწორად წარმოების პრაქტიკა. იანვარი-თებერვლის თვეებისათვის დამახასიათებელი

დარღვევები, როგორიცაა დაკავებულის სარეგისტრაციო ჟურნალში არასწორი/არასრული რეგისტრაცია, აპრილის თვიდან მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო ივლისისა და აგვისტოს თვეებში მონიტორინგის საბჭოს მიერ მსგავსი დარღვევა არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის დროს ადგილზე ხორციელდებოდა წინასწარი დაკავების საკნებში არსებულ დაკავებულ პირთა ფიზიკური დათვალიერება და დაკითხვა. აშკარა სამართალდარღვევის, შესამჩნევი სხეულის დაზიანების ან სხვა რაიმე საეჭვო გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ პირველადი რეაგირების სახით ხდებოდა პოლიციის თანამშრომლებისაგან ახსნაგანმარტების მოთხოვნა და დაზარალებულისთვის ინციდენტის ამსახველი წერილობითი ჩვენების ჩამორთმევა.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაიკითხა **406** დაკავებული, აქედან **192**-ს აღენიშნებოდა შესამჩნევი სხეულის დაზიანებები. რაც დაკავებულთა საერთო რაოდენობის **47%-ს** შეადგენს. აღნიშნული **192**

პიროვნებიდან კი მხოლოდ **55** აღიარებდა ფიზიკური ზეწოლის ფაქტს. რაც დაზიანებების მქონე დაკავებულთა **29%-**ია.
დაკავებულზე ფიზიკური დაზიანების ნიშნების მაქსიმალური რაოდენობა აგვისტოს თვეშია აღმოჩენილი – 64 ფაქტი. მინიმალური კი აპრილში – 9 შემთხვევა.

ფიზიკური დაზიანების ფაქტების დინამიკა თვეების მიხედვით



ფიზიკური დაზიანების პროცენტული მაჩვენებელი დარღვევათა საერთო რაოდენობაში



როგორც მონიტორინგის ჯგუფების წევრებთან საუბრისას დაკავებულები აღნიშნავდნენ, **62** დაკავებულზე სამართალდამცავთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, **117** დაკავებულს არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ, 219 დაკავებულს არ ჩაბარდა ეჭვმიტანილის დაკავების ოქმის ასლი, **118-**ს არ განემარტა დუმილის უფლება, **161** დაკავებულის მიმართ დაირღვა შეტყობინების უფლება (არ მიეცათ ტელეფონით სარგებლობის საშუალება), **100-ს** არ განემარტა დაცვის უფლების შესახებ, **141** დაკავებულს არ გადაეცა დაკავებულის უფლებათა ნუსხის ასლი.

სახალხო დამცველის აპარატი

პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკური
მონაცემების ანალიზი
(01-08 2005წელი)

მონიტორინგის შედეგად დაკავებულთა შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის არ არსებობის **3** ფაქტი დაფიქსირდა.

ადამიანის უფლებების დარღვევათა დინამიკა (დარღვევის ტიპების მიხედვით)



მონიტორინგის შედეგად, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში **406** უფლებაშელახულია აღმოჩენილი. უფლებაშელახულთა მაქსიმალური რაოდენობა აგვისტოს თვეში დაფიქსირდა – **99**. მინიმალური კი აპრილში – **19**.

ზოგადად მონიტორინგის ჯგუფების მიერ აღმოჩენილ უფლებაშელახულთა უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენს მათი რაოდენობაა – **338**, რაც უფლებაშელახულთა საერთო რაოდენობის **83%**-ია. უფლებაშელახულთა შორის არის **43** ქალი, **1** – არასრულწლოვანი გოგონა, **24** – არასრულწლოვანი ვაჟი. მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი **406** უფლებაშელახული პირიდან **58** ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია.

სახალხო დამცველის აპარატი
პოლიციის მონიტორინგის სტატისტიკური
მონაცემების ანალიზი
(01-08
2005წელი)

მონიტორინგის ჯგუფის მონაცემებით უფლებაშელახულთა დინამიკა თვეების მიხედვით



უფლებაშელახულთა შორის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დინამიკა თვეების მიხედვით



სახალხო დამცველის აპარატის პოლიციის მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების სტატისტიკური მონაცემები
(01-08 2005წელი)

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა	01	02	03	04	05	06	07	08	3
დარღვევის ტიპი									
აღენიშნება ფიზიკური დაზიანებები	22	20	18	9	16	20	23	64	
აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზეწოლას	4	5	12	5	6	11	9	3	
ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას	6	5	10	6	7	16	7	5	
მას არ ჩაბარდა ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილება	12	12	17	14	19	39	36	70	
არ მიეცა განმარტება უფლებების შესახებ	5	13	13	10	15	17	13	31	
არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება	3	4	9	10	21	29	32	53	
არ განემარტა ადვოკატის აყვანის უფლება	9	10	10	9	12	12	12	26	
არ არის რეგისტრირებული სარეგისტრაციო ჟურნალში	1	0	0	1	0	0	1	0	
არ განემარტა დუმილის უფლების შესახებ	8	12	8	9	18	22	12	29	
არ გადაეცა დაკავებულთა უფლებების ნუსხის ასლი	0	18	19	10	26	34	14	20	
სულ ადამიანის უფლების დარღვევა (რაოდენობა)	**66**	**94**	**104**	**78**	**134**	**189**	**150**	**298**	
რეგისტრაციის ჟურნალი არ არსებობდა	1	0	**0**	0	0	0	0	0	
აღმოჩენილი იყო ორი ან მეტი რეგისტრაციის ჟურნალი	0	0	0	0	0	0	0	0	
დაფიქსირდა ჟურნალში არასწორი/არასრული რეგისტრაცია	47	11	7	2	3	5	0	0	
არ გააღეს ყველა საკანი	0	0	0	0	0	0	0	0	
არ გააღეს ყველა ოთახი	1	0	1	0	0	0	0	0	
პოლიციის თანამშრომლებმა გაწიეს წინააღმდეგობა	0	0	0	0	0	0	0	0	
სულ პროცედურული დარღვევა	**49**	**11**	**8**	**2**	**3**	**5**	**0**	**0**	
დარღვევათა საერთო რაოდენობა	**115**	**105**	**112**	**80**	**137**	**194**	**150**	**298**	
მომჩივანი / მსხვერპლი / უფლებაშელახული									
ქალი	1	1	2	2	4	15	9	9	
კაცი	54	34	44	16	35	30	42	83	
არასრულწლოვანი გოგონა	0	0	1	0	0	0	0	0	
არასრულწლოვანი ვაჟი	0	0	3	1	4	8	1	7	
ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი	2	3	8	2	4	7	12	20	
რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი	0	0	0	0	0	0	0	0	
სულ რაოდენობა დღე-ღამის განმავლობაში	**55**	**35**	**50**	**19**	**43**	**53**	**52**	**99**	
გეოგრაფია (მიუთითეთ განყოფილებების რაოდენობა)									
თბილისის ქალაქის სამმართველო	4	15	14	8	13	30	28	29	
გლდანი-ნაძალადევი	41	28	10	0	24	100	87	108	
დიდუბე-ჩუღურეთი	14	8	1	8	20	57	47	54	
ვაკე-საბურთალო	32	20	4	3	22	74	57	59	
მთაწმინდა-კრწანისი	14	9	2	2	10	42	35	29	
ისანი-სამგორი	26	25	8	4	16	94	84	70	
სულ განყოფილებების რაოდენობა	**131**	**105**	**39**	**25**	**105**	**397**	**338**	**349**	

ანგარიში
ეუთოს 2004-2005 წლის წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმის შესახებ პროექტის ფარგლებში, ივნისსა და ივლისში პოლიციის განყოფილებებში განხორციელებული ვიზიტების შესახებ

ივნისისა და ივლისის თვეში მონიტორინგის ჯგუფმა ეუთოს წამების საწინააღმდეგო პროექტის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პოლიციის ადგილობრივი განყოფილებების ინსპექტირების მიზნით, გაუფრთხილებელი ვიზიტები განახორციელა. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, გენერალური პროკურატურისა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები.

პოლიციის განყოფილებებში მონიტორინგის ჯგუფის მიერ ხდებოდა დაკავებულთა სარეგისტრაციო ჟურნალისა და წინასწარი დაკავების საკნების შემოწმება, ასევე, თითოეულ დაკავებულთან ინდივიდუალურად, პირისპირ გასაუბრება.

2005 წლის 17 ივნისს მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი პოლიციის განყოფილებების ინსპექტირება.

- ქვემო ქართლის მთავარი შ.ს. სამმართველო,
- რუსთავის შ.ს. სამმართველო;
- რუსთავის შ.ს სამმართველოს №1 ქვეგანყოფილება.

ქვემო ქართლის მთავარი შ.ს. სამმართველო

ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოში (უფროსი ნიკოლოზ შარვაძე) მონიტორინგის ჯგუფის მიერ პოლიციის სამორიგეო ნაწილი და დროებითი მოთავსების საკანი შემოწმდა. პოლიციის სამორიგეო ნაწილში სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული იყო 3 დაკავებული. აქედან, ერთი რეგისტრირებული იყო არასწორად.

ვიზიტის დროს წინასწარი დაკავების საკანში აღმოჩნდა 3 დაკავებული. ორი მათგანი ეჭვნიტანილი იყო ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენაში. იმავდროულად, იქვე მდებარეობდა კიდევ ორი თავისუფალი საკანი. დაკავებულები ერთ საკანში მოათავსეს, რაც, შესაძლოა, პროცედურულ სამართალდარღვევად ჩაითვალოს, რადგან დანაშაულის თანამონაწილეები არ შეიძლება მოთავსებულ იქნენ ერთსა და იმავე საკანში.

დაკავებულებთან საუბრის შედეგად გაირკვა, რომ მათ მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია. არც ერთ მათგანს სხეულის დაზიანებები არ აღენიშნებოდა.
დაკავების საკნები არ შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს – საკანში არ იყო სარკმელი. ასევე არ იყო დაკავებულებისათვის სასეირნოდ დაცული ტერიტორია.

დაკავებულთა სარეგისტრაციო ჯურნალში არასწორი ან არასრული რეგისტრაციის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ძირითადად, ჟურნალში არ იყო მითითებული ინფორმაცია დაკავებულის პოლიციიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ (მაგ. სასამართლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი).

მონიტორინგის ჯგუფს არ მიეცა სამუშაო ოთახების შემოწმების საშუალება აღნიშნულ ოთახებში სხვა დაკავებულების არარსებობის დასადასტურებლად.

ოთახები დაკეტილი იყო და მორიგე პოლიციის თანმშრომელს არ აღმოაჩნდა სათადარიგო გასაღები.

რუსთავის შ.ს. სამმართველო

რუსთავის შ.ს სამმართველოში (უფროსი დავით ცერცვაძე) წინასწარი დაკავების საკნები არ ფუნქციონირებს. დაკავებული ადგილზე რეგისტრაციისთანავე გადჰყავთ ქვემო ქართლის შ.ს. მთავარ სამმართველოში. სარეგისტრაციო ჟუნალის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი იქნა რამდენიმე პროცედურული სამართალდარღვევა. ერთი კონკრეტული დაკავებულის განყოფილებაში შემოყვანისა და გაყვანის თარიღები გადასწორებული იყო პოლიციის მორიგე თანამშრომლის მიერ.

რუსთავის შ.ს. სამმართველოს №1 ქვეგანყოფილება

№1 ქვეგანყოფილებაში არის წინასწარი დაკავების საკანი, თუმცა, ის გაუქმებულია, რადგან დაკავებული ადგილზე რეგისტრაციისთანავე გადაჰყავთ ქვემო ქართლის შ.ს. მთავარ სამმართველოში. სარეგისტრაციო ჟურნალის შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა დაკავებულის განყოფილებიდან ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოში დაგვიანებითგადაყვანის 2 შემთხვევა.

* * *

2005 წლის 1 ივლისს მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი პოლიციის განყოფილებების ინსპექტირება:

- შიდა ქართლის შ.ს. რეგიონული სამმართველო;
- გორის რნ-ის შ.ს. სამმართველო.

შიდა ქართლის შ.ს. რეგიონული სამმართველო

შისა ქართლის შ.ს. რეგიონულ სამმართველოში (უფროსი ვლადიმერ ჯუღელი) მონიტორინგის ჯგუფმა დროებითი მოთავსების იზოლატორები შეამოწმა. ვიზიტის დროს წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებული იყო 3 დაკავებული. ყველა მათგანი იმყოფებოდა ერთ საკანში, მიუხედავად იმისა, რომ იქვე განლაგებული იყო ოთხი თავისუფალი საკანი.

დაკავებულებთან ინდიდუალური გასაუბრებისას შედეგად ორ მათგანს სამართალდამცავთა მიმართ პრეტენზია არ აღმოაჩნდა. მათ ასევე არ აღენიშნებოდათ სხეულის დაზიანებები.

ერთ-ერთმა დაკავებულმა აღნიშნა, რომ მის მიმართ დაკავების პროცესში ფინანსური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰკონდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. დაკავებულის განცხადებით, მას ასევე დაკავების მომენტში თან ჰქონდა გარკვეული ოდენობის თანხა ($2.500), რომელიც მისი დაკავებისთანავე უკვალოდ გაქრა. ასევე, დაკავებული აღნიშნავდა, რომ მას არ მიეცა განმარტება საკუთარი უფლებების შესახებ და მის მიმართ ადგილი ჰქონდა შეტყობინების უფლების დარღვევას (სამართალდამცავებმა მას არ მისცეს ტელეფონით სარგებლობის საშუალება).

გორის შ.ს. სამმართველო

გორის შ.ს. სამმართველოში (უფროსი – დავით დათაშვილი) დროებითი მოთავსების იზოლატორები არ ფუნქციონირებს. როგორც წესი, დაკავებულები

რეგისტრაციისთანავე შიდა ქართლის შ.ს. სამმართველოში გადაჰყავთ. სარეგისტრაციო ჟურნალის შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა დაკავებულთა არასწორ რეგისტრაციასთან დაკავშირებული რამდენიმე პროცედურული სამართალდარღვევა (დაკავების თარიღი არ იყო მითითებული). საბოლოოდ, პოლიციის მორიგე თანამშრომელთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია სარეგისტრაციო ჯურნალის წარმოების შესახებ.

* * *

2005 წლის 7 ივლისს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს და ამავე რაიონის ორი ქვეგანყოფილების ინსპექტირება.

ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში იყო სამი დროებითი მოთავსების საკანი, თუმცა მხოლოდ ორს იყენებდნენ შესაბამისი მიზნით. ვიზიტის დროს სამმართველოში დაკავებულები არ აღმოჩნდნენ. სარეგისტრაციო ჟურნალის მონაცემებით, დაკავებულებს განყოფილებაში საშუალოდ 2-3 საათით აჩერებდნენ, რის შემდეგაც ისინი თბილისის პოლიციის სამმართველოში გადაჰყავდათ. სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით, ადგილი ჰქონდა დაკავებულთა საკნიდან რამდენიმეჯერ გამოყვანასა და შეყვანას. მათი საკნიდან გამოყვანის მოტივი მითითებული არ ყოფილა.

ვაკე-საბურთალოს №3 და №5 ქვეგანყოფილებების ინსპექტირებისას მონიტორინგის ჯგუფის მიერ დარღვევები არ დაფიქსირებულა.

* * *

2005 წლის 29 ივლისს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა მარნეულისა და გარდაბნის პოლიციის განყოფილებების ინსპექტირება.

ვიზიტის განმავლობაში ინსპექტირება ჩატარდა შემდეგ განყოფილებებში:
- ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოს მარნეულის რაიონულ განყოფილებაში;
- ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოს გარდაბნის რაიონულ განყოფილებაში.

ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოს მარნეულის რაიონულ განყოფილება

ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოს მარნეულის რაიონულ განყოფილებაში (უფროსი იური მოდებაძე) შემოწმებულ იქნა წინასწარი დაკავების იზოლატორი. ვიზიტის განმავლობაში წინასწარი დაკავების იზოლატორში დაკავებულები არ აღმოჩნდნენ. ფუნქციონირებდა შვიდი წინასწარი დაკავების საკანი, მათ შორის – ოთხი ოპერატიული.

წინასწარი დაკავების საკნები არ შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებს. საკნები საჭიროებს დაუყოვნებლივ განახლებას; მათში არ არის ფანჯრები, რის გამოც არ არსებობს ბუნებრივი ვენტილაცია და დღის განათება, საკანში არ არის გამდინარე წყალი და ტუალეტი.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა სარეგისტრაციო ჟურნალში დაკავებულის რეგისტრაციის შესახებ არასრული მონაცემები.

ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოს გარდაბნის რაიონულ განყოფილება

ქვემო ქართლის შ.ს. სამმართველოს გარდაბნის რაიონულ განყოფილებაში (უფროსი რევაზ შავლუხაშვილი) აღმოჩნდა ორი დაკავებული. ისინი ეჭვმიტანილნი იყვნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

სხვა განყოფილებებისაგან განსხვავებით, გარდაბნის რაიონის პოლიციის განყოფილების საკნებში საცხოვრებელი პირობები ბევრად უკეთესია. არის ოთხი საკანი, სადაც დაკავებულებისათვის ხელმისაწვდომია ბუნებრივი ვენტილაცია და დღის განათება. ასევე, შესაძლებელია დაცულ ტერიტორიაზე სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნება.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ სარეგისტრაციო ჟურნალის შემოწმებისას რამდენიმე პროცედურული დარღვევა დაფიქსირდა. კერძოდ, სარეგისტრაციო მონაცემები იყო არარასრული და არაზუსტი. მაგალითად, სარეგისტრაციო ჟურნალში არსებული მონაცემებით, ეჭვმიტანილი დააკავეს 2005 წლის 23 ივლისს, იზოლატორში მოათავსეს 27 ივლისს და გაათავისუფლეს 28 ივლისს. შეუძლებელია, დაკავებასა და იზოლატორში მოთავსებას შორის ოთხდღიანი ინტერვალი ყოფილიყო. მორიგე ოფიცერმა ეს ახსნა ტექნიკური შეცდომით, ხოლო მისი განცხადებით, აღნიშნული პიროვნება დაკავებულ იქნა 2005 წლის 26 ივლისს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ორი განყოფილებიდან არც ერთში არ აღმოჩნდა დაკავებულთა უფლებების განახლებული ნუსხა.

სასჯელაღსრულება

პენიტენციური სისტემა

2005 წლის I ნახევარში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ინტენსიურად ახორციელებდა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მონიტორინგს, რომლის საფუძველზე მუდმივად აფიქსირებდა თავის პოზიციას სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა უფლებების დარღვევების შესახებ. საქმე ეხება როგორც პატიმართა საცხოვრებელ პირობებს, ასევე ადმინისტრაციულ მხარეს.

პენიტენციალურ სისტემაში მიმდინარე გარდაქმნებიდან უნდა აღინიშნოს რამდენიმე დადებითი ფაქტი. კერძოდ, მალე დასრულდება რამოდენიმე ციხის მშენებლობა, სადაც გაცილებით უკეთესი პირობები იქნება და რის შემდეგაც განიტვირთება დღეისათვის უაღრესად გადატვირთული რამდენიმე საპყრობილე. ასევე მისასალმებელია სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულების თანამშრომელთა შერჩევა კონკურსის წესით, უკვე არჩეული თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება და მომავალი წლიდან განსაზღვრული მათი ხელფასების მკვეთრი ზრდა. აქვე უნდა ითქვას, რომ საკონკურსო კომისიაში სახალხო დამცველის აპარატის წევრებიც მონაწილეობდნენ.

ასევე მისასალმებელია, რომ უქმდება ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო და პატიმართა მკურნალობა ჯანდაცვის სამინისტროს ფუნქცია ხდება.

საგაზაფხულო მოხსენებაში საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, მდგომარეობა მას შემდეგ თითქმის უცვლელბ დარჩა. ჩვენი ოფისის მიერ გაწეული მონიტორინგის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პატიმრები ერთმანეთისგან განსხვავებულ პირობებში იხდიან სასჯელს. ზოგიერთ საკანში სამჯერ მეტი პატიმარია, ვიდრე იქ არსებული საწოლების რაოდენობაა, რის გამოც მათ მონაცვლეობით უწევთ ძილი, მაშინ როცა კვლავ არიან პრივილეგირებული პატიმრები.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ იქნა რამდენიმე უკანონო პატიმარი, რომლებიც წინასწარი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ კვლავ საპყრობილეში იმყოფებოდნენ. ***<u>ნანული ქენქაძე</u>*** – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ინფორმაცია ნანული ქენქაძის უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით. ჩვენი აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შსს-ოს გამომძიებელმა დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 163-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის თანახმად, „ბრალდებულის პატიმრობის კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 5 დღისა პროკურორი ვალდებულია შესაბამის მოსამართლეს წარუდგინოს სისხლის სამართლის საქმე და გამომძიებლის დასაბუთებული შუამდგომლობა, რომელსაც პროკურორი მხარს უჭერს“. რის გამოც №1 საპყრობილის ბრალდებული ნანული ქენქაძე დღენახევრის განმავლობაში იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში.

ეს პატიმრები სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შემდეგ გათავისუფლდნენ, აღნიშნულ ფაქტებზე კი პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

მონიტორინგის ჯგუფმა აგრეთვე გამოავლინა პატიმრები, რომელთა მიმართ საპატიმროებში გადაყვანამდე დარღვეულ იქნა პროცესუალური ნორმები.

<u>თენგიზ შალუტაშვილი</u> – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა ინფორმაცია თენგიზ შალუტაშვილის უფლებების დარღვევის თაობაზე. ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტების შედეგად დადგინდა შემდეგი:
გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2005 წლის 17 აპრილის ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც თ. შალუტაშვილს შეეფარდა დაპატიმრება 3 თვით, ვკითხულობთ: „ბრალდებულ თენგიზ შალუტაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს დაცულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, გარდა ს.ს.ს.კ-ის 146-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 283-ე მუხლის პირველი ნაწილისა", ხოლო ბრძანებაში იქვე წერია, რომ, მართალია, თ.შალუტაშვილს ბრალი წაეყანა 48 საათის შემდგომ, მაგრამ აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს დაკავებულის განთავისუფლების საფუძველს.
მოსამართლე ე.ბიძინაშვილის მიერ მითითებულ ს.ს.ს.კ-ის 146-ე მუხლის მე-7 ნაწილის და 283-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკავების ვადა ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს დაკავებულის მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან; ხოლო ამავე კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად მიუთითებს: „ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. დაკავებულს ამა ვადის ამოწურვამდე უნდა წაეყენოს ბრალდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება და იგი დაუყონებლივ უნდა განთავისუფლდეს". მიუხედავად ამისა, მოსამართლე ე.ბიძინაშვილმა ბრალდებულ თ.შალუტაშვილს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ხოლო საოლქო სასამართლოს მოსამართლე ო.ჯორბენაძემ, იმის მაგივრად, რომ გაეუქმებინა აღნიშნული ბრძანება, ის თავისი დადგენილებით ძალაში დატოვა.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2005 წლის 24 მაისს საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის - გიორგი ჯანაშიას სახელზე გაიგზავნა წერილი, სადაც ეთხოვა მიეღო ზომები ამ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნული წერილის შემდგომ, პროკურატურის შუამდგომლობის შედეგად სასამართლომ თ. შალუტაშვილის აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემა, რაც თავისთავად არასწორი რეაგირებაა, ვინაიდან თ. შალუტაშვილის სამართლებრივი სტატუსი უცვლელი დარჩა.

<u>კახა ჯავახაძე</u> – ბრალდებულის სახით არის პასუხისგებაში მიცემული. მის მიმართ დაირღვა მთელი რიგი საპროსო ნორმები, კერძოდ – 1. დარღვეული იყო ს.ს.ს. კოდექსის 146-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რადგანაც არც ერთ ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში არ არის მითითებული ბრალდების წაყენების ზუსტი დრო. 2. დარღვეული იყო აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის შეფარდების 72 საათიანი ვადა (ს.ს.ს.კ-ის 146-ე მუხლის მე-7 ნაწილი).3. რაიონულმა სასამართლოს მოსამართლე დ.დოიჯაშვილმა პროკურორ გ. გიორგაძის მონაწულეობით კახა ჯავახაძეს პატიმრობის ვადა გაუგერძელა ხუთ თვემდე, მაშინ როცა 5 თვემდე პატიმრობის ვადის გაგრძელება შედის საოლქო სასამართლოს კომპეტენციაში.

აღნიშნულ საკითხზე საქმის ყურში იყვნენ ჩაყენებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი და გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჩხეიძე, მაგრამ მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ მომხდარა.

<u>გოჩა გაბური და გიგა გიგაური</u> – აღნიშნული პიროვნებების პირად საქმეში არ მოიძებნებოდა დაკავების ოქმები და ისე იყო გაცემული მოსამართლის ბრძანება დაპატიმრების შესახებ.
დარღვევები იმდენად არსებითი იყო, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ სასამართლოსა და პროკურატურას, არამედ ციხის ადმინისტრაციას, რადგან მას საერთოდ არ ჰქონდა ასეთი პატიმრების მიღების უფლება.

უმძიმესია პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაც. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმისა და პატიმრის მკურნალი ექიმის გვერდის ავლით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, პატიმარს საპყრობილეში აბრუნებენ.

ასევე სერიოზულ პრობლემა იყო სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება, რომელიც ძალიან დაბალია (ექიმის ხელფასი 120 ლარი), რაც თავისთავად განაპირობებს კორუფციულ გარემოს, რისი აღიარებაც ხშირად ექიმების მხრიდანაც ხდება. საანგარიშო პერიოდში ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩვენი ოფისის მიერ აღმოჩენილი იყო კორუფციის კონკრეტული შემთხვევები, რომელთა შესახებაც ეცნობათ შესაბამის უწყებებს და რეაგირებაც მოჰყვა.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ წითელი ჯვრის მიერ სპეციალურად გარემონტებული კარანტინის ოთახები, სადაც განთავსებული უნდა იყვნენ ახლადშემოყვანილი პატიმრები (3 – დღიდან – ორ კვირამდე სამედიცინო ჩვენებისდა მიხედვით) არ გამოიყენება აღნიშნული მიზნით;

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ნაწილის მხოლოდ ორი საკანი ფუნქციონირებს. ხოლო კარანტინის მარჯვენა მხარეს, ადმინისტრაციის გადმოცემით, რეჟიმის თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი პატიმართა განთავსებისათვის, თუმცა იქ განთავსებულნი არიან პატიმრები – ყოფილი პროკურორები და სხვა ამგვარი ყოფილი თანამდებობის პირები, ხოლო თუ რა პრინციპით ხდება ამგვარ პატიმართა „შერჩევა–სეგრეგაცია" და დისკრინიმაცია – გაუგებარია.

არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი ჩამონათვალი დაავადებებისა, რომლებიც მსჯავრდებულის გათავისუფლებას ითვალისწინებს. მაგრამ ხშირად, როდესაც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიზისულია, მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის სისტემატური მიმართვებისა, ზემოაღნიშნული კატეგორიის პატიმრები კვლავ პატიმრობაში რჩებიან.

<u>გიორგი ონიანი და ნოდარ მანაგაძე საპყრობილეში დააკავეს</u>

2005 წლის 17 ივნისს თბილისის №7 საპყრობილეში, მონიტორინგის ჩატარებისას, საპყრობილის ადმინისტრაციამ რამდენიმე საათით დააკავა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს გიორგი ონიანსა და ნოდარ მანაგაძეს, რომლებმაც ვიდეოფირზე დააფიქსირეს პატიმარ ი.თედიაშვილის მოთხოვნა. საპყრობილის უფროსი გელა კიკილაშვილი და მისი თანამშრომლები შეეცადნენ, მონიტორინგის ჯგუფისთვის ძალის გამოყენებით წაერთმიათ ვიდეო-კასეტა, რომელზეც საპყრობილეში მოთავსებულ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო აღბეჭდილი.

დაკავებულები საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად გაათავისუფლეს. შემთხვევის ადგილზე მივიდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე დავით დარახველიძე.

ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება.

18 ივნისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავა თბილისის №7 საპყრობილის უფროსის მოადგილე

დავით ვარდოსნიძე, რომელმაც 17 ივნისს უკანონოდ დააკავა სახალხო დამცველის წარმომადგენლები და გენერალური პროკურატურის უფროსი პროკურორი ანა ნადარეიშვილი, რომლებიც საპყრობილის მონიტორინგს ახორციელებდნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებული უფლებამოსილია, დაუბრკოლებლად შევიდეს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა დაწესებულებებში და მონიტორინგისას მოიპოვოს ნებისმიერი სახის მასალა. ამასთან, არ არსებობს რაიმე სხვა კანონი, რომლიც მას სასჯელაღსრულების ადგილებში ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გაკეთებას უკრძალავს.

თბილისის №7 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უხეშად დაარღვიეს “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი.

ამ შემთხვევის შემდეგ, იუსტიციის სამინისტრო სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მონიტორინგის განხორციელებისას. მათ არ აქვთ შესაძლებლობა, გააკეთონ ვიდეო ან აუდიო ჩანაწერები, რის გარეშეც მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. გარკვეული დროის განმავლობაში, ციხის ადმინისტრაციამ მონიტორინგის ჯგუფს პაემნების საერთო რიგში ჩაწერა და ციხეში შესასვლელად წინასწარი შეთანხმება მოსთხოვა, რაც არსებითად ეწინააღმდეგება მონიტორინგის ბუნებას.

<u>მარეკ დუდაევის საქმე</u>

2004 წლის 27 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა ქ. თბილისის №7 საპყრობილეში მყოფი ბრალდებულის, ნოდარ (მარეკ) დუდაევის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნათია სირაძემ, რომელიც ითხოვდა სახალხო დამცველის შუამდგომლობას, რათა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი გადაყვანილი ყოფილიყო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

სახალხო დამცველის აპარატიდან ორი წერილი გაიგზავნა. პირველი - იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარეს რამაზ ღულაძეს მოთხოვნით, დაუყოვნებლივ მოეწოდებინა ბრალდებულ ნ. დუდაევის იმჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო ცნობა და წერილობითი პასუხი, თუ რამდენად იყო მიზანშეწონილი მისი გადაყვანა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან №7 საპყრობილეში ექიმის თანხმობის გარეშე.

მეორე წერილი გაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს შოთა კოპაძეს მოთხოვნით, მოეწერა პასუხი ნ. დუდაევის საავადმყოფოდან საპყრობილეში გადაყვანის საფუძვლის შესახებ.

შ. კოპაძემ გადაყვანის საფუძვლად დაასახელა ბრალდებულის პირადი უსაფრთხოება. რ. ღულაძემ კი მოგვწერა, რომ ბრალდებულს ჩაუტარდა ელექტროკარდიოგრაფიული გამოკვლევა, რის შემდეგაც დაუდგინდა, რომ ამ ეტაპზე მას გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ რაიმე კეროვანი დაზიანება ან პროცესი არ აღენიშნება. რაც შეეხება ფსიქიკას, ბრალდებული ფსიქოზის ნიშნებს არ ამჟღავნებს.

მუცლის ღრუსთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ გასტროფიბროსკოპიის ჩატარებაზე დუდაევმა რამოდენიმეჯერ უარი განაცხადა, ხოლო ობიექტური დაკვირვებით, სახეზეა ქრონიკული ჰეპატოქოლეცისტიტი, რის გამოც ბრალდებულს დაენიშნა ამბულატორიული მკურნალობა. საავადმყოფოდან დუდაევის გაწერის საფუძვლად კი რ.ღულაძემ დაასახელა მისივე უსაფრთხოება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა №7-ე საპყრობილეში პატიმარი რამდენჯერმე მოინახულეს. თავად დუდაევი აღნიშნავს, რომ ციხის რესპუბლიკურ საავადმოყოფოში მისი პირადი უსაფრთხოება დაცული იყო და უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას.

ა/წ 6 აპრილს გაიგზავნა ხელახალი მიმართვა რ. ღულაძის სახელზე შეკითხვით, თუ რამდენად საჭიროებს ნ. დუდაევი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობას. 11 მაისს მიღებულია პასუხი, რომ პატიმარი სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებს.

15 მაისს ნ.დუდაევის კვლავ მოვინახულეთ საპყრობილეში. იმ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

კუჭა გოროზიანის საქმე

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ქ.ბათუმის №3 საპყრობილეში შეხვდა მსჯავრდებულ კუჭა გოროზიანს, რომელიც უჩიოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებას და მოითხოვდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას.

იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარეს რ. ღულაძეს მივმართეთ მოთხოვნით, შემოწმებულიყო კ.გოროზიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მსჯავრდებულის გადაყვანა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იგი ამჟამადაც იმყოფება.

მანანა ბოკუჩავას საქმე

2005 წლის 21 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა №1 საპყრობილეში მყოფი ბრალდებულის მანანა ბოკუჩავას შვილმა, ეკა კახიანმა. იგი მოითხოვდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების დახმარებას მისი დედის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადასაყვანად - ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

სახალხო დამცველის აპარატიდან გაკეთდა მიმართვა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარის რ. ღულაძის სახელზე, სადაც მოვითხოვდით ბრალდებულის ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ცნობას და მისი ავადმყოფობის დამადასტურებელ იმ საბუთებს, რომლებიც ინახებოდა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში, ასევე ვითხოვდით მ.ბოკუჩავას გადაყვანას სტაციონარის პირობებში.

ა.წ. 5 აპრილს მივიღეთ პასუხი რ.ღულაძისგან, რომ მ.ბოკუჩავა გადაყვანილია მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. ზემოაღნიშნულ შემთხვევაშიც დროული რეაგირება მოჰყვა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სახელზე გაკეთებულ მიმართვას.

<u>გივი ხარებაშვილის საქმე</u>

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს დახმარებისათვის მომართა მსჯავრდებულმა გივი ხარებაშვილმა. იგი აღნიშნავდა, რომ დაავადებული იყო განუკურნებელი სენით და საპროცესო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად, შეიძლებოდა მისი გათავისუფლება.
სახალხო დამცველის აპარატმა კონტროლზე აიყვანა მსჯავრდებულის საქმე, გამოითხოვა მისი პირადი საქმის მიხედვით შედგენილი ცნობა და ასევე მკურნალი ექიმის მიერ შედგენილი სამედიცინო დასკვნა. გ.ხარებაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები გაესაუბრნენ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს დ.ასათიანს. გაირკვა, რომ სტაციონარში ჩატარებული კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით მას დაესვა დიაგნოზი: პირის ღრუს ფსკერის კიბო. ონკოლოგის ბოლო კონსულტაციით, ავადმყოფს აღენიშნა დაავადების პროგრესირება. სიმსივნემ დაიკავა ენის ძირის ცენტრალური ნაწილი, გადავიდა ენის ქვედა ზედაპირზე და პირის ღრუს ლორწოვანზე, მოიმატა ზომაში 2-3-ჯერ. მკურნალი ექიმის მითითებით, მსჯავრდებულს ესაჭიროება კომბინირებული მკურნალობა და სხივური თერაპია, რისი საშუალებაც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომ მას გაეთვალისწინებინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნა სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ მძიმე ავადმყოფობის გამო და საქართველოს პატიმრობის შესახებ კანონის 65-67-ე მუხლების თანახმად, მიემართა სასამართლოსათვის მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის გასათავისუფლებლად; ხოლო შედეგები გატარებული ღონისძიებების შესახებ ეცნობებინა სახალხო დამცველის აპარატისთვის.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებული ამჟამადაც იმყოფება ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან წერილობითი პასუხი მიღებული არ არის. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ მუდმივი კონტროლისა და სისტემატური მიმართვებისა, ადგილი აქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სრულ ინდიფერენტულობას.

<u>დავით გაზაშვილის საქმე</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა ადვოკატმა რ. ხუნწარიამ, თავისი დაცვის ქვეშ მყოფი განსასჯელის - დავით გაზაშვილის მიმართ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექციის მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, საიდანაც №01/23/16-4332 პასუხით გვეცნობა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით განცხადებაში მითითებული ფაქტები არ დადასტურდა. 2004 წლის 27 ნოემბერს 02 საათსა და 30 წუთზე №1 საპყრობილის №90 საკანში განსასჯელ დ.გაზაშვილთან გამოძახებული იყო მორიგე ექიმი, რა დროსაც მას ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება. 27 ნოემბერს 3 საათზე იგი გადაყვანილ იქნა საპყრობილის სამედიცინო ნაწილში, იმავე დღის ბოლოს კი

სასწრაფო წესით გადაყვანილ იქნა პატიმართა და მსჯავრდებულთა სამედიცინო დაწესებულებაში.

თუმცა, როგორც ადვოკატის მიერ სახალხო დამცველის ოფისში მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, დ.გაზაშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც დააბრუნეს №1 საპყრობილეში. საპყრობილის რეჟიმი კი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საფრთხეს უქმნიდა პატიმრის სიცოცხლეს.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა აშკარად მიკერძოებულად უდგება პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საკითხს, რაც აღნიშნულ დაწესებულებაში კორუფციის არსებობაზე მიუთითებს.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, იმის გამო, რომ ამოიწურა დავით გაზაშვილის განსასჯელის სახით სსსკ-ის 162 მუხლით გათვალისწინებული პატიმრობაში ყოფნის საერთო ვადა. ქ.თბილისის საოლქო სასამართლომ განსასჯელს შეუცვალა აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა არასაპატიმრო ღონისძიებით. ამჟამად დ.გაზაშვილი იმყოფება სახლში.

2005 წლის 26 სექტემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულ ქალთა ერთმა ნაწილმა გამოაცხადა შიმშილობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ მოშიმშილე პატიმრებს, გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათი ძირითადი პრეტენზია იყო სასამართლო განხილვის ვადების გაჭიანურება. საქმის სასამართლოში გადმოგზავნიდან გასულია თვეები და უმეტეს შემთხვევაში ჯერ კიდევ არ არის საქმე ამა თუ იმ მოსამართლეზე დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა დაკავებულია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ბრალდებულ ქალთა საერთო რაოდენობა, რომელთა საქმეებიც 4 თვეზე მეტია გადაცემულია სასამართლოს და ჯერ კიდევ არ დაწყებიათ სასამართლო პროცესები, შეადგენს 20.

ფინანსური პოლიცია

მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში შემოსულია საჩივრები **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მიმართ.** საჩივრები შეეხება ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმეების წინასწარი გამოძიების განახლების გაჭიანურებას, საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ საგამოძიებო მოქმედებების შეუსრულებლობას.

უშუალოდ სახალხო დამცველის აპარატის ჩარევით მოხდა სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე წარმოების განახლება და გამოძიების წარმართვა.

სახალხო დამცველის აპარატის ჩარევით მოხდა დაზარალებული მხარისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაღების უზრუნველყოფა, რაც საპროცესო კანონმდებლობით ნებადართულია და აიკრძალა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა თვითნებური გადაწყვეტილებით.

<u>დავით ჯამაგიძის საქმე</u>

2005 წლის 04 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე დავით ჯამაგიძემ, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმის წისასწარი გამოძიების განახლების გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად მისი მრავალგზის წერილობითი მოთხოვნისა, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების განახლება არ ხდებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნულზე 17 თებერვალს წერილი გაუგზავნა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს მ. გელოვანს, რათა დროულად მომხდარიყო სს საქმის წარმოების განახლება.

დასახელებული უწყების №26/3/5/4/10/1559 პასუხით გვეცნობა, რომ სისხლის სამართლის № 0202219 საქმეზე მაია ვაჩეიშვილის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 362-ე მუხლის I ნაწილით, განახლდა საქმის წარმოება და მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მართალია სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება განახლდა, მაგრამ პრაქტიკულად არავითარი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. დამნაშავე პირის მიმართ ძებნაც კი არ არის გამოცხადებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საფინანსო პოლიციის საგამოძიებო სამსახური არ ასრულებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. სახალხო დამცველის აპარატს კი არ გააჩნია რაიმე კანონიერი მეთოდი შემდგომი რეაგირებისთვის.

<u>გურამ გველესიანის საქმე</u>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს კოლექტიური განცხადებით მომართა გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მოსახლეობამ. განცხადება ეხებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალზე კომპანია „BP“-ის მიერ სოფლის კუთვნილ მიწებზე გამოყოფილი საკომპენსაციო თანხების მითვისებასთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში წინასწარი გამოძიების არაობიექტურად მიმდინარეობას.

როგორც განმცხადებლები მიუთითებდნენ, 2005 წლის 20 მაისს მათი ინტერესების დამცველმა მ.აფხაძემ შუამდგომლობით მიმართა გამოძიებას სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ასლების გადაღების თაობაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს გამომძიებლის - ა.კვერნაძის მიერ 2005 წლის 23 მაისს გამოტანილ იქნა შუამდგომლობაზე უარის თქმის დადგენილება, რითიც დაზარალებულ მხარეს არ მიეცა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაღების შესაძლებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლის I ნაწილში 2004 წლის 16 სექტემბერს შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, „წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას პროცესის უფლებამოსილი მონაწილენი საქმის მასალებს ეცნობიან შეუზღუდავად, დოკუმენტების წაკითხვის, ასლების გადაღების, ამონაწერების გაკეთებისა და ამ კოდექსით დადგენილი სხვა ფორმით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამომძიებელმა ა.კვერნაძემ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნები და პროცესის უფლებამოსილ მხარეს, დაზარალებულთა ადვოკატს, უსაფუძვლოდ უთხრა უარი საქმის მასალების გაცნობასა და ასლების გადაღებაზე.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურს, ისე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ფინანსური პოლიციის სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერებაზე ზედამხედველ პროკურატურას აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით.

ფინანსური პოლიციის საგამოძიები სამსახურიდან მიღებული №26/4/8/2/2-1356 წერილით გვეცნობა, რომ ამჟამად მოწმისა და დაზარალებულის სახით სულ დაკითხულია 350-ზე მეტი მაცხოვრებელი, საქმეზე დანიშნულია და მიმდინარეობს რევიზია კავშირი „ძირძველი კრწანისის“ საფინანსო საქმიანობის შესასწავლად. ხოლო ადვოკატს მ. ახალაძესთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ მას მიეცა საქმის გაცნობის საშუალება.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ნაცვლად იმისა, რომ გაეუქმებინა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელის უკანონო დადგენილება საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შესახებ, არავითარი ზომები არ მიუღია, მეტიც, სახალხო დამცველის წერილი დღემდე უპასუხოდ რჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაგზავნილი წერილებისადმი ზერელე დამოკიდებულება. დასახელებული უწყებები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ პროცესის მონაწილეთა დარღვეული უფლებების აღსადგენად.

<u>ჰუსეინ ალის საქმე</u>

ფინანსური პოლიცია იძიებს საქმეს შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ შესახებ, რომელშიც მომჩივანი ჰ.ალი აცხადებდა, რომ მინდობილობა, რომლითაც მისი სახელით მოქმედებდა ადვოკატი, ყალბია. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, ადვოკატმა მოდავე მხარეს დაუთმო „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ მთლიანი წილის მ.ალის საკუთრებაში არსებული 90%.

ჰ.ალის მხარე თვეების მანძილზე უშედეგოდ ითხოვდა გამოძიებისაგან, ჩაეტარებინათ ექსპერტიზა და დაედგინათ მინდობილობაზე არსებული მ.ალის ხელმოწერის ნამდვილობა. მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელ ექსპერტს ხელმოწერის სიყალბე უკვე დადგენილი ჰქონდა. ამასთან, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი ადასტურებს, რომ იმ დროს, როდესაც მინდობილობაა გაფორმებული ჰ.ალი საქართველოში არ იმყოფებოდა.

24 მაისს აპარატმა მიმართა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს რ.ნიკოლეიშვილს მოხოვნით, რომ მოეწოდებინა მინდობილობის დედანი, რათა სახალხო დამცველის აპარატს ჩაეტარებინა გრაფიკული ექსპერტიზა.

მიუხედავად მიმართვისა, დღემდე დედანი არ მიგვიღია და არც წერილობითი უარი მოგვსვლია.

<u>სოფ. კაბალის მაცხოვრებლების საქმე</u>

2005 წლის 9 მარტს განცხადებით მოგვმართეს სოფელ კაბალის მკვიდრებმა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ რამდენიმე თვის წინ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მათ უკანონოდ ჩამოართვეს ავტომობილები. განმცხადებლები ითხოვდნენ ავტომობილების დაბრუნებას, ან ჩამორთმევის კანონიერი საფუძვლების დადგენას.

25 მარტს აპარატმა მიმართა ფინანსური პოლიციის ოპერატიულ დეპარტამენტს მოთხოვნით, ეცნობებინათ ავტომობილთა ჩამორთმევის საფუძვლების შესახებ. პასუხი არ მიგვიღია. მიმართვიდან ცოტა ხანში დაგვიკავშირდნენ განმცხადებლები და გვაცნობეს, რომ ჩვენი მიმართვის შემდეგ მათ ავტომობილები დაუბრუნეს.

საქმიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ადგილი ჰქონდა ფინანსური პოლიციის მხრიდან სრულიად უსაფუძვლო ქმედებას. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამ საკითხით სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა, ფინანსურმა პოლიციამ გაატარა შესაბამისი ზომები და ავტომობილები დააბრუნა.

<u>“ნიკალას” საქმე</u>

2005 16 ივნისს ფინანსურმა პოლიციამ, სპეცრაზმთან ერთად, რუსთაველსა და გამსახურდიას გამზირზე მდებარე სწრაფი კვების ქსელ „ნიკალას“ რესტორნებში სპეცოპერაცია ჩაატარა. ოპერაციის დაწყებამდე ორივე რესტორანი ხალხით იყო სავსე. ერთ-ერთ დარბაზში კი ბავშვს დაბადების დღეს უხდიდნენ. შეიარაღებული ნიღბიანი სპეცრაზმელები რესტორნებში შეიჭრნენ და არც იმ დარბაზს მორიდებიან, სადაც ბავშვები იყვნენ. ამ ქმედებამ ხალხის შეშფოთება გამოიწვია. ფინანსური პოლიციის შეიარაღებული ნიღბოსნები დარღვევებს ორი საათის განმავლობაში ეძებდნენ. სპეცოპერაციის შემდეგ ობიექტებიდან კომპიუტერები და დოკუმენტები ამოიღეს.

16 ივნისს განხორციელებული სპეცოპერაცია საზოგადოებამ ნეგატიურად შეაფასა.

ფინანსური პოლიციის უფროსმა - დავით კეზერაშვილმა ბოდიში მოიხადა აღნიშნული ოპერაციის გამო. იგი საზოგადოებას დაჰპირდა, რომ დაადგენდა იმ პირების ვინაობას, ვინც აღნიშნული სპეცოპერაციის ამ ფორმით ჩატარების ბრძანება გასცა და მათ მიმართ უმკაცრეს ზომებს გაატარებდა.

სპეცოპერაციას მეორე დილითვე გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი და ამგვარ ქმედებას ყოვლად გაუმართლებელი და ამაზრზენი უწოდა. ფინანსური პოლიცის ქმედებას ნეგატიური გამოხმაურება და შეფასება მოჰყვა არასამთავრობო სექტორის მხრიდანაც.

ჯარისკაცთა უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, იწყებს სამხედრო ნაწილების მონიტორინგს, რათა ადგილებზე შეამოწოს ქართულ ჯარში არსებული მდგომარეობა. პირველ ეტაპზე, ჯარისკაცების უფლებების ჩამონათვალი გამოიკვრება ყველა სამხედრო ნაწილში, აგრეთვე, ადგილებზე დაიდგმება ყუთები, რომლებშიც ჯარისკაცები ჩაყრიან წერილებსა და პრეტენზიებს.

მართალია, სახალხო დამცველის აპარატი ქართულ ჯარში რეგულარულ მონიტორინგს ვერ ახორციელებდა, თუმცა ყოველთვის მკაცრ რეაგირებას ახდენდა აპარატში შემოსულ შეტყობინებებზე.

* * *

1 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები საგურამოს №15-808 სამხედრო ნაწილში ჩავიდნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ნაწილში არსებული მდგომარეობა და ჯარისკაცთა საპროტესტო გამოსვლის მიზეზები გაერკვიათ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სამხედრო მოსამსახურეებს წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. გაირკვა, რომ ასეულის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი გელა ლომსაძე ხშირად მიდიოდა ნაწილში ნასვამ მდგომარეობაში, ახალწვეულებს მორალურად ამცირებდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. საბოლოო აღშფოთება ჯარისკაც არკადი კუკავას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამწვავებამ გამოიწვია.

საგურამოს სამხედრო ნაწილის რიგითი კუკავა ფილტვების მწვავე პნევმონიის, ღვიძლისა და თირკმელების უკმარობითა და ჰიპოქსემიური ენცეფალოპათიის დიაგნოზით, ძალიან მძიმე მდგომარეობაში სამხედრო ჰოსპიტლის რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა. კუკავა ჯერ კიდევ გაწვევისას, 9 მარტს, თავს ცუდად გრძნობდა. მიუხედავად ამისა, ახალწვეული ასეულის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა გელა ლომსაძემ დასაჯა და მთელი ღამე წელსზემოთ შიშველი ამორიგევა. შედეგად, ახალწვეულის მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. იგი რამდენიმე დღით სამხედრო ნაწილის ლაზარეთში მოათავსეს, შემდეგ კი - 23 მარტიდან - სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

2 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ცადეს ახსნა-განმარტება ჩამოერთმიათ ლომსაძისთვის, რასაც ნაწილის იურისტის სვანაძისა და შს-ის სამსახურის უფროსის გიორგაძის ჩარევამ შეუშალა ხელი.

4 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოინახულა სამხედრო ჰოსპიტალში მყოფი რიგითი არკადი კუკავა.

იმავე დღეს, სახალხო დამცველი საგურამოს სამხედრო ბაზაში მივიდა, რათა ადგილზე გაერკვია სიტუაცია. სუბარი აპირებდა, შეხვედროდა ასმეთაურ კაპიტან გელა ლომსაძესა და ბაზის კურატორს - ვიცე-პოლკოვნიკ ნიკა ჯანჯღავას. სახალხო დამცველს დაგეგმილი ჰქონდა, გასაუბრებოდა სამხედრო ტერიტორიაზე მომსახურე ახალწვეულებს და დაედგინა, ხომ არ აქვს ადგილი ძალადობისა და წამების ფაქტებს.

ნაწილის ასმეთაურის მოვალეობის შემსრულებლმა, უფროსმა ლეიტენენტმა რუსიშვილმა სახალხო დამცველი საგურამოს სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე არ შეუშვა.

სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველს უფლება აქვს, შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 352-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ სახალხო დამცველზე ზემოქმედება ნებისმიერი ფორმით, მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით – ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკარგვით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე.

5 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა წერილობით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და საგურამოში მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება სთხოვა.

* * *

3 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი ახალქალაქში ჩავიდა და ახალციხის სამხედრო ნაწილიდან გამოქცეულ სომეხი ეროვნების 14 ჯარისკაცსა და მათ მშობლებს შეხვდა. ჯარისკაცებმა სამი მაისის ღამით თვითნებურად დატოვეს სამხედრო ნაწილის ტერიტორია.

როგორც ახალწვეულები აცხადებდნენ, სამხედრო ნაწილში ქართველი ჯარისკაცები მათ ეთნიკური ნიშნით ჩაგრავდნენ, დამამცირებლად ეპყრობოდნენ, აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, სძალავდნენ ფულს. მათ იმ სერჟანტისა და ჯარისკაცების გვარებიც კი დაასახელეს, რომლებიც ახალწვეულებს ავიწროვებდნენ. თავად მეთაურისა და ოფიცერთა მიმართ ჯარისკაცებს პრეტენზიები არ გამოუთქვამთ.

ახალქალაქელი ახალწვეულები უარს არ ამბობდნენ ქართულ ჯარში სამსახურზე, თუმცა ითხოვდნენ გარანტიებს, რომ მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა თუ ღირსებას საფრთხე არ შექმნოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქის ახალგაზრდობამ არ იცის ქართული ენა, ისინი საკუთარი ნებით წავიდნენ ქართულ ჯარში. ასეთი მასშტაბური მობილიზაცია პირველი შემთხვევაა რეგიონისთვის.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ჯარისკაცებს. სოზარ სუბართან ერთად ჯარისკაცებს ახალციხის სამხედრო ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი ნოდარ ივანიძეც შეხვდა. ივანიძე სახალხო დამცველს დაჰპირდა, რომ გამოიძიებდა ამ ფაქტებს და გააძლიერებდა კონტროლს.

* * *

სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენლობისთვის ცნობილი გახდა, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილიდან 4 აჭარელი ჯარისკაცი გაიქცა.

27 მაისს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ბათუმში ჩავიდა, ჯარისკაცებს შეხვდა და ახსნა-განმარტებები ჩამოართვა. ჯარისკაცებმა განმარტეს, რომ მათ, როგორც აჭარიდან ჩასულებს სამხედრო ნაწილში ცუდად ეპყრობოდნენ,

ცემდნენ, ჩაგრავდნენ, ამცირებდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ამის შესახებ მათ თავის დროზე ნაწილის უფროსს, პოლკოვნიკ ბესო ზურაბიშვილს მოახსენეს, რომელმაც არავითარ ზომებს არ მიმართა. ჯარისკაცებმა სამხედრო სამსახურის გავლა სხვა ნაწილში მოითხოვეს, რის გამოც ისინი ჯერ ნაწილის ოფიცრებმა ცემეს და შემდეგ სხვა ჯარისკაცებსაც მოუწოდეს, ფიზიკურად გასწორებოდნენ მათ. დაზარალებულებს მრავლობითი გარეგანი დაზიანებების გარდა ტვინის შერყევაც აღენიშნებოდათ, რაც მათი სამედიცინო ცნობებიდან დასტურდება.

ჯარისკაცების ცემის ფაქტი თავის ახსნა-განმარტებაში დაადასტურა ბათუმის სამხედრო გარნიზონის კომენდანტმა ვიცე-პოლკოვნიკმა ნინიძემ. იგი მომხდარის შესახებ პირადად ესაუბრა ლაგოდეხის სამხედრო ნაწილის უფროსს - ზურაბიშვილს. თუმცა, მოგვიანებით, სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსის გიორგი ონიანის მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებაში ზურაბიშვილმა დაწერა, რომ მისთვის უცნობი იყო მსგავსი ჩაგვრისა და დამცირების ფაქტები.

მოპოვებული მასალები, ახსნა-განმარტებები და სამედიცინო ცნობები სახალხო დამცველის აპარატმა 28 მაისს გენერალურ პროკურატურში გადააგზავნა. პროკურატურამ სამხედრო ნაწილის უფროსის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის საზღვრის დაცვის სამმართველოს პირველი სექტორის უფროსი ალექსანდრე მაჭარაშვილი სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავეს. გაქცეულმა ჯარისკაცებმა კი სავალდებულო სამხედრო სამსახური თბილისის სამხედრო ნაწილებში გააგრძელეს.

* * *

სტატისტიკური მონაცემებით, 2005 წლის მაისსა და ივნისში ჯარისკაცთა სიკვდილიანობის ხუთი შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის, ერთი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, ხოლო ოთხმა რიგითმა გაურკვეველ ვითარებაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ყველა ეს შემთხვევა ადგილზე შეისწავლეს, მაგრამ ჯარისკაცთა უფლებათა დარღვევის ფაქტები ვერ აღმოაჩინეს.

მდგომარეობა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში

ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ სერიოზულ წყაროს წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებების მხრიდან დავალიანებების გადახდასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის მიერ ჩვენთვის მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ შედარებითი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მიმდინარე წლის მდგომარეობით, აღსრულება ბიუჯეტთან დაკავშირებულ შემთხვევაში შეადგენს 4%-ს, ხოლო სხვა მოვალის არსებობის პირობებში - 38,9%-ს.

დღესდღეობით სახელმწიფო დავალიანება სხვადასხვა კრედიტორების წინაშე დაახლოებით 45 მილიონ ლარს აღწევს. ამ მონაცემებიდანაც აშკარად ჩანს, თუ რამდენად საგანგაშოა სიტუაცია და რა მცირეა ისეთი გადაწყვეტილებების პროცენტული რაოდენობა, რომელთა აღსრულებაც განხორციელდა.

საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები თითქმის ყოველთვის უარს ამბობენ სასამართლო წესით დაკისრებული დავალიანებების გადახადაზე. ამის პარალელურად, სააღსრულებო ბიუროც თავს იკავებს იძულებითი აღსრულებისაგან იმ მოტივით, რომ აღნიშნული ქმედება ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს, თუმცა, აღიარებს რომ მათ კანონით აკისრიათ ასეთი ვალდებულება. ასევე არ არის სამართლიანი ბიუჯეტში სპეციალური მუხლის არსებობა, რომელიც აწესებს სახელმწიფოს მიერ წლის განმავლობაში აღსასრულებისთვის გადასახდელი თანხის ლიმიტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან მძიმე სურათი იქმნება. ბიუჯეტთან დაკავშირებულ საქმეებზე, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, კრედიტორთა რაოდენობა არის 1400. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც სასამართლოს გზით მიაღწიეს საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენას, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ ფურცელზე დარჩა და მათი უფლებების დარღვევა გრძელდება უკვე აღსრულების პროცესში. ეს ადამიანები განეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, მათ ქვეყანაში ამოწურეს ყველა ინსტანცია, თუმცა კანონით გათვალისწინებულ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს

თითქმის ნორმად იქცა სახელმწიფო თანამდებობისა თუ ცალკეულ პირთა მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებათა იგნორირება, მათი აღუსრულებლობა. აღმასრულებლები კვლავ განიცდიან მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სათანადო ანაზღაურების არარსებობას, რაც აშკარად აისახება მათი საქმიანობის ხარისხზე.

აღსრულება სამართალწარმოების ურთულესი და უმნიშვნელოვანესი სტადიაა, მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცენტი დაბალი იყო გასულ პერიოდშიც და დაბალია დღესაც, რაც პირდაპირ მიუთითებს მოსახლეობის ფართო ფენების უფლებების დარღვევაზე.

მიმდინარე წლის იანვრიდან სახალხო დამცველის აპარატში განსაკუთრებით იმატა იმ განცხადებების რიცხვმა, რომელიც ეხება სააღსრულებო ბიუროს მიერ სასამართლო გადაწყვეტილებათა არაღსრულებას. სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ დასახელებულ შემთხვევებში მოპასუხე უმრავლეს შემთხვევაში არის სახელმწიფო ორგანო, ანუ აღსრულება უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან. მიმდინარე კანონმდებლობის შესაბამისად, როდესაც არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და მასთან დაკავშირებით გაცემული სააღსრულებო ფურცელი სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია, აღმასრულებელი ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია, იძულებით განახორციელოს თანხების ჩამოჭრა და ამ გზით მოახდინოს კრედიტორთა დაკმაყოფილება. თუმცა, კანონის ეს ნორმა დღევანდელ დღეს მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენს და აღნიშნული საკითხი დიდი ხანია ვეღარ წყდება აღმასრულებლის ან, თუნდაც, სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის დონეზე. არსებობს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული არაერთი მაგალითი.

- 2000 წლის 1 ივნისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპს „ი.შარაძის“ სასარგებლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის დაეკისრა 57 798 ლარის გადახდა, რის საფუძველზეც ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი და დადგენილი წესის თანახმად წარდგენილ იქნა სააღსრულებო ბიუროში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, სახელფასო დავალიანება მიეკუთვნება დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა რიცხვს, თუმცა, ეს გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა;

ამავე საკითხს ეხება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების გ. ბეგიაშვილისა და შ. თევზაძის განცხადებები, რომელთა სასარგებლოდ სამინისტროს დაეკისრა სახელფასო დავალიანებისა და თანამდებობრივი სარგოს გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ორივე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სააღსრულებო ფურცელი თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია, აღსრულება ჯერ კიდევ არ მომხდარა.

სახალხო დამცველის აპარატმა, აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით, აღსრულების რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომლის ოფიციალური პასუხით ეს საქმეები დეპარტამენტის სპეციალური ჯგუფის წარმოებაშია და მათი აღსრულების უზრუნველსაყოფად მოხდება მოვალის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა თანხის უდავო წესით ჩამოჭრის მიზნით. თუმცა, პირად საუბარში დეპარტამენტის ყოფილი უფროსი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ყველა ამ ფორმალობის დაცვისა, რეალურად ბიუჯეტიდან თანხების ჩამოჭრა ვერ ხორციელდება.

საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც უკანონოდ გათავისუფლებულთა სამუშაოზე აღდგენას ეხება და, კანონის თანახმად, დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება. ზოგჯერ დავა უკანონოდ გათავისუფლებული ადამიანის სამსახურში აღსადგენად წლობით გრძელდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

• თბილისის ისან-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ც. ხაზალიას 2005 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, ლეილა დაუშვილი, მანანა კაპანაძე, ფოთოლა გუძუაძე და ანზორ მესტიაშვილი აღდგენილ იქნენ შპს „ლილო-1“-ში იმ თანამდებობებზე, რომლებიც მათ გათავისუფლებამდე ეკავათ. სასამართლომ მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება და იძულებით განაცდური ხელფასის გაცემა, თუმცა, ორგანიზაციის დირექტორმა ლაშა ბრეგაძემ სასამართლო გადაწყვეტილება არაფრად ჩათვალა. მას თანამშრომლები სამსახურში არ აღუდგენია. არც აღმასრულებელს უზრუნია გადაწყვეტილების აღსრულებაზე. იგი მხოლოდ წერილებით შემოიფარგლა და არ გაუტარებია კანონით დადგენილი სხვა ღონისძიებები. ამის გამო, უფლებადარღვეული ადამიანები იძულებულნი გახდნენ, მოემართათ სახალხო დამცველის აპარატისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, ა/წლის 25 მაისს დირექტორისაგან წერილობითი ფორმით მოვითხოვეთ ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, თუ რა მიზეზით არ სრულდებოდა სასამართლო გადაწყვეტილება. 2005 წლის 22 ივნისის პასუხით ირკვევა, რომ თურმე აღდგენა შეუძლებელია, რადგან ის თანამდებობები, რომლებიც ეკავათ იძულებით გათავისუფლებულებს, აღარ არსებობს. საშტატო სტრუქტურაში ცვლილებების შემთხვევაშიც კი, ადმინისტრაცია ვალდებულია, აღასრულოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება იძულებით განაცდურთან დაკავშირებით და შესთავაზოს ყოფილ თანამშრომლებს სხვა ტოლფასი თანამდებობა, რაც არ მომხდარა. განცხადების ავტორებს ეცნობათ, რომ მათ სრული უფლება აქვთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის თანახმად, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ განმარტება, თუ როგორი წესით აღსრულდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.

• მოქალაქე დავით განჯელაშვილის განცხადებისა და წარმოდგენილი დოკუმენტური მასალების შესწავლით ირკვევა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, მისი შრომითი უფლებები დღემდე დარღვეულია. დ.განჯელაშვილი 1975 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების სისტემაში, ხოლო დათხოვნამდე იყო სამხედრო კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს თელავის გარნიზონის განყოფილების უფროსი.
საქართველოს უშიშროების მაშინდელი მინისტრის ვ.ქუთათელაძის 2000 წლის 20 ივლისის №528 ბრძანებით, უშიშროების სისტემაში განხორციელებული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით, დ. განჯელაშვილი დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, რაც გასაჩივრდა. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი და დ.განჯელაშვილი იძულებითი განაცდურის ანაზღაურებით აღდგენილ იქნა სამუშაოზე, ტოლფას თანამდებობაზე იმ ნაწილში, რომელიც ეკავა სამსახურიდან დათხოვნამდე. გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღსრულებას, მის საფუძველზე, 2001 წლის 23 თებერვალს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი. სასამართლო აღმასრულებელმა არაერთხელ მოითხოვა დარღვეული უფლების აღდგენა, თუმცა, ამას სამინისტროს მხრიდან კანონშესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

ერთი წლის შემდეგ, 2002 წლის 26 თებერვალს უშიშროების მინისტრმა ვ.ხაბურძანიამ №215-პ/შ ბრძანებით პოლკოვნიკი დ. განჯელაშვილი დანიშნა არა თელავში, რასაც მოითხოვდა სასამართლო გადაწყვეტილება, არამედ სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურის ზუგდიდის განყოფილების უფროსად, ხოლო იძულებითი განაცდურის შესახებ გამოცემულ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი.

დ.განჯელაშვილი არ დაეთანხმა აღნიშნულ ბრძანებას და სასამართლო წესით მოითხოვა განმარტება, რამდენად კანონიერი იყო მინისტრის 2002 წლის 26 თებერვლის №215-პ/შ ბრძანება და როგორ უნდა აღსრულებულიყო 2001 წლის 8

თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილება. თავის მხრივ, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 3 ნოემბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნა, რომ ქ. ზუგდიდში დ. განჯელაშვილის დანიშვნა არ ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და იგი აღდგენილ უნდა იქნას იმავე რანგის (დონის) თანამდებობაზე, თანაც ისე, რომ არსებითად არ შეიცვალოს მისი შრომითი პირობები, შეუნარჩუნდეს ის მატერიალური და სოციალური სიკეთე, რაც გააჩნდა უწინდელ თანამდებობაზე მუშაობისას.

ასეთ ვითარებაში, ნაცვლად იმისა, რომ უშიშროების სამინისტროს მიეღო ზომები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, მოხდა პირიქით, გამოიცა მინისტრის - ვ. ხაბურძანიას 2002 წლის 25 სექტემბრის №1013-პ/შ ბრძანება და დ.განჯელაშვილი საერთოდ დათხოვნილ იქნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამხედრო სამსახურიდან.

- სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქე რიგოლეტა კვიციანი კახიანმა სასამართლოს გადაწყვეტილების არაღსრულების შესახებ.

საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს დაეკისრა კონკრეტული თანხის გადახადა მოქალაქე რ. კვიციანი-კახიანის სასარგებლოდ, რომელიც არ აღსრულდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა რეკომენდაციით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს, თუმცა რეკომენდაცია გათვალისწინებული არ იქნა.

თავის მხრივ, რ.კვიციანი-კახიანს იპოთეკით ჰქონდა დატვირთული საკუთარი სახლი და, ვინაიდან, მან ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა აღნიშნული თანხის გადახდა, გადაწყვეტილება აღსასრულებლად გადაეცა სააღსრულებო ბიუროს.

სააღსრულებო ბიურომ ამ შემთხვევაში ,,პირნათლად“ შეასრულა თავისი მოვალეობა და მოქალაქე კვიციანი-კახიანის საკუთრებაში არსებული ბინა აუქციონის გზით გაასხვისა ბანკისათვის ვალდებულების შესრულების მიზნით.

დღესდღეობით ქალბატონი რ.კვიციანი-კახიანი ოჯახთან ერთად რჩება თავშესაფრის გარეშე, მაშინ როცა, მას შეეძლო გადაეხადა ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, თუკი სააღსრულებო ბიურო რ.კვიციანი-კახიანის სასარგებლოდ ისეთივე წარმატებით აღასრულებდა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

სასამართლო რეფორმა

ინსტანციები

რეფორმამდე პირველი ინსტანციის საქმეები არსებითად უფრო რთულ და მარტივ საქმეებად იყოფოდა. ნაწილი საქმეებისა იწყებოდა რაიონულ საქალაქო სასამართლოებში, ნაწილი - საოლქოში, ნაწილი კი - პირდაპირ უზენაესში. ეს ვითარება პარადოქსული იყო იმდენად, რამდენადაც რაიონში და საოლქოში დაწყებული - ნაკლებად მძიმე და ნაკლებად „პრობლემური“ საქმე - სამ ინსტანციას ანუ აპელაციასაც და კასაციასაც გადიოდა, ხოლო ის საქმეები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ უფრო რთულად იყო შეფასებული, ანუ ოლქიდან და უზენაესიდან იწყებოდა, მხოლოდ ორ ინსტანციას; აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა გარკვეულ უთანასწორობას მოქალაქეთა მიმართ.

1 ინსტანცია

რეფორმის შედეგად, I ინსტანციის ყველა საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, ანუ 3 მაისიდან აღარ გვაქვს I ინსტანცია უზენაესის დონეზე და 15 ივლისიდან - ოლქის დონეზე. რაც შეეხება ოლქში დარჩენილ ძველ საქმეებს, მათი განხილვა უნდა დასრულდეს 2005 წლის 1 ნოემბრამდე.

სასამართლო რეფორმის თვალსაზრისით, სიახლეა მაგისტრი მოსამართლის ინსტიტუტი. რეფორმა ითვალისწინებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გაერთიანება-გამსხვილებას. სავარაუდოდ, შეიქმნება 15 ასეთი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, ხოლო დანარჩენ რაიონებში განთავსდება მაგისტრი მოსამართლე, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება წინასასამართლო მომზადება, აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ შუამდგომლობების განხილვა და ა.შ.

II ინსტანცია

ავტომატურ რეჟიმში, თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები, ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები გადაკეთდება სააპელაციო სასამართლოებად. ქვეყნის მასშტაბით იქნება 4 სააპელაციო სასამართლო: თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო. სააპელაციო პალატა განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შემოსულ სააპელაციო საჩივრებს, ხოლო საგამოძიებო კოლეგია განიხილავს საჩივრებს მაგისტრი მოსამართლეებისა და რაიონების მოსამართლეების გადაწყვეტილებებზე აღმკვეთ ღონისძიებებთან და საპროცესო იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებით. ახალმა კანონმა დაუშვა აპელაციის შეზღუდვა: აპელაცია დაიშვება ყველა საქმეზე ერთი გამონაკლისის გარდა – თუ გასაჩივრებულია ისეთი მუხლი, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ესე იგი, თუ სასჯელი თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, მაშინ საქმე რაიონულ საქალაქო სასამართლოში უნდა დასრულდეს და ვერ გასაჩივრდება, გარდა ერთი გამონაკლისისა – თუ პირი ითხოვს სრულ გამართლებას.

III ინსტანცია

2005 წლის 1 ნოემბრიდან კასაცია იძენს ახალ ფუნქციას, რაც ითვალისწინებს საქმის განხილვას წინასწარი დასაშვებობის შემოწმებით. საკასაციო სასამართლო, სანამ საკასაციო საჩივრის არსებით განხილვას დაიწყებს, პირველ რიგში უნდა შეისწავლოს ეს საქმე და გადაწყვიტოს, დაიშვება თუ არა საკასაციო საჩივარი განსახილველად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს აქვს ორი საშუალება. პირველი: გადაწყვიტოს, რომ საკასაციო საჩივარი არ დაიშვება განსახილველად და, ამ შემთხვევაში, ავტომატურ რეჟიმში ძალაში შევა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება; მეორე: დაუშვას საკასაციო საჩივარი განსახილველად. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

რა შემთხვევაში დაიშვება საკასაციო საჩივარი? სისხლის სამართლის პროცესში განიხილება სამი შემთხვევა. დაახლოებით ანალოგიურ შემთხვევებში ექვემდებარება კასაციას სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებიც.

I – როცა საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარების და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ანუ ეს არის ისეთი საქმე, რომელიც ახალ პრაქტიკას, ახალ მიმართულებას აწესებს.

II – როცა უზენაესის მიერ ანალოგიურ საქმეებზე კასაციის პრაქტიკა უკვე დადგენილია. შესაძლებელია, გარკვეული მოსაზრებების გამო მოხდეს ამ პრაქტიკის შესწორება, ანუ საქმეზე განსხვავებული პრაქტიკის ჩამოყალიბება. უზენაესმა უნდა ნახოს ეს გადაწყვეტილება და შეაფასოს მისი სისწორე. ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში ახალი პრაქტიკა განსხვავებული იქნება ასეთ საქმეებზე მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

III – ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი დატვირთვა ენიჭება მესამე ნორმას, რადგან პირველი ორი ნორმა ძირითადად გამონაკლის შემთხვევებში ამოქმედდება. თუ საქმე განხილულია სამართლებრივი ან საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ან არსებითი დარღვევით, მაშინ საკასაციო საჩივარი დაიშვება განსახილველად.

სასამართლო რეფორმის მხრივ იდენტური მდგომარეობაა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დარგში. I ინსტანციის დონეზე 15 ივლისიდან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები ავტომატურ რეჟიმში განიხილება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

შედეგად, სახელმწიფოში იქმნება თანაბარი სასამართლო სისტემა, რომლის I რგოლი არის რაიონული საქალაქო სასამართლო და უფრო პატარა ახალი უჯრედი – მაგისტრი მოსამართლე; შემდეგი არის აპელაცია და, ბოლოს, კასაცია, ოღონდ, კასაცია დასაშვებობის შემოწმების უფლებით.

რეფორმის თანმდევი მომენტი იყო ტექნიკური შეფერხება, რაც გამოწვეული იყო ქალაქ თბილისის მასშტაბით სასამართლოების გაერთიანებით. ახალი მოსამართლეების დანიშვნამდე, მოქმედ მოსამართლეებს დაუგროვდათ ძალიან ბევრი საქმე, რომელთა დროულად განხილვა ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა. პატიმრები და დაზარალებულები სასამართლო პროცესს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ელოდებოდნენ, რაც თავისთავად იწვევდა ადამიანის უფლებების დარღვევას, თუმცა, ამჟამად ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. რეფორმის პარალელურად უნდა მოხდეს მოსამართლეთა რიცხოვნობის ზრდა. საქმეები საკმაოდ ბევრია და მოსამართლეთა რაოდენობა მათი რიცხვის არაადეკვატურია.

საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

ძირითადი პრინციპები და განმარტებები

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 25 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. ამ ცვლილებებს ორი მთავარი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, შეიქმნა მყარი, კონკრეტული და ეფექტური გარანტიები სამოქალაქო უფლებების დასაცავად; მეორე მხრივ, გამარტივდა ის პროცედურები, რომლებიც ადრე სამართალდამცავებს უბიძგებდა, თვალი დაეხუჭათ და გვერდი აევლოთ კანონისათვის. მართალია, ცვლილებების მიღების შემდეგ სამართალდამცავებს გარკვეულწილად გაუმარტივდათ მუშაობა, მაგრამ, იმავდროულად, გაუძნელდათ კიდეც, რადგან ახალი კანონმდებლობა გაცილებით მყარ გარანტიებს ქმნის როგორც ვადების თვალსაზრისით, ისე სხვა ღირებულებების მხრივაც.

მოკვლევისა და გამოძიების ეტაპების გაერთიანება. ადრინდელი პრაქტიკით ხდებოდა დუბლირება: ერთი და იგივე სამუშაო ორჯერ ტარდებოდა. ეს, ერთი მხრივ, პრობლემას ქმნიდა გამოძიების ეფექტურად წარმართვის თვალსაზრისით; ხოლო მეორე მხრივ კი, საქმის გაჭიანურების, კორუფციული გარიგებების და საქმის გაფუჭების საშუალება იყო.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინსტიტუტის გაუქმებაა. ამ ცვლილების შედეგად, ავტომატურ რეჟიმში იწყება წინასწარი გამოძიება. ანუ, თუ არის საფუძველი – ნებისმიერი განცხადება, შეტყობინება, ოქმი, პატაკი – ამ ერთი ფურცლის საფუძველზეც კი იწყება წინასწარი გამოძიება. წინასწარი გამოძიება იწყება დანაშაულის ჩადენის ან შესაძლო ჩადენის ფაქტზე. წინასწარ გამოძიებას ვადა არ აქვს, გარდა ერთი გამონაკლისისა – ეს არის საერთო ხანდაზმულობის ვადა. ასე რომ, შეუძლებელია წინასწარი გამოძიების ვადის შეჩერება, გაგრძელება და ა. შ. იმისათვის, რომ ხელოვნური პრობლემები არ შეიქმნას და წინასწარი გამოძიება უაზროდ არ გაიჭიმოს, გაჩნდა შესაბამისი მაკონტროლებელი ელემენტები. კერძოდ: პირველი – ვთქვათ, დაწყებულია წინასწარი გამოძიება, საკმარისი მასალაა მოპოვებული იმისთვის, რომ პირის მიმართ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, მაგრამ რატომღაც გადაწყვეტილება არ მიიღეს. კანონი უფლებას აძლევს, ერთი მხრივ, დაზარალებულ სამოქალაქო მოსარჩელეს, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურ ბრალდებულს - ანუ იმ ადამიანს, რომლის მიმართაც გროვდება ეს მასალები - რომ საჩივარი შეიტანონ ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში და მოითხოვონ იმის გარკვევა, თუ რატომ ჭიანურდება ამ საკითხის გადაწყვეტა. მეორე - როდესაც დევნა უკვე დაწყებულია, ანუ პირი პასუხისგებაშია მიცემული, 10 დღის ვადაში შეიძლება საჩივარი შეტანილ იქნას ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში იმის გამო, რომ ბრალი დაგვიანებით იქნა წაყენებული. ანუ თუ ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებიდან 10 დღის ვადის გასვლის შემდეგ პირს ბრალი არ წაუყენეს და ეს დადგინდება სასამართლოს მიერ, მაშინ, ამ 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება საქმისათვის მნიშვნელობას დაკარგავს.

წინასწარი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის გამიჯვნა. გამოძიება დღეიდან უბრალოდ ინფორმაციის შეგროვებაა, დევნა და გამოძიება კი

ერთმანეთისგან გაიმიჯნა. ყველა ის ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ დევნასთან, უშუალოდ პროკურატურის კომპეტენციაა. ამჟამად სისხლისსამართლებრივი დევნის ვადა არის 24 თვე, ხოლო 2006 წლის I იანვრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის ვადა იქნება 12 თვე.

წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება. წინასწარი გამოძიებისას საქმესთან შეხება აქვთ მხოლოდ პროკურორსა და გამომძიებელს. მომკვლევს აღარ აქვს უფლება, იმოქმედოს ან მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური გადაწყვეტილებები და სასამართლოსთან ურთიერთობა ხდება პროკურორის მეშვეობით, საბრალდებო დასკვნას ადგენს მხოლოდ პროკურორი, სასამართლოში აღმკვეთი ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით შუამდგომლობს პროკურორი ან გამომძიებელი, ოღონდ, პროკურორის თანხმობით; პროკურორი საქმის დაწყების დღიდან ბოლო მომენტამდე უნდა ფლობდეს ინფორმაციას და ყველა შემაჯამებელი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს და სასამართლოსთან ურთიერთობა მოხდეს მისი მეშვეობით.

დამცველისა და წარმომადგენლების შეუზღუდავი ოდენობა. ადრე იყო დათქმა, რომ ბრალდებულს, ეჭვმიტანილს უფლება ჰქონდა სამი დამცველი ჰყოლოდა, ხოლო დაზარალებულს - სამი წარმომადგენელი. ცვლილებების შემდეგ მათ უფლება აქვთ, ჰყავდეთ შეუზღუდავი ოდენობის დამცველი ან წარმომადგენელი. ამ ცვლილებამ შეიძლება მოსამართლეებს გარკვეული პრობლემები შეუქმნას: პირმა შეიძლება დამცველად 30 კაცი მოისურვოს. კანონში წერია, თუ პროცესის მწარმოებელი ორგანო მივა შესაბამის დასკვნამდე, რომ ბრალდებული ამ პუნქტით მანიპულირებს ვადის გაჭიანურების მიზნით, მას უფლება აქვს, დასაბუთებული დადგენილებით უარი უთხრას ახალი ადვოკატების მოწვევაზე.

აღმკვეთი ღინისძიების შეფარდების დროს არასაპატიმრო საშუალებების გამოყენების უპირატესობა. აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით შეიცვალა სამართლებრივი მიდგომა. თუკი აქამდე მძიმე დანაშაულზე მტკიცების ტვირთი ბრალდებაზე არ იყო, ანუ მათ არ უნდა ემტკიცებინათ პატიმრობის შეფარდების აუცილებლობა, დღეს მათ ამის დამტკიცება მოუწევთ. აღმკვეთი ღონისძიების მოთხოვნისას, თავდაპირველად გამომძიებელმა და პროკურორმა, ხოლო შემდეგ მოსამართლემ უნდა დაასაბუთონ, თუ რატომ არ შეიძლება არასაპატიმრო საშუალებების გამოყენება.

აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე. სხდომა, რომელიც ამგვარ საკითხებს განიხილავდა, დახურული იყო, მხოლოდ გადაწყვეტილება ცხადდებოდა საჯაროდ. ცვლილებების შედეგად, სხდომის გახსნის მომენტიდან გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე, აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საკითხი განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე.

პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ ინსტანციაში. პატიმრობისა და შინაპატიმრობის ვადა დადგენილების გამოტანიდან 24 საათში საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მიღებიდან 48 საათში.

ამოღება-ჩხრეკა-დათვალიერების გადაწყვეტილების გასაჩივრება. ამოღებისა და ჩხრეკის თაობაზე ბრძანება ან დაკანონების დადგენილება ცალსახად საჩივრდება გამოცემიდან ან აღსრულებიდან 72 საათის განმავლობაში და საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში იხილება მიღებიდან 48 საათის

განმავლობაში. ერთ-ერთი ინფორმაციით, 2004 წელს ამოღებისა და ჩხრეკის შესახებ 26 000-მდე დადგენილება გამოიცა.

წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადის 4 თვემდე შემცირება. 2006 წლის 1 იანვრიდან წინასწარი პატიმრობის ვადა 9 თვიდან მცირდება 4 თვემდე (2+1+1). წინასწარი პატიმრობის 4 თვიანი ვადა მკაცრად რეგლამენტირებულია დაკავების მომენტიდან საბრალდებო დასკვნის შედგენამდე (სასამართლოს კანცელარიაში გატარების მომენტის ჩათვლით).

სასამართლო განხილვის დროს (სამივე ინსტანციაში) განსასჯელის პატიმრობის ვადის 30 თვიდან 12 თვემდე შემცირება. (6+4+2) კანონით I ინსტანციისათვის ვადა არის 4 თვე - საქმის გადაცემის მომენტიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე, 2 თვის გაგრძელების პერსპექტივით, ჯამში 6 თვე. II ინსტანციაში, ანუ აპელაციაში შესვლიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე დასაშვებია 2 თვე, კიდევ 2 თვის დამატებით, ჯამი 4 თვე. III ინსტანცია, ანუ კასაცია გრძელდება 1 თვე, გაგრძელების პერსპექტივა - მაქსიმუმ 1 თვე, ჯამში 2 თვე.

დამსწრის მოწვევის ვალდებულების სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისათვის ჩამორთმევა და ამ უფლების ეჭვმიტანილისათვის და ბრალდებულისათვის გადაცემა. დამსწრეთა ინსტიტუტი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ხდებოდა სამართალდამცავი ორგანოების ჩაყენება იმ მდგომარეობაში, როდესაც სიყალბე გარდაუვალი იყო. თუ აქამდე დამსწრის მოწვევა გამომძიებლის ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს ვალდებულებად მიიჩნეოდა, დღეს ეს ვალდებულება გაუქმებულია და არავითარი დამსწრე საჭირო აღარ არის. თუ პირს სურვილი აქვს, შეუძლია მოიწვიოს (ან არ მოიწვიოს) მოწმე. ჩხრეკის, ამოღების, დათვალიერების დროს გამომძიებელი წინადადებას აძლევს პირს, მოიწვიოს დამსწრე, რათა აღნიშნული ქმედება მის თვალწინ განხორციელდეს. ამ პირს მინიმუმ ერთი საათი აქვს იმისათვის, რომ გადაწყვიტოს, ვინ მოიწვიოს და დაუკავშირდეს მას. ზღვრული ვადა დათქმული არ არის. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ახლო ნათესავის მოწვევა. თუმცა, არსებობს «გადაუდებელი შემთხვევის» ფაქტორიც. არის გარკვეული ჩამონათვალი, როდესაც გადაუდებელი შემთხვევის დროს პირს არ სთავაზობენ მოწმის მოწვევას და ქმედებები ტარდება დამსწრის მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, თუ არსებობს საფრთხე, რომ განადგურდეს, დაზიანდეს ან გადაიმალოს მტკიცებულება, გამომძიებელს უფლება აქვს, სავალდებულო განმარტების გარეშე ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება. ეს მომენტი პრობლემას ქმნის, რადგან პირადი ჩხრეკების ჩატარება დამსწრის გარეშე სწორედ ასე დასაბუთდება.

სასამართლოს ინიციატივით დამატებით გამოძიებაში საქმის დაბრუნების დაუშვებლობა. ადრე თუ შესაძლებელი იყო, რომ საქმე დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულიყო, ახალი კანონით, სასამართლოს აქვს საქმის განხილვის ფარგლები და გადაწყვეტილება ამ ფარგლებში უნდა გამოიტანოს. ერთადერთი საფუძველი საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისთვის არის ის შემთხვევა, როდესაც თავად პროკურორი შუამდგომლობს დაბრუნებას, ოღონდ შუამდგომლობს იმისათვის, რომ პირს უფრო მძიმე ბრალდება წარედგინოს. სხვა ყველა შემთხვევაში საქმე სასამართლოში უნდა დასრულდეს.

ბრალდებულის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებისათვის აუცილებელია მის მიერვე ჩვენების დადასტურება სასამართლო სხდომაზე. წინასწარი გამოძიების დროს, სასამართლო ეტაპამდე მოპოვებული ბრალდებულისა და მოწმის ნებისმიერი ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევა, თუ ღია სასამართლო პროცესზე ბრალდებული ან მოწმე არ განაცხადებენ თანხმობას, გამოქვეყნდეს აღნიშნული ჩვენება. წინააღმდეგ

შემთხვევაში, მოსამართლეს რჩება მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელიც სასამართლომ გამოძიების დროს, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე მოიპოვა. ამით გამოირიცხება წინასწარი გამოძიების დროს მოწმეზე შესაძლო ზეგავლენა. მაგრამ არსებობს მეორე ფაქტორიც: გამორიცხული არაა, რომ რაღაც დაინტერესების გამო მოწმემ გადათქვას ან არსებითად შეცვალოს ჩვენება. ამისაგან თავის დასაცავად მატერიალურ კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება – მოწმის ან დაზარალებულის მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობა მიიჩნევა მართლმსაჯულების ხელის შეშლად და 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ერთადერთ გამონაკლისს - როდესაც მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიყენოს მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება - წარმოადგენს შემთხვევა, თუ მოწმე გარდაიცვალა, ან იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ და მისი ადგილსამყოფელი უცნობია – მოკლედ, თუ ამოწურულია ყველა შესაძლებლობა მისი სასამართლოში წარმოდგენისა. მხოლოდ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლე ვერ ახერხებს მოწმის დაკითხვას, მას აქვს უფლება, გამოაქვეყნოს მისი ჩვენება და შემდეგ გაიზიაროს ან არ გაიზიაროს, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს;

მოწმის ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობის შემთხვევაში მხარის შუამდგომლობოთ აღნიშნული ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესაძლებლობა. თუ მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა, ამ დროს მხარეს აქვს უფლება მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოცემული ჩვენებების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. ამ დროს ორივე ჩვენებას მნიშვნელობა ეკარგება.

პირადი ცხოვრების უფლების შეულახავად განხორციელებული ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად დასაშვებობა. ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი გახდა მტკიცებულება, თუკი ის სხვათა უფლებებს არ ლახავს. მაგალითად, თუ ჟურნალისტი იწერს საუბარს, როდესაც პირმა პირადად მას დაურეკა – ეს გამოდგება მტკიცებულებად. მაგრამ თუ მოხდა სხვა ორი პირის საუბრის ჩაწერა, ეს იქნება კანონდარღვევა და ჩანაწერი მტკიცებულებად არ გამოდგება. ამის უფლება სანქციის გარეშე არავის აქვს. მხოლოდ საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ, სასამართლოს სანქციით განახორციელონ ანალოგიური ჩაწერა.

საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა სასამართლო განხილვის ეტაპზე. კანონით გათვალისწინებულია საპროცესო შეთანხმების დადების ორი ინსტიტუტი: ბრალზე შეთანხმება და სასჯელზე შეთანხმება. ბრალზე შეთანხმების დროს საკმარისია მხოლოდ ბრალის აღიარება; ხოლო სასჯელზე შეთანხმების დროს პროკურატურასა და ბრალდებულს შორის თანამშრომლობა სავალდებულო არ არის. თანამშრომლობა სავალდებულო დარჩა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თანამშრომლობა გამოიხატება თანამდებობის პირის მხილებაში ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნაში, რის შემდეგაც პროკურორი ითხოვს პირის სრულად გათავისუფლებას სასჯელის მოხდისგან.

საქართველოს დევნილთა, ლტოლვილთა და აფხაზეთში, სამშვიდობო ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ კვლავინდებურად უმძიმესი მდგომარეობაა სეპარატისტულ რეგიონებში - სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. აღსანიშავია, რომ ამ რეგიონებში განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებსა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

გალის რაიონში ადამიანის უფლებების დარღვევები იმდენად ხშირია, რომ სახალხო დამცველის მიერ პრაქტიკულად შეუძლებებლია კონკრეტულ ფაქტებზე არა მხოლოდ შესაბამისი რეაგირება, არამედ მათი სრულად აღნუსხვა და სტატისტიკური მონაცემების წარმოებაც კი.

ხშირ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ადამიანის უფლებების ისეთ დარღვევებთან, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით საერთაშორისო დანაშაულადაა მიჩნეული.

აფხაზეთში, გალში, ე.წ. კონფლიქტის ზონაში და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მიმართ დარღვეულია მათთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით მინიჭებული მთელი რიგი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მე-3, მე-4, მე-5, მე-9, მე-12, მე-17 მუხლები;

2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მე-7, მე-8, მე-9 და მე-17 მუხლები;

3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მე-3, მე-5, მე-8 და მე-14 მუხლები;

4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი № 1 და ოქმი № 12;

5. საქართველოს კონსტიტუცია მე-17, 21-ე და 38-ე მუხლები.

აფხაზეთში მომხდარ ადამიანის უფლებების დარღვევებზე და საერთაშორისო დანაშაულზე დღემდე პასუხი არ უგია არც ერთ დამნაშავეს, რაც დსთ-ს სამშვიდობო ჯარების მიერ კონტროლირებად ე.წ. სამშვიდობო ზონასა და მთლიანად აფხაზეთში ბუნებრივად აძლიერებს დაუსჯელობის სინდრომს.

ჯერჯერობით, არ ყოფილა თუნდაც ერთი ისეთი ფაქტი, როდესაც ქართველი ეროვნების ადამიანის მიმართ ყოფილიყო დანაშაული ჩადენილი აფხაზეთის ტერიტორიაზე და დამნაშავის მიმართ აფხაზ სამართალდამცავებს ან დსთ-ს სამშვიდობოებს განეხორციელებინოთ საერთაშორისო სამართლით, ან საკუთრივ ე.წ.

აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობითა და დსთ-ს სამშვიდობოების მანდატით გათვალისწინებული ღონისძიებები.

აფხაზეთში ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებიდან გამოვყოფდი შემდეგს:

2005 წ.
იანვარ-ივნისი

4 იანვარს გამთენიისას გალის რ-ნის ქართულ სოფლებში ოთარ ტურანბას და ვალმერ ბუთბას კრიმინალური დაჯგუფების 300 წევრი შეიჭრა. გავრცელებული ინფორმაციით, მათი მიზანი იყო მომავალი არჩევნების წინ მოსახლეობის დაშინება.

აფხაზეთში 12 იანვარს დანიშნული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინ გრძელდებოდა და ძლიერდებოდა ზეწოლა გალის მოსახლეობაზე, რადგანაც აფხაზური მხარე შიშობდა, რომ გალელები არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ. ზეწოლის მოხდენის მიზნით, გალში შეიყვანეს რამდენიმე ასეული ე.წ. პოლიციელი, რომლებიც იქ მცხოვრებ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას აწიოკებდნენ. მოსახლეობა ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ზუგდიდში გადმოვიდა.

8 იანვარს სოხუმის პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის ე.წ. შსს-ს მინისტრი აბესალომ ბეი, უშიშროების მინისტრი მიხეილ თარბა და გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი საფარბეი მიქანბა, აფხაზეთის სახალხო კრების თავმჯდომარემ - ნუგზარ აშუბამ აფხაზი ძალოვნებისგან არჩევნების ჩაშლის ყოველგვარი მცდელობის აღკვეთა მოითხოვა (სოხუმის ხელისუფლების აზრით, იმ პერიოდში არჩევნების ჩაშლას ძირითადად გალის რაიონში ელოდნენ). ამ შეხვედრის შემდეგ გალის რაიონის ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლა გაძლიერდა.

11 იანვარს ზუგდიდის რ-ნის სოფ. განუმხურიდან და გალის რ-ნის ქვედა ზონის სოფლებიდან კრიმინალებმა 50-მდე ადამიანი გაიტაცეს, მიაყენეს მათ ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, აგრეთვე, წაართვეს ფული და სხვა ძვირფასი ნივთები. მოლაპარაკებების შემდეგ გატაცებულთა ნაწილი გაათავისუფლეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქართული სამშვიდობო ძალების წარმომადგენელმა ვალერი ჯაფარიძემ რუსეთის სამშვიდობო ჯარების წარმომადგენელს, გენერალ ნაუმოვს წაუყენა პრეტენზია იმის გამო, რომ გამტაცებლებმა რუსეთის სამშვიდობოების საკონტროლო პუნქტის გავლით ორჯერ გადაკვეთეს მდინარე ენგური, ამასთან, მეორედ - გატაცებულებთან ერთად. მაგრამ სამშვიდობოებმა ეს ვერ „დააფიქსირეს". გავრცელებული ინფორმაციით, ეს ფაქტი ვალმერ ბუთბას დაჯგუფებამ ჩაიდინა.

11 იანვარს სოფ. ოტობაიადან გატაცებული ადგილობრივი მოსახლეები - რატია და ბიგვავა - სოხუმის იზოლატორში გადაიყვანეს. მათ აფხაზური პოლიცია იარაღის უკანონო ტარებაში ადანაშაულებდა. აფხაზურმა ადმინისტრაციამ მშობლებს და ნათესავებს უარი განუცხადა დატყვევებულთა მონახულებაზე და ადვოკატის აყვანაზე.

26 იანვარს კრიმინალებმა ზუგდიდიდან გალის რ-ნის სოფლების მიმართულებით მოძრავი 10-მდე სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს. ავტობუსის მგზავრები, რომელთა შორის ბავშვებიც იყვნენ, ხუთკაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა გაძარცვა. გაიტაცეს მგზავრების ფული, სხვა ფასიანი ნივთები და სოფლის მეურნეობის პროდუქტები, კერძოდ, თხილი. მგზავრების ვარაუდით, თავდამსხმელები ვალმერ ბუთბას და როზა მირცხულავას კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ.

30 იანვარს ღამით ზუგდიდის რ-ნის სოფ. ხურჩის ტერიტორიაზე თავდასხმა მოხდა ქართველ პოლიციელებზე. თავდასხმის ადგილის სიახლოვეს განლაგებულია რუსი სამშვიდობო ძალების პოსტი, მაგრამ რუს სამშვიდობოებს თავდასხმის აღსაკვეთავად ზომები არ მიუღიათ. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები აფხაზეთის ა.რ. ტერიტორიიდან გადმოვიდნენ. პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი ვიტალი დარასელია თავის არეში მიიღებული ჭრილობებით ადგილზევე გარდაიცვალა, მეორე პოლიციელს კი ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა.

გალის რ-ნის ე.წ. ქვედა ზონის სოფლებში 21 თებერვალს 5 სამგზავრო ავტობუსი გაძარცვეს. შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა მგზავრებს ფული და პირადი ნივთები გასტაცეს. მოსახლეობის განცხადებით, მსგავსი ფაქტები გალის რაიონში ყოველდღიურად ხდება, მაგრამ დაზარალებულები დახმარებას ვერავისგან იღებენ.

მარტში გალის რ-დან გამოსასყიდის მიღების მიზნით გაიტაცეს 3 ქართველი, რომელთაგან ერთ-ერთის - მ. გოგოხიას გათავისუფლების სანაცვლოდ, მისი ოჯახის წევრებმა 20 ათასი დოლარი გადაიხადეს.

მაისის შუა რიცხვებში სოფ. ნაბაკევიდან გაიტაცეს სამი ქართველი. მათ ოჯახებს 70 000 აშშ დოლარი გამოსძალეს.

მაისის შუა რიცხვებში დსთ-ს რუსმა სამშვიდობოებმა მოკლეს გალში მცხოვრები ლაშა რიგვავა.

მაისის ბოლო რიცხვებში გალის რ-ნის სოფ ნაბაკევში მცხოვრები დავით კიკილია საკუთარი სახლიდან გაიტაცეს იარაღის მუქარით და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. გამტაცებლები მძევლის გათავისუფლებაში 50 000 აშშ. დოლარს მოითხოვდნენ.

რუსმა სამშვიდობოებმა ენგურის ხიდზე №310 საგუშაგოზე გააჩერეს ბესიკ კეკუცაძე და შემდეგ აფხაზ კრიმინალებს გადასცეს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი ენგურის ხიდზე, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა თვალწინ სასტიკად ცემეს, რის შედეგადაც მან სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. შემდეგ კი იგი კრიმინალებმა ენგურის ხიდიდანვე გაიტაცეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

18 მაისს სამშვიდობო ზონაში განლაგებული გალის რაიონის სოფ. ნაბაკევიდან დაუდგენელი პირების მიერ გატაცებულ იქნა სამი ქართველი – ზვიად ფარცვანია, სპარტაკ ჟღერია და არკადი ტაბაღუა.

9 ივლსს ოთხ ავტობუსს, რომლებსაც გალის მაცხოვრებლები გადაჰყავდა, სამშვიდობო ზონაში თავს დაუდგენელი პირები დაესხნენ. მათ მგზავრებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გასტაცეს ფული და სხვა ნივთები.

აფხაზეთის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები, ანტიკრიმინალური ოპერაციის ნიღაბქვეშ, მასობრივად აპატიმრებენ გალის რაიონის მკვიდრ ეთნიკურ ქართველებს. ისინი სოფლებში ავტომანქანებით შედიან და ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე აპატიმრებენ ათობით ადამიანს, შემდეგ კი გადაჰყავთ ისინი გალის, ოჩამჩირის ან სოხუმის შსს-ს თუ უშიშროების იზოლატორებში. არის ფაქტები, როდესაც იმ დაკავებულებს, რომელთაც არ გააჩნიათ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის "დროებითი პასპორტი", გამოსასყიდს ახდევინებდნენ. მოსახლეობის განცხადებით, მათ შეუძლიათ თავი დააღწიონ ტყვეობას გამოსასყიდით, რაც 100 აშშ დოლარიდან იწყება და ათეულ ათასობით დოლარამდე აღწევს (გამოსასყიდი თანხის ოდენობა

დამოკიდებულია გატაცებული ადამიანის ოჯახისა და ნათესავების ფინანსურ შესაძლებლობებზე). შესაბამისი ოდენობის თანხის უქონლობის შემთხვევაში, გატაცებულის გამოსყიდვა ზოგჯერ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, კერძოდ, თხილით ხდება.

მძევლების აყვანა დამკვიდრებული პრაქტიკაა. სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი ადამიანი არ დასჯილა გალის რ-ნში მძევლების აყვანის, ადამიანის გატაცების ან მოქალაქეთათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო. ამ ვითარებაში ადამიანებს ეუფლებათ სრული უიმედობა და შიში. არც ერთი ადამიანი არაა დაცული იმისგან, რომ როგორც აფხაზური ადმინისტრაციის ძალოვანი სტრუქტურების, ასევე ამ სტრუქტურების ნებართვით თუ უმოქმედობით მოთარეშე კრიმინალური ჯგუფების მხრიდან არ გახდება ძალადობის, გატაცების, ან სხვა სახის არაკანონიერი ზემოქმედების მსხვერპლი.

ტყვედ ნამყოფ ადამიანებს და მათი ოჯახის წევრებს ხშირად აქვთ ნერვული სტრესები, მუდმივი შიშები და მნიშვნელოვნად შერყეული ჯანმრთელობა.

მდგომარეობა გალის ქართულ სკოლებში

გალის რაიონში არსებულ ქართულენოვან სკოლებში მოსწავლეებსა და პედაგოგებს აფხაზური ადმინისტრაციის წარმომადგენლები ხშირად უქმნიან გადაულახავ სირთულეებს, განსაკუთრებით, მშობლიურ - ქართულ ენაზე განათლების მიღების თვალსაზრისით. 2005 წლის დასაწყისში აფხაზური ადმინისტრაციის ზეწოლით დაიხურა სოფ. რეფის ქართული სკოლა. გალში, დსთ-ს სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, აფხაზური ადმინისტრაციის ზეწოლით, ადგილობრივი სკოლების სასწავლო პროგრამიდან იძულებით ამოაღებინეს მთელი რიგი საგნები, კერძოდ, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და მშობლიური (ქართული) ენა და ლიტერატურა. ქართულ ენას ასწავლიან, როგორც ერთ-ერთ რიგით საგანს - შეკვეცილი საათებითა და პროგრამით. ქართულის გაკვეთილი ქ. გალში უმეტეს შემთხვევაში ან ცდება, ან ძალზედ შემოკლებული პროგრამით ტარდება.

გალში ქართველ პედაგოგებს აიძულებენ, ბავშვებს ასწავლონ რუსული სახელმძღვანელოებით და რუსეთის ფედერაციის განათლების პროგრამით. აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის განათლების მინისტრმა 2005 წლის 3 ივნისს გამოსცა № 75 ბრძანება, რომლის მიხედვითაც “მიეთითათ სკოლებს, რომ დოკუმენტაცია იწარმოებოდეს მხოლოდ ორ სახელმწიფო ენაზე - აფხაზურად და რუსულად, ხოლო სხვა დანარჩენი ენები ამოღებულ იქნას გამოყენებიდან”. ბუნებრივია, ეს ბრძანება სწორედ ქართული ენის – ანუ პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლიური ენის - ხმარებიდან ამოღებას ითვალისწინებს.

გალის განათლების განყოფილების გამგეა აფხაზეთის ომის ყოფილი სნაიპერი ვინმე აზა აგუმა, რომელიც სისტემატურად ატერორებს ქართულ სკოლებს. რამდენიმე თვის წინ, იმ მიზეზით, რომ ქართველმა მოსწავლემ არ იცოდა აფხაზური ლექსი, მან სასტიკად ცემა გალის ერთ-ერთი სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გოგონა.

გასათვალისწინებელია, რომ აზა აგუმა სკოლებში შეიარაღებული დადის და ქართული სახელმძღვანელოების აღმოჩენის მიზნით ხშირად უმოწმებს სკოლის მოსწავლეებს სასკოლო ჩანთებს. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ჩანთაში ქართული სახელმძღვანელო აღმოაჩნდებათ, აზა აგუმა ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას აყენებს.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ აფხაზურ ადმინისტრაციას დღემდე ანაზღაურება არ გაუცია გალის ე.წ. ქვედა ზონაში არსებული ქართული სკოლების პედაგოგებისთვის. თუმცა, აფხაზეთის ბიუჯეტი გალის რ-დან ამოღებული გადასახადებით მნიშვნელოვნად ივსება. ქ.გალის რამდენიმე სკოლაში იმ ქართველ პედაგოგებს, რომლებიც რუსულად ატარებენ გაკვეთილებს, აფხაზური ადმინისტრაცია ხელფასს უხდის რუსული რუბლით, მაგრამ ეს „ხელფასი" სხვადასხვა შემთხვევაში 3 დან 7 ლარამდე მერყეობს.

ამავდროულად, აფხაზური ადმინისტრაცია საგანგებოდ ცდილობს, გამოიძიოს იმ პედაგოგებისა და მოსწავლეების ვინაობა, რომლებმაც აიღეს საქართველოს ხელისუფლების მიერ მოსწავლეთა და პედაგოგებისთვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი დახმარება (პედაგოგებისთვის 200 ლარი, ხოლო მოსწავლეთათვის 10 ლარი). აღნიშნული დახმარების აღებაში ეჭვმიტანილ პედაგოგებს და მოსწავლეებს, აგრეთვე, მოსწავლეთა მშობლებს იბარებენ აფხაზურ უშიშროებასა და პროკურატურაში, ამ საკითხთან დაკავშირებით ართმევენ ახსნა-განმარტებებს და ჩვენებებს, რაც ხშირად ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის ფონზე მიმდინარეობს.

აღნიშნული ფაქტები ხდება რუსი სამშვიდობო ჯარების მიერ კონტროლირებად სამშვიდობო ზონაში. დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსი სამშვიდობოები, როგორც ამ, ასევე სხვა შემთხვევებში გალის ქარული მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხში სრულებით არ ერევიან.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაციის შესახებ გაკეთებულ უკანასკნელ მოხსენებაში მოუწოდა აფხაზურ მხარეს „ახალგაზრდებს თავიანთ მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლის ნება დართოს". მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით, არც აფხაზური ადმინისტრაციისა და არც დსთ-ს რუსი სამშვიდობოების მხრიდან ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯები არ გადადგმულა.

დემოკრატიული ინსტიტუტები სამშვიდობო ზონაში

გალში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის დემოკრატიული ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ან საერთაშორის ორგანიზაციების შესაბამისი წარმომადგენლობები, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ობიექტურად და სრულყოფილად შეისწავლიდნენ და შეაფასებდნენ სამშვიდობო ზონაში (გალში) შექმნილი ვითარებას.

რამდენიმე წელიწადია, აქტუალურია გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის საკითხი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა სოხუმის ოფისი შეზღუდულად მოქმედებს. მისი მუშაობა გალის რაიონში ძალზედ არაეფექტურია, ხოლო დანარჩენ აფხაზეთში კი ადამიანის უფლებების დაცვაზე პრაქტიკულ ზემოქმედებას ვერ ახდენს. გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან იყო მთელი რიგი ინიციატივები გალში და აფხაზეთის სხვა რაიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი

ღონისძიებების შესახებ, მაგრამ ეს ინიციატივები რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს.

საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ დასვა გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნის საკითხი. ს.ბაღაფშმა გალის მოსახლეობას იქ სტუმრობის დროს (1 ივნისს) დაპირებებიც მისცა და აღნიშნა, რომ აფხაზური ხელისუფლებისთვის "ადგილობრივი მოსახლეობის დაცვა მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს". მაგრამ ამ განცხადების შემდეგ რაიმე კონკრეტული ქმედებები აფხაზური ადმინისტრაციის მხრიდან გალის მოსახლეობის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არ შეინიშნება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ განცხადებებს აფხაზური ადმინისტრაცია მხოლოდ იმის გამო აკეთებს, რომ თავი აარიდოს გალში გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას. ეს ვარაუდი მართლდება იმითაც, რომ უკვე 15 ივნისს - ანუ გალში მოსახლეობასთან შეხვედრიდან 2 კვირის თავზე - ს.ბაღაფშმა განაცხადა, რომ იგი გალის რაიონში "არ თვლის საჭიროდ გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას" და რომ "აფხაზეთის ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად იღებს ზომებს გალის რაიონის მოსახლეობის უფლებების დასაცავად". როგორც ფაქტებიდან ჩანს, ადამიანის უფლებების დაცვის თავლსაზრისით გალში მდგომარეობა არ გამოსწორებულა.

ვითარების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: დსთ-ს ეგიდით მოქმედი რუსეთის სამშვიდობოების არაეფექტური, გულგრილი და, ხშირ შემთხვევაში, დანაშაულებრივი მოქმედებისა და აფხაზური ადმინისტრაციის კრიმინალური ზეწოლის შედეგად, გალში ადამიანის უფლებების დამცავი დემოკრატიული ინსტიტუტები არ არსებობს.

გალში ადამიანის უფლებათა დამცავი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს გაეროს ადამინის უფლებათა ოფისის გახსნა და გაეროს მისიის სამოქალაქო პოლიციის ამოქმედება. ამ საკითხის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ გაკეთებულ ბოლო მოხსენებაში აფხაზურ მხარეს მიმართა, გალის რაიონში განათავსოს გაეროს მისიის სამოქალაქო პოლიცია და გახსნას ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი. მიუხედავად ამ მიმართვისა, საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია.

აფხაზეთის სამშვიდობო ზონაში მომხდარ დანაშაულებზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრა

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ კონკრეტულად ვინ არის პასუხისმგებელი აფხაზეთში, გალის რაიონსა და ე.წ. სამშვიდობო ზონაში მომხდარ საერთაშორისო დანაშაულებსა და ადამიანის უფლებების დარღვევებზე. ჩვეულებრივ, ორდინალურ ვითარებაში ეს არ იქნებოდა სადავო საკითხი, რადგანაც გალის რ-ნი ისევე, როგორც მთელი აფხაზეთი, საერთაშორისო სამართლის ყველა სუბიექტის მიერ აღიარებულია საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად. ბუნებრივია, ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი ამ რეგიონში საქართველოა, მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველო აფხაზეთს პრაქტიკულად ვერ აკონტროლებს, რაც დაფიქსირებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულ მთელ რიგ სამართლებრივ დოკუმენტებში.

ზემოაღნიშნულ საკითხს – იმას, თუ ვინ არის აფხაზეთში და კონკრეტულად გალის რაიონში ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი, პასუხს სცემს

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურთა სამიტის ის გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც კონფლიქტის ზონაში განლაგებული არიან დსთ-ს (პრაქტიკულად კი - რუსეთის) სამშვიდობო ძალები. კერძოდ:

დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ" მე-5 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში სამშვიდობო ძალები პასუხისმგებელნი არიან, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელი შეუწყონ ადამინის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას. ეს გადაწყვეტილება ხელმოწერილია დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების მიერ 1994 წლის 22 აგვისტოს. 1995 წლის 26 მაისს დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების მიერ მიღებულ იქნა აღნიშნული გადაწყვეტილების დანართი, რომლის მე-5 პუნქტის „ბ" და „ე" ქვეპუნქტების მიხედვით, მშვიდობის მხარდამჭერ კოლექტიურ ძალებსა და სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფს დაეკისრა შემდეგი პასუხისმგებლობა: ყველა იმ ადამიანს, ვინც კონფლიქტის ზონა დატოვა, შეუქმნას მათ უწინდელ საცხოვრებელ ადგილზე უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა პირობები; აგრეთვე, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვას. როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებების დაცვაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში პასუხისმგებელნი არიან დსთ-ს სამშვიდობო ძალები. მაგრამ გასული წლების განმავლობაში ისინი არათუ არაჯეროვნად ასრულებდნენ საკუთარ ფუნქციებს, არამედ ძალზედ ხშირად სწორედ დსთ-ს სამშვიდობო ძალები იყვნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის ინიციატორი და ხელშემწყობი.

<u>აფხაზეთში ადამიანის</u> უფლებების დაცვაზე, ბუნებრივია საქართველო უნდა იყოს პასუხისმგებელი, როგორც სახელმწიფო, რომლის შემადგენელი ნაწილი არის აფხაზეთი და რომლის მოქალაქეებიც ცხოვრობენ აღნიშნულ ტერიტორიაზე, მაგრამ უმთავრესი პასუხისმგებლობა აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვაზე ეკისრება რუსეთის სახელმწიფოს, რადგანაც აფხაზეთზე ფაქტობრივად ვრცელდება რუსეთის გადამწყვეტი გავლენა. აფხაზეთში განლაგებულია რუსეთის სამხედრო ნაწილები, კერძოდ ოჩამჩირეში, სოხუმში და გუდაუთაში, ბომბორას სამხედრო აეროპორტი. აღნიშნულის გარდა აფხაზეთში გულრიფშის რ-ნის დაბა აგუძერასა და სოხუმის რ-ნის დაბა ეშერაში ფუნქციონირებენ რუსეთის შეიარაღებული ძალების საიდუმლო ლაბორატორიები, აფხაზეთში სამშვიდობო მისიას ახორციელებენ დსთ-ს სამშვიდობო ძალები, მაგრამ ისინი მთლიანად დაკომპლექტებული არიან რუსეთის სამხედრო შენაერთებით და ემორჩილებიან რუსეთის სამხედრო სარდლობას. კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების სარდლად რუსეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლის დანიშვნა განსაზღვრულია დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური ძალების გამოყენების შესახებ" 1994 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით. აფხაზეთში რუსეთის გადამწყვეტი გავლენა, აღნიშნულის გარდა, ბოლო პერიოდში ასევე გამოიხატა იმით, რომ აფხაზეთის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ს. ბადაფშსა და რ. ხაჯინბას შორის გამართულ მოლაპარაკებებში შუამავლის სტატუსით მონაწილეობდა რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე ვ. კოლესნიკოვი.

2004 წლის 6 დეკემბერს სერგეი ბაბურინმა და ვლადიმერ კოლესნიკოვმა სერგეი ბადაფშთან ერთად მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რომლის თანახმადაც დაპირისპირებული მხარეები აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაზე და მასში ერთიანი გუნდით მონაწილეობაზე შეთანხმდნენ.

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში რუსეთის ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგის მიღწევისა და აფხაზეთში დარჩენილ ამომრჩევლებზე „საჭირო" ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რუსეთის როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონული

ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა და ამ მიზნით ისინი იყენებდნენ მრავალ საშუალებას, რუსული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტების ჩატარებითა თუ ჰუმანიტარული დახმარების დარიგებით დაწყებული, რეგიონის ბლოკადის მუქარითა და გზების გადაკეტვით დამთავრებული.

აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მოსკოვიდან სოხუმში ჩავიდა რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი. ბაღაფშის შტაბის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბაბურინი სოხუმში ჩასვლამდე შეხვდა ვ. პუტინს. მათ იმსჯელეს "აფხაზეთში არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარებისა და ბაღაფშსა და ხაჯინბას შორის მიღწეული შეთანხმების სრული დაცვით ჩატარების შესახებ"

2005 წლის 22 მარტს რუსეთის მოქალაქე, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მაღალჩინოსანი, გენერალ ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ. ბრძანებას ხელი ს. ბაღაფშმა მოაწერა.

მსგავს შემთხვევებში, მაშინ, როდესაც შექმნილ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს დადგენას, ძალზედ აქტუალურია მოცემული ტერიტორიის – ადამიანის უფლებათა დარღვევის (დანაშაულის ჩადენის) ადგილის - როგორც სამართლებრივ-ტერიტორიული, ასევე ფაქტობრივი იურისდიქციის საკითხის განსაზღვრა.

მითითებული პრობლემური საკითხი საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებულია "ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის" ევროპული კონვენციის I მუხლში, რომლის თანახმადაც, "მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებს და თავისუფლებებს". ამ მუხლში ნახსენები იურისდიქციის ცნება გულისხმობს როგორც სამართლებრივ-ტერიტორიულ, ასევე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ფაქტობრივ იურისდიქციასაც - როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ასევე სხვა ქვეყნების იმ ტერიტორიებზე, სადაც მოცემულ სახელმწიფოს თავისი სტრუქტურების საშუალებით შეუძლია გადამწყვეტი გავლენის მოხდენა და ფაქტობრივი იურისდიქციის განხორციელება.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო და ევროპის კომისია უარს უცხადებენ სახელმწიფოებს, მოიხსნან პასუხისმგებლობა მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების, აგრეთვე, ორგანოების (სტრუქტურების) მოქმედებასა და უმოქმედობაზე იმის საფუძველზე, რომ ამ მოქმედებებსა თუ უმოქმედობას ადგილი ჰქონდა მოცემული სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა. ამრიგად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველ მუხლით განსაზღვრული "იურისდიქციის" ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერიტორიული ასპექტით. ის ხელისუფლების ორგანოების საშუალებით - მათ შორის, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული შეიარაღებული ძალების გამოყენებით – ეფექტურად ახორციელებს იურისდიქციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონკრეტული უფლების დარღვევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის "დაზუსტების" დროს სახელმწიფოს იურისდიქცია და ტერიტორია შესაძლებელია მოიცავდეს სხვადასხვა ტერიტორიას და არ ემთხვეოდეს სახელმწიფოს გეოგრაფიულ საზღვრებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ - განმარტა, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტერიტორია. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ "კონვენციის ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე

შეიძლება დადგეს, როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად – მიუხედავად იმისა, კანონიერია თუ უკანონო – სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, იმის მიუხედავად, კონტროლი განხორციელდება სახელმწიფოს მიერ უშუალოდ, მისი შეიარაღებული ძალების, თუ მისდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით". ამდენად, ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, არის თუ არა კონკრეტული ტერიტორია მისი შემადგენელი ნაწილი, ვალდებულია, კონვენციით განსაზღვრული უფლებები დაიცვას იმ ტერიტორიებზე, რომელზეც ფაქტობრივ იურისდიაქციას ახორციელებს თავისი სახელმწიფო სტრუქტურების, მათ შორის, შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა და სხვა საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა გამო, აშკარაა რუსეთის ფაქტობრივად გადამწყვეტი გავლენა და იურისდიქცია აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აღნიშნული ფაქტებიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციდან და ამ კონვენციის მიზენებიდან გამომდინარე, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქალაქეთათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მინიჭებული უფლებების დაცვაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის სახელმწიფოს.

საქართველოს სახელმწიფომ ეს საკითხი პრინციპულად უნდა დასვას ევროპის საბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის, დსთ-ს და გაეროს წინაშე, რათა ეს რეალობა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც იქნას გათვალისწინებული.

დევნილთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

წლების განმავლობაში დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.. კვლავინდებურად მწვავეა მრავალი სოციალური პრობლემა, მათ შორის, სამედიცინო მომსახურეობა, განათლება, დასაქმება, საკვებით მომარაგება, საბინაო-საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხები. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ ოთახში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს და ეს ერთი ოთახიც საცხოვრებლად გამოუსადეგარია. არის შემთხვევები, როდესაც დევნილები ცხოვრობენ მიწურებში, ავარიულ, მათ შორის, მიწისძვრის შედეგად დაზიანებულ შენობებში. მაგალითისთვის, თბილისში გურამიშვილის გამზირზე №64-ში მდებარეობს ბაგა-ბაღი "ცისარტყელა", სადაც დევნილები ცხოვრობენ. "ცისარტყელა" 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად მნიშვნელოვნადაა დაზიანებული. ექსპერტთა ჯგუფის შესაბამისი დასკვნის თანახმად, შენობას მიღებული აქვს მე-3 კატეგორიის დაზიანება და საცხოვრებლად გამოუსადეგარია, თუმცა, ათობით ბავშვს, მოხუცს და ომის ინვალიდს ამ ავარიულ შენობაში უწევს ცხოვრება. დევნილებმა წარმოადგინეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ (№05/01-17/3753 21.10.2002წ.) მათთვის გაგზავნილი წერილი, რომლის მიხედვითაც - "დღესდღეობით, გურამიშვილის ქუჩა №64-ში მცხოვრებ დევნილთა ოჯახებისთვის გლდანის რაიონში,

ს/ს “ორიონში”, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ახორციელებს სარემონტო სამუშაოებს, რომლის დამთავრების შემდეგაც აღნიშნული ოჯახები გადაყვანილ იქნებიან ახალ საცხოვრებელი ფართში”. ამდენად, როგორც ირკვევა, მიწისძვრის შედეგად დაზიანებულ “ცისარტყელაში” მობინადრე დევნილებითვის ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი გამოყოფილი ყოფილა, მაგრამ ჯერჯერობით, გაურკვეველი მიზეზების გამო, ისინი ს/ს “ორიონში” არ შეუსახლებით. სახალხო დაცველის აპარატში მიმდინარეობს ამ საკითხის შესწავლა.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, საცხოვრებელი ფართით დღემდე ვერ დაკმაყოფილდა დევნილი მოსახლეობის 43%, რომელთა ნაწილი ქირით ცხოვრობს, ნაწილი კი ნათესავებთან ან ახლობლებთანაა მიკედლებული. ამჟამად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში 3000–ზე მეტი ოჯახის განცხადებაა რეგისტრირებული თბილისში საცხოვრებელი ფართის გამოყოფის მოთხოვნით. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს დევნილთა სოციალ-ეკონომიკური უფლებების დაუცველობაზე და ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

დევნილთა უმრავლესობის შემოსავლის ერთადერთი წყაროა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი პენსია და 14 ლარიანი შემწეობები, რაც ადამიანის არსებობისათვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს. ვითარებას ართულებს ის, რომ შეწყვეტილია დევნილებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. სახალხო დამცველის აპარატში დევნილთა მიერ შემოტანილი განცხადებების ანალიზით აშკარად ჩანს, რომ დევნილთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ხოლო მისი გამოსწორების რეალური პერსპექტივა არ იკვეთება.

დევნილებით კომპაქტურად განსახლებული ობიექტების მდგომარეობა მძიმეა ელექტროენერგიის მიწოდების, წყალმომარაგების და სხვა კომუნალური მომსახურეობის გაწევის თვალსაზრისით. თუმცა, საამისოდ თანხები გამოყოფილი და ათვისებულია. კერძოდ, მოხმარებული ელექტროენერგიის შეღავათი კომპაქტურად დასახლებულ ობიექტებში მცხოვრები თითოეული დევნილისთვის განსაზღვრულია: ქ. თბილისში ზამთრის პერიოდში 14 ლარით და 80 თეთრით, ხოლო ზაფხულის პერიოდში - 10 ლარით. საქართველოს რეგიონებში ზამთრის პერიოდში გადასახდელია 10 ლარი, ხოლო ზაფხულის პერიოდში - 6 ლარი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2004-2005 წლებში დევნილებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ობიექტს თანხა დროულად გადაეხადა. მიუხედავად ამისა, ენერგომომარაგების პრობლემა დევნილთათვის კვლავინდებურად აქტუალურია, განსაკუთრებით, ზამთრის სეზონში. ს/ს “თელასის” ხელმძღვანელობის ინფორმაციით, თბილისში კომპაქტურად მცხოვრებ დევნილებს ელექტროენერგიის არაეკონომიკური მოხმარების გამო გადახარჯვა აქვთ და დენის გათიშვაც სწორედ ამ მიზეზითაა გამოწვეული. ხოლო დენის გათიშვა, თავის მხრივ, იწვევს დევნილთა უკმაყოფილებას, რაც ზოგჯერ საპროტესტო აქციებითაც გამოიხატება. ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით დევნილებს აქვთ ვარაუდი, რომ მათ მრიცხველებში აღირიცხება სხვადასხვა კერძო, მათ შორის, სამრეწველო ობიექტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია. ამდენად, აუცილებელია, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვეს და დევნილებს ან ხელზე მიეცეთ ის თანხა, რაც სახელმწიფოს მიერაა გამოყოფილი მათთვის შეღავათის სახით, ან დეტალურად უნდა იქნას შემოწმებული ყველა ის ობიექტი, სადაც ანალოგიურ შემთხვევებთან გვქვს საქმე.

ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ რეგიონებში მცხოვრები დევნილებისათვის გამოყოფილი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაინც ირიცხება, მიუხედავად იმისა, მოიხმარა თუ არა დევნილმა მისთვის შეღავათის

სახით განსაზღვრული თანხის ოდენობის ელექტროენერგია. აქვე იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ რეგიონში ელექტროენერგია ძალზედ იშვიათად მიეწოდება მოსახლეობას, მათ შორის, დევნილებსაც. შესაბამისად, იმ ელექტროენერგიის ფასს, რომელიც დევნილებს არ მოუხმარიათ, სახელმწიფო მაინც იხდის.

აღნიშნული საკითხი, მასში სიცხადის შეტანის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი.

აფხაზეთიდან დევნილი თ. ჯოხაძის შესახებ

2004 წლის 27 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა აფხაზეთიდან დევნილმა თ.ჯოხაძემ, რომლის განმარტებითაც, იგი იმყოფება უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ პირობებში, არ გააჩნია დროებითი საცხოვრებელი ფართი და არც ბინის დაქირავების მატერიალური საშუალება. მოქალაქის განცხადებით, მან 1999 წლიდან არაერთხელ მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რათა საბინაო საკითხის გადაწყვეტაში გაეწიათ შესაბამისი დახმარება, მაგრამ უშედეგოდ.

მოქალაქე თ.ჯოხაძის სოციალური მდგომარეობა იყო ძალზე მძიმე, რამაც მნიშვნელოვანი ოჯახური პრობლემები გამოიწვია. მოქალაქის განმარტებით, უკიდურესი გაჭირვების გამო ოჯახიდან წავიდა მისი ვაჟი, რომელიც მე-9 კლასის მოსწავლეა.

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ქ-ნ ე. ასტემიროვას, საიდანაც საკითხის რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ, 4 აპრილს მივიღეთ პასუხი.ს ქ-ნ ე. ასტემიროვას პასუხის თანახმად, სამინისტრომ თ.ჯოხაძისთვის საცხოვრებელი ფართი საგარეჯოში გამონახა.

სამინისტროდან მიღებული პასუხის შესახებ ეცნობა მოქალაქეს და მიეცა წინადადება, რათა დეტალურად გაეცნოს შეთავაზებულ საცხოვრებელ ფართს და იქ არსებულ საცხოვრებელ პირობებს.

სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შედეგად წლების განმავლობაში უბინაოდ მყოფი, აფხაზეთიდან დევნილი თ. ჯოხაძე დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა.

2. ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ კვლავინდებურად მძიმე ვითარებაა შექმნილი ცხინვალის რეგიონში. ხშირია ისეთი ფაქტები, როგორიცაა ადამიანის გატაცება, უკანონო დაპატიმრება, ადამიანის დევნა ეთნიკური წარმოშობის გამო. ამ და სხვა უფლებებთან ერთად, ხელყოფილია მოქალაქეთა აზრისა და სიტყვის გამოთქმისა და გამოხატვის თავისუფლება.

ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით შექმნილ მდგომარეობას ასახავს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტები.

30 დეკემბერს ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის” ხელმძღვანელი ჟურნალისტი ალან ფარასტაევი ცხინვალის რეგიონში ოსმა სამართალდამცავებმა სასტიკად ცემეს. ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც მან ჰუმანიტარული ტვირთის ქართული სოფლებისკენ ცხინვალის გავლით გატარება მოითხოვა. იგი ტვინის მძიმე შერყევის დიაგნოზით ერთი კვირა მკურნალობდა ცხინვალის საავადმყოფოში, საიდანაც სამკურნალოდ თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს. ექიმების განცხადებით, მკურნალობის პირველი ეტაპის შემდეგ მას მეტყველება აღუდგა, თუმცაღა, მეხსიერების სრულად აღდგენა კარგა ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა.

20 იანვარს ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მძევლად აიყვანეს ერედვის პოლიციის უფროსი ლადო ჩალაური. ცხინვალის მხარემ მაშინვე განაცხადა, რომ მას გაცვლიდა კრიმინალ ალიკ ფუხაევში, რომელიც ქართველმა სამართალდამცავებმა 19 იანვარს დააკავეს. იგი ორი ქართველის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი.

20 მაისს გათავისუფლებულ იქნა 2004 წ-ს ზაფხულის პერიოდიდან ქ. ცხინვალში უკანონო პატიმრობაში მყოფი ალიკ კოზაევი, რომელიც საქართველოს კურორტებზე ცხინვალის რეგიონიდან ბავშვების გადაყვანისათვის დააკავეს.

ცხინვალში გაიტაცეს დავით, მამუკა და ჰამლეტ ხაჭაპურიძეები, რომელთა ადგილსამყოფელიც დღემდე უცნობია.

იანვრის თვეში ცხინვალის რეგიონში გაიტაცეს ორი ქართველი პოლიციელი. მათ ოსმა სამართალდამცავებმა თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს.

აღნიშნული კრიმინალური ფაქტების გარდა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს ისეთი სახის დანაშაულის მცდელობას, როგორიცაა მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მატერიალური ქონების კონფისკაცია. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ცხინვალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვადიმ ცხოვრებოვმა რუსულ სააგენტო “რეგნუმს” 8 აგვისტოს განუცხადა, რომ “სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება აპირებს ცხინვალში არსებული მიტოვებული ბინების იმ ოსი დევნილებისთვის გადაცემას, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხე 90-იანი წლების დასაწყისში კონფლიქტის დროს მიეტოვებინათ და სამხრეთ ოსეთში წასულიყვნენ”. მისი თქმით, ქ. ცხინვალის ადმინისტრაციაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და პარლამენტთან ერთად, შემუშავდა კანონპროექტი, რომლის მიხედვით მიტოვებული სახლის მეპატრონის გარკვეულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მას სახლი ჩამოერთმევა და დევნილს გადაეცემა. ვ.ცხოვრებოვის განცხადებით, ამჟამად ამ მიზნით მიმდინარეობს სახლების აღწერა. აღსანიშავია, რომ კერძო საკუთრების ამგვარი ჩამორთმევისა და „გადაცემის” შემთხვევები საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კვალიფიცირებულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაული.

3. ჩეჩენი და სხვა ლტოლვილების შესახებ

ჩეჩენი ლტოლვილებისთვის, ისევე როგორც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილებისთვის, პრობლემურია სოციალური საკითხები: ჯანდაცვა, დასაქმება, განათლება და სხვა. ხშირ შემთხვევაში, რუსეთის მასმედიის მიერ დამკვიდრებული ნეგატიური სტერეოტიპი დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა დონის ჩინოვნიკების მხრიდან ჩეჩენი ეროვნების ადამიანების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. ამის შედეგად ხშირად უდანაშაულო ადამიანებს ექმნებათ მთელი რიგი პრობლემები გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და სხვა საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტის დროს.

პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩნების ლტოლვილის სტატუსის შესახებ

2005 წლის 21 თებერვალს სახალხო დამცველს კოლექტიური განცხადებით მომართა პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების ნაწილმა - ლტოლვილთა ხელახალი რეგისტრაციის დროს მათი უფლებების დარღვევის შესახებ.

საკითხის სიმწვავიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომლები ჩავიდნენ პანკისის ხეობაში და ადგილზე შეხვდნენ ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ჩეჩენ ლტოლვილთა ნაწილს მართლაც უსაფუძვლოდ ეთქვა უარი ლტოლვილის სტატუსზე.

საკითხის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველს აპარატთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების, ჩეჩენი ლტოლვილებისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებით დაკომპლექტდა. კომისია შეხვდა ყველა იმ პირს, რომელიც ხელახალი რეგისტრაციის დროს თავს უფლებაშელახულად მიიჩნევდა და გაეცნო მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს.

განცხადებაში დასმული საკითხების სრულყოფლილად შესწავლის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა რეგისტრაციის ახმეტის რაიონის განყოფილებიდან და იუსტიციის სამინისტროს საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამმართველოს სამისამართო განყოფილებიდან გამოთხოვნილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. გაწეული მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ მოქალაქეთა ნაწილს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ სამართლიანად ეთქვა უარი ლტოლვილის სტატუსზე, ხოლო ორმოცი ადამიანის საკითხი დამატებით განხილვას საჭიროებდა.

მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რათა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეგროვებული დოკუმენტაციის გამოყენებით დამატებით განეხილათ ჩეჩენი ეროვნების ზოგიერთი ადამიანებისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი.

რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მინისტრის მოადგილის დ.გვათუას ხელმოწერით მივიღეთ პასუხი, რომლის თანახმადაც - "ლტოლვილთა შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ის სამართლებრივი დოკუმენტები, რომლითაც ამ პირებს შეუწყდათ ან ჩამოერთავთ ლტოლვილის სტატუსი – რეგისტრაციის გაუვლელობის, მოქალაქეობის დაუდგენლობისა და ვარაუდზე დაყრდნობილი მოსაზრებების გამო, გაუქმებულ იქნა".

ამდენად, სამინისტრომ გააუქმა ის ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვითაც ჩეჩნებს ლტოლვილის სტატუსი მოუხსნა.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელბის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად, ათობით ჩეჩენს აღუდგა ლტოლვილის სტატუსი, რაც მათ საშუალებას მისცემს, მიიღონ გაეროსა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ გამოყოფლი სასურსათო, სამედიცინო და სხვა ჰუმანიტარული დახმარება.

ჩეჩნეთიდან ლტოლვილი ქ-ნ მაქქა ხანჩუკაევას ოჯახის შესახებ

სახალხო დამცველს 2005 წლის 17 მარტს მომართა ჩეჩნეთიდან ლტოლვილმა მაქქა ხანჩუკაევამ. სახალხო დამცველის აპარატში შემოტანილ განცხადებით (№345-ხ), იგი მხარდაჭერას ითხოვდა თავისი ოჯახის შეერთების საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. მისი ოთხი შვილი იმყოფებოდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და მათ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი არ აძლევდა საქართველოში შემოსვლის საშუალებას.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, 2005 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნ ვ.მერაბიშვილს.

საქმის შესწავლისას სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდნენ გლუკ-ის თბილისის ოფისიდან და შეატყობინეს, რომ მათი (გლუკ-ის) ძალისხმევის შედეგად პრობლემა გადაწყდა. მათ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მ.ხანჩუკაევას შვილების გადმოყვანისა და საზღვარზე გადმოსვლის პროცესზე მეთვალყურედ დასწრება შესთავაზეს.

ხანჩუკაევას ოჯახის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, 22 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობისა და თავისუფლების საკითხთა სამმართველოს უფროსი ბექა მინდიაშვილი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს თანამშრომელი და გლუკ-ის თბილისის ოფისის წარმომადგენელი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მივიდნენ.

მიუხედავად დაპირებისა, გლუკ-ის ბაქოს ოფისმა ვერ უზრუნველყო ხანჩუკაევების გადმოყვანა. ჩეჩნებს არც აზერბაიჯანის მხარე უშვებდა თავისი ტერიტორიიდან და არც საქართველო იღებდა. საქართვლოს მესაზღვრეები აცხადებდნენ, რომ ლტოლვილებს მხოლოდ მას შემდეგ შემოუშვებდნენ, რაც შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის ნებართვას მიიღებდნენ.

ბექა მინდიაშვილის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბ-ნ ბადრი ბიწაძის საქმეში ჩართვა, რის შემდეგაც საქართველოს მესაზღვრეები დათანხმდნენ ლტოლვილების მიღებაზე. შეთანხმება მოხდა აზერბაიჯანელ მესაზღვრეებთანაც – ანუ ყველა ის პრობლემა, რაც აბრკოლებდა ხანჩუკაევების ოჯახის წევრების გაერთიანებას, მოიხსნა. ამის შემდეგ, გაეროს კომისარიატის ბაქოს ოფისმა, გაუგებარი მიზეზების გამო, ლტოლვილები წითელი ხიდიდან უკან, ბაქოში დააბრუნა.

ამ შემთხვევაში, შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის პოზიციის გამო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი იძულებული ხდება, დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის ნორმა, კერძოდ, გაეროს 1951 წ-ს კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ და ამ კონვენციის 1967 წლის დამატებითი ოქმი. ამ კონვენციის 31-ე და 33-ე მუხლები

მიუთითებს მასთან მიერთებულ ქვეყნებს, შეიფარონ მათ საზღვრებთან მისული თავშესაფრის მაძიებელი პირები.

19 მაისს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელს კ.ჩოფლიანს გლუკ-ის თბილისის ოფისიდან დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ მათ ოფისში ჩეჩნეთიდან ლტოლვილი მაქქა ხანჩუკაევა და მისი აზერბაიჯანიდან შემოსული შვილები იმყოფებოდნენ, რომლებმაც არალეგალურად გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი.

სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხთა სამმართველოს თანამშრომლები კ.ჩოფლიანი და ნ.თოფურიძე გლუკ-ის თბილისის ოფისში შეხვდნენ ხანჩუკაევებს, განუმარტეს ის უფლებები, რასაც მათ ამ შემთხვევაში ანიჭებს საქართველოს კანონმდებლობა და წაიყვანეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. იქ მათი თანდასწრებით ხანჩუკაევებმა, "ლტოლვილთა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების თანახმად, ლტოლვილად ცნობის შესახებ განცხადებით მიმართეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ხანჩუკაევები ცნო ლტოლვილის სტსტუსის მაძიებელ პირებად.

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატის წინაშე დასმული საკითხი მათი ოჯახის გაერთიანების შესახებ, გაწეული მუშაობის შედეგად, დადებითად გადაწყდა.

ჩეჩენი ლტოლვილის ადლან მაზაევის საქმის შესახებ

2005 წლის 7 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა საქართველოში ჩეჩნეთიდან ლტოლვილმა ადლან მაზაევმა. მისი განმარტებით, იგი ოჯახთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა ახმეტის რაიონში, სადაც მის შვილს (მაგომედ მაზაევს) 2004 წლის 31 დეკემბერს ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეემთხვა კონფლიქტი. ამის შემდეგ, მისი ოჯახის დარბევის მიზნით, საცხოვრებელ სახლთან მისულა 40-მდე ადამიანი, მაგრამ კონფლიქტში ჩარეულან მეზობლები და დაძაბული სიტუაცია განუმუხტავთ. აღნიშნული კონფლიქტის შემდეგ მისი ოჯახის (მეუღლე ზურა მაზაევა, შვილები - ამინათ და მაგომედ მაზაევები) უსაფრთხოება, ა.მაზაევის განმარტებით, ახმეტაში დაცული ვერ იქნებოდა და იგი იძულებული შეიქნა, საცხოვრებლად გადმოსულიყო თბილისში. აქ ა.მაზაევის ოჯახი მისმა ახლობელმა დროებით შეიფარა. ახმეტაში შექმნილი კონფლიქტური ვითარების შესახებ ა.მაზაევმა მაშინვე შეატყობინა გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის ახმეტის საველე ოფისის ხელმძღვანელის ბ-ნ ბახტა გურუნდის.

ა.მაზაევის საკითხის შესახებ მივმართეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელს საქართველოში ბ-ნ ნავიდ ჰუსეინს, რათა გაითვალისწინოს ა. მაზაევის ოჯახის უკიდურესად მძიმე მდგომარეობა და საამისო სახსრების არსებობის შემთხვევაში, მის ოჯახზე გასცეს იგივე ფინანსური დახმარება, რაც ჩვეულებრივ გაიცემა თბილისში მცხოვრებ ჩეჩნეთიდან ლტოლვილ პირებზე.

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობისა და თავისუფლების საკითხთა სამმართველოს უფროსის ბ.მინდიაშვილის წერილობითი მიმართვის შემდეგ, ა.მაზაევის ოჯახს გლუკ-ის თბილისის ოფისის მიერ დაენიშნა ფულადი დახმარება სულზე თვეში 30 ლარის ოდენობით.

ჩეჩნეთიდან ლტოლვილი ცათიაშვილების საქმის შესახებ

ძმები შენგელი, სოსლან და სულეიმან ცათიაშვილები არიან რუსეთის მოქალაქეები და ცხოვრებდნენ გროზნოში.

1984 წ-ს დაბადებული შენგელი ცათიაშვილი ცხოვრობდა ქ. გროზნოში და არის რუსეთის მოქალაქე. 2004 წ-ს იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ქ.გროზნოში, ვინაიდან განიცდიდა მუდმივ ზეწოლას და დევნას რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მხრიდან. ეს კი საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს. აღნიშნულის გამო მან დატოვა სამშობლო და აზერბაიჯანის გავლით შემოვიდა საქართველოში. 2004 წ-ს 15 დეკემბერს შ.ცათიაშვილმა ახმეტის რაიონის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის საველე ოფისს განცხადებით მიმართა, რადგან სურდა, დარეგისტრირებულიყო ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად. უფროსი ძმა - შენგელი ცათიაშვილი 2004 წ-ს 18 დეკემბერს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ცნობილ იქნა ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად.

მას შემდეგ, რაც შ.ცათიაშვილმა დატოვა ქ.გროზნო, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები არ წყვეტდნენ ვიზიტებს მის ოჯახში, ემუქრებოდნენ უმცროს ძმებს, სულეიმან და სოსლან ცათიაშვილებს, რომლებიც შესაბამისად არიან 1986 და 1990 წ-ში დაბადებულები. რუსეთის სპეცსამსახურების ზეწოლის გამო, ისინი იძულებულნი შეიქნენ, დაეტოვებინათ ქ.გროზნო და გადმოსულიყვნენ საქართველოში.

2005 წ-ს 6 მარტს სულეიმან და სოსლან ცათიაშვილები საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ. თბილისში მათ დახვდნენ უფროსი ძმა შენგელი და მათი ნახევარი ძმა გიორგი ცათიაშვილი. ჩამოსვლიდან მეორე დღეს, 7 მარტს, მათ მიმართეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მისულები შეხვდნენ ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ პირთა სამმართველოს თანამშრომელს, რომელმაც ისინი დღის მეორე ნახევრისთვის დაიბარა იმ მოტივით, რომ ცათიაშვილების ვიზიტის დროს ადგილზე, თითქოს, არ იმყოფებოდა რომელიღაც თანამშრომელი, რომელსაც ხელი უნდა მოეწერა ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის ცნობაზე. ცათიაშვილები მოგვიანებით კვლავ გამოცხადდნენ სამინისტროში. შენობის კიბეებზე ისინი გააჩერეს სამოქალაქო ფორმაში მყოფმა პირებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ იყვნენ უშიშროების თანამშრომლები, მაგრამ ვინაობა არ გაამხილეს და მოსთხოვეს მათთან ერთად წასვლა. ცათიაშვილები უშიშროების თანამშრომლებს წაჰყვნენ, რის შემდეგაც ისინი დააკავეს და ცალ-ცალკე დაკითხეს. აქვე აღსანიშნავია, რომ უმცროსი ძმა სოსლანი არის 14 წლის და მისი დაკითხვის უფლება არ ჰქონდა მოპოვებული უშიშროების თანამშრომელს (არასრულწლოვანის დაკითხვა შეიძლება პროკურორის სანქციით და მშობლის, პედაგოგის ან მზრუნველის თანდასწრებით. კანონის ეს მოთხოვნა ცათიაშვილების მიმართ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების მიერ შესრულებული არ ყოფილა).

ცათიაშვილების განცხადებით, მათ მიიღეს შეთავაზება, ითანამშრომლონ საქართველოს უშიშროების სამსახურთან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ საქართველოდან დეპორტაციით, რაც შემდგომში განახორციელეს კიდეც კანონის უხეში დარღვევით. მათი ნახევარი ძმა, საქართველოს მოქალაქე გიორგი ცათიაშვილი გაათავისუფლეს, ხოლო სამივე ძმა საღამოს 19-20 საათისთვის

წაიყვანეს წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან, საიდანც ისინი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლის ავტომანქანით გადაიყვანეს ნეიტრალურ ზონაში. აქვე აღსანიშნავია, რომ შ.ცათიაშვილი იმ მომენტისთვის, როდესაც უკანონოდ იქნა დეპორტირებული საქართველოდან, სარგებლობდა ლტოლვილის მაძიებლის სტატუსით და მისი დეპორტაცია ან ქვეყნიდან გაძევება შესაბამისი სამხილისა და სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელი იყო.

ამ ფაქტის შესახებ სახალხო დამცველის აპარატს შეატყობინეს ცათიაშვილების ნათესავებმა. შეტყობინების მიღების შემდეგ, 2005 წ-ს 12 მარტს, სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხთა სამმართველოს უფროსი ბ-ნი ბექა მინდიაშვილი, გაეროს ასოციაციის წარმომადგენელი ქ-ნ ხათუანა მადურაშვილი და ცათიაშვილების ნათესავი ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით გაემგზავრნენ წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან. ისინი შეხვდნენ როგორც ცათიაშვილებს, ასევე სასაზღვრო-გამშვები პუნქტის თანამშრომლებს და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მე-4 რეგიონული სამმართველოს უფროსს ლაშა მუმლაძეს.

მესაზღვრეთა განმარტებით, მათ არ დაუფიქსირებიათ ძმები ცათიაშვილების მიერ ა.წ. 7 მარტს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ფაქტი. მათ აღნიშნეს მხოლოდ ის, რომ 8 მარტს ნეიტრალური ზონიდან ცათიაშვილებმა მიმართეს საზღვრის გადაკვეთის თხოვნით, რაზეც მიიღეს უარი, ვინაიდან მათ არ გააჩნდათ შესაბამისი საბუთები.

ზემოაღნიშნული ვითარების შესწავლის შედეგად აღმოჩენილი კანონდარღვევების გამოსწორების მიზნით, დავუკავშირდით საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს კორნელი სალიას და ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენელს გია გაბუნიას, მაგრამ მათთან საუბრის შედეგად ვერ მოხერხდა ამ ადამიანების დარღვეული უფლებების აღდგენა.

23 მარტს ცათიაშვილები არალეგალურად დაბრუნდნენ საქართველოში და სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხთა სამმართველოს უფროსს ბექა მინდიაშვილს შეხვდნენ.

24 მარტს ბ.მინდიაშვილი პირადად გაჰყვა ჩეჩნეთიდან ლტოლვილ ცათიაშვილებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში და მინისტრ ე.ასტემიროვასთან შეხვედრა მოითხოვა. ქ-ნმა ე.ასტემიროვამ უარყოფითი შეფასება მისცა ცათიაშვილების მიმართ ჩადენილ უკანონობას და სამივე ძმაზე მისი უშუალო ხელმოწერით გასცა ლტოლვილის სტატუსის მაძიებლის ცნობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით, სრულიად კანონიერად ახორციელებს ჩეჩნეთიდან გადმოსული ადამიანების კონტროლს, თუმცაღა, მათ მიმართ ძალადობის, მუქარისა და დაშინების ხერხების გამოყენება სახალხო დამცველს მიუღებლად მიაჩნია.

ამ შემთხვევაში, ცათიაშვილების მიმართ დაირღვა როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე "ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" 1951 წ-ს გაეროს საერთაშორისო კონვენციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 33-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

თურქეთის მოქალაქე დურსუნ ალი ქუჩუკის საქმის შესახებ

2005 წლის 8 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა თურქეთის მოქალაქის, ეთნიკური ქურთის, დურსუნ ალი ქუჩუკის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ.ნიკოლაძემ.

მ.ნიკოლაძის ინფორმაციით, მისი დაცვის მქვეშ მყოფმა 2005 წლის 4 აპრილს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით მიმართა ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, მაგრამ ამ განცხადების განხილვის შედეგი მისთვის რამდენიმე თვის შემდეგაც უცნობი იყო.

გაურკვეველი მიზეზების გამო, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ "ლტოლვილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "სამინისტრო განცხადების წარდგენიდან სამი დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის რეგისტრაციის თაობაზე".

სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ რეკომენდაციით მიმართა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ქ-ნ ე. ასტემიროვას, რათა სამინისტროს შემჭიდროვებულ ვადებში გამოეტანა გადაწყვეტილება დურსუნ ალი ქუჩუკის ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესახებ შესაბამისმა დაწესებულებამ (ადრესატმა) გადაწყვეტილება ერთი თვის ვადაში უნდა მიიღოს და აცნობოს სახალხო დამცველს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დღემდე არაფერი უცნობებია. 27 ივნისს დურსუნ ალი ქუჩუკის ადვოკატმა მ.ნიკოლაძემ წერილით მოგვმართა, სადაც აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, დურსუნ ალი ქუჩუკი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად იქნა ცნობილი. ამავე წერილით ადვოკატმა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს კობა ჩოფლიანს და ნოდარ თოფურიძეს გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერებისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს დევნილთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვა ერთ-ერთი ურთულესი და მტკივნეული თემაა, ამადენად, იგი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. საქართველოს დევნილთა და ლტოლვილთა უფლებების დაცის მიზნით, უახლოესი პერიოდის ამოცანაა შემდეგი რეკომენდაციების გაზიარება:

მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით

საანგარიშო პერიოდში რწმენის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის, ამ ნიადაგზე საკანონმდებლო დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ტოლერანტული გარემოს მშენებლობის კუთხით მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. საქართველოს პარლამენტმა შესწორება შეიტანა სამოქალაქო კოდექსში, რომლის საფუძველზეც რელიგიურ გაერთიანებებს რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცათ, ასევე მიიღო კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომლითაც სასწავლო პროცესისას პროზელიტიზმი და ინდოქტრინაცია იკრძალება. შეიქმნა რელიგიათა ორი საბჭო: ერთი სახალხო დამცველთან, ხოლო მეორე – საპატრიარქოს ინიციატივის საფუძველზე; აღდგა 2002 წელს რელიგიური ექსტრემისტების მიერ გადამწვარი ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში, თბილისში კი, ამავე ეკლესიამ მოხუცებულთა არაკონფესიური თავშესაფარი „ბეთელი“ გახსნა. ამ თავშესაფრისთვის მიწის მოპოვება წლების განმავლობაში მეტად პრობლემური იყო გურამ შარაძისა და მისი თანამზრახველების წინააღმდეგობის გამო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რელიგიური უმცირესობები და ტოლერანტობის კულტივირება სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკისთვის კვლავაც მარგინალურ და არაპოპულარ თემად რჩება. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, ხელისუფლების სერიოზული დაინტერესება, ხელი შეუწყოს რელიგიურ უმცირესობათა სოციალურ და კულტურულ ცხოვრებში ინტეგრაციას ჯერჯერობით არ ჩანს.

1. ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში

2005 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა სამოქალაქო კოდექსის 1509 მუხლში, რომლის საფუძველზეც რელიგიურ გაერთიანებებს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში პირველად მიეცათ რეგისტრაციის შესაძლებლობა. შესწორების თანახმად, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით.

ამის მიუხედავად, რეგისტრაციის საკითხი რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისათვის ამ ეტაპზე კვლავაც გადაუჭრელი რჩება, ვინაიდან კათოლიკური ეკლესიის, სომხური სამოციქულო ეკლესიისა და ლუთერულ-ევანგელური ეკლესიის მესვეურები უარს აცხადებენ კერძო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსის მოპოვებაზე: მათთვის მიუღებელია ფონდის ან კავშირის სახით არსებობა, მით უფრო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საჯარო იურიდიულ პირს წარმოადგენს. შესაბამისად, ისინი ითხოვენ, ან რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის მიღებას, ან ამა თუ იმ კონფესიასა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების გაფორმებას და პრობლემის ამ გზით მოგვარებას..

2. განათლების კანონი და სკოლისა და ეკლესიის ურთიერთმიმართება

2005 წლის 8 აპრილს პარლამენტმა მიიღო „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“. ძველი კანონის I თავის 13-ე მუხლით გათვალისწინებული იყო თანამშრომლობა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ახალი კანონის თანახმად, საჯარო სკოლებში

იკრძალება პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია და არააკადემიური მიზნით რელიგიური სიმბოლოების გამოფენა. ეს ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესისას, არცერთი რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელს ან პედაგოგს აღარ მიეცემა ამა თუ იმ რელიგიის გავრცელების ან რაიმე რელიგიურ რიტუალში მოსწავლის ჩაბმის უფლება, როგორც ეს აქამდე ხდებოდა და ზოგჯერ დღესაც ხდება. სახელმწიფო და რელიგია კონსტიტუციითა და კონსტიტუციური შეთანხმებით ერთმანეთისგან გამიჯნულია და შესაბამისად დაუშვებელია საჯარო სკოლა ან რელიგიური გაერთიანება სასწავლო საათებში ავრცელებდეს, მხარს უჭერდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ამა თუ იმ აღმსარებლობას. თავად მოსწავლეებს კანონი ამ მხრივ სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

3. მემორანდუმი განათლების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის

განათლების სამინისტრომ კანონის მიღებამდე სამი თვით ადრე, 22 იანვარს საქართველოს საპატრიარქოსთან სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მემორანდუმი გააფორმა, რომელიც ერთობლივი კომისიის შექმნას გულისხმობს. კომისია შემდეგ საკითხებზე იმუშავებს:

ა) მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენა; ბ) პედაგოგიური კადრების შერჩევის, მომზადებისა და დანიშვნა–გათავისუფლების პროცედურის შემუშავება; გ) მართლმადიდებელი სარწმუნოების შემცველი საგნების და შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პროცედურის შემუშავება; დ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო და საღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსებისა და ქონებრივი საკითხების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ე) მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების დადგენა.

მემორანდუმი არღვევს სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპს და სხვა კონფესიების მიმდევართა დისკრიმინაციას გულისხმობს, რადგან:

1. მემორანდუმის თანახმად, სახელმწიფომ შესაძლოა დააფინანსოს მართლმადიდებლობის სწავლება როგორც საჯარო სკოლაში, ასევე საეკლესიო სასწავლო დაწესებულებებშიც.

2. საერო სკოლის რელიგიის (ამ საგნის დასახელება ჯერ არ არის განსაზღვრული) პედაგოგის შერჩევის, დანიშვნა-მომზადების, გათავისუფლების დროს შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს საპატრიარქომ. ამ შემთხვევაში შეიძლება განმსაზღვრელი აღმოჩნდეს პედაგოგის მრწამსი და არა კვალიფიკაცია, რითაც შეილახება აკადემიური თავისუფლების პრინციპი და არამართლმადიდებელი პედაგოგების დისკრიმინაცია განხორციელდება;

3. მემორანდუმში არსადაა ნათქვამი, რომ მართლმადიდებლობის შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია (კონსტიტუციური შეთანხმება კი ამას აღიარებს 5.1);

4. გაურკვეველია, რას გულისხმობს მემორანდუმის გ. პუნქტი. მართლმადიდებლური სარწმუნოების შემცველი საგნები და სახელმძღვანელოები, შესაძლოა იყოს

რელიგია, ლიტერატურა, ისტორია, საბუნებისმეტყველო დისციპლინები, შესაბამისად თუკი საპატრიარქო მონაწილეობას მიიღებს მათ შედგენაში, ამით: ა. შეილახება სწავლების სამეცნიერო ხასიათი (კრეაციონისტული თეორიის სწავლება სკოლაში); ბ. შესაძლოა საგანმანათლებლო სისტემამ რელიგიური ცენზურის ელემენტი დაუშვას; გ. სხვა აღმსარებლობებთან მიმართებით სწავლებამ არაპლურალისტური და ტენდენციური ხასიათი მიიღოს.

5. მემორანდუმი წინააღმდეგობაში მოდის განათლების კანონთან, რომლის თანახმად სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისგან, მიზნად ისახავს მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებზე დამყარებული ცნობიერების ჩამოყალიბებას და კანონის სახით იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას არამეცნიერული შეხედულების ან თეორიის, როგორც მეცნიერული ფაქტის ან მეცნიერული თეორიის სწავლება.

4. ხელშეკრულება აჭარის ავტონომიური რესპუბლის განათლების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოა ბათუმისა და სხალთის ეპარქიას შორის

2005 წლის 7 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და სხალთის ეპარქიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-9, მე-14 და 38-ე მუხლებს ეწინააღმდეგება და დისკრიმინაციის შემცველია. კანონსაწინააღმდეგოა ხელშეკრულების შემდეგი პუნქტები:

2.2. სამინისტრო უზრუნველყოფს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ეპარქიის საგანმანათლებლო დაწესებულების მონაწილეობას განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამაში;

2.4. მხარეები... იღებენ ვალდებულებას, იღვაწონ ერთობლივი სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დასაარსებლად, ამგვარ დაწესებულებათა რაოდენობის გასაზრდელად;

2.8. მხარეები ჩაატარებენ ერთობლივ სემინარებს იმ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ასწავლიან რელიგიის ისტორიას.

განათლების მინისტრის, კახა ლომაიას მიერ აჭარის განათლების მინისტრისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ, რომ მსგავსი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, ერთი მხრივ, მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს აქვს, ხოლო მეორე მხრივ, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი არ შედის საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური ხელშეკრულების მე-4 პუქტით გათვალისწინებულ პირთა ჩამონათვალში და ამდენად იგი უფლებამოსილი არ იყო, როგორც ხელშემკვრელი მხარე. აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტს ვერ ექნება იურიდიული ძალა.

5. კონსტიტუციური შეთანხმების დისკრიმინაციული ხასიათი

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური შეთანხმებით მართლმადიდებელი სასულიერო პირები თავისუფალნი არიან სამხედრო სამსახურიდან, სახელმწიფო

აღიარებს საეკლესიო ქორწინებას, იცავს აღსარების საიდუმლოს, დასვენების დღეებად აცხადებს დიდ საეკლესიო დღესასწაულებს, ეკლესია და სახელმწიფო თანამშრომლობენ ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, ეკლესია სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ეკლესიისთვის XIX-XX საუკუნეებში მიყენებული ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე და ა.შ.

სახელმწიფო ამ პრივილეგიებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს. ამით კი ფაქტობრივად ირღვევა კონსტიტუციითა (მუხლი 38.) და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული თანასწორობისა და არადისკრიმინაციის ფუნდამენტური პრინციპი. მანამდე, სანამ სახელმწიფო ასეთივე პრივილეგიებს არ მიანიჭებს სხვა კონფესიებსაც, ისინი კონსტიტუციური შეთანხმებით ფაქტობრივად ირიბ დისკრიმინაციას განიცდიან – არათანასწორ მდგომარეობაში იმყოფებიან მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია (1981) შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ წევრ ქვეყნებს პირდაპირ მიუთითებს, რომ **„ყველა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეფექტური ზომები დისკრიმინაციის თავიდან არიდებისა და ლიკვიდაციის მიზნით... სამოქალაქო, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ნებისმიერი სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს, რათა მიიღოს ან გააუქმოს კანონმდებლობა, როცა ეს აუცილებელია ნებისმიერი მსგავსი დისკრიმინაციის ასაკრძალავად (მუხლი IV)...“**

6. რელიგიური ძალადობა, დისკრიმინაცია და რელიგიის თავისუფლების შელახვა

წინა მოხსენებაში აღვნიშნავდით, რომ ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების შემდეგ საქართველოში, განსხვავებული აღმსარებლობების მიმართ ძალადობა, ექსტრემიზმი და დისკრიმინაცია შეწყდა. ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველო რელიგიის თავისუფლებისა და უმცირესობათა უფლებების დარღვევის თვალსაზრისით რისკის ჯგუფის ქვეყნების სიიდან ამოიღეს. სახალხო დამცველის სახელზე 2004 წლის აპრილიდან 2005 წლის აპრილამდე რელიგიური დისკრიმინაციის გამო მხოლოდ ერთი საჩივარი (თუ არ ჩავთვლით კათოლიკური ტაძრების დაბრუნების შესახებ შემოსულ განცხადებას) შემოვიდა, თუმცა, 2005 წლის აპრილიდან მდგომარეობა შეიცვალა და ივნისის თვის ჩათვლით 12 განცხადება და საჩივარია შემოსული. მათში აღწერილი ფაქტები და ამ ფაქტებზე სამართალდამცავთა რეაგირება შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს:

ა. ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებისა და კერძო ორგანიზაციების მხრიდან რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციასა და მოსახლეობის მხრიდან განსხვავებული აღმსარებლობის მოქალაქეებზე ძალადობას, უმეტეს შემთხვევაში, თან სდევს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების უპასუხისმგებლო, გულგრილი და ცინიკური დამოკიდებულება. ისინი რეაგირებას არ ახდენენ დანაშაულზე ან თავად ახდენენ დისკრიმინაციას (იხ. დანართი);

ბ. სამართალდამცავთა უმოქმედობა ქმნის დანაშაულის წახალისების, გაგრძელებისა და გამრავლების წინაპირობას. იმ სამართალდამცავთაგან, რომლებიც, მსგავს შემთხვევებში, სამსახურებრივ გულგრილობას იჩენენ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, ჯერჯერობით არავინ დასჯილა (იხ. დანართი);

g. რელიგიურ უმცირესობათა უფლებები და თავისუფლებები გარანტირებულია და დაცული საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. თუკი სახელმწიფო უმოკლეს ხანში ვერ უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვას, პრევენციული ქმედებების განხორციელებას და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავეთა გამოვლენასა და დასჯას, არსებობს საფრთხე, რომ რელიგიური დისკრიმინაცია უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს.

7. „სადავო“ ეკლესიები

ისევ გადაუჭრელია სომხური სამოციქულო და კათოლიკური ეკლესიებისთვის ტაძრების დაბრუნების საკითხი. წინა მოხსენების შემდეგ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. საბჭოთა პერიოდში სომხური სამოციქულო ეკლესია თბილისის მხოლოდ ორ ტაძარში აღასრულებდა მსახურებას. იგივე ვითარებაა დღესაც. თბილისში ხუთი უმოქმედო ტაძარია, რომელთა გამო მიმდინარეობს დავა საპატრიარქოსა და სომხურ სამოციქულო ეკლესიას შორის. საქართველოს მასშტაბით კი მხარეების მიერ სადავო ტაძრების სხვადასხვა რაოდენობა სახელდება. კათოლიკური ეკლესია საპატრიარქოს მიერ დაკავებული 4 ტაძრის დაბრუნების საკითხს სვამს: ქუთაისში, გორში, ივლიტასა და უდეში.

სადავო ტაძრების გამო შესამჩნევად დაიძაბა ურთიერთობა საქართველოს საპატრიარქოსა და სომხურ სამოციქოლო ეკლესიას შორის. ამ ეტაპზე სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია ყველაზე რადიკალურად თბილისში ნორაშენისა და ახალციხეში – სურბნიშანის ტაძრების დაბრუნების საკითხს სვამს. საპატრიარქო აცხადებს, რომ ამ ტაძრების საკითხის შემსწავლელი კომისიები მხოლოდ რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის მიღების შემდეგ შეიძლება შეიქმნას, რელიგიურ გაერთიანებათა კანონის თაობაზე კი პარლამენტმა უკვე გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება. საპატრიარქოს პოზიციას ტაძრების ისტორიული მეპატრონის შესახებ ანგარიშს უწევს ხელისუფლება, რომელიც ცალმხრივად ვერ წყვეტს, დაუბრუნოს თუ არა ტაძრები მათ ისტორიულ მფლობელებს. ამდენად, კათოლიკური და სომხური ეკლესიების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მიმართვებსა და განცხადებებს, სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ნორაშენის ეკლესიის საკითხი. ტაძარი საბჭოთა პერიოდამდე სომხურ სამოციქულო ეკლესიას ეკუთვნოდა, საბჭოთა პერიოდში აქ, მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა იყო განთავსებული, 1995 წ. 15 თებერვალს კი, საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიად აკურთხეს და მართლმადიდებლური წირვა ჩაატარეს, რასაც სომხური მხარის პროტესტი მოჰყვა. საპატრიარქო იძულებული გახდა, დაეტოვებინა ტაძარი, მაგრამ, სომხურ ეკლესიასაც არ დაუთმო იგი. დღეს ნორაშენის ეკლესია უმოქმედოა.

8. მედია და რელიგიური უმცირესობები

ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებაში გადამწყვეტი როლის შესრულება მასმედიას შეუძლია. რელიგიური ექსტრემიზმის საფუძველი და მასაზრდოებელი ინფორმაციის ნაკლებობაა. საზოგადოება ობიექტურად უნდა იყოს ინფორმირებული იმ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია რელიგიათშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით. მასმედიასთან უმცირესობების თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საზოგადოებისთვის ტაბუირებული თემების „გახსნას“ და სხვადასხვა აღმსარებლობების შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდებას. ამ სფეროში განსაკუთრებული დელიკატურობისა და კორექტულობის გამოჩენაა საჭირო, მაგრამ,

სამწუხაროდ, ქართული მედიასივრცე წლების განმავლობაში რელიგიური უმცირესობების შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების პროეცირების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

9. რელიგიათა საბჭოები და კონფესიათა ურთიერთდამოკიდებულება

2005 წლის 15 და 16 ივნისს შეიქმნა რელიგიათა ორი საბჭო. პირველი საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ინიციატივით შეიკრიბა, მეორის ინიციატორი სახალხო დამცველი იყო.

ბოლო წლების განმავლობაში საპატრიარქო უკიდურესად ერიდებოდა ნებისმიერი სახის დიალოგს სხვა რელიგიებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის ინიციატივა უპრეცედენტო იყო, რადგან მან ამ ნაბიჯით საზოგადოებას საუკეთესო წინაპირობა შეუქმნა არსებული ნეგატიური სტერეოტიპების დასამსხვრევად, რადგან ამით საპატრიარქომ ხმამაღლა განცხადა, რომ ამ რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებს შეუძლიათ სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში ჩაბმა, ამ საქმეში პოზიტიური წვლილის შეტანა (საპატრიარქოს ინიციატივით დაარსებულ საბჭოს სწორედ ასე ჰქვია: **სახელმწიფო აღმშენებლობის მხარდამჭერი რელიგიათა საკოორდინაციო საბჭო**) და ერთმანეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობა.

სახალხო დამცველთან არსებული საბჭო შეუწყნარებლობისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ეფექტური და კოორდინირებული ქმედებების განსახორციელებლად შეიქმნა. სახალხო დამცველმა და რელიგიათა საბჭოში გაერთიანებული კონფესიების წარმომადგენლებმა 21 ივნისს ხელი მოაწერეს ერთობლივ მემორანდუმს, სადაც ნათქვამია:

„ჩვენ თავს ვალდებულად მივიჩნევთ, მხარი დავუჭიროთ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, აქტიურად ჩავებათ სამოქალაქო ინტეგრაციასა და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებაში, მონაწილეობა მივიღოთ არსებული კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების ძიებაში, ვიტვირთოთ სოციალური, ზნეობრივი და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა; უმნიშვნელოვანესად გვესახება ერთობლივი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის თავისუფლებათა და უფლებათა საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციური პრინციპების დაცვისაკენ. ამ ამოცანების გადასაჭრელად, იმდენად, რამდენადაც ეს მისაღები და შესაძლებელი იქნება თითოეული მხარისთვის, ვუერთდებით რელიგიათა საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივას, რადგან სახალხო დამცველის ინსტიტუტის ფორმა, მნიშვნელობა და ავტორიტეტი სწორედ იმ რესურსს წარმოადგენს, რომელსაც სახელმწიფოსა და ცალკეულ ადამიანს შორის, უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის ეფექტური შუამავლობა და მათი ძირეული ფასეულობების გარშემო კონსოლიდირება შეუძლია“.

საბჭოს მიზანია, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყოს საზოგადოებას, რომ უკეთ გააცნობიეროს თავისუფლებისა და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპები; მყარი საფუძველი შეუქმნას პლურალიზმისა და ტოლერანტობის ფასეულობების დამკვიდრებას. საწყის ეტაპზე საბჭოს საქმიანობა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით წარიმართება. პირველი რიგის აუცილებლობა უშუალოდ რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთა დაახლოება და მათ შორის არსებული მტკივნეული საკითხების გარშემო დიალოგის წამოწყება გახლავთ, რადგან პრობლემების გადაჭრის წინაპირობა სწორედ დიალოგში ჩაბმაა. საბჭო იმსჯელებს საერთო პოზიციის ფორმირებაზე რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის

პრობლემასთან დაკავშირებით; მსჯელობის საგანი გახდება ამა თუ იმ კონფესიის უძრავ-მოძრავი ქონების დაკანონების, დაბრუნებისა და ახალი საკულტო ნაგებობის მშენებლობის საკითხები; საერთო აზრს შეიმუშავებს სკოლებში რელიგიის შესახებ სწავლების თაობაზე; რელიგიური უმცირესობები აქტიურად არიან ჩაბმული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესსა და სოციალურ მსახურებაში, მაგრამ მათი მოღვაწეობა ხშირად არაობიექტურად შუქდება, ანდა საერთოდ არაფერი ითქმის მათ შესახებ. ამდენად, საბჭო მედიასივრცეში არსებული ამ უმნიშვნელოვანესი ხარვეზის მოწესრიგებაზეც იმსჯელებს. საბოლოოდ, საბჭო დაეხმარება საზოგადოებას იმის გაცნობიერებაში, რომ რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოს სიმდიდრეა და მის განუმეორებელ ისტორიულ და კულტურულ იერსახეს ქმნის მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე.

რელიგიათა საბჭოში ამ ეტაპზე გაერთიანებულია 18 კონფესია. საბჭოსთან მოქმედებს ოთხი კომიტეტი: იურიდიული, საინფორმაციო-ანალიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სოციალურ-ჰუმანიტარული. საბჭოს სხდომები იმართება ორ თვეში ერთხელ. მასში თითოეული კონფესია ერთი ხმით არის წარმოდგენილი, თუმცა თავად სხდომებზე დასწრება და მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია, რადგან რელიგიური ძალადობისა და ექსტემიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ საზოგადოების მაქსიმალურად ფართო სპექტრი უნდა მოიცვას.

რელიგიათა საბჭოს ეგიდით უკვე განხორციელდა რამდენიმე ჰუმანიტარული აქცია.

(დანართი)

1. 07.04.2005 №452-ა *2005 წლის 7 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (№452-ა) მიმართა მოქალაქე ალბერტ აბრამიანმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას კნოლევის № 19-ში აქვს საკუთარი სახლი, რომლის ერთი სართული "იეჰოვას მოწმეების" რელიგიურ გაერთიანებას მიაქირავა. ამის გამო აღშფოთებული მეზობლები, როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, 2004 წლის 30 აგვისტოდან მასზე ახდენენ ზეწოლას, ხოლო 2005 წლის 13 მარტს მეზობელმა გ. ჩინჩალაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო მეზობლების მხრიდან მუქარამ, რამდენჯერმე ნასროლი ქვებით ჩაიმსხვრა აბრამიანის ფანჯრის მინები. ა. აბრამიანმა დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა საპატრულო პოლიციას, გლდანი-ნაძალადევის რ-ნისა და ქალაქის პროკურატურას. გლდანი-ნაძალადევის რ-ნის პროკურატურამ ერთხელ უკვე გამოიტანა სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ დადგენილება.*

სახალხო დამცველის აპარატის თამანშრომლებთან შეხვედრისას ა.აბრამიანმა აღნიშნა, რომ მეზობლები მას ისევ ემუქრებიან და სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყოფენ.

სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველოს ხელმძღვანელმა წერილობით მიმართა (27.04.05 №867/07-5) გლდანი-ნაძალადევის შსს პოლიციის სამმართველოს უფროსს ბადრი ღვინჯილიას. წერილს რეაგირება არ მოჰყვა. თუმცა სამმართველოს თანამშრომლებთან საუბრის შემდეგ (08.06.05) იგი საქმის გადამოწმებასა და ინფორმაციის მოწოდებას შეგვპირდა. ***2005 წლის 14 ივნისს მივიღეთ გლდანი–ნაძალადევის რაიონის შსს სამართველოს მე-9 განყოფილების უფროსის ფ. მირიანაშვილის სრულიად აბსურდული და ცინიკური პასუხი, სადაც ნათქვამია, რომ მოქ. ა. აბრამიანზე „იეჰოვას მოწმეების" მხრიდან რაიმე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.***

2. 07.04.20056 № 531-ც *2005 წლის 20 აპრილს, სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ლ.ცხოვრებაძემ და გ.პავლიაშვილმა (№ 531-ც). განცხადების თანახმად ისინი არიან იეჰოვას მოწმეები და 15 აპრილს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რელიგიურ საკითხებზე გამოესაუბრნენ უცნობ მამაკაცს, რომელმაც ისინი სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყო. ლ. ცხოვრებაძემ და გ. პავლიაშვილმა, იქვე მყოფი მოვაჭრეების რჩევით, საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. პატრული შემთხვევის ადგილზე სწრაფად მივიდა (ავტომანქანის ნომერი 72-05), თუმცა სიტუაციის განმუხტვისა და დამნაშავის დაკავების ნაცვლად მათ სიტყვიერად შეურაცხყვეს ისევ ლ.ცხოვრებაძე და გ.პავლიაშვილი, ხოლო პატრულის მხარდაჭერით შეგულიანებულმა უცნობმა მამაკაცმა ხელმეორედ სცემა იეჰოვას მოწმეებს.*

სახალხო დამცველის თანასწორობისა და თავისუფლების სამმართველოს უფროსმა ინციდენტის გასარკვევად წერილით მიმართა თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს გიორგი გრიგალაშვილს (03.05.05 № 900/07-5/531-ც). 1 ივნისს, პასუხისთვის დადგენილი 15 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ტელეფონით დავუკავშირდით საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს: „საპასუხო წერილი დიდი ხანია მზად არის და შეგიძლიათ წაიღოთ, თუ არა და დაელოდეთ სანამ გამოაგზავნიან" – ასეთი იყო ჩვენს ზარზე უცნობი თანამშრომლის რეაქცია. პასუხი მხოლოდ გ.გრიგალაშვილთან შეხვედრის შემდეგ მივიღეთ. მის წერილში ნათქვამია, რომ საპატრულო პოლიციის გამოძახება არ დადგინდა და შესაბამისად მათი მხრიდან არც შეურაცხყოფისა და მიკერძოების ფაქტი დასტურდება.

3. 26.04.05 №268-ოფ - ქ. თბილისის სპორტის სასახლის დირექციამ 18 აპრილს რელიგიური კონგრესის ჩასატარებლად დარბაზის დათმობაზე უარი განუცხადა ორგანიზაცია „საგუშაგო კოშკს“ (იეჰოვას მოწმეები). აღსანიშნავია, რომ დირექციამ თავის პასუხს საფუძვლად შემდეგი მოსაზრება დაუდო: „საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით სპორტის სასახლეში ხალხთა ფართომასშტაბიან შეკრებას ყოველთვის თან სდევს ექსცესები“.
სპორტის სასახლის დირექტორმა სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას აღნიშნა, რომ იგი მზად იყო დაეთმო დარბაზი, თუმცა მისი გადაწყვეტილება შეცვალა სატელეფონო ზარმა. ჩვენ ვერ დავადგინეთ ვისგან მოდიოდა ეს ზარი.

4. 2005 წლის 28 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელს დაუკავშირდა „ორმოცდაათიანელთა“ ეკლესიის წარმომადგენელი და დახმარება სთხოვა.

ორმოცდაათიანელთა ეკლესიის ხელმძღვანელი, ხუცესი ნიკოლაი კალუცკი თავისი სახლის სარდაფში დიდი ხუთშაბათისადმი მიძღვნილი ღვთისმსახურების ჩატარებას აპირებდა, ამის უფლებას კი მისი მეზობლები არ აძლევდნენ. ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ფანატიკურად განწყობილი მღვდლის, დავით ისაკაძის მრევლს (დაახ. 50-60 ადამიანი) თითქმის 4 საათის მანძილზე გზა ჰქონდა გადაკეტილი და ორმოცდაათიანელებს მსახურებაზე მისვლის საშუალებას არ აძლევდა. მოპიკეტეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ორმოცდათიანელებს და ფიზიკური ლიკვიდაციით ემუქრებოდნენ. ორმოცდაათიანელები ფიზიკურ თავდასხმას იქ მყოფმა საპატრულო პოლიციისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა გადაარჩინეს.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი გზის განთავისუფლების თაობაზე მოსახლეობასთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, დაუკავშირდა თბილისის პოლიციის უფროსს მერაბ ბადათურიას და ქმედითი ზომების მიღება სთხოვა, რათა მორწმუნეებს გამოეყენებინათ კონსტიტუციური უფლება და რელიგიური მრწამსის შესაბამისი რიტუალი შეესრულებინათ.

ადგილზე მისული თბილისის პოლიციის ხელმძღვანელობა თავდაპირველად, კანონდარღვევით მოქმედი მოსახლეობის დაშლის ნაცვლად, ორმოცდაათიანელთა ლიდერს ღვთისმსახურების გადადებას სთავაზობდა. სახალხო დამცველის წარმომადგენლის მოთხოვნის შემდეგ პოლიციამ პიკეტი სიტყვიერი მოლაპარაკებით დაშალა.

მოსახლეობის მხრიდან გზის გადაკეტვისა და რელიგიური უმცირესობის მიმართ მუქარის მიუხედავად, პოლიციამ არ შეადგინა ოქმი, არ დაადგინა აქციის ინიციატორები, არ მოხდა კანონდამრღვევთა დაკავება და, შესაბამისად, არც საქმე აღიძრა მომხდართან დაკავშირებით.

29 აპრილს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის თანდასწრებით, სოზარ სუბარი პირადად შეხვდა ნიკოლაი კალუცკის. შეთანხმდნენ, რომ უახლოეს ხანებში დაკმაყოფილდება კალუცკის მრავალწლიანი მოთხოვნა და მას რელიგიური რიტუალების ჩატარებისათვის ცალკე შენობის დაქირავებაში ხელს აღარავინ შეუშლის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონით ხუცესს ნიკოლაი კალუცკის აქვს სრული თავისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში შეკრიბოს მორწმუნეები და აღასრულოს მსახურება საკუთარ სახლშიც. ხოლო მისი ეს უფლება, მეზობლებისა თუ ექსტრემისტულად განწყობილი მართლმადიდებელი

მრევლის მხრიდან პროტესტის მიუხედავად, დაცული უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან.

სახალხო დამცველი მოსახლეობასაც შეხვდა და მათი მოქმედების არამართლზომიერება განუმარტა.

სახალხო დამცველის უშუალო ჩარევის შედეგად, ამ ეტაპზე მოსახლეობასა და ორმოცდაათიანელებს შორის კონფლიქტი ამოწურულია

5. №596-ხ 03.05.05 *2005 წლის 3 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ბოლნისის რ-ნის მცხოვრებმა ს. ხაჩატურიანმა.*

განცხადებაში ს. ხაჩატურიანი აღნიშნავდა, რომ ბოლნისის გამწვევი კომისიის მიერ მოტყუებით იქნა გაწვეული სავალდებულო სამხედრო სამსახურში და თავისი მრწამსიდან გამომდინარე (არის იეჰოვას მოწმე), სურვილი ჰქონდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად ემსახურა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში.

წერილი გაიგზავნა ალტერნატიული სამსახურის დეპარტამენტში, სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ როგორც ს.ხაჩატურიანს, ასევე ალტერნატიული სამსახურის დეპარტამენტის უფროსს ს.ბარნაბიშვილს, ბოლნისის გაწვევის კომისიის უფროსს მ.გიორბელიძეს (რომელმაც ჩამოგვიტანა გაწვევის დროს ჩატარებული სამედიცინო შემოწმების მასალის ქსეროასლი და თავისი მოხსენებითი ბარათი), ბოლნისის რ-ნის გამგებელს გ. არევაძეს და მის მოადგილეს ბ.რეხვიაშვილს. შევხვდით რეგიონული პოლიტიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის განყოფილების უფროსს დ. ჭელიძეს.

ყველა მხარის ჩარევით ს.ხაჩატურიანი მოხსნეს სამხედრო გაწვევის სამსახურის აღრიცხვიდან და გადაიყვანეს ალტერნატიული სამსახურის დეპარტამენტის აღრიცხვაზე. სახალხო დამცველის მიმართვით და რეკომენდაციით, ს.ხაჩარტურიანი დაინიშნა ბოლნისის გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურში.

6. *5 მაისს სახალხო დამცველს მიმართა ევანგელური ეკლესიის „სიცოცხლის სიტყვა“ ხელმძღვანელმა მამუკა ჯებისაშვილმა. მისი მონათხრობის თანახმად, 3-4 მაისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში საქადაგებლად ჩავიდნენ ამ ეკლესიის წევრები ია ჯინჭველაშვილი და გაიოზ შვანგირაძე. ამ ფაქტმა აღაშფოთა ადგილობრივი გამგებელი მურმან ხაზალია; აუკრძალა მათ ქადაგება და პირადობის მოწმობები მოსთხოვა. დააშინა იმით, რომ სასაზღვრო ზონაში იმყოფებოდნენ, მათი მოქმედება კანონსაწინააღმდეგო იყო და პოლიციას მოსთხოვდა რეაგირებას. გამგებლის მუქარის შემდეგ მქადაგებლებმა საქმიანობა შეწყვიტეს. სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მურმან ხაზალია დაუფარავად მიუთითებს ამის შესახებ. თუმცა, სამეგრელოს რეგიონში სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ „სიცოხლის სიტყვის“ მქადაგებლებს მისგან წინააღმდეგობა აღარ შეხვედრიათ.*

7. 31.05.05 №751-შ *2005 წლის 31 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს დ. შერმადინმა და დ. კარამანიანმა (№ 751-შ). მასში აღნიშნულია, რომ ისინი არიან იეჰოვას მოწმეები და 29 მაისს გლდანის მე-V მ/რ მე-VIII კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ვინმე ლევანმა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, წაართვა პირადი ნივთები, რელიგიური ლიტერატურა და მოგვიანებით დაწვა ისინი.*

*დ.შერმადინმა და დ.კარამანიანმა გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, რომელიც სწრაფად მივიდა შემთხვევის ადგილზე (ავტომანქანის ნომერი WKW-174 7414). პატრულის თანამშრომლებმა, დავით სულაძემ და გიორგიმ (განცხადებაში გვარი არ არის მითითებული), მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ოქმი შეადგინეს და კანონით გათვალისწინებული სხვა რეაგირება არ მოუხდენიათ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც განმცხადებლები აღნიშნავენ, მათი თანდასწრებით მოხდა მათი მეგობრის ვ.ქოქოსაძის ფიზიკური შეურაცხყოფაც. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველოდან კვლავ წერილი გაიგზავნა (**3.06.05 №1133/07-5/751-შ.**)*

5 ივნისს ორივე მხარე – საპატრულო პოლიციის თანამშრომლები (გ.ბიწაძე და დ.სულაშვილი) და რელიგიური გაერთიანების „იეჰოვას მოწმეები“ წევრები (დ. შერმადინი, დ.კარამანიანი, ვ.ქოქოსაძე), ასევე მათი ადვოკატი მ.ციმინტია შეხვდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენელს. პოლიციელებმა ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე უარი განაცხადეს ახსნა -განმარტების მიცემაზე. თუმცა მოგვიანებით მათგან ახსნა-განმარტება მაინც მივიღეთ, სადაც ისინი ცემის და ლიტერატურის დაწვის ფაქტს არ ადასტურებენ.

***8. 06.06.05 №787-ი** 2005 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველს მ.ირემაძემ მიმართა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მაისის თვეში, სამღერეთის ქუჩაზე ის და ნ.სახოკია, რომლებიც იეჰოვას მოწმეები არიან, რელიგიურ თემაზე გამოელაპარაკნენ ბ.წერეთელს (წერილში ნათქვამია, რომ ბ. წერეთელი ადრე პოლიციის თანამშრომელი იყო) და შეთანხმდნენ, რომ 1 ივნისს ისევ შეხვდებოდნენ. დათქმულ დღეს წერეთელმა ისინი სახლში შეიპატიჟა, სადაც ამ ორ ქალბატონს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, წაართვა რელიგიური ლიტერატურა და სახლის ეზოში დაწვა. ამ ფაქტს ესწრებოდნენ ბ. წერეთლის მეუღლე და და კიდევ სამი პიროვნება (მათი ვინაობა წერილში მითითებული არ არის). მ.ირემაძემ და ნ.სახოკიამ მოახერხეს გამოქცევა და მიმართეს ახლოს მდებარე ლოტკინის პოლიციის განყოფილებას. განყოფილებაში მათ დასცინეს, ხოლო საჩივრის შეტანაზე უარი უთხრეს უფროსის არყოფნის გამო.*

***9. 29.06.05 №983-ხ** 2005 წლის 29 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მაკა ხუნჯუამ (მცხოვრები ვარკეთილი - 3 IV მ/რ 414-274-ში), რომელშიც აღნიშნულია, რომ ის და პავლე აბდუშელიშვილი არიან იეჰოვას მოწმეები. 25 ივნისს მათ ვარკეთილის დასახლების 3 III მ/რ-ის 311-ე კორპუსში დანიშნული ჰქონდათ შეხვედრა. კორპუსის მე-7 სართულზე 12 სართულზე მცხოვრები დათო მარანელი შეხვდათ, რომელმაც ისინი სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყო.*

***10. 29.06.05 №992-კოლ** 2005 წლის 29 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა – გოდერძი კვარაცხელიამ (მცხ. ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ.№12,ბ. 67), ხვიჩა ნორაკიძემ (მცხ. ქ. ქუთაისი, ლესელიძის ქ.№1), თეიმურაზ ჩოგოვაძემ (მცხ. ქ. ქუთაისი, თბილისის ქ.№51), სულხან ვაჩიბერაძემ (მცხ. ქ. ქუთაისი, მშენებლის ქ.№35, ბ. 53). განცხადებაში, აღნიშნულია, რომ 2005 წლის აპრილის თვეში ქ. ქუთაისში, გ. ტაბიძის ქ. №44-ში შეიძინეს საცხოვრებელი სახლი (კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით – სანოტარო წესითა და საჯარო რეესტრში გატარებით).*

2005 წლის 26 ივნისს, ქუთაისში, გ.ტაბიძის ქუჩის №44–ში მდებარე სახლის ჭიშკართან შეიკრიბა 50-60–მდე ადამიანი, რომლებიც სახლის პატრონთა ფიზიკური ლიკვიდაციისა და სახლის გადაწვის მუქარით მოითხოვდნენ შენობაში დაწყებული სარემონტო სამუშაოების შეჩერებას. ამის ერთადერთი მიზეზი კი გახლდათ ის, რომ სახლის ახალი მეპატრონეები „იეჰოვას მოწმეები“ არიან. შეიქმნა ფიზიკური

ანგარიშწორების რეალური საფრთხე. იეჰოვას მოწმეებმა გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. ადგილზე მისულმა პატრულმა ფაქტობრივად არანაირი რეაგირება არ მოახდინა. ეს პროცესი დაახლოებით 2 საათს გრძელდებოდა. საბოლოოდ, პატრულის თანამშრომლებმა, დამნაშავეთა დაკავების ნაცვლად, ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიციის I განყოფილებაში თავად იეჰოვას მოწმეები ხ.ნორაკიძე და თ.ჩოგოვაძე წაიყვანეს, სადაც ჩამოართვეს პირადობისა და მართვის მოწმობები, ხოლო ინსპექტორმა შამილ რობაქიძემ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენა. ამ დროს სახლთან შეკრებილი ადამიანები ეზოში შეიჭრნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს პაატა კუპრავას და ძალის გამოყენებით გამოიყვანეს სახლიდან შალვა ხანთაძესთან ერთად.

სახლისა და მეპატრონეთა დარბევა გრძელდებოდა ყოველდღიურად. მოსახლეობა პერმანენტულად იკრიბებოდა სახლის ეზოში, ქვებს უშენდა სახლსა და იქ მყოფ იეჰოვას მოწმეებს. ამ შეკრებებისას განსაკუთრებით აქტიურობდა და თავდამსხმელებს აქეზებდა ადგილობრივი მართლმადიდებელი მღვდელი ზოსიმე.

5 ივლისს, ვითარებაში გასარკვევად სახალხო დამცველის წარმომადგენლები ქუთაისში ჩავიდნენ, რაც, როგორც გაირკვა, იეჰოვას მოწმეების მიმართ ანგარიშსწორების კიდევ ერთი მიზეზი გახდა. იმავე ღამით რამდენიმე პიროვნებამ სახლში მყოფ ადამიანებს აგურები დაუშინა. როგორც გაირკვა მათი აგრესია იმან გამოიწვია, რომ იეჰოვას მოწმეებმა დასახმარებლად სახალხო დამცველს მიმართეს. არიან დაზარალებულები, ჩამტვრეულია ფანჯრის მინები.

სარემონტო სამუშაოები შეჩერებულია, თუმცა ამის მიზეზი გარდა მოსახლეობის მხრიდან მუქარისა და თავდასხმისა, კიდევ ის გახდა, რომ ქუთაისის არქმშენინსპექციამ იეჰოვას მოწმეებს სარემონტო სამუშაოს გასაგრძელებლად ნებართვა მოსთხოვა.

დღეისათვის არცერთი თავდამსხმელი არ არის დაკავებული, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია მხოლოდ 5 ივლისის ღამეს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

11. № 1049-ბ 05.07.05 *2005 წლის 5 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა საერთაშორისო ქრისტიანული საქველმოქმედო - ჰუმანიტარული კავშირის „გადარჩენის" ხელმძღვანელმა მერაბ ბარბაქაძემ. ის აგრეთვე არის პროტესტანტული ეკლესიის ერთერთი განშტოების - „ღმერთის საელჩოს" - ხუცესი.*

ივნისის თვეში კავშირის წევრებმა გადაწყვიტეს საქველმოქმედო აქციების მოწყობა. მუხიანის დასახლების მოსახლეობისათვის ისინი მოძრავი კინოპროექტორის საშუალებით ეზოებში უჩვენებდნენ ფილმ „იესოს". მოსახლეობა თავიდან სიხარულით და ინტერესით შეხვდა ამ აქციას. მორიგი ასეთი აქციის დროს მოქალაქემ (ქალბატონის ვინაობა დაუდგენელია) გამოხატა უკმაყოფილება ფილმის ჩვენების გამო და დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას.

ადგილზე მივიდა საპარტულო პოლიციის თანამშრომელი გიორგი შარაშენიძე (საპატრულო ნომერი 412).

პატრულის თანამშრომელმა, როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოსთხოვა კავშირის წევრებს ფილმის ჩვენების შეწყვეტა და დაემუქრა, რომ დაუძახებდა ტელევიზიას. აქციის ორგანიზატორები დათანხმდნენ ტელევიზიის მოწვევას, მაგრამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გამოიძახა გლდანის შსს სამმართველოს პოლიციის თანამშრომლები.

ადგილზე მოსული პოლიციის თანამშრომლებიც, საპატრულო პოლიციის მსგავსად, გადავიდნენ მუქარაზე, რომ აქციის მომწყობებს წაიყვანდნენ პოლიციის განყოფილებაში და დააჯარიმებდნენ. პოლიციამ მათ აიძულა შეეწყვიტათ ფილმის ჩვენება.

12. 11 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს სოფელ ხოდაშენის (ახმეტის რაიონი) ევანგელურ ბაპტისტური ეკლესიის ხელმძღვანელმა ნანული ჯავახიშვილმა მიმართა. მან შეგვატყობინა, რომ მათ 2003 წელს კანონიერად შეისყიდეს სახლი, რომელშიც ბოლო თვეების განმავლობაში სარემონტო სამუშაოს ახორციელებდნენ, რათა ამ ნაგებობაში ბაპტისტური ეკლესია ამოქმედებულიყო. შენობის ყოფილმა მფლობელმა ომარ ახმეტელმა ივნისის თვის დასაწყისში, ნანული ჯავახიშვილს ძალის გამოყენებით წაართვა გასაღები. ამის გამო ბაპტისტური ეკლესიის მრევლი ვეღარ ახერხებს შენობაში შესვლას და რემონტის გაგრძელებას. გასაღები ამჟამად სოფლის გამგებელს აკაკი ბაბილაშვილს აქვს, რომელიც უარს ამბობს გასაღების დაბრუნებაზე.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომლის ტექსტსაც ქვემოთ გთავაზობთ და სპეციალური განცხადებით მიმართა შს მინისტრს და საქართველოს გენერალურ პროკურორს, რის შემდეგაც დაიწყო გამოძიება თითოეულ ამ ფაქტთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება რელიგიური ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით

ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების შემდეგ საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმისა და ძალადობის გამოვლინებებმა ერთბაშად იკლო. ამ მიმართულებით ქვეყანაში დაიწყო არაერთი სასიკეთო პროცესი, თუმცა, ბოლო სამი თვის მანძილზე რელიგიურ ნიადაგზე თავდასხმებისა და რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციის შემთხვევების გამო სახალხო დამცველის სახელზე შემოვიდა 12 განცხადება. ჩვენი რეკომენდაციების მიუხედავად, პოლიციამ და პროკურატურამ უმრავლესი მათგანი რეაგირების გარეშე დატოვა. აშკარაა, ერთი მხრივ, რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებათა და დისკრიმინაციული ფაქტების ზრდის ტენდენცია, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალდამცავ ორგანოთა ზოგიერთი ხელმძღვანელის არაეფექტური, გულგრილი და ხშირად მიკერძოებული მოქმედება.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო ქ.ქუთაისში ბოლო ორი კვირის განმავლობაში იეჰოვას მოწმეებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიმართავს შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს, უშუალოდ გააკონტროლონ ქუთაისში მომხდარი მოვლენები და სხვა ფაქტები, დააკავონ კონკრეტული დამნაშევეები და პოლიციის იმ თანამშრომლების მიმართ, ვინც სამსახურეობრივი გულგრილობა გამოიჩინეს, აღძრან სისხლის სამართლის საქმე.

სახალხო დამცველი უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში ბოლო პერიოდში რელიგიურ ნიადაგზე გახშირებული დისკრიმინაციისა და უფლებადარღვევის ფაქტების გამო და საზოგადოებას რელიგიის თავისუფლების კოსტიტუციური პრინციპისა და სხვა აღმსარებლობათა მიმდევარი ადამიანების პატივისცემისკენ მოუწოდებს.

სახალხო დამცველი შეახსენებს ყველას, რომ რელიგიური რიტუალებისთვის ხელის შეშლა, რელიგიურ ნიადაგზე შეურაცხყოფა, დისკრიმინაცია, მუქარები, პირადი საკუთრების ხელყოფა, ფიზიკური შეურაცხყოფა – ცემა და აღნიშნული ფაქტების მიმართ

სამართალდამცავების მხრიდან გამოჩენილი სამსახურებრივი გულგრილობა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 120, 125 155, 156, 160, 166, 342).

რეკომენდაციები

1. რელიგიურ გაერთიანებებთან, რომლებსაც არ სურთ გაიარონ რეგისტრაცია არსებული წესით, დაიდოს შეთანხმებები, რომლებიც განსაზღვრავს მათ სამართლებრივ სტატუსს და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის კონსტიტუციური შეთანხმებით არსებულ პრივილეგიებს სხვა აღმსარებლობებისთვისაც გაითვალისწინებს;
2. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა და რელიგიის თავისუფლების შელახვის ფაქტების გამოვლენისას სამართალდამცავმა სტრუქტურებმა იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და უზრუნველყონ დამნაშავეთა მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
3. საზოგადოებაში ტოლერანტული სულისკვეთების გაღრმავებისა და პლურალიზმის კულტურის პატივისცემის დამკვიდრებისათვის სახელმწიფომ შეიმუშაოს ტოლერანტობის კონცეფცია და უზრუნველყოს გონივრულ ვადებში ამ კონცეფციის განხორციელება;
4. მედიასაშულებებში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეშვეობით მოხდეს ტოლერანტობისა და პლურალიზმის კულტურის დამკვიდრებასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

ეთნიკური უმცირესობების უფლებები

წალკის რაიონი.

შეიძლება ითქვას, რომ წალკის რაიონში არსებულმა პრობლემებმა 2005 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში პიკს მიაღწია. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ ამ პრობლემების მოსაგვარებლად გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლის შედეგად გაუმჯობესდა იქ არსებული კრიმინოგენული ვითარება. წალკაში წარმოქმნილ სირთულეთა მიზეზები არ ატარებდა ეთნიკურ ხასიათს – სოციალური მოუწყობლობა, ეკონომიკური პრობლემები და მძიმე კრიმინოგენული ვითარება იყო დაპირისპირებათა გამომწვევი ფაქტორები. სირთულეს ქმნიდა ასევე დიდი რაოდენობით ეკომიგრანტების ჩამოსახლება ამ რაიონში, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი ბერძნების კუთვნილ, მაგრამ მიტოვებულ სახლებში უკანონოდ შედიოდა.

შედარებით უკეთესი სოციალ-ეკონომიკური პირობების მქონე ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ბერძნული და სომხური ეთნიკური წარმომავლობისაა, ხოლო უარეს პირობებში აჭარიდან და სვანეთიდან ჩამოსახლებული ეთნიკური ქართველები იმყოფებიან. თუმცა, ბერძნული მოსახლეობა აქ ყველაზე მეტად დაუცველია, რადგან ძირითადად წალკის რაიონში მოხუცები არიან დარჩენილი. ბერძნების უდიდესი უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ან დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს, ან ჩასულია იქ სამუშაოდ. წალკის რაიონში საბჭოთა პერიოდში 32 000 ბერძენი ცხოვრობდა, დღეისათვის კი მხოლოდ 1684-ია, აქედან დაახლოებით 1200 მოხუცია და ინვალიდი. მათგანაც 114-ს უკვე საბერძნეთის პასპორტი აქვს. ამით სარგებლობდნენ კრიმინალური ჯგუფები და ძარცვავდნენ ძირითადად ბერძნულ მოსახლეობას. ამიტომ ამ მხრივ წარმოქმნილი პრობლემები ხშირად ეთნიკურ ჭრილში განიხილებოდა, რაც სიმართლისგან შორსაა. თუმცა, რეგიონში ბოლო წლების განმავლობაში დამნაშავეთა დაუსჯელობა იმის უმთავრეს მიზეზად იქცა, რომ კრიმინოგენულ სიტუაციას 2005 წელს სწორედ ეთნიკური დაპირისპირების ხასიათი შეიძლებოდა მიეღო. იმაზე, თუ როგორ შეიძლება გადაიზარდოს დაუსჯელი კრიმინალი ეთნიკურ დაპირისპირებაში, 2005 წელს წალკაში მომხდარი ფაქტები მეტყველებს:

1. **2-3 იანვრის ღამე** გადაწვეს ტიმოფეი ისააკოვის კუთვნილი 1100 შეკვრა (დაახ. 20 ტონა) თივა. დაიწვა ასევე სათივე, რომელიც ვილსონ გაბრიელოვს ეკუთვნოდა.

2. ქალაქ წალკაში 5 იანვრის ღამეს უცნობებმა გაძარცვეს ძმები პოშნაგოვების სამი სახლი.

3. **9-10** იანვრის ღამეს გადაწვეს სონია ტანასოვას მიერ პრივატიზებული ბეტონის მოსარევი დანადგარის ხის კონსტრუქციები, სადაც 15 ტონა თივა ინახებოდა.
დაწვეს ასევე არმო მანგასაროვის 8 ტონა თივა.

4. **25-26** იანვრის ღამე. გადაწვეს საქონლის სადგომის ხის კონსტრუქცია, რომელიც სოფელ ახალიკის აღმოსავლეთით მდებარეობს.

5. **18** იანვარს დილის ექვს საათზე ორი ნიღბიანი მძარცველი სოფელ ავრანლოს მცხოვრებ 74 წლის კირიაკ სოტიროვის სახლში შევიდა. ის და მისი ცოლი დააბეს, აწამეს და ფულსა და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. სასტიკი ცემის შემდეგ ისინი

სარდაფში ჩააგდეს, მაგრამ სოტიროვის ცოლმა სარდაფიდან თავის დაღწევა მოახერხა და დასახმარებლად მეზობლებს მოუხმო, მაგრამ თავდამსხმელებმა მიმალვა მოასწრეს.

6. იანვარში, სოფელ ლივადაში აჭარიდან გადმოსახლებული 40 ადამიანი ბერძნების დაცარიელებულ სახლებში თვითნებურად შევიდა. ამ ფაქტს მხოლოდ ადგილობრივი პოლიციის ჩარევის გამო არ მოყვა დაპირისპირება და მძიმე შედეგი.

7. **23** თებერვალს წალკაში 10 კაციანი შეიარაღებული ბანდა მიხეილ ჩემურლიევის სახლში შეიჭრა. სასტიკად ცემეს მისი ცოლი და შვილი. ხოლო თავად მ.ჩემურლიევი მოკლეს წამებით. ამ ფაქტთან დაკავშირებით წალკაში ჩავიდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები. მათთან შეხვედრისას ბერძნული დიასპორის თავჯდომარემ პავლე კოტანოვმა აღნიშნა, რომ წალკაში ვითარება უკიდურესად კრიმინოგენულია, ბერძნული მოსახლეობა კი სრულიად დაუცველია. მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად დაძაბა იმან, რომ სვანეთიდან წალკაში გადმოსახლებულმა რამდენიმე ოჯახმა, მისი აზრით, შეიფარა რამდენიმე კრიმინალი. 2005 წელს კრიმინოგენულმა ვითარებამ წალკაში ამ საზარელი მკვლელობით პიკს მიაღწია. ამ მკვლელობამ ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობის მოთმინების ფიალა აავსო – განაცხადა კოტანოვმა; მათ დახმარებისთვის მიმართეს საბარძნეთის ელჩს საქართველოში, ბერძნულ უფლებადამცავ ორგანიზაციებს. საბერძნეთში საქართველოს საელჩოსთან მოეწყო მანიფესტაცია, საქართველოს მთავრობას საბერძნეთის მთავრობამ ვითარების დარეგულირება მოსთხოვა. ამ ფაქტის შემდეგ ბერძნული მოსახლეობა ითხოვდა სოფელი დაეტოვებინა იმ ოჯახებს, ვინც კრიმინალებს იფარავდნენ.

8. 2005 წლის 17 მარტს წალკის რ-ნის სოფელ ავრანლოში გამთენიისას ლიზა და იოსმან ქოლოეროვების ოჯახს თავს ყაჩაღთა სამკაციანი ჯგუფი დაესხა. მოხუცი ცოლ-ქმარი სასტიკად სცემეს და გაყიდული კარტოფილიდან მიღებული შემოსავალი - 1000 ლარი და 300 დოლარი - წაართვეს. ამ ფაქტის შემდეგ, დღის 14-14:30 საათზე მეზობელი სოფლიდან, კიზილკირისიდან, რომელიც ეთნიკური სომხებითაა დასახლებული, ხელკეტებით შეიარაღებული 50-მდე ადამიანი გადმოვიდა ავრანლოში. გზად სცემეს შემხვედრ ათამდე ქართველს და დაარბიეს სკოლის შენობა. ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით დაკავებულია მხოლოდ ერთი ადამიანი, ხოლო დარბევისა და მოსახლეობის ცემის გამო სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

ამ დროისათვის წალკაში მხოლოდ 10 პოლიციელი მუშაობდა და მათ მფლობელობაში ორი მანქანა იყო. ამ ინციდენტის შემდეგ წალკაში და სოფლებში ავრანლოში და ულიანკაში სპეცდანიშნულების რაზმის განთავსება გადაწყდა. წალკაში ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, წალკაში ქართველი, სომეხი და ბერძენი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული საპატრულო პოლიცია უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა საპატრულო პოლიციის ასეთი ჯგუფი ჯერჯერობით არ არის შექმნილი.

23 მარტს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ისევ ჩავიდნენ წალკაში. ისინი შეხვდნენ წალკის პროკურატურის გამომძიებლებს ნ.მატუას (იძიებდა ყაჩაღობის ფაქტს) და მ.კომლაძეს (იძიებდა სოფელ ავრანლოს მაცხოვრებლებზე კიზილკირისის სომეხი მოსახლეობის თავდასხმის ფაქტს) ნ. მატუამ განაცხადა, რომ ყაჩაღობის ფაქტზე დაკავებულია გელა შაინიძე და აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 179.2 მუხლით, ხოლო კიზილკირისის სომეხი მოსახლეობის თავდასხმის შესახებ საქმე დაიხურა, რადგან დაზარალებულთაგან არავის მიუმართავს სამართალდამცავებისთვის. სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს წალკის ბერძნული დიასპორის თავმჯდომარის მოადგილე ემანუელ პივალოვი,

რომელმაც განაცხადა, რომ მიუხედავად მათი მონდომებისა, 1997-2005 წლებში მომხდარი 40 დანაშაულიდან არც ერთი დამნაშავე დასჯილი არ არის.

9. 25 ივნისს წალკის რაიონის სოფელ ოლიანკში დაახლოებით დილის 10.00 საათისთვის რაიონში დისლოცირებულმა სპეც. დანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა „ვაზ 2107“ მარკის ავტომანქანას დაუმორჩილებლობის გამო ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც მძიმედ დაიჭრა მძღოლი, სოფელ კიზილკილისას მცხოვრები ვოვა ნაზარეთიანი. მას სამი ტყვია აქვს გულმკერდის არეში მოხვედრილი. ინციდენტს სოფელ კიზილკილისას მაცხოვრებლების საპროტესტო აქცია მოჰყვა. კიზილკილისას 70-მდე მაცხოვრებელი წალკის ცენტრში შეიკრიბა. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ რაიონიდან სპეცდანიშნულების რაზმის გასვლას. მათი განცხადებით, სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფას აყენებენ სომხურ მოსახლეობას და ხშირად არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამ ფაქტთან დაკაშირებით წალკაში ჩავიდნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია. ისინი შეხვდენ სოფელ კიზილკილისას მოსახლეობას, რომლებმაც განაცხადეს, რომ სპეცდანიშნულების რაზმის მთლიანად გაყვანის კი არ მოითხოვენ, არამედ მხოლოდ წალკაში ლოკალიზებას, ვინაიდან ისინი ხშირად აყენებენ შეურაცყოფას ადგილობრივ მოსახლეობას. მათივე განცხადებით ამ ფაქტიდან ორი კვირით ადრე სპეცრაზმის მანქანამ ბერძენი ქალბატონი გაიტანა, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მძღოლი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სომხურმა მოსახლეობამ ასევე აღნიშნა, რომ ისინი იმდენად სოციალური პრობლემების გამო კი არ ჩივიან, ვინაიდან მათ იციან, რომ ეს მთელი საქართველოს პრობლემაა, არამედ იმის გამო, რომ ხელისუფლება არ ახორციელებს ეფექტურ ინტეგრაციულ პოლიტიკას, მათ არ ასწავლიან ქართულ ენას, რის გამოც მრავალი სირთულე ექმნებათ. მათ აქვთ სურვილი, რომ სომეხმა ახალგაზრდებმა ქართულ ჯარში იმსახურონ, მაგრამ ამას ენობრივი ბარიერი უშლის ხელს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტიტს თავმჯდომარე და სახალხო დამცველის მოადგილე შეხვდნენ სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებს და პოლიციელებს, რომლებმაც უარყვეს სომხური მოსახლეობის ბრალდებები და განაცხადეს, რომ ვოვა ნაზარეთიანმა და მისმა ორმა მგზავრმა სოფელ ოლიანკში სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებს სთხოვეს მიეყიდათ ტყვიები. ამ ფაქტმა ისინი დააეჭვა და ნაზარეთიანის მანქანის გაჩხრეკა მოითხოვეს. ჟიგულის მარკის ავტომანქანაში მსხდომნი პოლიციის სპეცრაზმის წარმომადგენლებს არ დაემორჩილნენ და გაეცალნენ, სწორედ დაუმორჩილებლობისა და გაქცევის გამო გაუხსნა სპეცრაზმის თანამშრომელმა მათ ცეცხლი.

ულიანკის ბერძენი მოსახლეობა ერთხმად აცხადებს, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმი ადგილზე მხოლოდ მოსახლეობის უსაფრთხოებას იცავს და იქ იმისთვის არის განლაგებული, რომ რაიმე ექსცესს არ ჰქონდეს ადგილი. მართლაც, წალკაში სპეცდანიშნულების რაზმის დისლოცირების შემდეგ ყაჩაღური თავდასხმები თითქმის შეწყდა. მარტის თვის შემდეგ ქურდობის მხოლოდ ერთი ფაქტი მოხდა. ბერძენი მოსახლეობის წარმომადგენლები სპეცდანიშნულების რაზმის ამ ეტაპზე იქ ყოფნას უსაფრთხობის აუცილებელ პირობად მიიჩნევენ.

სახალხო დამცველის წინა ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ წალკაში არსებული კრიმინოგენული ვითარება პირდაპირ უკავშირდება წალკის პოლიციის უფროსის ზურაბ ქეშელაშვილის ზოგჯერ უმოქმედობას, ზოგჯერ კი დანაშაულებრივ ქმედებებს და შინაგან საქმეთა მინისტრს მისი თანამდებობიდან გათავისუფლებების

შესახებ რეკომენდაცია გავუწიეთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ამ რეკომენდაციის შესრულება მიზანშეწონილად ჩათვალა.

სხვა რეგიონებში არსებული ვითარება

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა რეგიონებში, საანგარიშო პერიოდში სიტუაცია, წინა პერიოდთან შედარებით შეიძლება ითქვას, არსებითად არ შეცვლილა, თუმცა, ინტეგრაციული პოლიტიკის კონტექსტში უნდა აღინიშნოს გარკვეული წინსვლები: ადგილებზე გაიხსნა რამდენიმე საპასპორტო მაგიდა, მიმდინარეობს მუშაობა გზების შესაკეთებლად, უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელებამ, საქართველოს პარლამენტი ემზადება ეროვნული უმცირესობების ჩარჩო ხელშეკრულებისა და ენობრივ უმცირესობათა ქარტიის რატიფიკაციისთვის. ქუთაისში დაარსდა სახლმწიფო მართვის სკოლა, სადაც მომზადებას გაივლიან ძირითადად ეთნიკური უმცირესობების წამომადგენლები, რათა შემდგომში გაცილებით გაიზარდოს საჯარო და სახელმწიფო სამსახურებში მათი დასაქმების მაჩვენებელი. ამ კუთხით ეს სკოლა ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტს როგორც კომპაქტურად, ასევე დისპერსიულად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო და საჯარო საქმიანობაში, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის პრობლემას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ისევ იმ პრობლემებისა და რეკომენდაციების შესახებ საუბარი, რომლებზეც წინა მოხსენებაში იყო გამახვილებული ყურადღება. ამჯერად მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებზე შევჩერდებით, რომელთაც საანგარიშო პერიოდში ჰქონდა ადგილი.

სომეხი ეროვნების მოქალაქეების უკანონო დაკავება

26 იანვარს ახალციხის პოლიციამ სეირან მარკოსიანი და ნორიკ გრიგორიანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავა. დაკავება კანონისა და პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით განხორციელდა. სომეხი ეროვნების მოქალაქეებს, რომლებმაც ქართული ენა არ იციან, სამართალდამცავებმა ოქმებზე ხელი მოტყუებით მოაწერინეს. რეგიონში, სადაც მოსახლეობის 60% ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ, ასეთი დარღვევები ტიპურია.

ჩხუბს, რომელშიც მონაწილეობის გამოც დაკავებულებს ხულიგნობის ბრალდება წაუყენეს, სამართალდამცავების ოფიციალური განცხადებით, ხუთი პოლიციელი შეესწრო. სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ მათი ჩვენებების საფუძველზე აღიძრა. საქმეში არ ფიგურირებს დაზარალებული მხარე, რადგან საჩივარი არავის შეუტანია.

ჩხუბის ფაქტი და მითუმეტეს მასში დაკავებულებების მონაწილეობა არც პოლიციელების ჩვენებებით დადასტურდა. ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, რომ მეუღლესთან ერთად სეირნობისას ორ ჯგუფს შორის ჩხუბს შეესწრო, თუმცა მის დანახვაზე ჩხუბის მონაწილეები გაიქცნენ. პოლიციელი ამბობს, რომ მხოლოდ ერთი წაქცეული ადამიანი სეირან მარკოსიანი დაინახა, მარკოსიანს იქვე ახლო მყოფი გრიგორიანი მიუახლოვდა და წამოდგომაში დაეხმარა. გრიგორიანი ადგილზე მხოლოდ ჩხუბის შემდეგ გამოჩნდა და მას ინციდენტთან კავშირი არა აქვს. მოწმის სტატუსით დაკითხულ დანარჩენ ოთხ პოლიციელს, როგორც ჩვენებებიდან ირკვევა, არაფერი დაუნახავს. ისინი ადგილზე მხოლოდ მას შემდეგ მივიდნენ, რაც ჩხუბის შემსწრე პოლიციელმა დაურეკა. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გია ანდღულაძე განმარტავს, რომ მარკოსიანისა და გრიგორიანის დაკავების საფუძველი

ფაქტობრივად არ არსებობდა. იმ დარღვევებს შორის, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტის რეგიონულმა ოფისმა საქმის მოკვლევისას გამოავლინა, პოლიციის მიერ გაყალბებული ოქმიც ფიგურირებს. ანდღულაძის ინფორმაციით, დაკავებულებს დაკითხვისა და დაპირისპირების ოქმებზე მოტყუებით მოაწერინეს ხელი. ორივე ოქმი ქართულ ენაზე იყო შედგენილი, რის გამოც დაკავებულებმა დოკუმენტების წაკითხვა ვერ შეძლეს. თავისუფლების ინსტიტუტის ახალციხის ოფისის წარმომადგენლის განცხადებით, პოლიცია, როგორც წესი, სომეხი ეროვნების მოქალაქეების დაკავებისას არასოდეს იყენებს თარჯიმნის მომსახურებას და ეს ახალციხეში ჩვეულებრივი მოვლენაა.

უხეში კანონდარღვევაა, რომ დაკავებულები, რომლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ, პოლიციამ თარჯიმანით არ უზრუნველყო და ოქმებზე ხელი ფაქტობრივად მოტყუებით მოაწერინა.

28 იანვარს ახალციხის სასამართლომ წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე ბრალდების მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რადგან საგამოძიებო მხარის მტკიცებულებები არააკმარისად მიიჩნია და პოლიციის მხრიდან პროცესუალური ნორმების დარღვევას გაუსვა ხაზი.

სამხედროების გამოქცევა ახალციხის ბატალიონიდან.

3 მაისის ღამით, ახალციხის სამხედრო ნაწილი თვითნებურად დატოვა 14-მა ეთნიკურად სომეხმა ჯარისკაცმა. როგორც ახალწვეულები აცხადებენ, სამხედრო ნაწილში ქართველი ჯარისკაცები მათ ეთნიკური ნიშნით ჩაგრავდნენ, დამამცირებლად ეპყრობოდნენ, აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, სძალავდნენ ფულს. გამოქცეულმა ჯარისკაცებმა იმ სერჟანტისა და ჯარისკაცების გვარები დაასახელეს, რომლებიც ღამის პერიოდში, ნაწილიდან ოფიცრების წასვლის შემდეგ, ავიწროებდნენ მათ. თავად ოფიცრებისა და ნაწილის მეთაურის მიმართ მათ პრეტენზია არ ჰქონიათ. ისინი არც ნაწილში არსებულ პირობებს უჩიოდნენ.

ჩვენ მათ ნაწილის თვითნებურად დატოვების დღესვე შევხვდით. ჩვენთან საუბარში ისინი უარს არ აცხადებდნენ ქართულ ჯარში სამსახურზე, თუმცა ითხოვდნენ გარანტიებს, რომ დაბრუნების შემდეგ მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას საფრთხე არ უნდა შექმნოდა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის ქართული ენა, ისინი საკუთარი ნებით წავიდნენ ქართულ ჯარში. ასეთი მასშტაბური მობილიზაცია პირველი შემთხვევა იყო რეგიონის სომხური მოსახლეობისთვის. ჩვენ შევხვდით ახალციხის სამხედრო ნაწილის მეთაურს ნოდარ ივანიძეს და ახსნა-განმარტება ჩამოვართვით როგორც ნაწილიდან წამოსულ, ასევე ნაწილში მყოფ ჯარისკაცებს. სომეხ ჯარისკაცებს ნაწილში სასწრაფოდ დაბრუნება ვურჩიეთ, ხოლო იმ პირთა მიმართ, ვინც ეთნიკური ნიშნით ჩაგრავს საქართველოს მოქალაქეებს, მკაცრი ზომების გატარება მოვითხოვეთ.

ამ ეტაპზე სამხედრო ნაწილს მხოლოდ შვიდი ჯარისკაცია დაუბრუნდა.

ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური საქართველოს ახალგაზრდობის ინტეგრაციისა და პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასთან ერთად, ურთიერთპატივისცემის კულტურის დამკვიდრების ასპარეზადაც უნდა გადაიქცეს. ამდენად, მსგავსი ინციდენტების პრევენციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სარადინ ფალანგოვის (მოლა კარა) გაუჩინარება

2005 წლის 28 ივნისს მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოში დაიკარგა სოფლის მკვიდრი სასულიერო პირი მოლა კარა – სარადინ ფალანგოვი. ამ ფაქტთან დაკავშირებით სადახლოს მოსახლეობამ, დაახლ. 400 ადამიანმა, საპრეტესტო მიტინგი მოაწყო მარნეულის გამგეობასთან. შეკრებილი მოსახლეობა მოითხოვდა მოლა კარას გაუჩინარების მიზეზის დადგენას. 28 ივნისს მოლა კარას საქონელი ყავდა გარეკილი საძოვრად, საიდანაც მოხდა მისი გაუჩინარება. ამ დროს სოფელში გაისმა გასროლის ხმები, გაუჩინარების ადგილზე ნაპოვნია მოლა კარას დასისხლიანებული ტანსაცმელი და ტყვიები. ამ ფაქტთან დაკავშირებით მარნეულში გამართული მიტინგი პოლიციის სპეცრაზმმა დაშალა. ამის შემდეგ სადახლოს საკრებულოს გამგეობის 5 აზერბაიჯანელმა წევრმა მიმართა პრეზიდენტ სააკაშვილს. მიმართვაში ნათქვამია, რომ სოფლის სამართალდამცავი სტრუქტურების არაპროფესიონალიზმმა, წარუმატებელმა საკადრო პოლიტიკამ სოფელი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. მიმართვაში ასევე ნათქვამია, რომ ახლა სხვადასხვა აქციები და მიტინგები ხელს არ შეუწყობს აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის ერთობას, სტაბილურობას რეგიონში, არამედ პირიქით, ქვეყნის შიგნით და მის გარეთ რეაქციული ძალების აქტივიზაციას გამოიწვევს, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს არაჯანსაღი განწყობილება, რაც მოლას კარას გაუჩინარებამ გამოიწვია. ამ მიმართვის გარდა, სადახლოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ერთობლივი განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს და რეგიონში ჩასვლა სთხოვა, მათი განცხადებით ცენტრალური სამართალდამცავი ორგანოები უკანონოდ ახორციელებენ ჩხრეკას სადახლოს გამგებლის ნიზამი მამედოვის სახლში, ვინაიდან მოსახლეობის მეორე ნაწილი სწორედ მას, გამგეობის სხვა წევრებსა და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებს ადანაშაულებს მოლა კარას გაუჩინარებაში. საპროტესტო აქციები გამართა თბილისში სადახლოს მოსახლეობის მეორე ნაწილმაც. ისინი უმოკლეს ვადაში მოითხოვდნენ მოლა კარას გაუჩინარების ფაქტის გამოძიებას, დადგენას - ცოცხალია თუ არა იგი, საპირისპირო შემთხვევაში კი იმუქრებოდნენ, რომ თავად გაუსწორდებოდნენ იმათ, ვისაც მოლა კარას გაუჩინარებაში დამნაშავეებად მიიჩნევდენ. ამ ინციდენტის შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლეს ადგილობრივი პოლიციის განყოფილების უფროსი ამირან შუბითიძე. მოლა კარა ერთერთი ორგანიზატორი იყო 2004 წელს და 2005 წლის მარტში მოწყობილი აქციებისა, სადაც აზერბაიჯანელი მოსახლეობა მიწებისა და ცხენსაშენთან დაკავშირებული პრობლემების, რეგიონში მომხდარი მკვლელობების გახსნას მოითხოვდა. აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ მიტინგი გამართა ბაქოში, აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წინ სიმართლის დადგენისა და სამართლიანობის მოთხოვნით. ჩვენ აღნიშნული ფაქტის გამოძიების მიზნით შეხვდით სადახლოს მოსახლეობას.

ამ ფაქტთან მიმართებით თითქმის შეუძლებელია იმის თქმა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოლა კარას ეთნიკურმა წარმომავლობამ განაპირობა მის მიმართ ჩადენილი დანაშაული. ამას არც სადახლოს მოსახლეობა ამბობს, პირიქით, მათ სწორედ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების მიმართ აქვთ ეჭვი. თუმცა ის ფაქტი, რომ ეს და მრავალი სხვა დანაშაული ამ რეგიონში გახსნილი არ არის და რეგიონის მოსახლეობის კითხვები ხშირ შემთხვევაში სახელწიფოს მხრიან უპასუხოდაა დარჩენილი, სწორედ ეთნიკური ნიშნით იწვევს უკმაყოფილებას და მოსახლეობაში სახელმწიფოსადმი უნდობლობის განცდას აღვივებს.

რეკომენდაციები.

მაქსიმალურად დაჩქარდეს ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიება;

ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას თარჯიმნის მომსახურება;

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი ახალგაზრდებისთვის შეიქმნას ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური პროგრამა. ასევე, სამხედრო ნაწილებშიც სახელმწიფომ უზრუნველყოს ქართული ენის არმცოდნე ახალწვეულებისათვის ენის შესწავლის შესაძლებლობა.

სიტყვის თავისუფლება

ზოგადი მიმოხილვა

გასული წლის ანგარიშში ჩვენ შევეცადეთ, აღგვეწერა ის ვითარება, რაც ქართულ მედიაში შეიქმნა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ. ერთი მხრივ, 2004 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", რომელმაც მოახდინა მედიასივრცის სრული ლიბერალიზაცია. მეორე მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა პოსტრევოლუციურ პერიოდში ქართული მედიის საქმიანობა შეაფასეს, როგორც "თვითცენზურული", თავად ჟურნალისტები და რედაქტორები კი უჩიოდნენ სარედაქციო დამოუკიდებლობის დეფიციტს.

2005 წლის პირველ ნახევარში ვითარება არსებითად არ შეცვლილა. თუმცა, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ორი ფაქტი, როდესაც რედაქტორებმა საჯაროდ გამოთქვეს პროტესტი სარედაქციო დამოუკიდებლობის შეზღუდვის გამო. პირველი შემთხვევა მოხდა ბათუმში, აჭარის ტელევიზიაში, როდესაც საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნატო იმედაიშვილმა პოსტი დატოვა ტელევიზიის ხელმძღვანელობის მხრიდან ზეწოლაზე პროტესტის ნიშნად. ნატო იმედაიშვილთან ერთად სამსახურზე უარი თქვა აჭარის ტელევიზიის რამდენიმე ჟურნალისტმაც. საქართველოს სახალხო დამცველი ჩავიდა ბათუმში, შეხვდა ორივე მხარეს და, იმის გამო, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი დადასტურდა, მხარი დაუჭირა აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობის გადადგომას. მართლაც, აჭარის ტელევიზიის დირექტორმა და მისმა მოადგილემ პოსტები დატოვეს და ტელევიზიაში ხელმძღვანელობა შეიცვალა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნატა იმედაიშვილი სამსახურში არც ამის შემდეგ დაბრუნებულა.

მეორე შემთხვევა, როდესაც რედაქტორმა საჯარო პროტესტი გამოთქვა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გამო, მოხდა ტელეკომპანია "იმედში". ტელეკომპანიის მფლობელმა ეთერში არ გაუშვა სიუჟეტი, რომელიც მოამზადა გადაცემა "დროებამ" და რომელიც ეხებოდა ფინასური პოლიციის უფროსის – დავით კეზერაშვილის – საქმიანობას. ეს ფაქტი საჯაროდ გააპროტესტა გადაცემა "დროების" ავტორმა, ჟურნალისტმა გიორგი თარგამაძემ, რომელმაც თავისი გამოსვლით აღიარა, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა დღევანდელი მედიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა.

თუმცა, ეს არის პრობლემა ,რომლის შესახებაც ჟურნალისტები და რედაქტორები, როგორც წესი, მხოლოდ პირად საუბრებში ლაპარაკობენ, ხოლო საჯაროდ ამაზე ლაპარაკს ყველა ერიდება. ეს ჩანს იქიდანაც, რომ სახალხო დამცველის ოფისში ამ კუთხით არც ერთი განცხადება არ შემოსულა და არც ხმამაღალი განცხადებები გაკეთებულა ამ თემაზე, მაშინ, როცა სახალხო დამცველის ოფისში შემდგარი რამდენიმე დისკუსის დროს ეს ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

რატომ აღმოჩნდნენ დაქირავებული რედაქტორები და ჟურნალისტები საკუთარი მედიამფლობელების პირისპირ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენ ვცადეთ 2004 წლის ანგარიშში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჟურნალისტები და რედაქტორები საჯაროდ არ საუბრობდნენ ინტერესთა კონფლიქტზე მედიასაშუალებებში. საქმე ისაა, რომ რევოლუციის წინა პერიოდში, როდესაც პრესის სიმწვავემ უმაღლეს დონეს მიაღწია, ჟურნალისტების მთავარი მოკავშირე და ხელისუფლების ზეწოლისგან მათი დაცვის უპირველესი გარანტი მათივე მედიამფლობელი იყო. რევოლუციის შემდეგ სიტუაცია ტელევიზიებში ნაწილობრივ შეიცვალა, რაც

შემდეგი მიზეზით შეიძლება აიხსნას: ვიდრე ტელეკომპანიის ფლობა წამგებიანი ბიზნესია, ინვესტიცია ტელევიზიებში მუდამ პოლიტიკური ხასიათის იქნება. სწორედ ეს რეალობა განაპირობებს დღევანდელ ქართულ მედიაში ჩამოყალიბებულ სურათს, სადაც ხელისუფლება და მედიამფლობელები აღმოჩნდნენ ერთ ნაპირზე, მეორე ნაპირზე კი დარჩნენ დაქირავებული რედაქტორები და ჟურნალისტები.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, გაჩნდა შეკითხვა: რა ბერკეტები შეიძლება ამოქმედდეს იმისათვის, რომ ჟურნალისტებმა მეტად დაცულად იგრძნონ თავი საკუთარი მედიამფლობელების წინაშე და, შესაბამისად, უფრო კეთილსინდისირად შეასრულონ თავისი პროფესიული მოვალეობა?

ამ შეკითხვას, უპირველეს ყოვლისა, თავად ჟურნალისტები სვამენ და მასზე პასუხსაც ეძებენ.

არსებული ვითარების უკეთ შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა მოაწყეს 14 შეხვედრა მედიის და მედიასთან დაახლოებული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათ შორის, თერთმეტი - სხვადასხვა რეგიონში და სამი - თბილისში, სახალხო დამცველის ცენტრალურ ოფისში. აქვე გვინდა მადლობა ვუთხრათ ყველას (განსაკუთრებით, რეგიონებში), ვინც დაგვეხმარა ამ ღონისძიებების ორგანიზებაში და ვინც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა შეხვედრებში. ჩვენი წარმომადგენლები შეხვდნენ მედიამფლობელებს, ჟურნალისტებს და რედაქტორებს საქართველოს შემდეგ ქალაქებში: გორში, გურჯაანში, ლაგოდეხში, ახალციხეში, ბორჯომში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ფოთში, ზუგდიდსა და რუსთავში. დღეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ფლობს მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას ზოგადად ქართული მედიის წარმატებებისა და პრობლემების შესახებ.

ერთიანი სურათის აღსაწერად რამდენიმე პარამეტრს მოვიშველიებთ. შეიძლება ითქვას, რომ მთელ საქართველოში ჯერ კიდევ არის ბევრი ქალაქი, სადაც თავისუფალი გაზეთი საერთოდ არ არსებობს. ქართული რადიოები გამოირჩევიან ერთი თავისებურებით – მათი რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ ხარისხი, როგორც წესი, მაღალია.

საქართველოში არის ქალაქები, სადაც პრესა განსაკუთრებით მრავალფეროვანი და/ან ძლიერია. ასეთი ქალაქების რიგს მიეკუთვნება გურჯაანი, გორი, ფოთი, ბათუმი, ჩოხატაური, ქუთაისი.

რეგიონულ ტელევიზიებს, როგორც წესი, ბევრი მაყურებელი ჰყავს, იმის მიუხედავად, რომ ტელეკომპანიების აბსოლუტური უმრავლესობა აშუქებს მხოლოდ ყოველდღიურ მიმდინარე მოვლენებს. ტელედებატები ჩნდება მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში და დიდ ინტერესაც იწვევს, მაგრამ არჩევნებს შორის პერიოდში მაინც ქრება ეკრანიდან. როგორც წესი, რეგიონული ტელეკომპანიების ხელმძღვანელებს ნორმალური (ხშირ შემთხვევაში, კარგი) ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. რეგიონულ ტელეკომპანიებში არ მზადდება საავტორო გადაცემები, რისი უმთავრესი მიზეზიც ფინანსური პრობლემაა. ზოგადად, ქართულ რეგიონულ მედიას ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი დახმარება გაუწიეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა – საგრანტო პროგრამების სახით. მაგრამ განვითარების პროცესი გრძელდება, დახმარება კი მცირდება. ამ პირობებში, რეგიონული ტელევიზიების სამომავლო ბედი საზოგადოების და დაინტერესებული ორგანიზაციების საგანგებო ყურადღების და მსჯელობის თემად უნდა იქცეს.

ბევრი რეგიონული მედიის პოზიციაზე სერიოზულ გავლენას ახდენს მისი იურიდიული სტატუსი და მფლობელის ვინაობა, რადგან ისინი ხშირად ან ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის კუთვნილებაა, ან ადგილობრივ ხელისუფალთა იურიდიულსა თუ ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფება.

რაც შეეხება რეგიონულ გაზეთებს, რამდენიმე გაზეთი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამოიცემა, მრავალფეროვანიც არის, მწვავეც, საინტერესოც და ეთიკურიც. რეგიონულ გაზეთებში მუშაობენ ჟურნალისტები, რომლებსაც პრობლემები ექმნებათ ხელისუფლების სხვადასხვა შტოდან. ზოგჯერ დაბრკოლებები ეპიზოდურია, ზოგჯერ კი მათი გადალახვა დიდ ენერგიას და გამძლეობას მოითხოვს (იხ. გელა მთივლიშვილის შემთხვევა). მიუხედავად მძიმე სოციალური ფონისა, რეგიონულ გაზეთებს მკითხველი არ აკლია. ზოგიერთი მათგანი უკვე თბილისშიც ვრცელდება.

ზოგადად, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედიასივრცე ერთიანია. შესაბამისად, საერთოა პრობლემებიც, რაშიც ჩვენ დავრწმუნდით ჯერ რეგიონების, შემდეგ კი - თბილისის მედიაში მომუშავე ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან შეხვედრისას.

კონკრეტული პრობლემები

ქართულ მედიასივრცეში სადღეისოდ არის ორი კონკრეტული პრობლემა, რომელიც უსათუოდ უნდა აისახოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში.

კონტრაქტების სისტემა. *დღეისათვის ჟურნალისტების შრომითი კონტრაქტები ან არ არსებობს, ან არასრულყოფილია და შრომის კოდექსის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.* ეს არის დასკვნა, რომელიც მეტ-ნაკლებად ერთნაირად ეხება როგორც რეგიონულ, ისე თბილისის მედიას. კონტრაქტების პობლემა პირდაპირ უკავშირდება სარედაქციო დამოუკიდებლობის დეფიციტს. ერთი მთავარი ბერკეტი, რომელიც მედიამფლობელისგან დაიცავს ჟურნალისტსაც და დაქირავებულ რედაქტორსაც, სწორედ კონტრაქტია. ჟურნალისტები თავს განსაკუთრებით დაუცველად გრძნობენ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ოფიციალური საბუთი, სადაც მითითებულია დამქირავებლის და დაქირავებულის უფლება-მოვალეობები, სამუშაოს აღწერა, კონტრაქტის ვადა, ხელფასი, სამუშაო საათებისა და დასვენების დღეების რაოდენობა. არადა, ყველა ამ პუნქტს შრომის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

მაგალითისთვის ვიტყვით, რომ საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებს კონტრაქტები საერთოდ არ ჰქონდათ, საზოგადოებრივი ტელევიზიის და "იმედის" ჟურნალისტებს კი მხოლოდ ერთთვიანი კონტრაქტები ჰქონდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი არასასურველი ჟურნალისტი და რედაქტორი, შესაძლებელია, სამსახურიდან გათავისუფლდეს ყოველი თვის ბოლოს. შესაბამისად, ჟურნალისტიც ფრთხილობს და ცდილობს, არ დაუპირისპირდეს დამქირავებლის ნებას. ეს კი ზრდის ან არაკეთილსინდისიერი საქმიანობის, ან სამსახურის დაკარგვის რისკს. ამიტომ, ჟურნალისტები მთელ საქართველოში ითხოვენ, რომ მათი საქმიანობა დაეფუძნოს კანონის შესაბამის კონტრაქტს.

მაგრამ კონტაქტების სისტემის ამოქმედება უკავშირდება მეორე არსებით პრობლემას – **მედიასივრცის სრულ ლეგალიზაციას**. კონტრაქტების სრულყოფილი სისტემა

გულისხმობს, რომ ყველა მედიასაშუალებაში უნდა დაფიქსირდეს რეალური და არა ფორმალური ხელფასები; გაუქმდეს "შავი" ბუღალტერია და მედიამფლობელებმა გადაიხადონ ყველა გადასახადი, რასაც მათ საქართველოს კანონმდებლობა აკისრებს. ეს პროცესი გარდუვალია, რადგან ჩვენს ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება ნებისმიერი ბიზნესის და საქმიანობის "გათეთრებისა". მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მედიასივრცის სრული ლეგალიზაცია აუცილებლად გამოიწვევს მედიასაშუალებების გარკვეული ნაწილის დახურვას და დარჩენილი ნაწილის გამსხვილებას. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია მედიასივრცეში სამუშაო ადგილების მკვეთრ შემცირებასთან. ამ პროცესს გაუძლებენ მხოლოდ კონკურენტუნარიანი ჟურნალისტები და მედიასაშუალებები, დანარჩენები კი მედიასივრციდან ბუნებრივად განიდევნებიან.

როდესაც ჩვენ ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან დაწვრილებით ვისაუბრეთ ამ საკითხის ირგვლივ, აღმოჩნდა, რომ მედიასივრცის სრული ლეგალიზაცია ბევრი მათგანისთვის ნაადრევი და მიუღებელია. თუმცა, მეორე მხრივ, ითქვა, რომ ლეგალიზაციის პროცესს ძალიან შეუწყობდა ხელს საგადასახადო კანონმდებლობის სრული ანალიზი და ოპტიმალური კომპრომისის გამონახვა ელექტრონული მედიისთვის შეღავათების დაწესების კუთხით (მაგ. უძრავი ქონების გადასახადის ან შესყიდვების კუთხით).

მედიასივრცის ლეგალიზაცია უაღრესად რთული და კომპლექსური საკითხია. ჩვენ ვდგებით იმ რისკის წინაშე, რომ შესაძლოა, ვინმემ ამ საკითხის წამოწევაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა დაინახოს. მაგრამ ეს საკითხი მაინც გამოგვაქვს სამსჯელოდ, რადგან თავად ჟურნალისტების დიდი ნაწილი ითხოვს სრულყოფილ კონტრაქტებს; თუმცა, მხოლოდ მათი მცირე ნაწილია მზად, გაუძლოს იმ გამწვავებულ კონკურენციას, რაც ბუნებრივად მოჰყვება მედიასივრცის ლეგალიზაციის პროცესს.

ინფორმაციის თავისუფლება. *ინფორმაციის მოპოვება დღეს პრობლემაა როგორც საქართველოს დედაქალაქში, ისე სხვა ქალაქებში. განსაკუთრებით რთულია ურთიერთობა თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, აგრეთვე, საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ადგილობრივ სერვისცენტრებთან.*

ინფორმაციის მოპოვების სირთულეზე ჟურნალისტები მთელ საქართველოში საუბრობენ. ეს პროცესი გაცილებით გაიოლებული იყო ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში. რევოლუციის შემდგომ პერიოდში კი საჯარო ინფორმაციის დროულად და სრულად მიღება შეუძლებელია. გორში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ ის გზა, რაც მათ ინფორმაციის მოპოვების კუთხით გაიარეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებიდან "ვარდების რევოლუციამდე" (1999 წლიდან 2003 წლამდე), რევოლუციის შემდეგ, ფაქტობრივად, თავიდან გაუხდათ გასაკვალი.

აღსანიშნავია, რომ სწორედ გორში შეუძლებელია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებიდან, განსაკუთრებით, თუკი შეკითხვა ეხება ბიუჯეტს ან პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდს. ასევე, ფოთში შეუძლებელია ინფორმაციის მიღება პორტიდან, ახალციხის ჟურნალისტები კი ამაოდ ცდილობენ, ინფორმაცია მოიპოვონ საერთაშორისო დონორების მხრიდან იმ თანხების შესახებ, რაც მათ რეგიონში იხარჯება. ლაგოდეხსა და ახალციხეში პრობლემაა ადგილობრივ ხელისუფლებასთან გასაუბრება ტელევიზიისა თუ რადიოს პირდაპირ ეთერში - თანამდებობის პირების მხრიდან ხდება ჟურნალისტების და, შესაბამისად, საზოგადოების იგნორირება. იგივე პრობლემაა გორში, სადაც რწმუნებული და გამგებელი არასოდეს ატარებენ

ბრიფინგებს ან პრესკონფერენციებს ყველაზე აქტუალურ თემებზეც კი; ხოლო სასამართლო პროცესი, სადაც უნდა განხილულიყო გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტის სარჩელი რწმუნებულის ფონდის მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების აქტის დარღვევის თაობაზე, გორის რაიონულ სასამართლოში ზუსტად 11-ჯერ გადაიდო. ასევე გორში მოხდა კურიოზული შემთხვევა: შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა შექმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც სამი ჟურნალისტი შეიყვანეს. მათგან ერთი, "ხალხის გაზეთის" წარმომადგენელი, არავინ გააფრთხილა, რომ საზოგადოებრივი საბჭოს წევრია, თუმცა, სხდომები იმართებოდა. მან ეს ამბავი შემთხვევით გაიგო კოლეგა ჟურნალისტისგან, რომელმაც საბჭოს წევრების სია დიდი ძალისხმევის შედეგად მოიპოვა.

ზოგადქართული პრობლემაა ინფორმაციის მიღება თავდაცვის სამინისტროდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ძალოვანი სამინისტროებიდან პასუხის მიღება შესაძლებელია წერილობით შეკითხვებზე წერილობითი ფორმით.

ზუსტად იგივე მდგომარეობაა ენერგეტიკის სფეროში. საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის არც ერთი თანამშრომელი ადგილებზე რაიმე ინფორმაციას არ იძლევა. ჟურნალისტების განმარტებით, მთელ დასავლეთ საქართველოში ამ სამსახურის მიმართ გაჩენილ კითხვებზე პასუხს იძლევა ერთადერთი ადამიანი – ეკა ურიდია - რომელიც დასავლეთ საქართველოს ქუთაისის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მუშაობს და რომლისგანაც ღირებული ინფორმაციის მოპოვება აგრეთვე პრობლემურია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამინისტროებთან პრესცენტრების მეშვეობით ურთიერთობა სრულიად ნორმალურია, ოღონდ, გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი:

1. ინფორმაცია ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ჟურნალისტისთვის და მედიასაშუალებისთვის;
2. უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეული შინაარსის ინფორმაციის ოპერატიულ გაცემას და არა ამ პროცესის შეყოვნებას მრავალი დღის განმავლობაში. ინფორმაციის გაცემაზე ნებართვას უნდა იძლეოდეს არა ერთი ადამიანი, არამედ – ადამიანების ჯგუფი, რომელთაგან ჟურნალისტები ერთ-ერთთან დაკავშირებას მაინც შეძლებენ.

ახალი დროის ახალი გამოწვევები

ზემოთ აღწერილი სურათის გარდა, აუცილებლად მიგვაჩნია, ვისაუბროთ სამ საკითხზე, რომლებმაც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ახალ რეალობაში.

პროფესიონალიზმი. გასული ანგარიშის დროს ჩვენ წარმოვადგინეთ ექსპერტული შეფასებები, სადაც პრობლემებს შორის პირველ ადგილზე დასახელდა ჟურნალისტების პროფესიული დონე. არა მხოლოდ ექსპერტები, თავად ჟურნალისტებიც აღიარებენ, რომ მათთვის აუცილებელია მეტი ზოგადი განათლება და მეტი პროფესიონალიზმი. დღეს ჟურნალისტების საქმიანობაში პრობლემაა არა იმდენად კრიტიკის დეფიციტი ხელისუფლების მიმართ, რამდენადაც - ზერელე დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს სჭირდება ადეკვატური აღწერა და შეფასება, ეს კი შეუძლებელია ცალკეულ სფეროებში ჩაღრმავებული ცოდნის გარეშე. მაგალითად, დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია განათლების რეფორმა. სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ ეს თემა საზოგადოების უდიდეს ნაწილს

აღელვებს, მედიის მხრიდან ძალიან იშვიათია განათლების რეფორმის ზუსტი აღწერა, ღრმა ანალიზი და მიუკერძოებელი შეფასება, მაშინ როცა ძალიან ფართოდ და აქტიურად შუქდებოდა ამ თემასთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკური დებატი.

ჟურნალისტური ეთიკა და სტანდარტი. დღეს ჟურნალისტური ეთიკის თემა მეტად აქტუალურია და ამას თავისი მიზეზი აქვს. იმის შემდეგ, რაც გასულ ზაფხულს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", მედიასივრცე გაცილებით ლიბერალური გახდა, ვიდრე ოდესმე. კანონში არსებობს ოთხი ძირითადი პრინციპი, რომლებიც ჟურნალისტს იცავს ხელისუფლების ნებისმიერ ჩინოვნიკთან დაპირისპირებისას:

1. ცილისწამება აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაული და, შესაბამისად, არც ერთი ჟურნალისტი ციხეში არ ჩაჯდება ცილისწამების ბრალდებით (მაგალითად, შევარდნაძის პრეზიდენტობისას გაზეთ "თრიალეთის" ჟურნალისტის – საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული იყო სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლით).
2. შეიცვალა მტკიცების ტვირთი: თავად მოსარჩელე და არა მოპასუხე ამტკიცებს, რომ მის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია (კანონის ამ პრინციპის გამო, სავარაუდოა, რომ ბევრი ჩინოვნიკი გადაიფიქრებს მედიასთან სასამართლო დაპირისპირებას).
3. ერთმანეთისგან გამიჯნულია ფაქტი და აზრი. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (კანონის ამ პრინციპიდან გამომდინარე, ზოგადი – თუნდაც, ძალიან მწვავე - შეფასებებისთვის არც ერთი მოქალაქე, მათ შორის, ჟურნალისტი, არ დაისჯება).
4. დაცულია წყაროს კონფიდენციურობა.

კანონმა "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" იმდენად გაზარდა სიტყვის თავისუფლების დაცვის საზღვრები, რომ თითქმის ხელშეუხებელი აღმოჩნდა როგორც კეთილსინდისიერი, ისე – არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტი. ამ რეალობამ თავად ჟურნალისტებს შორის განსაკუთრებით აქტუალური გახადა სტანდარტების საკითხი. კეთილსინდისიერ ჟურნალისტებს ბუნებრივად გაუჩნდათ სურვილი, კანონის შიგნით თავად მონიშნონ უფრო ვიწრო საზღვარი, რომელსაც ისინი ნებაყოფლობით დაიცავენ და არ ისარგებლებენ კანონის მიერ მინიჭებული თითქმის განუსაზღვრელი თავისუფლებით. მედიის თვითრეგულაციის პროცესი ახალი დროის ახალი გამოწვევაა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. თუმცა, სახალხო დამცველის ოფისში ჟურნალისტებთან შეხვედრისას თავად ჟურნალისტების ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ სტანდარტზე საუბარი მხოლოდ იმის შემდეგ შეიძენს აზრს, როცა მოგვარდება მთავარი პრობლემა - როდესაც თვისებრივად გაუმჯობესდება სარედაქციო დამოუკიდებლობისა და, ზოგადად, სიტყვის თავისუფლების ხარისხი.

თუმცა, მეორე მხრივ, ჟურნალისტური სტანდარტების უქონლობა ადამიანის უფლებების დარღვევის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების სერიოზული წყაროა. ეს შეეხება როგორც თავად ჟურნალისტების ნამუშევარს, ისე შს სამინისტროს პრესცენტრის მიერ გაკეთებულ „პატრულს", თუმცა ამის გამო სახალხო დამცველის ოფისში დაზარალებული მოქალაქეების საჩივრები არც ერთხელ არ შემოსულა, თუ არ ჩავთვლით უმცირესობათა საჩივრებს.

საზოგადოებრივი ტელევიზია. ახალი დროის კიდევ ერთი გამოწვევაა საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩამოყალიბება. საზოგადოებას სჭირდება ტელევიზია, რომლის ძირითადი დამკვეთი და დამფინანსებელი იქნება საქართველოს მოსახლეობა. ექსპერტების აზრით, დღეს ქართულ საზოგადოებას შეზღუდული აქვს კომუნიკაციის უფლება – ე.ი. უფლება, ნახოს და წაიკითხოს ის, რაც აინტერესებს და რაც მას ეხება. კერძო ტელეკომპანიებში, მას შემდეგაც კი, რაც მოიკლო პოლიტიკური გადაცემების წილმა, მაინც არ მოიმატა გადაცემებმა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ. სწორედ საზოგადოებრივი ტელევიზიაა მოწოდებული ამ სერიოზული დეფიციტის შესავსებად. ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველი, თავის აპარატთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღებით მიადევნებს თვალყურს საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩამოყალიბების პროცესს, მის გამჭვირვალებას და ეფექტიანობას. თუმცა, ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ტელევიზიის უპირველეს საზრუნავად გავრცელების პრობლემის მოგვარება უნდა იქცეს, რადგან დღეს საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ ფარავს საქართველოს უმეტეს რაიონებს.

* * *

საბოლოოდ, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში სიტყვის თავისუფლების მხრივ მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს ორგვარად.

1. საკითხის **ფორმალური მხარე** – საკანონმდებლო სივრცე, სასამართლო პროცესები – დადებით ტენდენციას ქმნის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეთა კორპუსის ნაწილს წარმოდგენა არა აქვს კანონზე "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" (რაშიც ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით სხვადასხვა სემინარებსა და შეხვედრებზე).

2. **არაფორმალური რეალობა** - ურთიერთობები ხელისუფლებასა და მედიამფლობელებს შორის, მედიამფლობელებსა და დაქირავებულ ჟურნალისტებს შორის, ჟურნალისტური სტანდარტების ჩამოყალიბება და თვითრეგულირების მექანიზმების ჩამოყალიბება – მეტ გამჭვირვალებას და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. არსებობს რამდენიმე თემა – და ჩვენ მათზე უკვე ვისაუბრეთ – რომელთა განხილვა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს. უნდა მომზადდეს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაცვის მეტ გარანტიას შეუქმნის მოქმედ ჟურნალისტებს. სახალხო დამცველი და მისი აპარატი მზად არის, გააგრძელოს უკვე დაწყებული დისკუსია მედიისთვის აქტუალურ თემებზე და განხილვებში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ყველა დაინტერესებული მხარე.

სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის კონკრეტული შემთხვევები

ბათუმი

აჭარის სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტებმა ცენზურას პროტესტი გამოუცხადეს

აჭარის სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნატა იმედაიშვილმა აჭარის ტელევიზიის დირექტორი ზაზა ხალვაში სახელისუფლო ცენზურის გატარებაში დაადანაშაულა. იმედაიშვილმა პროტესტის ნიშნად ტელევიზია დატოვა. მას მხარი დაუჭირა საინფორმაციო სამსახურის რვა ჟურნალისტმა, რომლებიც, აგრეთვე, წამოვიდნენ ტელევიზიიდან. მოგვიანებით ნატა

იმედაიშვილს და მის თანამოაზრეებს სოლიდარობა გამოუცხადეს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი და ცენტრალური საშუალებების წარმომადგენლებმა. ზაზა ხალვაშის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქციებიც გაიმართა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ბათუმში ჩავიდა საქართველოს სახალხო დამცველი, რომელმაც, საკითხის შესწავლის შემდეგ, მხარი დაუჭირა ტელევიზიის ხელმძღვანელობის გადადგომას. სახალხო დამცველი გამოვიდა ინიციატივით, ჩამოყალიბდეს ტელევიზიის სამეურვეო (საზოგადოებრივი) საბჭო. ამის შემდეგ თანამდებობა დატოვეს ჟურნალისტების მიერ ცენზურის გატარების მცდელობაში დადანაშაულებულმა ზაზა ხალვაშმა და მისმა მოადგილემ ავთანდილ გადახაბაძემ. აჭარის სახელმწიფო ტელევიზიის დირექტორის თანამდებობაზე რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტი და რესპუბლიკური პარტიის წევრი ევგენი თავდგირიძე დაინიშნა. აჭარის ტელევიზიის 18-მდე თანამშრომელი სამსახურში დაბრუნდა. თუმცა, თავად ნატო იმედაიშვილი ტელევიზიაში არ დაბრუნდებულა. სამეურვეო საბჭოს შექმნა გადაიდო, რადგან ამგვარი ორგანო შეუსაბამობაში აღმოჩნდა აჭარის ტელევიზიის სტატუსთან და კანონმდებლობასთან.

გორი

შიდა ქართლის ხელისუფლება საჯარო ინფორმაციის მოპოვებას ზღუდავს

* * *

2005 წლის 10 მარტს შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა გაზეთ ”თრიალეთის” ფოტოკორესპონდენტს - ლადო ბიჭაშვილს - გორის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე მოვაჭრეების დაშლის სპეცოპერაციის გადაღების საშუალება არ მისცეს.

გორის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმის ხუთი წევრი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის გარე მოვაჭრეებისაგან განთავისუფლების ოპერაციას ატარებდა. ათამდე გარე მოვაჭრეს ”სპეცნაზელებმა” ულტიმატუმი წაუყენეს, ხუთ წუთში აელაგებინათ დახლები, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფრის დამტვრევით დაემუქრნენ.

ლადო ბიჭაშვილი, რომელიც სპეცოპერაციას შეესწრო, ადგილზე ფოტოგადაღებას აწარმოებდა. «სპეცნაზელებმა» მას ჟურნალისტობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვეს. ბიჭაშვილს საბუთი თან არ აღმოაჩნდა, რის შემდეგაც «სპეცნაზელებმა» მას ფოტოაპარატი წაართვეს და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიიდან გაყვანა სცადეს. ბიჭაშვილი აცხადებს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფა მისთვის არ მიუყენებიათ, თუმცა საკმაოდ უხეშად ელაპარაკებოდნენ და კატეგორიულად სთხოვდნენ ფოტოგადაღების შეწყვეტას და ტერიტორიის დატოვებას.

სპაცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის, თამაზ ბეგიაშვილის თქმით, მათ ბიჭაშვილს გადაღება აუკრძალეს, რადგან მან ჟურნალისტობის დამადასტურებელი მოწმობა ვერ წარადგინა. ”ჩვენ რთულ რეგიონში ვმუშაობთ, ამიტომ ყოველთვის განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩენთ,” – განაცხადა მან.

ვითარება მხოლოდ იმის შემდეგ განიმუხტა, რაც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზეთ ”თრიალეთის” რედაქტორი თამარ ხიდაშელი მივიდა. მას ფოტოკორესპონდენტის დაკავების შესახებ ინფორმაცია ერთ–ერთმა გარე მოვაჭრემ მიაწოდა.

* * *

ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილსა და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ჟურნალისტმა გამოაქვეყნა სტატიების სერია, რომელშიც ის მიხეილ ქარელს **სხვადასხვა სფეროში** თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებდა. ასევე მან დაბეჭდა მასალები რწმუნებულის ფონდში ჩარიცხული თანხების საეჭვო წარმომავლობის შესახებ. ჟურნალისტი სვამდა კითხვას, რატომ ჩუქნიდნენ გუბერნატორს სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირები ასეთ მსხვილ თანხებს.

საბა წიწიკაშვილს ინტერვიუ მისცეს ბიზნესმენებმაც, რომლებმაც განაცხადეს, რომ თანხის არგადაუხდელობის შემთხვევაში მათ პატიმრობა არ ასცდებოდათ. გორის ბაზრობის დირექტორმა თემურ ბლუაშვილმა საბა წიწიკაშვილს მისცა ინტერვიუ და აღიარა, რომ მას ერთ დამეში მოუხდა საწარმოს დათმობა.

მიხეილ ქარელის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ, წიწიკაშვილის თქმით, რწმუნებული პირადად ურეკავდა ჟურნალისტს და ემუქრებოდა. მისივე თქმით, ადგილობრივი გაზეთის - „თრიალეთის“ რედაქტორის თანამდებობიდან საბა წიწიკაშვილის გათავისუფლების შემდეგ, რასაც ჟურნალისტი რწმუნებულს უკავშირებს, მიხეილ ქარელი რედაქციაში მაინც რეკავდა და გაზეთიდან მის საერთოდ გათავისუფლებას ითხოვდა. იმავე მოთხოვნით მან „ახალი ვერსიის“ რედაქციაშიც დარეკა, თუმცა, თანხმობა ვერ მიიღო.

დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია სოფელ უფლისციხეში, როდესაც იქ მომხდარი წყალდიდობებისა და სოფელში არსებული მდგომარეობის გასაშუქებლად ჩასულ საბა წიწიკაშვილს რწმუნებულმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო დაცვამ ჟურნალისტი მანქანიდან იძულებით გადაიყვანა, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი თვალით ნახა. ინციდენტს ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ. მოსახლეობაც და ჟურნალისტებიც მომხდარს წერილობით ადასტურებენ. მას შემდეგ, რაც გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტმა ნანა კახნიაშვილმა დეტალურად აღწერა მიხეილ ქარელისა და საბა წიწიკაშვილის ინციდენტი, რის შემდეგაც, კახნიაშვილის თქმით, მიხეილ ქარელმა პირადად დაურეკა ჟურნალისტს და უსაყვედურა.

საბა წიწიკაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითში შპს „სალთვისი 2“-ის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები. როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, მიხეილ ქარელის ბრძანებით, შპს „სალთვისი 2“ ხელმძღვანელობამ, რომლის თავმჯდომარე იმ დროისთვის იყო მიხეილ ქარელის ნათესავი გოგი კერესელიძე, ხვითელ მოიჯარე ნოდარ მაისურაძეს ორგზის წაართვა 230 ჰა ფართობზე მოყვანილი ხორბალი. სწორედ ამ სიტუაციის დასაფიქსირებლად ჩასულ ჟურნალისტს შპს „სალთვისი 2“-ის თანამშრომლებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს ფაქტები დაფიქსირებული აქვს ადგილობრივი ტელეკომპანიის - „თრიალეთის“ ოპერატორს დემნა შევარდენიძეს, რომელიც აგრეთვე დაზარალდა. ზუსტად იმ სოფელში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იმავე ტელეკომპანიის ჟურნალისტს ნანა კახნიაშვილს. უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, ბრალი წაყენებული აქვს სამ პიროვნებას, რომელთაგან 1 ძებნილია, ხოლო ორს გირაო აქვს შეფარდებული. ასევე, მიმდინარეობს გამოძიება ტელეკომპანია თრიალეთში სოფელ ხვითის მოსახლეობის შეჭრის ფაქტზე, რაც ზემოთხსენებული 3 პირისთვის ბრალის წაყენებას და პოლიციის მიერ მათ დაკავებას მოჰყვა.

„რუსთავი 2“-ის კორესპონდენტი გოგა აფციაური ტელეკომპანიაში იმის შემდეგ აღარ მუშაობს, რაც მის მიერ პირდაპირ ეთერში გადაცემულმა მასალამ შიდა ქართლის რწმუნებული გააღიზიანა. საქმე ეხებოდა რამდენიმე თვის წინ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის სასუქის ჩუქებას, როდესაც ოსურმა მოსახლეობამ უარი თქვა საქართველოს ხელისუფლებისგან აღნიშნული დახმარების მიღებაზე. ეს მასალა „რუსთავის 2“-ის ეთერით გადაიცა. რწმუნებულმა პირადად გააკრიტიკა ჟურნალისტის მიერ მომზადებული რეპორტაჟი.

ზეწოლა განხორციელდა, ასევე, ტელეკომპანია „მზის“ კორესპონდენტზე - ნათია ომაძეზე. მან პირდაპირ ეთერში ჩართო გოგა აფციაური, რომელმაც შიდა ქართლში კონტრაბანდული საქონლის მოძრაობაზე ისაუბრა. ხოლო „მზის“ შიდა ქართლის ბიუროს დაიხურა იმის შემდეგ, რაც გორიდან პირდაპირი ჩართვის დროს რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტმა გოგა აფციაურმა ისაუბრა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის ვიზიტზე სოფელ ტყვიავის ერთ-ერთ სუპერმარკეტში. აღნიშნული სუპერმარკეტი ეკუთვნის მიხეილ ქარელის სიძეს. ტელეკომპანია „მზემ” საჯაროდ გადასცა ის ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ჟურნალისტმა ტყვიავის სუპერმარკეტში დააფიქსირა და საიდანაც კარგად ჩანს იქ არსებული სხვადასხვა კონტრაბანდული საქონელი.

განსაკუთრებით რთულია ინფორმაციის მოპოვება შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ამ ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნით „60 წუთის” ჟურნალისტმა ნანა ბიგანიშვილმა რწმუნებულის აპარატს 2004 წლის 25 ნოემბერს მიმართა, თუმცა, მისი მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევით დაკმაყოფილდა. ჟურნალისტი ცდილობდა ფონდში არსებული 466 000 ლარის წარმომავლობისა და ხარჯვის კანონიერების დადგენას. პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდიდან მიღებულ პასუხში აღნიშნულია მხოლოდ 53 ათასი ლარის წარმომავლობა, დანარჩენი კი უპასუხოდაა დატოვებული.

„შიდა ქართლის რწმუნებულის ფონდთან დაკავშირებით არსებობდა ინფორმაცია, რომ რწმუნებულის აპარატი, მიხეილ ქარელის ხელმძღვანელობით, რეგიონის ყოფილ მოხელეებს, სააქციო საზოგადოების დირექტორებსა და სხვა პირებს ფონდში თანხების გადარიცხვას მუქარით აიძულებდა,” – განუცხადა „ინტერპრესს“ „60 წუთის” ჟურნალისტმა ნანა ბიგანიშვილმა. მან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სარჩელი შეიტანა სასამართლოში, სადაც პროცესი, ნანა ბიგანიშვილის ცნობით, 11-ჯერ გადაიდო.

ანალოგიური მოთხოვნით რამოდენიმე თვის წინ რწმუნებულის აპარატს ადგილობრივი გაზეთის, “ხალხის გაზეთის” ჟურნალისტებმაც მიმართეს, თუმცა, ინფორმაცია ვერც მათ მოიპოვეს. “ხალხის გაზეთმა” ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნით გორის რაიონულ სასამართლოსაც მიმართა, თუმცა, მოსამართლემ გაზეთის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მამუკა ნოზაძე გაზეთ „თრიალეთის“ წინააღმდეგ

* * *

2004 წლის 18 ოქტომბერს გორის რაიონულმა სასამართლომ ადგილობრივ გაზეთ «თრიალეთს» მოქალაქე მამუკა ნოზაძის პატივისა და ღირსების შემლახავი პუბლიკაციისათვის მორალური კომპენსაციის სახით 300 ლარის ოდენობის ჯარიმა და გაზეთის საშუალებით ბოდიშის მოხდა კანონდარღვევით დააკისრა. ნოზაძემ

სასამართლოში სარჩელი შეიტანა ჟურნალისტ თ. ვაჩაძის სტატიის გამო, რომელიც გაზეთ «თრიალეთში» გამოქვეყნდა.

ნოზაძის სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ სტატიისა და ფოტოს გამოქვეყნებით მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეილახა. მოსარჩელე «თრიალეთისგან» მორალური ზიანის ათი ათასი ლარის ოდენობით ანაზღაურებას და გაზეთის მეშვეობით ბოდიშის მოხდას მოითხოვდა.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ - გოჩა გოჩიტაშვილმა მაშინ ნოზაძის სასარჩელო მოთხოვნები დააკმაყოფილა და გამოიტანა გადაწყვეტილება გაზეთისთვის 300 ლარის ოდენობით ჯარიმისა და ბოდიშის მოხდის დაკისრების შესახებ.

მოსამართლის გადაწყვეტილება აბსოლუტურად უკანონო იყო, რადგან ლიახვის საოლქო კომისიის თავმჯდომარის, მამუკა ნოზაძის ფოტო საჯარო სამსახურში ყოფნის დროს იყო გადაღებული. მოსამართლემ ასევე არ გაითვალისწინა, რომ არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი და არც « სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ » ახალი კანონი ბოდიშის მოხდის ინსტიტუტს არ ითვალისწინებს.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ისევ მამუკა ნოზაძემ გაასაჩივრა საოლქო სასამრთლოში. საოლქო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება და გაზეთ «თრიასლეთს» ყველა სანქცია მოუხსნა.

* * *

გაზეთ ”თრიალეთის” 2004 წლის 1-8 მარტის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის სტატია სათაურით : ”ადვოკატი მოსამართლეს შანტაჟს უწყობს”. მასალა ადვოკატის მიერ მოსამართლისთვის თანხის გამოძალვას ეხებოდა. სტატიაში მოყვანილ ფულის გამოძალვის ფაქტს ადასტურებდნენ თავად გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეებიც - ალექსი მარიამიძე და ქართლოს სულაბერიძე. ისინი აცხადებდნენ, რომ 2004 წლის 27 თებერვალს ლიახვის 85–ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იმავდროულად ადვოკატი მამუკა ნოზაძე მოსამართლე ალექსი მარიამიძისთვის 500 აშშ დოლარის გამოძალვას შანტაჟით ცდილობდა. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მარიამიძე ადვოკატ მამუკა ნოზაძეს თანხას არ გადაუხდიდა, იგი ალექსი მარიამიძეს გაზეთის ჟურნალისტისათვის მოსამართლის მაკომპრომიტირებელი მასალის გადაცემით ემუქრებოდა.

მამუკა ნოზაძემ გორის რაიონულ სასამართლოში გაზეთ ”თრიალეთსა” და სტატიის ავტორს, საბა წიწიკაშვილს სამოქალაქო წესით უჩივლა. მამუკა ნოზაძემ მოპასუხეებისაგან ბოდიშის მოხდა და მატერიალური და მორალური ზიანის სახით მათთვის 10 ათასი ლარის დაკისრება მოითხოვა. ნოზაძის განცხადებით, პუბლიკაცია თავისი მყვირალა სათაურით შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური იყო. გორის რაიონულმა სასამართლომ ნოზაძის სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.

მამუკა ნოზაძემ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. 2005 წლის 1 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლომ ნოზაძის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ”თრიალეთს” მოსარჩელე ნოზაძის სასარგებლოდ 500 ლარის გადახდა დააკისრა.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგან სასამართლომ ერთ–ერთი ვიდეომასალა მტკიცებულებად არ მიიჩნია. ამ ვიდეომასალაზე ქართლოს

სულაბერიძე და მარიამიძე ამბობენ, რომ მოსამართლე გოჩიტაშვილი მართლაც სთხოვდა მათ მამუკა ნოზაძისთვის თანხის მიცემას. ეს არ იყო ფარული ჩანაწერი, ეს იყო სატელევიზიო ინტერვიუ, სადაც „თრიალეთის" ჟურნალისტთან მოსამართლეებმა ღია კომენტარი გააკეთეს. ეს ამტკიცებდა, რომ ჟურნალისტ წიწიკაშვილის მხრიდან ცილისწამებას ადგილი არ ჰქონია. საოლქო სასამართლომ მოსამართლეების დაკითხვა მოითხოვა, თუმცა, მოსამართლეებმა იმუნიტეტით ისარგებლეს და სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, საოლქომ გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა.

უზენაესმა სასამართლომ ვიდეომასალის მტკიცებულებად არ განხილვა უკანონოდ მიიჩნია, 2005 წლის 29 ივლისს გააუქმა საოლქოს გადაწყვეტილება და მოსთხოვა მას, რომ არსებული ვიდეომასალა განიხილოს მტკიცებულების სახით და გადაწყვეტილება ამის მიხედვით გამოიტანოს.

გურჯაანი

2005 წლის პირველ ნახევარში გურჯაანის რაიონული გაზეთის "იმედის" რედაქციას რამდენიმე სერიოზული ინციდენტი შეემთხვა: 7 იანვარს უცნობი პირების მიერ დაირბა რედაქციის ოფისი; გაზეთის მთავარი რედაქტორის, გელა მთივლიშვილის განცხადებით, 22 ივნისს იგი ცემა დაუდგენელმა პირმა; 15 ივლისს მასვე უცნობმა პირმა ღამით ეზოში აუფეთქა ხელყუმბარა; 15 აპრილს ამავე გაზეთის კორესპონდენტს ლაგოდეხში მარინა გოგოლაძეს, მისივე განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივმა წევრმა მიხეილ კაკალაშვილმა (ადგილობრივი დეპუტატის ძმამ) ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

* * *

შობა ღამეს გურჯაანში დაუდგენელმა პირებმა (სავარაუდოდ, ორმა) კახეთის რეგიონული გაზეთის „იმედი" რედაქციის მთავარი ოფისი დაარბიეს. დილით სამსახურში მისულ თანამშრომლებს შესასვლელი კარებები და მინები დამსხვრეული დახვდათ. წიგნები გადმოყრილი იყო, რედაქტორის კომპიუტერი კი - გახსნილი.

* * *

2005 წლის 22 ივნისს, გვიან ღამით, გაზეთ „იმედის" რედაქტორს, გელა მთივლიშვილს, დაუდგენელი პირი საკუთარ სახლთან თავს დაესხა. ჟურნალისტი აცხადებს, რომ ცემის ფაქტი მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს უკავშირდება, რომლებშიც იგი ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს აკრიტიკებდა.

მთივლიშვილი იხსენებს, რომ უცნობი თავს სახლისაკენ მიმავალს დაესხა და ორი-სამი წუთის განმავლობაში თავში რკინის საგანს ურტყამდა. მან ცნობიერება დაკარგა და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ შეძლო დაყვირება. ხმაურზე მეზობლები გამოვიდნენ, თავდამსხმელმა კი გაქცევა მოასწრო. 10 წუთში შემთხვევის ადგილზე პოლიციაც მივიდა, თუმცა თავდამსხმელის დაკავება ვერ მოხერხდა.

გაზეთ „იმედის" რედაქციის მიერ ამ ფაქტთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთივლიშვილს გურჯაანის პოლიციას არაერთხელ უმხელია ადამიანების ცემაში, ამიტომ რედაქტორი არ გამორიცხავს, რომ თავდასხმა, შესაძლოა, სამართალდამცავების შესახებ მის კრიტიკულ პუბლიკაციებს მოჰყვა.

რედაქტორი გამოძიებას უნდობლობას უცხადებს და თავდასხმის ორგანიზებაში მათ მონაწილეობასაც არ გამორიცხავს.

გურჯაანის რაიონული პოლიციის განმარტებით, ისინი სატელეფონო ზარის შემდეგ 5 წუთში შემთხვევის ადგილას მივიდენ, სადაც ნაცემი მთივლიშვილი დახვდათ. მათ ჩამოართვეს ჩვენებები მოწმეებს, თუმცა თავად დაზარალებულის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო, პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, ისინი ვერ ახერხებენ საქმის გამოძიებას და თავდამსხმელის დაკავებას. პოლიციაში მთივლიშვილის ბრალდებები თავდასხმაში მონაწილეობის თაობაზე უსაფუძვლოდ მიაჩნიათ.

ამჟამად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიებას აქვს ვერსია, რომელმაც შეიძლება ნათელი მოჰფინოს ამ საქმეებს.

* * *

15 ივლისს, გვიან ღამით, სოფელ ჯანდარაში კახეთის რეგიონული გაზეთის „იმედის“ რედაქტორის - გელა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაუდგენელმა პირმა ხელმყუმბარა ისროლა. ჟურნალისტი აცხადებს, რომ ინციდენტი მის პროფესიულ საქმიანობასა და გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს უკავშირდება.

მთივლიშვილის მეზობლებისა და ოჯახის წევრების განცხადებით, ისინი აფეთქების ძლიერმა ხმამ გამოაღვიძა. მათ არ დაუნახავთ, თუ ვინ შეიტანა ხელყუმბარა ეზოში. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა აფეთქების შედეგად სახლის პირველ სართულზე ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები, დაზიანდა ეზო და გაიხვრიტა იქვე მდგარი გაზის ბალონი.

გელა მთივლიშვილი მომხდარ ფაქტს ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს. მისი თქმით, ბოლო პერიოდში გაზეთში არაერთი სტატია გამოქვეყნდა, სადაც გურჯაანის რაიონის სამართალდამცავების, ასევე განათლების განყოფილების თანამშრომელთა დანაშაულებრივ ქმედებებზე იყო საუბარი. მისი განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება და მასთან დაახლოებული პირები რეგულარულად ემუქრებიან მას შემდეგ, რაც მან დაიწყო ისეთი სტატიების გამოქვეყნება, რომლებშიც ადგილობრივი სამართალდამცავების ნარკოტიკებით ვაჭრობაში შესაძლო მონაწილეობაზეა საუბარი. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას გურჯაანის რაიონული პოლიცია აწარმოებს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველი ეწვია გურჯაანს, შეხვდა გელა მთივლიშვილს და ადგილობრივი მედიის სხვა წარმომადგენლებს.

* * *

2005 წლის 15 აპრილს, კახეთის რეგიონული გაზეთის - „იმედის” ჟურნალისტს, მარინა გოგოლაძეს, მისივე თქმით, ლაგოდეხში მცხოვრები დეპუტატის - გურამ კაკალაშვილს ძმამ, ნაციონალური მოძრაობის წევრმა მიხეილ კაკალაშვილმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. კაკალაშვილის გაღიზიანების მიზეზი გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების სერია გახდა, რომლებშიც მის ძმას, დეპუტატ გურამ კაკალაშვილს, დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით, ჟურნალისტი კორუფციაში ადანაშაულებდა.

მარინა გოგოლაძის განმარტებით, იგი ლაგოდეხის გამგეობის შენობაში მივიდა, რათა ინფორმაცია მიეღო ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილი კრების თაობაზე. ოთახში, მიხეილ კაკალაშვილის გარდა, ნაციონალური მოძრაობის სამი

სხვა წევრიც იმყოფებოდა. გაზეთ „იმედში" გამოქვეყნებული სტატიებით გაღიზიანებულმა კაკალაშვილმა მას ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი კისერში ხელი მოკიდა და ოთახიდან გააძევა. კაკალაშვილმა ჟურნალისტს დიქტოფონის კასეტაც წაართვა, რომელზეც ჩაწერილი იყო, როგორ უწოდებდა იგი გაზეთ „იმედის" რედაქტორსა და ჟურნალისტს ხელისუფლების დისკრიმინაციის მოსურნესა და მტერს.

გაზეთის რედაქტორის გელა მთივლიშვილის თქმით, ეს ჟურნალისტ მარინა გოგოლაძესა და მიხეილ კაკალაშვილს შორის პირველი კონფლიქტი არ ყოფილა. მისი განცხადებით, რამდენიმე თვის წინ გოგოლაძემ გაზეთ „სპექტრში" გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: „ვინ შეჭამა ლაგოდეხის პურკომბინატი". სტატიაში საუბარი იყო დაახლოებით 70 000 ლარის გაფლანგვაზე. იმ პერიოდში კი პურკომბინატის დირექტორი გურამ კაკალაშვილი იყო. აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებას, გამგეობის შენობის წინ, მიხეილ კაკალაშვილის მხრიდან ჟურნალისტის სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა.

დეპუტატი კაკალაშვილი მისი ძმის მხრიდან ჟურნალისტისათვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ მის ძმასა და ჟურნალისტს შორის მხოლოდ უმნიშვნელო კამათი მოხდა. გურამ კაკალაშვილის თქმით, გოგოლაძე ყოფილი გამგებლის პრესმდივანი იყო და ახალი გამგებლის მოსვლის შემდეგ შემცირებაში მოყვა. „გაზეთი „იმედი" ხშირად უსამართლო, არაობიექტურ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციას ბეჭდავს. თანაც ამას ისე აკეთებს, თითქოს ესა თუ ის განცხადება რომელიმე მოქალაქემ გააკეთა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება," – ამბობს გურამ კაკალაშვილი.

გელა მთივლიშვილის განცხადებით, მან იმავე დღეს, 15 აპრილს, ადგილობრივ პოლიციას მიმართა, რომელმაც აღნიშნულ საქმეზე მოკვლევა დაიწყო. „ჩვენ იმედი არ გვაქვს, რომ ამ საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, რადგან მოწმეებმა და თვითმხილველებმა სამართალდამცავებთან ფაქტი უარყვეს," – განაცხადა გაზეთის რედაქტორმა. მისივე თქმით, პირად საუბარში გამგეობის თანამშრომლებმა აღიარეს, რომ შოკირებულ ჟურნალისტს დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა მოგვიანებით სამართალდამცავებთან საუბრისას აღნიშნული განცხადება უარყვეს.

ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 49-ე მუხლის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს; აგრეთვე, გაეცნოს ინფორმაციას დედანში... საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის, მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.“ ამავე კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად კი, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, განსაზღვროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობის აუცილებლობამ, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემის მნიშვნელობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ 10 დეკემბერს ანგარიშის წარდგენის ვალდებულება. ანგარიშის წარდგენა ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგადი სურათის შექმნას სახელმწიფოში. შესაბამისად, პრეზიდენტსა და პარლამენტს შესაძლებლობა ეძლევათ, გარკვეულწილად, მონიტორინგი განახორციელონ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოთხოვნების შესრულებაზე.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის სავალდებულო მოთხოვნა ანგარიშის წარდგენის თაობაზე, უმეტეს შემთხვევაში, არ სრულდება საჯარო დაწესებულებების მიერ, წარდგენილი ანგარიშების ნახევარი კი არ პასუხობს კანონით დადგენილ ნორმებს.

სახალხო დამცველის აპარატმა გაეროს ასოციაციის დახმარებით შეისწავლა 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიშები, რომლებიც საჯარო დაწესებულებებმა წარუდგინეს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს. აღნიშნული მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ტიპური დარღვევა:

ანგარიშების უმეტესობაში არ არის მითითებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა; აგრეთვე, ხშირ შეთხვევაში, არ სრულდება ამავე კოდექსის „გ“ პუნქტი, ე.ი. არ ხდება ანგარიშში საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე ინფორმაციის ასახვა. ზოგიერთ შემთხვევაში, ანგარიშში საერთოდ არ არის მითითებული მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შინაარსი. არის კონკრეტული მაგალითები, როდესაც საჯარო დაწესებულების თანამშრომელთათვის იმდენად გაუგებარია 49-ე მუხლის მოთხოვნები, რომ თავიანთი მონაცემების ანალიზის ნაცვლად, ისინი პირდაპირ იწერენ გაეროს ასოციაციის სანიმუშო მითითებას ანგარიშის ბოლოს შემაჯამებელი კომენტარის გაკეთების თაობაზე (მაგ. ქ. ფოთის ადგილობრივი მმართველობის საქალაქო მეურნეობის სამსახურის 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიში; გარდაბნის რაიონის ერთ-ერთი

სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს 2004 წლის 10 დეკემბრის ანგარიში და სხვ.). გარდა ამისა, ბევრი დაწესებულების მიერ ანგარიშის წარდგენა ხდება მხოლოდ პრეზიდენტისთვის ან პარლამენტისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს ანგარიშის წარდგენას ორივე ინსტიტუციისთვის.

იმისათვის ,რომ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- ანგარიშების ერთიანი მოდელის შემოღება, რაც აღმოფხვრის ყველა გაუგებრობას მის შინაარსთან დაკავშირებით. საჭიროა მოხდეს ანგარიშის ერთიანი მოდელით ყველა საჯარო დაწესებულების უზრუნველყოფა. ეს, შესაბამისად, გაზრდის საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, შეახსენებს მათ 10 დეკემბრის ანგარიშისა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების შესახებ.

- მნიშვნელოვანია, რომ იმ საჯარო დაწესებულებების თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნებს, გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები. ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საჯარო დაწესებულებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებას.

- უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, არამედ თვით პარლამენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმ მოხელეთა გამოყოფა, რომლებიც განახორციელებენ საჯარო დაწესებულებებში ინფორმაციის საჯაროობის მონიტორინგს.

ადმინისტრაციული სამართლის სამმართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენს. 2005 წლის 23 ივნისს სახალხო დამცველის აპარატმა წერილით მიმართა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ყველა ორგანოს და სთხოვა, ეცნობებინათ, წარადგინეს თუ არა 2004 წელს 10 დეკემბრის ანგარიში და რა ღონისძიებები გაატარეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად. ზემოაღნიშნული წერილის გაგზავნა გამოწვეული იყო იმითაც, რომ გამგეობებისა და მერიების ნაწილს 2004 წელს ანგარიში არ წარუდგენია, რასაც თავადაც ადასტურებენ. თუმცა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უმრავლესობაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი და როგორც თავად აცხადებენ, ისინი მუშაობენ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე სრულყოფილი ანგარიშის წარსადგენად.

გამგეობათა ნაწილმა (სენაკის, კასპის, ნინოწმინდის, ბოლნისის, წყალტუბოს, ადიგენის რაიონის გამგეობები) სრულიად არაადეკვატურად უპასუხა ჩვენს მიმართვას, რაც აშკარად ცხადყოფს, რომ ისინი ბოლომდე არ არიან გარკვეული, რა არის საჯარო ინფორმაცია და რა სახის ანგარიში უნდა იქნას წარდგენილი მათ მიერ ყოველი წლის 10 დეკემბერს.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გარკვეული მონაცემების მოთხოვნა ერთდროულად ატარებს პრევენციულ და მაკონტროლებელ ხასიათს, რაც ხელს შეუწყობს 10 დეკემბრის

ანგარიშის სრულყოფილად წარდგენას ყველა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ.

ინფორმაციის თავისუფლება სასამართლო ხელისუფლებაში

2004 წლის 14 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა კრწანისი-მთაწმინდის, გლდანი-ნაძალადევის, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოებისა და თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებს 2004 წელს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურიდან შესული შუამდგომლობებისა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების (ბრძანებებისა და დადგენილებების) ქსეროასლების გადაცემის თაობაზე.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 23-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „მასალები, საბუთები, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში." გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაციის, როგორც საჯარო ინფორმაციის, გაცემის წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი, რომლის მე-40 მუხლის თანახმად: „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას; 2) თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს."

მიუხედავად „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საჯარო ინფორმაციის მიწოდებისათვის დადგენილი ვადის გასვლისა, კრწანისი-მთაწმინდის, გლდანი-ნაძალადევის, ისანი-სამგორის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოებისა და თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეებმა დაარღვიეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და არ შეასრულეს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა. ეს წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1734 მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას შრომის თვიური ანაზღაურების 20-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც ამავე კოდექსის 208-ე და 241-ე მუხლების თანახმად, ქვემდებარეობისამებრ განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის რაიონულ სასამართლოებს.

ოქმები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე განხილულ იქნა მოსამართლეების: არკადი პარუნიანის, ირმა ჯანელიძის, იოსებ ბერიშვილის, თინათინ შავერდაშვილის და ვეფხვია ლომიძის მიერ, რომლებმაც სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის დროს აშკარად დაარღვიეს კანონის არაერთი ნორმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენ მივმართეთ ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბ-ნ გიორგი გოგიაშვილს მოსამართლეთა დადგენილებების გადასინჯვის თაობაზე, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია, რაც კიდევ ერთი დარღვევაა, ამჯერად, გ.გოგიაშვილის მხრიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამართალდარღვევის არარსებობის გამო საქმის შეწყვეტის დადგენილებებში მითითებული არც ერთი არგუმენტი არ აღმოჩნდა მისაღები ყველა მოსამართლისათვის. მათ, ფაქტობრივად, გააბათილეს ერთმანეთის მიერ მოყვანილი მოსაზრებები. ყველა მოსამართლის მიერ მითითებულ იქნა დადგენილებების გასაჩივრების განსხვავებული წესი, აგრეთვე, არ იყო დაკონკრეტებული გასაჩივრების პროცედურა. მოსამართლეებმა გადაწყვეტილების მიღებისას ბრალეულად, არასწორად მოახდინეს მთელი რიგი ნორმატიული აქტების განმარტება, რათა შეგნებულად აერიდებინათ პასუხისმგებლობა თავიანთი სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის. შესაბამისად, საქმის განხილვისას მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევასა და მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებას, რაც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას. ამგვარი ქმედებები „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოსამართლეთა დისციპლინური დევნის საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა მოთხოვნით, აღეძრათ დისციპლინური დევნა არკადი პარუნიანის, დავით დოიჯაშვილის, თინათინ შავერდაშვილის, გიორგი გოგიაშვილის, ნანა გუგუნაშვილს, მამუკა სონღულაშვილს, აკაკი ბაქრაძის, ვეფხვია ლომიძის, იოსებ ბერიშვილისა და ირმა ჯანელიძის მიმართ.

სახალხო დამცველის წერილში მითითებული საკითხის შესწავლა დაევალა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტს.

ხელოვნების თავისუფლების შეზღუდვა

ქარვასლის თანამედროვე ხელოვნების გალერეის ადმინისტრაციამ და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობამ დაუსაბუთებლად და აშკარა საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის გარეშე დახურა ახალგაზრდა მხატვრების მიერ ი.გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმში ორგანიზებულიუ გამოფენა „სადილი ყველას“, ჩაერია შემოქმედებით პროცესში და ფაქტობრივად გაანადგურა გამოფენაზე წარმოდგენილი ობიექტები, რითაც ხელყო საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვისა და ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება.

2005 წლის 4 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფმა (ზურაბ აფხაზაშვილი, გიორგი ტაბატაძე, თორნიკე ჭაფოძე). განცხადების მიხედვით მხატვრებმა მარტის თვეში თბილისის ი.გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის (ქარვასლა) ხელმძღვანელობას წარუდგინეს გამოფენის პროექტი სათაურით „სადილი ყველას“ და მიიღეს დარბაზის დაკავების ნებართვა ა.წ. 31 მარტიდან 5 აპრილამდე. მხატვრების მიერ წარდგენილ პროექტში აღნიშნული იყო, რომ გამოფენის მიზანი რელიგიურ თემაზე დისკუსიის საგამოფენო სივრცეში გადატანა გახლდათ. გამოფენის გახსნის დღეს, 31 მარტს, მოხდა ინციდენტი. ერთ-ერთი ავტორის, თორნიკე ჭაფოძის ნამუშევარმა ზოგიერთი დამთვალიერებლის გაღიზიანება გამოიწვია. თორნიკე ჭაფოძის ობიექტი წარმოადგენდა კაფელის იატაკის იმიტაციას, რომელზეც უნიტაზი იდგა. უნიტაზთან იდო წიგნი – „ახალი აღთქმა“. ამ კოლაჟის გვერდით განთავსებული იყო მონიტორი, რომლის ეკრანზე დაცურავდა თევზი. გამოფენის გახსნიდან რამდენიმე წუთში თორნიკე ჭაფოძე უნიტაზზე ჩამოჯდა, ხელში ახალი აღთქმით. მან წიგნიდან ფურცელი ამოხია და მისი ჭამა დაიწყო. თორნიკე ჭაფოძეს გამოფენაზე მოსულმა რამდენიმე ახალგაზრდამ, რომლებიც თავს სემინარიის სტუდენტებად აცხადებდნენ, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მხატვარს გამოესარჩლენ მისი მეგობრები და საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა. ქარვასლის ადმინისტრაციამ გამოფენა უმალვე დახურულად გამოაცხადა და დაცვამ ყველანი გარეთ გააძევა. დაიხურა მთლიანად ქარვასლის შენობა. ინციდენტი ქუჩაში გაგრძელდა. ქარვასლის დაცვამ კი დაპირისპირებული მხარეები ფაქტობრივად ერთმანეთს შეატოვა. სემინარისტებისა და მათი მომხრეების 20-30 კაციანი ჯგუფი, განმცხადებელთა თქმით, შეიარაღებულნი იყვნენ დანებით და „დუბინკებით“. შედეგად სხვადასხვა სიმძიმის ფიზიკური ტრავმა და ჭრილობა მიიღო რამდენიმე მხატვარმა. მუზეუმის დირექციას ან უშუალოდ მუზეუმის დაცვას ამ ინციდენტის თაობაზე პატრულისთვის არ შეუტყობინებია.

მეორე დღეს, 5 მარტს ქარვასლაში მისულ ავტორებს გამოფენა ალაგებული დახვდათ. ქარვასლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ლიკა მამაცაშვილმა მხატვრებს განუცხადა, რომ მუზეუმის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გამოფენა დროზე ადრე დაიხურა, ხოლო მიზეზად თორნიკე ჭაფოძის პერფორმანსის რელიგიური არაკორექტულობა დასახელდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მკაცრად გააფრთხილა ი.გრიშაშვილის სახელობის მუზეუმის დირექცია და თანამედროვე ხელოვნებისა და დროებითი გამოფენების განყოფილება. შეაჩერა თბილისის ისტორიის მუზეუმში დაგეგმილი ყველა ღონისძიება ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებამდე. საყვედურის გამოცხადებისა და გამოფენების აკრძალვის საფუძველი უშუალოდ ამ ბრძანებიდან გამომდინარე გაურკვეველია. ამდენად, აღნიშნული საყვედურისა და დირექტივის გამო სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ახსნა-

განმარტება მოსთხოვა საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელ დირექტორს კახა ტრაპაიძესა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციის უფროსს გივი ყიფიანს (გენერალური დირექტორი იმჟამად თბილისში არ იმყოფებოდა და მასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა).

შემოქმედების თავისუფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს:

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

როგორც საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ მოყვანილი მუხლებიდან ირკვევა, შემოქმედებით პროცესში სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სახის ჩარევა აკრძალულია. დაუშვებელია ასევე შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა, თუკი იგი არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი, მაგრამ ამ შეზღუდვის განხორციელებამდე სახელმწიფო ვალდებულია დაასაბუთოს მისი ჩარევის მიზანშეწონილობა.

რა ვითარებასთან გვაქვს საქმე გამოფენის „სადილი ყველას“ შემთხვევაში?

1. თბილისის ი.გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაციამ თვითნებურად, ავტორების ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების, მათთან შეთანხმებისა და დასაბუთების გარეშე აალაგა სამივე საგამოფენო ობიექტი და მოახდინა მათი დეკონსტრუქცია, რითაც ხელყო ინტელექტუალური საკუთრება და ჩაერია შემოქმედებით პროცესში, რომელიც დამტკიცებული პროექტის მიხედვით პერფორმანსის, ანუ ცოცხალი, სპონტანური მოქმედების სახით უნდა გაგრძელებულიყო კიდევ 5 დღის განმავლობაში.

2. ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობამ ასევე დაუსაბუთებლად ი. გრიშაშვილის სახელობის მუზეუმის დირექციას გამოფენის შემდგომი გაგრძელება აუკრძალა.

3. სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ეროვნული მუზეუმის დირექციამ აქციის შეწყვეტის და ი.გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაციისთვის მკაცრი გაფრთხილების მიცემისა და გამოფენის დახურვის დირექტივის დასასაბუთებლად ცენზურის ელემენტების შემცველი და არაადეკვატური არგუმენტები მოიშველია.

ახსნა-განმარტებაში ნათქვამია, რომ:
ა. მხატვართა აქციის „პროგრამა საკმაოდ ზოგადად იყო შედგენილი და **არ იყო დადგენილი ის პირობები, რომლის დაცვაც ევალებოდათ** აქციის ორგანიზატორებს“.

ჩვენს მიერ მოძიებული და შესწავლილი 2005 წლის მარტსა და აპრილში განსახორციელებელი სხვა ოთხი პროექტის აღწერილობა ასევე ზოგადი კონცეპტუალური ხასიათისაა. ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციის ახსნა-განმარტებაში არსადაა ნათქვამი რაიმე სახის პირობების შესახებ, რომლის დაცვაც

აუცილებელია ამგვარი პროექტების განხორციელებისას. პირიქით, მოტანილი არგუმენტი ეწინააღმდეგება თავად ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციის მიერ ამავე ახნა-განმარტებაში აღნიშნულს, რომ კანონიერების დაცვის გარდა, არ ყოფილა განსაზღვრული რაიმე სტანდარტი, რომლის დაცვაც უკვე დაგეგმილი აქციის ორგანიზატორებს მოეთხოვებოდათ.

ბ. „აქციის **შინაარსი და გადმოცემის მანერა არ შეესაბამებოდა საზოგადოებაში მიღებულ და აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს**“

მუზეუმის ადმინისტრაცია ვერანაირად განსაზღვრავს შეესაბამება თუ არა სახელოვნებო აქციის, საერთოდ, ხელოვნების ნებისმიერი გამოვლინების შინაარსი და გადმოცემის მანერა საზოგადოებაში მიღებულ და აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და შესაბამისად ვერ მოიტანს ამ განსაზღვრებას მის მიერ ხელოვნების თავისუფლებაში ჩარევის მიზეზად. სწორედ ასეთი ჩარევისგან იცავს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული ხელოვნებისა და გამოხატვის თავისუფლება შემოქმედსა და შემოქმედებას.

გ. „აქცია რეალურად ემსახურებოდა რელიგიური შუღლის გაღვივებას“

მოცემულ ახსნა-განმარტებაში არ არის ნათქვამი მხატვართა კონკრეტულად რომელი ქმედება ან შემოქმედებითი ობიექტი აღვივებდა რელიგიურ შუღლს. რელიგიური შუღლი ამა თუ იმ რელიგიისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ აგრესიული, ძალადობრივი ქმედებისკენ პირდაპირ მოწოდებას გულისხმობს, რასაც არ ჰქონია პერფორმანსის მსვლელობისას ადგილი.

შესაძლოა პერფორმანსი სწორედ პირიქით, მიზნად ისახავდა საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში გამძაფრებული რელიგიური შუღლისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის მეტაფორულ ილუსტრირებას, რაც ხელოვნებისა და რელიგიის ისტორიისთვის მეტად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული მეთოდია. (იხ. ძვ. აღთქმა, იეზეკ. თავი 5)

დ. აქციის ორგანიზატორებს „**აუცილებლად უნდა ევარაუდათ**, რომ თბილისის ისტორიის მუზეუმის მახლობლად მდებარე სასულიერო სემინარიის სტუენტების ღირსებისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა აუცილებლად გამოიწვევდა დაპირისპირებას.“

ამ არგუმენტის მოხმობა სამართლებრივად დაახლოებით ისეთივე დამაჯერებელი და გამართლებულია, როგორც, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ მაკდონალდსის სასადილოს შენობა არ უნდა იდგეს შოთა რუსთაველის ძეგლის გვერდით, რადგან ეს ბღალავს რუსთაველის სიდიადეს. ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაცია უბრალოდ არ უნდა წყვეტდეს გამოფენის დაშვება – არ დაშვების საკითხს საგამოფენო დარბაზსა და საკულტო ნაგებობას ან რელიგიურ სასწავლებელს შორის მანძილის გაზომვის მეშვეობით.

ასევე სახელმწიფო მუზეუმის ადმინისტრაციას საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე არ აქვს უფლება დაავალდებულოს შემოქმედი, „აუცილებლად“ ივარაუდოს, წინასწარგანჭვრიტოს და შემოქმედებითი აზროვნების ნებისმიერი გამოვლინება მიმართოს რაიმე ნიშნულისკენ. სახელმწიფოს სწორედ ასეთ ქმედებას ეწოდება შემოქმედებით პროცესში ჩარევა, ანუ ცენზურა. ახსნა განმარტებაში მკაფიოდ შეინიშნება ცენზურის ელემენტი.

რაც შეეხება სემინარიის სტუდენტების ღირსებისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ზოგადად, ასევე მეტისმეტად რთულია, დაასაბუთო, ჰქონდა თუ არა სემინარიის სტუდენტების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას ადგილი იმ ფაქტიდან გამომდინერე, რომ თორნიკე ჭაფოძეს ჯერ უკიდურესად შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდნენ, ხოლო შემდეგ რამდენიმე მხატვარს ხელკეტებითა და დანებით დაესხნენ თავს და ფიზიკური ტკივილი და ჭრილობა მიაყენეს.

.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, ი.გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციის ხელოვნებისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა გამოფენის აკრძალვისა და ექსპონატების დეკონსტრუქციის (ფაქტობრივად განადგურების) გზით და ამ ქმედებებათა მიზანშეწონილობა, საზოგადოებრივი აუცილებლობა მკაფიოდ არგუმენტირებული უნდა ყოფილიყო. ეროვნული მუზეუმის დირექციას მხატვრებისა და ი.გრიშაშვილის სახელობის მუზეუმის ადმინისტრაციისთვის უნდა განემარტა და დაესაბუთებია თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გამოფენა „სადილი ყველას“, როგორც ეს სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა განმარტებაშია ნათქვამი, არღვევდა კონკრეტული რელიგიური ჯგუფის უფლებებს, ხელყოფდა მათ პატივსა და ღირსებას და ემსახურებოდა რელიგიური შუღლის გაღვივებას.

ეროვნული მუზეუმის ადმინისტრაციის სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მოტანილი არგუმენტები ცენზურული ხასიათისაა და შესაბამისად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის ბრძანებას აქციის შეჩერების თაობაზე შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ჩარევასა და შემოქმედებითი ნაწარმოების გავცელების აკრძალვას სათანადოდ ვერ ასაბუთებს, რითაც არღვევს ხელოვნებისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპს. ამგვარად, გამოფენის „სადილი ყველას“ ნაადრევად დახურვის შემთხვევაში გამოვლინდა კონსტიტუციით გარანტირებული შემოქმედების თავისუფლების შემლახავი სამი ქმედება: ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა, შემოქმედებით პროცესში ჩარევა – ცენზურა და შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა.

ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ მხატვარ თორნიკე ჭაფოძის მიერ საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი ობიექტი ერთმნიშვნელოვნად ძნელია განისაზღვროს როგორც რელიგიური შუღლის გამღვივებელი ან ვისიმე პირადი ღირსების შემლახველი. პირველ რიგში, არც მხატვრების მიერ ი.გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაციისთვის წარდგენილ პროექტში და არც გამოფენის მსვლელობისას მხატვრების მხრიდან ადგილი არ ჰქონდა არანაირ ვიზულაურ თუ ვერბალურ მოწოდებას რომელიმე რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ. და მეორეც, მხატვარ თორნიკე ჭაფოძის პერფორმანსული ნაწარმოები უშუალოდ მის მიერ არ იყო ინტერპრეტირებული და ინტერპრეტაციის უამრავ შესაძლებლობას იძლეოდა: ზოგისთვის ეს რელიგიური მკრეხელობა იყო, ხოლო ზოგისთვის სწორედაც პირიქით, ფარისევლობის, სიყალბისა და რელიგიური ექსტრემიზმის თვალსაჩინო მხილება.

თორნიკე ჭაფოძის უფლებების შელახვის გარდა კიდევ უფრო აშკარად დაირღვა დანარჩენი ორი მხატვრის უფლებები და თავისუფლებები, რადგან თორნიკე ჭაფოძის ექსპოზიციისგან განსხვავებით, მათი ექსპონატების მიმართ დამთვალიერებელს არანაირი აგრესია არ გამოუვლენია და, შესაბამისად, მუზეუმის ადმინისტრაციის მიერ ზურაბ ტატიშვილისა და გიორგი ტაბატაძის ობიქტების დაშლა და, შეიძლება ითქვას, განადგურება სრულიად უკანონო ქმედება იყო.

შრომითი უფლებების დარღვევა

მშრომელთა სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვას ითვალისწინებს საერთაშორისო ნორმატიული აქტები და ქვეყნის კანონმდებლობა - შრომის კანონთა კოდექსი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ ამ მოვალეობის შესრულება სახალხო დამცველის მუშაობის ერთ-ერთ კონკრეტულ მოვალეობადაც განსაზღვრა და ამ მიმართულებით არაერთი დარღვევის ფაქტი გამოვლინდა, კერძოდ, 1 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით, სახალხო დამცველს შრომითი უფლებების შელახვის თაობაზე ას ორმა განმცხადებელმა მომართა.

განსაკუთრებული პრობლემაა დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვა. შრომის კანონთა კოდექსით კონკრეტულად არის განსაზღვრული, თუ როგორი წესით ხდება დეკრეტული და უხელფასო შვებულებების გაცემა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში, რა გარანტიები არსებობს სამუშაოზე მიღებისას და სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში, რა პრივილიგიები აქვთ ორსულ ქალებს და იმ დედებს, რომელთაც სამი წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავთ, თუმცა კანონის მოთხოვნები ხშირად ირღვევა.

* მოქალაქე თეა დვალი, 2001 წლიდან მუშაობდა სს „რაჭის ენერგოკომპანიაში“. ამავე წლის დეკემბრიდან მას მიეცა ფასიანი შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო. 2002 წლის 12 თებერვალს სამშობიარო ტრამვით შეეძინა ბავშვი, რომელიც საჭიროებდა ინტენსიურ მკურნალობას, რისთვისაც მან ისარგებლა კუთვნილი უფასო შვებულებით. შვებულების ვადის გავსვლის შემდეგ დვალი გამოცხადდა სამსახურში, მაგრამ მას უარი უთხრეს მუშაობის გაგრძელებაზე ენერგოკომპანიაში მიმდინარე ცვლილებების გამო, რაც გამოიხატა იმით, რომ სს რეგიონების ენერგოკომპანიების შერწყმით დაფუძნდა ახალი იურიდიული პირი - „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია“, რომელიც ზემოაღნიშნული ენერგოკომპანიების სამართალმემკვიდრეა. ასეც რომ არ ყოფილიყო, ქალბატონი თ. დვალი სარგებლობდა სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლებით, ვინაიდან იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. იგი დღესაც ფეხმძიმედაა მეორე ბავშვზე და მისი უფლებები უხეშად არის შელახული. შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, დაუშვებელია, ადმინისტრაციამ სამსახურიდან დაითხოვოს ორსული ქალები და დედები, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ბავშვი, ან 16 წლამდე ინვალიდი შვილი. კანონი იმ შემთხვევაშიც იცავს ასეთ პიროვნებებს შრომითი მოწყობით, როცა ხდება ორგანიზაციის სრული ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს ”საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის” გენერალური დირექტორისგან, ბატონ დ. უაითისაგან “საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის უფლებამოსილების ფარგლებში მოვითხოვეთ, დაუყონებლივ მიეღო ზომები კანონით დადგენილი წესით მოქ. თ. დვალის დარღვეულ უფლებათა აღსადგენად. თუმცა, ქალ. თ. დვალის უფლებები დღემდე დარღვეულია. იგი არც ბრძანებით არის გათავისუფლებული და არც დაშვებულია სამსახურში.

* ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრის მსახიობმა, ვადიანი ხელშეკრულებით მომუშავე ქალბატონმა ია ბახტაძემ განცხადებით მოგვმართა დარღვეულ შრომით უფლებებთან დაკავშირებით. იგი დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა 2004 წლის 20 მაისიდან 22 სექტემბრამდე. მისთვის ცნობილი გახდა, რომ ამ პერიოდში თეატრში გამოცხადდა კონკურსი. დეკრეტულ შვებულებაში მყოფი პიროვნება იძულებული გახდა, მომზადებულიყო აღნიშნული კონკურსისათვის. თუმცა, მან ვერ გაიმარჯვა. საქართველოს შრომის კანონმდებლობით, დაუშვებელია ადმინისტრაციის ინიციატივით სამსახურიდან

დათხოვნა ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ. ამასთან ერთად, შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მოქალაქე ია ბახტაძე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. მისი სამსახურიდან გათავისუფლება კი მოხდა იმავე წლის 10 სექტემბერს. არადა, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, დაუშვებელია შვებულების ან დროებითი შრომისუუნარობის დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა. ამდენად, მისი დათხოვნა მოხდა კანონდარღვევით. გარდა ამისა, ამავე კოდექსის შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ მოქალაქე ია ბახტაძის გათავისუფლება მოხდებოდა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, ადმინისტრაცია ვალდებული იყო, უზრუნველეყო იგი შრომითი მოწყობით, რაც არ განხორციელებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოპერისა და თეატრის ადმინისტრაციისგან ვითხოვეთ მოცემული საკითხის განხილვა და კანონიერების დაცვა. აღნიშნული პრობლემის მოგვარება აყვანილია კონტროლზე.

- "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დაახლოებით 1400 ყოფილი თანამშრომლის, შრომითი უფლებები იყო დარღვეული, რადგან ადმინისტრაციის მხრიდან არ მომხდარა მათი კუთვნილი 2003, 2004 წლების გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციების გაცემა.

საკითხის შესწავლისას გაირკვა, რომ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ხელმძღვანელობის, აგრეთვე მათსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის არსებული გაუგებრობის გამო, დაირღვა "ელექტროსისტემის" ყოფილ თანამშრომელთათვის შრომის კანონთა კოდექსით მინიჭებული უფლებები. კერძოდ, სს "ელექტროსისტემის" მიერ გათავისუფლებულ თანამშრომელთა დავალიანების გასტუმრება უნდა განხორციელებულიყო გასული წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა სამინისტროში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სს "ელექტროსისტემის" ანგარიშზე კვლავ ირიცხებოდა აუთვისებელი თანხა, რის გამოც ფერხდებოდა ზემოხსენებული დავალიანებებისათვის საჭირო დამატებითი ასიგნებების გამოყოფა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ა. მამათელაშვილის განმარტებით, სამინისტროსათვის "ელექტროსისტემას" უნდა მიეწოდებინა სრულყოფილი ინფორმაცია გათავისუფლებულ თანამშრომელთა დამატებითი სახელფასო დავალიანების არსებობის შესახებ, რომლის შემდგომაც ენერგეტიკის სამინისტორ მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წადგენილი იქნებოდა შესაბამისი განაცხადი სათანადო ასიგნებათა გამოყოფის თაობაზე. ამასთან, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელთა განმარტებით, მათ არაერთხელ ჩააყენეს საქმის კურსში "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ფინანსური აღმასრულებელი დირექტორი, თუმცა "ელექტროსისტემის" წარმომადგენელთა განცხადებით, ენერგეტიკის სამინისტროს ამგვარი პოზიციის შესახებ, მათ გაიგეს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისაგან.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რეკომენდაცია გაეგზავნა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის გენერალურ დირექტორსა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს, რათა მომხდარიყო "ელექტროსისტემის" გათავისუფლებულ თანამშრომელთა შრომითი უფლებების აღდგენა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, 2005 წლის 17 ოქტომბრიდან "ელექტროსისტემის" ადმინისტრაციამ დაიწყო ყოფილი თანამშრომლების კუთვნილი თანხის გაცემა.

ხშირად ხდება, რომ მუშაკთა გათავისუფლების შემდეგ ადმინისტრაცია არღვევს გათავისუფლებულ მუშაკთა უფლებებს, როდესაც აფერხებს მათთვის შრომის წიგნაკის გადაცემას.

* ასეთ შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნება, სს "კურორტი მენჯის" მხრიდან გათავისუფლებული თანამშრომლის გ. კაჭარავას შრომისა და საპენსიო

უზრუნველყოფის უფლებების შელახვა. კერძოდ, ორი წლის განმავლობაში გ. კაჭარავას არ მიუღია ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ და შრომის წიგნაკი, შესაბამისად, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა აეღო პენსია. რეკომენდაციის გაგზავნის შემდეგ, აღდგენილ იქნა გ. კაჭარავას დარღვეული უფლებები.

* მსგავსი საქმე იყო, როდესაც სს "თბილმარგარინმრეწვმა" დაარღვია გათავისუფლებული თანამშრომლის ჯ. ძნელაძის შრომითი უფლება და გათავისუფლების შემდეგ არ გასცა მასზე შრომის წიგნაკი. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა ჩარევის შემდეგ, მოხერხდა პრობლემის მოგვარება და ადმინისტრაციამ გასცა ჯ. ძნელაძეზე შრომის წიგნაკი.

- ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა "საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის" გათავისუფლებული თანამშრომელი მაია ავალიანი, რომელსაც ადმინისტრაცია არ აძლევდა შრომის წიგნაკს.

"საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის" აღმასრულებელმა დირექტორმა ნ. ფხალაძემ თავი გაიმართლა იმით, რომ ის თანამშრომელი, რომლის ოთახშიც ინახებოდა შრომის წიგნაკი, იმყოფებოდა შევბულებაში, მას კი ოთახის გასაღები არ ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერთნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, ნ. ფხალაძემ უზრუნველყო ავალიანისათვის შრომის წიგნაკის გადაცემა.

შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები შეგვიძლია მოვიყვანოთ განათლების სისტემაშიც.

„განათლების შესახებ" კანონის თანახმად, მასწავლებლებს, რომელთაც პედაგოგიური საქმიანობის 25 წლის პრაქტიკული სტაჟი აქვთ, ეძლევათ წელთა ნამსახურობის პენსია ხელფასის განაკვეთის 50 პროცენტის ოდენობით; ხოლო ამავე კანონით, მაღალმთიანი რეგიონების პენსიონერ მასწავლებელებს - პენსიის სრული ოდენობით. საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით „საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" დამტკიცებული დებულების თანახმად, ფონდს ევალება არსებული დაფინანსების ფარგლებში პენსიების გასაცემლების გადარიცხვა. არადა, ეს ღონისძიება არ სრულდება. „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე" 1999 წლის 9 ივნისის და 2004 წლის 29 დეკემბრის კანონებით 2004 წლის დეკემბრის თვიდან შეჩერებულია პედაგოგებზე ასეთი დანამატების გაცემა. თუმცა, რეალურად, პედაგოგები ამ დანამატს არც ადრე იღებდნენ. ასეთ პედაგოგთა რიცხვი 2005 წლის 1 ივნისის მდგომარეობთ შეადგენს 2076 კაცს. ხელფასთან ერთად 100-პროცენტიანი დანამატის გაცემა ხდება მხოლოდ იმ პედაგოგებზე, რომლებიც მსახურობენ მაღალმთიან რეგიონებში.

- მოქ. ნაზი ცომაია 1960 წლიდან 1999 წლის 1 ივნისამდე მუშაობდა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში მასწავლებლად, არის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, მრავალი პედაგოგიური და მეთოდური ნაშრომის ავტორი და რედაქტორი, ჟურნალ „ფიზიკის" რედკოლეგიის წევრი, დაჯილდოებულია შრომის ვეტერანთა მედლით. მე-60 საშუალო სკოლის დირექტორის რუსუდან მინაშვილის 1999 წლის 21 ივნისის ბრძანებით ნ. ცომაია გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ნ. ცომაიამ უკანონოდ მიიჩნია დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება და სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად

თითქმის 5 წელი დასჭირდა (1999 წლის 15 ივლისიდან 2004 წლის ოქტომბრამდე). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2004 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ცომაიას შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტი დაადასტურა და სკოლის ადმინისტრაციას დაავალა მისი სამსახურში აღდგენა, ერთი წლის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებით. რატომ ერთი წლით და არა მთელი პერიოდით, ახსნილი არ არის. არადა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, ქალ. ნ. ცომაიას სრული უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის. მიუხედავად ამისა, სკოლის ადმინისტრაციამ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებაც არაჯეროვნად და არასრულყოფილად აღასრულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის უფლებამოსილების ფარგლებში მეცნიერებისა და განათლების მინისტრს, ბატონ ა. ლომაიას შევთავაზეთ, რომ მიეღო ზომები ნ. ცომაიას კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. საჭიროდ მივიჩნიეთ, განათლების სამინისტროს ემსჯელა მე-60 სკოლის დირექტორის, რ. მინაშვილის პირადი პასუხიმგებლობის თაობაზე იმ დარღვევების გამო, რომლებიც გამოვლინდა სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოს მიერ. კერძოდ: სკოლაში ტარიფიკაცია სისტემატურად ტარდებოდა შეცდომებით, არადამაკმაყოფილებლად წარიმართებოდა სკოლის საფინანსო-ანგარიშგება და პედკოლექტივში არსებობდა დაძაბული ვითარება. ამის დასტურია, თუნდაც, განათლების რეფორმის სამხარეო პროგრამების კოორდინაციის ბიუროს მთავარი სპეციალისტების: ც. მიქიაშვილის, გ. რუხაძისა და ფინანსური მენეჯერის ნ. დეკანოიძის მიერ მინისტრის სახელზე მომზადებული დასკვნა. დასკვნაში აღნიშნულია: „მე-60 სკოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და დარღვევები, უპირველესად, დირექციის მხრიდან, პედაგოგიური კოლექტივის სუსტი ხელმძღვანელობისა და არასათანადო კონტროლის შედეგია. დირექცია სათანადოდ არ აანალიზებს მიმდინარე პროცესებს, რამაც გამოიწვია სკოლაში არსებული დაძაბული ვითარება.“ უფრო მკაცრი შეფასებაა საქართველოს კონტროლის პალატის შემოწმების მასალებშიც, რომლებიც ეხება მე-60 სკოლის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობას. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ყველა დოკუმენტური მასალა 2005 წლის 17 მარტს გადაეგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურას, ხოლო ა/წლის 2 მარტს - განათლების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში 2005 წლის 18 აპრილს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ამჟამად ძიებას აწარმოებს საქართველოს გენერალური პროკურატურა.

- ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის კოლეჯის საწარმოო სწავლების განყოფილების გამგე თ. ფარჩიკაშვილი, წამყვანი სპეციალისტი მ. ქაჯაია, დღის სწავლების განყოფილების გამგე ლ. გარდაფხაძე და სასწავლო ნაწილის მდივანი მ. მოდებაძე უკანონოდ იყვნენ გათავისუფლებულები სამსახურიდან კოლეჯის დირექტორის ა. ბაზელის მიერ. დირექტორის ბრძანება ზემოხსენებული თანამშრომლების გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრმა ბათილად ცნო. მიუხედავად ამისა, მაინც არ იყო აღდგენილი გათავისუფლებულ მუშაკთა შრომითი უფლებები, რადგანაც არ მომხდარა მათი თავიანთ თანამდებობებზე დაბრუნება. რის შემდეგაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გაათავისუფლა ა.ბაზელი კოლეჯის დირექტორის თანამდებობიდან, ხოლო სახალხო დამცველის რეკომენდაციით, უკანონოდ გათავისუფლებული თანამშრომლები, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, აღდგენილ იქნენ თავიანთ თანამდებობებზე.

განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა განათლების უფლების შელახვის რამდენიმე შემთხვევა.

- საქართველოს სახალხო დამცველს, შელახული უფლებების თაობაზე მომართეს საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის 2-3 კურსის სტუდენტებმა.

1993 წელს საქრთველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დაარსდა სამხედრო აკადემია. 2005 წლის 5 სექტემბერს აღნიშნული სასწავლებელი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გაუქმდა. 6 სექტემბერს კი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში NATO-ს სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარე რეფორმის საფუძველზე, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ოფიცერთა პროფესიული მომზადების სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის რეორგანიზაციის, ოპტიმიზაციისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულ "ოფიცერთა განათლების კონცეფციასთან" შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაუქმდა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში არსებული ოფიცერთა მომზადების სამხედრო საგანმანათლებლო სისტემა.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თავდაცვის ეროვნული აკადემიის მეორე-მესამე კურსის სტუდენტებს აღარ ეძლევათ უმაღლესი განათლების მიღების საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ მათი აკადემიაში ჩარიცხვის დროს, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, სტუდენტები უზრუნველეყო სამოქალაქო განათლებით, სამხედრო განათლების პარალელულად და მათზე გაეცა სამოქალქო სპეციალობის შესაბამისი ბაკალავრის დიპლომები. აკადემიის გარეთ დარჩენილი მეორე-მესამე კურსის სტუდენტები აღმოჩნდნენ გაურკვეველ მდგომარეობაში. სახალხო დამცველის მიერ გაიგზავნა რეკომენდაცია პრემიერ-მინისტრის სახელზე, რათა მოხდეს სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინება, რათა მათ მიეცეთ სწავლის გაგრძელების საშუალება, სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად, იმავე ან მომიჯნავე სპეციალობებით, რომელთა დამადასტურებელი დიპლომები აკადემიას უნდა გაეცა სასწავლებლის დამთავრების შედეგად.

- სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მოქალაქე მაია მურადიდმა. საკითხი ეხებოდა, მისი არასრულწლოვანი შვილის, მერცია სულხანიშვილის საშუალო განათლების მიღების უფლების დარღვევას. საქმის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარე წლის 29 სექტემბერს მ. სულხანიშვილის მშობელმა საკუთარი სურვილით გადაწყვიტა ბავშვის გადაყვანა სხვა სკოლაში, თუმცა საკითხი დადებითად არ გადაწყდა. ამის შემდეგ, მოქალაქე მ. მურადიდმა მიმართა 155-ე სკოლას ბავშვის კვლავ ჩარიცხვის თხოვნით, რაზედაც მიიღო უარი იმ მოტივით, რომ სკოლაში არ იყო ადგილი.

155-ე სკოლის დირექტორმა სერგო დურგლიშვილმა ანალოგიური მიზეზი დაასახელა სახალხო დამცველის თანამშრომლისათვის ახსნა-განმარტების მიცემისას და აღნიშნა, რომ კიდევ ერთი ბავშვის მიღებით კლასში სწავლის ხარისხი დაიწევდა.

რეალურად კი სკოლაში არსებობს 3 მეშვიდე კლასი, რომელთაგან 2 კლასში 28 ბავშვია, ხოლო ერთში – 30.

დირექტორის ამგვარი პასუხი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რაც უხეშად არღვევს ბავშვის უფლებებს, ვინაიდან განათლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით 155-ე სკოლის დირექტორის სახელზე გაიგზავნა რეკომენდაცია, რათა აღდგენილიყო მ.სულხანიშვილის დარღვეული უფლებები და მას მისცემოდა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. დურგლიშვილმა არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია. საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საქმეს იკვლევს გენერალური ინპექცია.

მომხმარებელთა უფლებები

ქვეყანაში მიმდინარე ელექტრო გამრიცხველიანების პროცესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში არაერთი განცხადება შემოვიდა. განცხადებების შესწავლის საფუძველზე საქარტველოს სახალხო დამცველის ოფისმა ჩაატარა მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში – რაჭაში, იმერეთში, სამცხესა და მცეთა-მთიანეთში. გაწეული მუშაობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ 2005 წლის 6 აპრილს მიღებულ იქნა №7 დადგენილება, სადაც დაწვრილებით იქნა აღწერილი გამრიცხველიანების ყოველი კრიტერიუმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარე გამრიცხველიანების პროცესში არაერთი უარყოფითი საკითხი წამოიჭრა.

გამრიცხველიანების პროცესი რეგიონებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სერვის ცენტრმა მოქალაქეებს შესთავაზა, გადაეხადათ 30 (ოცდაათი) ლარი, რის საფასურადაც მოხდებოდა მათი მრიცხველების გარეთ გატანა, ხოლო აღნიშნული თანხა ჩაეთვლებოდათ ელ-ენერგიის გადასახდში. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელს არ უნდა მოეთხოვებოდეს იმ თანხის გადახდა, რომელიც მრიცხველის გარეთ გამოტანას შეეხება. რადგან სტანდარტს ცვლის მიმწოდებელი, შესაბამისად, სახსრები მანვე უნდა გაიღოს, რაც პრინციპში ხდება კიდეც. კომპანია მრიცხველების გამოტანას ახდენს თავისივე ხარჯით (წინასწარ გადახდილ 30 ლარს თავადვე უთვლის მომხმარებელს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურში), მაგრამ თუ მოქალაქეს არ შეუძლია, კომპანიას გადაუხადოს (ასესხოს) 30 ლარი, ხდება მისი გათიშვა.

ასევე დიდი პრობლემები წარმოშვა კომუნალური მრიცხველების საკითხმაც. კომპანია აცხადებს, რომ დაამონტაჟა კომუნალური მრიცხველი (მაგალითად 60 ოჯახზე – ერთი მრიცხველი) და აღარ აინტერესებს, ვინ რამდენი ენერგია მოიხმარა, მრიცხველზე ნაჩვენებ ხარჯს თანაბრად უნაწილებს მოქალაქეებს, რაც არასამართლიანი და უკანონოა. ეს მთლიანად არღვევს ზემოაღნიშნული დადგენილების პირობებს, რომლის თანახმად, თვეში ერთხელ უნდა ხდებოდეს შედარების აქტის გაფორმება, სადაც სავალდებულოა მითითება შემდეგ მონაცემებზე: როგორია საერთო მოხმარების მრიცხველის ჩვენება (კვტ), თითოეული აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგია, რამდენი კვტ-ი იქნა ინდივიდუალური მომხმარებლის მიერ გახარჯული, ამ პროცესში უნდა დადგინდეს, თუ რა სიმძლავრის ელექტროხელსაწყოს იყენებს აბონენტი, ვინაიდან ამ ხელსაწყოებზე დაწესებულია საათობრივი, დღეღამური და თვიური ნორმები – ზამთრისა თუ ზაფხულის პერიოდისთვის. გარდა ამისა, პრობლემაა ის საკითხი, რომ მოსახლეობის ერთ ნაწილს გადახდილი აქვს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ელ-ენერგია არ მიეწოდებათ და ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ თითოეული მოსახლის ინდივიდუალური გათიშვა ვერ ხერხდება (ანუ, თუ ერთ კომუნალურ მრიცხველზე მოხმარებული ელ-ენერგიის საფასური გადაიხადა მომხმარებელთა მხოლოდ 40%-მა, ხოლო დანარჩენმა 60%-მა არ გადაიხადა, შუქი გაეთიშება იმ მომხმარებლებსაც, რომლებმაც საფასური დროულად გადაიხადეს). ასე რომ, მიუხედავად ელექტროენერგიის საფასურის კეთილსინდისიერი გადახდისა, ხშირად მომხმარებელი რჩება ელექტროენერგიის გარეშე, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა ჩამოთვლილი მიზეზების გამო მომხმარებლისათვის ელ.ენერგიის შეწყვეტას არ ითვალისწინებს და, შესაბამისად, ყოველი ასეთი შემთხვევა არის უკანონო.

პრობლემად რჩება საკითხი, რომელიც შეეხება ხელშეკრულების გაფორმებას მომხმარებელსა და კომპანიას შორის. ასეთი ხელშეკრულება მხოლოდ იურიდიულ პირებთან ფორმდება, ხოლო ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულებას კომპანია არ აფორმებს, თუმცა ეს არის კომპანიის ვალდებულება, გაუფორმოს ხელშეკრულება მომხმარებელს. ამ ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსი ადგენს. უნდა შეიქმნას ხელშეკრულების ერთიანი ფორმა, რომელსაც მომხმარებელი მიუერთდება (მიერთების ხელშეკრულება), თუმცა ასეთი რამ კომპანიის მხრიდან არ ხდება და მათ ამის პასუხად არაერთი არაარგუმენტირებული მიზეზი მოჰყავთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვანათ, რომ ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" არ ასრულებს მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ იმპერატიულ მოთხოვნებს, რაც საჭიროებს სათანადო რეაგირებას, რომელიც უნდა გამოიხატოს არამხოლოდ პრევენციულ ხასიათში, არამედ, უნდა გვთავაზობდეს პრობლემის არსებითად გადაწყვეტის მექანიზმს.

მიუხედავად იმისა, რომ სემეკმა მიიღო დადგენილება და დაავალა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას სექტემბრისთვის გამოესწორებინა არსებული ვითარება, მოეყვანა სემეკის დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პრობლემა მაინც არ არის მოგვარებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა დაცვა უხარისხო, ჯანმრთელობისა და ზოგიერთ შემთვევაში სიცოცხლისათვის საშიში პროდუქციისაგან, რაც თანამედროვეობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ექსპერტების მონაცემების საფუძველზე გამოთვლილია მსოფლიო ეკონომიკაში ფალსიფიცირების შედეგები და ის ყოველწლიურად ასტრონომიულ ციფრს უტოლდება – ხუთასი მილიარდიდან ტრილიონ აშშ დოლარამდე.

მიუხედავად გატარებული არაერთი ტექნიკური ღონისძიებისა (ეტიკეტისა და კონტრეტიკეტის დაცვა გაყალბებისაგან, ჰოლოგრამა, საფირმო ტარა და სახურავები, შტრიხ-კოდების დასმა და სხვ.) სამომხმარებლო ბაზარი სულ უფრო და უფრო ექცევა უხარისხო ნაწარმის ზეწოლის ქვეშ. XXI საუკუნეში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში მყოფ საკითხთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციის სამომხმარებლო ბაზრიდან განდევნა იკავებს.

პრობლემის სერიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მომხმარებელთა უფლებების დასაცავად 1985 წლის 9 აპრილს სპეციალური დოკუმენტი შეიმუშავა – რეზოლუცია № 39/248 „მომხმარებელთა ინტერესთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები", რომლის მიხედვით მომხმარებელთა ფუნდამენტალურ უფლებებს მიეკუთვნება:

- პროდუქციისა და მომსახურების უსაფრთხოება;
- პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმირებულობა;
- პროდუქციისა და მომსახურების არჩევა;
- მომხმარებლის ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ზარალის ანაზღაურება;
- სამომხმარებლო განათლება;
- ჯანსაღი გარემო პირობები;

პრობლემა მწვავედ დგას საქართველოშიც. სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციისა და მომსახურების ობიექტების ძირითად ნაწილს არ გააჩნია უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი, პროდუქციის უმრავლესობა ვადაგასულია ან ეტიკეტის მიხედვით ვარგისიანობის ვადის დადგენა შეუძლებელია, არ გააჩნია ქართულენოვანი ან სრულყოფილი ქართულენოვანი ეტიკეტი, დარღვეულია პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და რეალიზაციის პირობები, ბაზრობებზე კვების პროდუქტები ძირითადად იყიდება ღია ცის ქვეშ, ანტისანიტარულ გარემოში. ასევე ერთად იყიდება ისეთი პროდუქტები, რომლის ერთად ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზება დაუშვებელია, მაგალითად საკვები პროდუქცია და სარეცხი საშუალებები და ა.შ..

სახარბიელო მდგომარეობა არც სუპერმარკეტებშია. მართალია, პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის პირობები შედარებით დაცულია, მაგრამ პროდუქციის 70%-ზე მეტს არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი. მრავალი დასახელების პროდუქციის გამოშვების ვადის დადგენა შეუძლებელია. პროდუქცია გაჯერებულია ემულგატორებით და სხვა სახის ხელოვნური დანამატებით. საქართველოში კი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არ არსებობის გამო არ ტარდება კვლევები ხელოვნური დანამატების თაობაზე, რის გამოც მხოლოდ ხუთი ხელოვნური დანამატია აკრძალული.

უცნობია საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე წარმოადგენილი იმპორტირებული პროდუქცია გენურად მოდიფიცირებულია თუ არა. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ნორმატივი, რომელიც დაარეგულირებდა გენურად მოდიფიცირებული პროდუქციის დასაშვებ ზღვარს.

2004 წლის ზაფხულში არასამთავრობო ორგანიზაცია „XXI საუკუნის“ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ბაზრობებზე წარმოდგენილი პროდუქციის მხოლოდ 13%-ს გააჩნდა ხარისხის შესაბამისობის სერთიფიკატი, ასევე პროდუქციის 87% ინახებოდა და იყიდებოდა რეალიზაციის დადგენილი პირობების დარღვევით, სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზებადი პროდუქციის მხოლოდ 20%-ს გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი, ხოლი პროდუქციის 27% ვადაგასული ან ეტიკეტით მისი ვარგისიანობის ვადის განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

თითქმის ანალოგიური შედეგი ჰქონდა ლაბორატორიულ გამოკვლევებს, რომლებიც ორგანიზაციამ სუპერმარკეტებში წარმოდგენილ 60 დასახელების პროდუქციაზე ჩაატარა მიმდინარე წლის მარტი-ივლისის განმავლობაში. არასაიმედო პროდუქციის ნუსხაში შევიდა სსხვადასხვა წარმოების ისეთი საკვები პროდუქტები როგორიცაა პური, კარაქი და ძეხვი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2004 წელს გამოვლენილ და შედგენილ იქნა 238 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომლებიც რეაგირების მიზნით გადაეცა ადგილობრივ სასამართლოებს. მათ მიერ განხილულ იქნა 204 საქმე და დაკისრებული საჯარიმო სანქციით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულია 15,3 ათასი ლარი, დანარჩენი კი განხილვის პროცესშია.

ამავე სამსახურის 2005 წლის ივლისის მონაცემებით ჯანმრთელობისათვის საშიშია: ალკოჰოლიანი სასმელების 22,9%, უალკოჰოლო სასმელების 24,2%, ხორცის პროდუქტების 21,1%, რძის პროდუქტების 12,3%, საკონსერვო ნაწარმის 2,6% და ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი უცხოური თუ სამამულო უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე და ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისათვის საშიში პროდუქციის გასაღების ბაზარს წარმოადგენს და საუბარიც კი ზედმეტია მოქალაქეთა კონსტიტუციითა თუ სხვა ნორმატიული აქტებით დეკლარირებული უფლებების დაცვაზე (კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336, 342-248 მუხლები, კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და ა.შ.).

საკუთრების უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის ოფისის მიერ დაფიქსირდა კერძო საკუთრების უფლების დარღვევის რამოდენიმე ფაქტი.

* მიმდინარე წლის 3 აპრილს სახალხო დამცველის ზუგდიდის ოფისს მიმართა მდ. ჩხოუშიას მარცხენა სანაპიროზე არსებული მაღაზიების მესაკუთრე მოქალაქეთა (12 ადამიანი) ჯგუფმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ 2005 წლის 27 მარტს, კანონმდებლობის სრული იგნორირებით, ზუგდიდის რაიონის მაშინდელი გამგებლის, შემდგომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის, მიხეილ (კახა) არდიას ზეპირი განკარგულებით, მძიმე ტექნიკის გამოყენებით, დანგრეულ იქნა სავაჭრო ჯიხურები. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ 2002 წელს ზუგდიდის რაიონში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დახურული ტიპის აუქციონისა და კონკურსის შედეგად, მდინარე ჩხოუშიას მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ფართობი რამდენიმე მოქალაქეს გადაეცა სავაჭრო დანიშნულებით, 49 წლის ვადით სარგებლობისა და შემდგომი გამოსყიდვის უფლებით. ამ ფაქტს ადასტურებს ზუგდიდის რაიონის გამგეობის სხდომის 2002 წლის 23 დეკემბრის №57 დადგენილება.

კონკურსში გამარჯვებულმა მოქალაქეებმა, დადგენილების მოთხოვნის საფუძველზე და კანონის სრული დაცვით, მათთვის გადაცემული მიწის ფართობი საჯარო რეესტრში გაატარეს. მოგვიანებით, მათ ამ ფართობზე სავაჭრო ნაგებობები დადგეს. სანაპიროს გაყოლებაზე, ხსენებულ ნაგებობათა გვერდით, განთავსებული იყო მომცრო ზომის სავაჭრო ჯიხურები. 2004 წელს აღნიშნული საკითხით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაინტერესების შედეგად, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლს პაატა დანელიას 2004 წლის 25 ოქტომბერს გაუგზავნა წერილი (№1998/31), სადაც აღნიშნულია, რომ ზუგდიდის გამგეობის მიერ ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების შესახებ გამოცემული №57 დადგენილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს, როგორც კანონსაწინააღმდეგო. დადგენილება მართლაც უკანონო იყო, რადგან „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საზოგადოებრივი სარგებლობის მიწის ნაკვეთები (მოედნები, ქუჩები, გასასვლელები, გზები, სანაპიროები) და დასასავენებელი ადგილები (პარკები, ტყე-პარკები, სკვერები, ხეივნები, დაცული ტერიტორიები) სარგებლობაში ან საკუთრებაში განიკარგება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით, ასეთი ნებართვა კი გაცემული არ ყოფილა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, პაატა დანელიას მიერ 2004 წლის 1 ნოემბრის №61 დადგენილებით წინა დადგენილების გაუქმება მაინც უკანონოა, რადგან „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 42-ე მუხლის (ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შეჩერება და გაუქმება) მე-7 პუნქტის თანახმად: „რაიონის და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გამგეობის (მთავრობის) და გამგებლის (მერის) გადაწყვეტილებებს აუქმებს სასამართლო - კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ან საქართველოს პრეზიდენტი.“ ასე რომ, პაატა დანელიას არ ჰქონდა უფლება, შეეთავსებინა სასამართლოს თუ პრეზიდენტის უფლებამოსილება. სწორედ ეს დადგენილება გახდა საფუძველი იმ ნგრევისა, რაც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. აქ ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი: დაზარალებულ მოქალაქეთა უმრავლესობამ სავაჭრო საქმიანობა

ბანკიდან გამოტანილი სესხით დაიწყო და, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმიანობა პარალიზებულია, აღებული ვალდებულების თანახმად, ისინი დღესაც იხდიან სესხს სხვადასხვა ბანკში. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაზარალებულებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს. ამ ეტაპზე სამართლებრივი შეფასებისაგან თავს ვიკავებთ, თუმცა, ცხადია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებასა და თვითნებობას, რაზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და პასუხისგებაშია მიცემული რაიონის ყოფილი გამგებელი, ნ.ანთელავა. მასზე გამოცხადებულია ძებნა, ხოლო ყოფილი გამგებლის ყოფილი მოადგილეები იგორ ქობალია და ვასიკო ფარცვანია, საოლქო პროკურატურის ინფორმაციით, წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.

* საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა ვადიმ კუსრაევისა და რაიხან თანდიაშვილის ადვოკატმა ე. პავლიაშვილმა, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2004 წლის 11 ივნისის დადგენილების კანონიერების შემოწმების შესახებ. როგორც განცხადებითა და მასზე თანდართული მასალების შესწავლით გაირკვა, ფინანსური პოლიციის მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, ტყვიავის საგუშაგოსთან დაკავებისას, ვ.კუსრაევის მიერ წარდგენილი სათანადო ზედდებულის გაუთვალისწინებლად და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მთელ რიგ მოთხოვნათა იგნორირებით, შუამდგომლობით მიმართეს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გოჩა გოჩიტაშვილს, რომლის 2004 წლის 11 ივნისის დადგენილებითაც, საბაჟო წესების დარღვევისათვის, ამავე კოდექსის 193-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, რ.თანდიაშვილს კონფისკაციის სახით ჩამოერთვა ტვირთი: 110 ყუთი ბანანი, 10 ყუთი ვაშლი და ავტომანქანა „ზილ-130“ სახ. №პ 75-14 იუ, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენდა ვ. კუსრაევის საკუთრებას. ამასთან, ჯარიმის სახით დაეკისრა 500 ლარის გადახდა. მოსამართლის მითითებული ქმედებით დარღვეულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობის პირინციპი - ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 219-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 193-ე და 194-ე მუხლებით, განიხილავენ და სახდელებს ადებენ საბაჟო დეპარტამენტის, ფინანსური პოლიციის სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2004 წლის 20 დეკემბერს ჩვენი №1490/04-9/714-პ წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და ფინანსთა სამინისტროს საფინანსო პოლიციას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2005 წლის 20 მაისის №1147-02 პასუხით გვეცნობა, რომ დადასტურდა საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ გადაცდომის ჩადენის ფაქტი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 26 თებერვლის №2/62-05 გადაწყვეტილებით გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გ. გოჩიტაშვილი დასჯილ იქნა ადმინისტრაციული წესით.

1997 წლის 20 ნოემბერს გორის მერიასა და სახაზინო საწარმო „ქვ. ხვითის“ სასოფლო სამეურნეო შრომითი კოლექტივის წარმომადგენელ ნოდარ შურმანის ძე მაისურაძეს შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 230 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე 9 წლის ვადით. ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნა გორის მიწის მართვის სამმართველოში.

2004 წლის 21 ივლისის №147 დადგენილებით გორის მერიის კოლეგიის მიერ ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული 1997 წლის 20 ნოემბერს ნოდარ მაისურაძის სახელზე გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება. აღნიშნული დადგენილება შრომითი კოლექტივის წარმომადგენლებმა უკანონოდ მიიჩნიეს და გაასაჩივრეს სასამართლოში, რომლის განხილვა ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

აღნიშნული იჯარის ხელშეკრულების გამო, 2004 წლის 31 აგვისტოს აღიძრა სისხილის სამართლის საქმე ნ. მაისურაძის მიმართ, არაერთგზის დიდი ოდენობით (8 147, 88 ლარი) გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე, რამაც ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ ნოდარ მაისურაძე ფლობდა უფრო მეტ მიწის ფართობს ვიდრე ეს იჯარის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. თუმცა შემდგომ ჩატარებული შემოწმებებით დადგინდა, რომ არავითარ ზედმეტობას ადგილი არ ჰქონია.

ამავე პერიოდში მოხდა შპს „სალთვისი 2“-ის მიერ შრომითი კოლექტივის ხორბლის მითვისება, რომლის უკან დაბრუნება მესაკუთრეებმა ძალიან დიდი ბრძოლის შემდეგ შეძლეს. აღნიშნულ პრობლემაზე ვრცლად იყო საუბარი სახალხო დამცველის წინა ანგარიშში, მაგრამ ამით მოცემულ საქმესთან დაკავშირებული უკანონობა არ დასრულებულა. ხორბლის მითვისება 2005 წელსაც გაგრძელდა. როგორც შრომითი კოლექტივის წევრები აცხადებენ, მათ მიერ მოყვანილი 500 ტონამდე ხორბლის დატაცება მოხდა მოსახლეობის მხრიდან. ამ უკანონო ქმედებას ორგანიზაციას უწევდა შპს „სალთვისი 2 “–ის ხელმძღვანელობა, იქვე მდგარი პოლიცია კი მშვიდად ადევნებდა თვალ-ყურს მიმდინარე მოვლენებს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ძარცვასთან დაკავშირებით, დამნაშავეები დასჯილები მაინც არ არიან.

მდგომარეობა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში

ძალადობა ოჯახში

ოჯახური ძალადობა და, ზოგადად, ძალადობა ქალზე საქართველოში გამოუკვლეველ და ტაბუირებულ თემად რჩება.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება, სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებს, ეფექტური სამართლებრივი საშუალებები მონახოს ოჯახური ძალადობის და ქალების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. ის ფაქტი, რომ ოჯახური ძალადობა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება, სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური რეაგირების მწვავე ნაკლებობაზე მიუთითებს.

ჩნდება სამი მთავარი კითხვა: რა სამართლებრივ ზომებს იღებს სახელმწიფო ოჯახური ძალადობის საპასუხოდ, როგორი ეფექტი აქვს ამ ზომებს და რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ოჯახური ძალადობის მიმართ სახელმწიფოს ქმედითობა გაიზარდოს.

საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მოცემული ოჯახური ძალადობის დეფინიცია. სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს მუხლი, რომელიც აღწერს ასეთ დანაშაულს. ამდენად, ძალადობა ოჯახში ამ კვალიფიკაციით დღევანდელი კანონით არ ისჯება.

აუცილებელია, შემუშავდეს და ამოქმედდეს ოჯახური ძალადობის მომცველი კანონმდებლობა, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას სისხლის სამართლის დანაშაულად ჩათვლის და აკრძალავს. აქვე აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია კანონპროექტი "ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ", მაგრამ პარლამენტის მიერ მიღებული არ არის.

მხოლოდ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა არ იქნება საკმარისი, თუ არ მოხდება სამართალდამცავი ორგანოების ყველა რგოლის თანამშრომელთა მიერ ოჯახური ძალადობის პრობლემის გაცნობიერება და მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარება.

საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს და სამედიცინო სამსახურების (სასწრაფოს, ქალთა კონსულტაციისა და პოლიკლინიკის) თანამშრომლებთან ჩატარდეს საგანმანათლებლო საქმიანობა ოჯახური ძალადობის პრობლემისადმი მიდგომის შესაცვლელად.

ვინაიდან სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამსახურები, ერთადერთი ორგანო, რომელიც ვალდებულია, უზრუნველყოს მსხვერპლთა დაცვა, არის პოლიცია. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში საპატრულო პოლიციის შექმნამ შესაძლებელი გახადა ოჯახურ კონფლიქტებზე და ძალადობის ფაქტებზე სწრაფი რეაგირება, ამ პრობლემების მქონე ადამიანებისათვის დახმარების გაწევა, მათი დაცვა და ძალადობის ფაქტების აღრიცხვა. ეს კი საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ პრობლემის მეტ-ნაკლებად რეალური სურათი.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 6 თვეში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 1785 ოჯახური კონფლიქტი, მათ შორის, მომხდარია 11 სისხლის სამართლის დანაშაული:

1 მკვლელობა, 2 ხულიგნობა, 8 ჯანმრთელობის დაზიანება. ზემოაღნიშნული ციფრები რეალურ სურათს არ ასახავს, რადგან ძალადობის ფაქტი, ჩვეულებრივ, აღიქმება როგორც პირადი, ოჯახური (და არა სოციალური) პრობლემა.

მიგვაჩნია, რომ სტატისტიკის წარმოება საჭიროა, სულ მცირე, იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს საზოგადოებაში ამ პრობლემის არსებობა და მისი გადაჭრის აუცილებლობა.

ოჯახური ძალადობის პრობლემის გადაჭრაში, კანონის მიღების გარდა, მეტად მნიშვნელოვანია ქალთა დასაქმების საკითხი, რადგან ფინანსური დამოკიდებულება ერთერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორია, რაც ქალს აიძულებს, აიტანოს ძალადობაზე აგებული ურთიერთობა. ოჯახური ძალადობის პირობებში მცხოვრები ქალები, რომლებსაც აქვთ თავშესაფრისა და სამუშაოს მოძებნის შესაძლებლობა, გაცილებით მარტივად თავისუფლდებიან მოძალადისგან. როდესაც ქალები სოციალურ იზოლაციაში იმყოფებიან და მოკლებულნი არიან ინფორმაციისა და ცოდნის მიღების საშუალებას, ისინი ვერ მონაწილეობენ ოჯახის მართვაში და ვერც საკუთარ ცხოვრებას განკარგავენ.

შრომით ბაზარზე ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი განათლებისა და უნარ-ჩვევების დონის ამაღლების ხელშეწყობა. ეკონომიკური ცვლილებები და უმუშევრობის წლები მოითხოვს, ქალებმა გაიარონ პროფესიული სწავლება, რათა მათ შეძლონ სამუშაო ადგილის თავიდან მიღება.

აუცილებელია ოჯახური ძალადობის შესახებ განათლებისა და საზოგადოებრივი პროპაგანდის გაძლიერება, გაფართოებული დახმარებებისა და ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ერთიანი, ოორდინირებული სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავება.

სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს მედია და საგანმანათლებლო კამპანიები ადამიანის საერთაშორისო უფლებათა პრინციპებზე დაყრდნობით, რათა ხელი შეუწყოს ოჯახური ძალადობის დანაშაულად გაცნობიერებას.

ტრეფიკინგი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№50, 2005 წლის 1 თებერვალი) შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია, რომლის ძირითადი ამოცანაა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის ქმედითი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№623, 2004 წლის 29 დეკემბერი) დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეებისათვის სამართლებრივი დახმარებისა და უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებისთვის და დანერგვისათვის, უფასო საადვოკატო დახმარებისათვის, აუცილებელია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ“ კანონის მიღება. საანგარიშო პერიოდში პარლამენტის მიერ ამ კანონპროექტის განხილვა და, შესაბამისად, მიღება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება მიმღებ ქვეყნებთან საქართველოს მოქალაქეებისათვის ლეგალური შრომის სამართლებრივი გარანტიების შექმნას, მათ შორის, სამუშაო ადგილების კვოტების გამოყოფას, - საქართველოში შემუშავებულია შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების პროექტი, თუმცა, საანგარიშო პერიოდში არც ერთ ქვეყანასთან ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

ზემოაღნიშნული ფაქტი ხელს უწყობს საქართველოში ადამიანის ტრეფიკინგის ან მის მსხვერპლთა შესახებ რაიმე ოფიციალური მონაცემების არარსებობას, რაც ართულებს აღნიშნული დანაშაულის სრული სურათის შექმნას.

სამოქმედო გეგმის ეფექტურად ასამოქმედებლად აუცილებელად მიგვაჩნია, რომ 2006 წლის ბიუჯეტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი თანხები გეგმით გათვალისწინებული საქმიანობისათვის. სამოქმედო გეგმის საზოგადოებისათვის გაცნობა ხელს შეუწყობს პროგრესს პოტენციურ მსხვერპლთა ცოდნის დონის ამაღლების საკითხში.

* * *

2005 წლის მაისში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ყირგიზეთის მოქალაქე ქალბატონმა. იგი წერდა, რომ საქართველოში შრომით დასაქმების მიზნით ჩამოვიდა, მაგრამ ტრეფიკინგის მსხვერპლი აღმოჩნდა და ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ვინმე დავითთან.

ქალმა შემთხვევის წყალობით მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა, მაგრამ ფულისა და საბუთების გარეშე სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო. სახალხო დამცველმა მიმართა ყირგიზეთის ომბუდსმენსა და ყირგიზეთის საკონსულოს მოსკოვში და დაზარალებულს დროებითი საბუთების მიღებაში დაეხმარა. უცხოელ ქალბატონს ფინანსური დახმარება გაუწია საქართველოში მოქმედმა მიგრაციის საერთშორისო ორგანიზაციამ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მისი დაბრუნება ყირგიზეთში.

პროსტიტუცია

პროსტიტუცია დღეს საქართველოში ქვეყნის მწვავე და რთულ პრობლემად იქცა. პროსტიტუციის მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით. მეძავეთა უმრავლესობა გათხოვილი, შვილიანი ქალია, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობენ. იზრდება არასრულწლოვანთა პროსტიტუციის რიცხვი.

სახელმწიფოს არ გააჩნია მეძავთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის სტატისტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის მეძავები ხშირად ხდებიან საკუთარი კლიენტის და პოლიციის ძალადობის მსხვერპლი. სიცოცხლისათვის საშიში ისეთი დაავადების შეძენის რისკზე, როგორიცაა შიდსი. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებულია 756 შემთხვევა (მათ შორის, მამაკაცი – 605 და ქალი – 151). 2005 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, რეგისტრირებულია 102 აივ/შიდსით ინფიცირებული (მათ შორის: ქალი – 32; მამაკაცი –70). რეგისტრირებულებიდან შიდსი განუვითარდა 43 პაციენტს (მათ შორის: ქალი – 10; მამაკაცი – 33) გარდაიცვალა – 14. თუმცა, რეგისტრირებული 756 შემთხვევა არ ასახავს

გავრცელების რეალურ დონეს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ადგილობრივ ექსპერტთა ვარაუდით, საქართველოში გაცილებით მეტია აივ ინფიცირებული და შიდსით დაავადებული.

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს პრობლემას და მისი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს. უნდა ჩაატარდეს კვლევა პრობლემის არსებობის და მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ხელისუფლებისათვის შემუშავდეს რეკომენდაციები. უნდა განხორციელდეს სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს ქალებისა და გოგონების, მათ შორის, სოფლად მცხოვრები ქალებისა და გოგონების ინფორმირებულებას პროსტიტუციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკის შესახებ.

ქალთა საპყრობილე და სასჯელაღსრულებითი დაწესებულება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №5 სასჯელაღსრულებით დაწესებულების და ქალთა საპყრობილის ხელმძღვანელობასთან იქ არსებული მდგომარეობის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ №5 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდა, გადაუჭრელ პრობლემად რჩება მსჯავრდებულთა დასაქმების საკითხი. თუმცა, დაწესებულების ტერიტორიაზე განლაგებულია კეთილმოწყობილი სამკერვალო ობიექტი და ყვავილების სათბური, რომლებშიც შესაძლებელია მსჯავრდებულების დასაქმება. დაუსაქმებლობის მიზეზია ფინანსების და შეკვეთების არარსებობა. მსჯავრდებულ ქალთა უმეტესობა სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა მათ შესაძლებლობას მისცემს, მიიღონ შემოსავალი და შეიძინონ პირველადი მოხმარების საგნები.

გადაუჭრელ პრობლემად რჩება გათავისუფლებულების დასაქმების საკითხი და საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობდა განმეორებითი დანაშაულის შემცირებას.

2005 წლის თებერვალში №1 საპყრობილეში განთავსებული ქალთა კორპუსი გადატანილ იქნა №5 დაწესებულების ტერიტორიაზე. აღნიშნულ საპყრობილეში წინანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესი პირობებია, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახლად აშენებული კეთილმოწყობილი საპყრობილე განკუთვნილია 110 პატიმრისთვის, მაშინ, როდესაც რეალურად, საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იქ იმყოფებოდა 138 ბრალდებული. ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, საკნებად გადაეკეთებინა ავადმყოფებისთვის განკუთვნილი პალატა, სამედიცინო პერსონალისთვის განკუთვნილი და ბრალდებულთა დასასვენებელი ოთახები. ამავდროულად, ზონაში ბარაკები გათვლილია 320 ადამიანზე და რეალურად იქ იმყოფება 70 მსჯავრდებული.

2005 წლის აპრილში სახალხო დამცველის ოფისს განცხადებით მომართეს თბილისის ქალთა №5 საერთო საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების პატიმარმა ქალებმა, რომლებიც საერთო სასამართლოში მათი საქმეების განხილვის

გაჭიანურებას აპროტესტებდნენ და გვთხოვდნენ შუამდგომლობას ამ პრობლემის მოგვარებაში.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მივმართეთ თხოვნით 11 მოსამართლეს, დაეჩქარებინათ საქმეების განხილვა, თუმცა შედეგი არ მოჰყოლია. იგივე პრობლემა ძალიან მწვავედ დგას დღესაც.

თბილისის ქალთა №5 საერთო საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექციის ცნობით, საქმეების 50%-ის საგამოძიებო ვადა დასრულებულია და განსახილვებლად გადაცემულია სასამართლოში. სასამართლოში კი განხილვა თვეობით არ ინიშნება, ჭიანურდება სხდომებიც. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საერთო სასამართლოებში განუხილველი საქმეები დაგროვდა და არ ესწრება საქმეების დროულად განხილვა.

ამჯამად 20 ბრალდებული ქალის საქმე 4 თვეზე მეტია გადაცემულია სასამართლოს და ჯერ კიდევ არ დაწყებულა მათი სასამართლო პროცესები.

ბავშვთა უფლებები

გასული წლის ანგარიშში დაწვრილებით და სისტემურად აღვწერეთ ბავშვთა უფლებების სფეროში არსებული ვითარება. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში განსაკუთრებული ცვლილებები ამ სფეროში არ მომხდარა, ამიტომ, მოკლედ მიმოვიხილავთ დამატებით ინფორმაციას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2005 წლის პირველი ნახევრისათვის აღმოჩენილია სხვადასხვა ნაგავსაყრელზე მიტოვებული 4 ახალშობილი, სამშობიარო სახლში დატოვებულია – 1, მოქალაქეებთან კი – 2. სხვა პერიოდის მსგავსად, ამ პერიოდშიც გაჩნდნენ საგანგებო დაცვის საჭიროების მქონე ბავშვები, რომლებიც საბავშვო დაწესებულებებში განთავსდნენ, ან რომლებმაც ქუჩას შეაფარეს თავი. ბავშვთა სახლებისთვის პრობლემად რჩება ცუდი კვება. ბავშვი ყოველდღიურად უნდა იღებდეს 3200 კკალ რაციონს, მაგრამ იქ არსებული საკვები უმეტესად არის პური და ბურღულეული, შეზღუდული რაოდენობით რძის პროდუქტები და ა.შ. საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა კვებაზე თანხის გამოყოფა ხდება განათლებისა და მეცნიერების და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ - 1998 წელს ერთობლივი ბრძანებით შემუშავებული სტანდარტით, რომლის თანახმად, ბავშვის კვებაზე დღეში 3.6 ლარია საჭირო. დღეისათვის საბავშვო დაწესებულებებს ერიცხებათ 1.8 ლარი. ახალი სტანდარტების შემუშავება აქამდე ვერ მოხერხდა. საბავშვო დაწესებულებებს, უმეტესად, არ აქვთ შესაფერისი გათბობა და ავეჯი, რბილი ინვენტარი, სასწავლო ნივთები; შენობების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია; ცუდი ვითარებაა ბავშვთა ჯანმრთელობის მხრივ - სამედიცინო მომსახურება დაბალი დონისაა. არის კიდევ ერთი პრობლემა: უმეტეს შემთხვევაში, ადმინისტრაცია ვერ უშვებს ასაკგადაცილებულ აღსაზრდელებს დაწესებულებიდან, რადგან შეუძლებელი ხდება მათი დასაქმება; ზოგიერთ მათგანს არ აქვს საცხოვრებელიც.

ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აისახა არასრულწლოვანთა კრიმინალურ სამყაროში ჩართვის მაღალ მაჩვენებელზე. შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მონაცემებით, 2005 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში რეგისტრირებულია არასრულწლოვანი პირების მიერ ჩადენილი 287 დანაშაული, რაც 40 ერთეულით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ხვედრითმა წილმა ქვეყანაში რეგისტრირებულ დანაშაულში 2,9% შეადგინა. არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში 2005 წლის მაისის ბოლოს პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე იმყოფებოდა 500-ზე მეტი მოზარდი, მათ შორის, ნარკოტიკების მოხმარებაში შემჩნეულია 9, პროსტიტუციაში – 14.

2005 წლის მაისის მონაცემებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში განთავსებულია 99 არასრულწლოვანი, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში – 5, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში – 27.

არასრულწლოვანთაგან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, უმეტეს შემთხვევაში, სასჯელის მოსახდელად ხვდებიან არასრულწლოვნები, რომლებსაც უკვე აქვთ ნასამართლეობა, ასეთი კატეგორია მთელი რაოდენობის 80-90%-ს შეადგენს. სასჯელის მოხდის ადგილებში ხელახლა დაბრუნებას გარკვეულწილად ხელს უწყობს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა. არსებობს ორი ნორმა: „პატიმრობის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ სპეციალურ არასრულწლოვანთა დაწესებულებაში; ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 28

დეკემბრის №362 ბრძანებით დამტკიცებული „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ” დებულების მე-7 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების თანახმად, არასრულწლოვანები უნდა მოთავსდნენ სრულწლოვანებისაგან იზოლირებულად. ამის მიუხედავად, საპყრობილეებში არასრულწლოვანებს შეუფერხებლად შეუძლიათ იქონიონ კონტაქტი სრულწლოვან პატიმრებთან, რომელთა ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული და პოტენციური დამნაშავეა. არასრულწლოვანი ადვილად ექცევა დამნაშავეთა სამყაროს ზეგავლენის ქვეშ.

დანაშაულის რეციდივს ხელს უწყობს ისიც, რომ არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულებს, მიუხედავად საშუალო სკოლის არსებობისა, არ გააჩნიათ პროფესიის დაუფლების საშუალება. ფაქტობრივად, ისინი ისეთივე მოუმზადებლები უბრუნდებიან საზოგადოებას, როგორებიც დაკავებამდე იყვნენ.

გადასაწყვეტია სამტრედიის სპეციალური სკოლა-ინტერნატის საკითხი, სადაც, 2005 წლის მონაცემებით, 35 ძნელადაღსაზრდელი ირიცხება, მათ შორის, 2 მკვლელობისათვის, 2 კი - გაუპატიურებისათვის. აღნიშნული დაწესებულება ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, უფრო დასჯის ინსტრუმენტია, ვიდრე მოზარდის აღზრდისა.

- 2005 წლის 1 ივნისს, სახალხო დამცველის უშუალო მონაწილეობით, ქალაქ თბილისში გაიხსნა „სოციალური ადაპტაციის ცენტრი” ე.წ. ქუჩის ბავშვებისათვის. 28 ივნისს სახალხო დამცველს წერილობით მომართა ქალაქ თბილისის მაშინდელმა მერმა, ბატონმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. წერილის საფუძველზე აპარატის თანამშრომლებმა ჩატარეს ცენტრის მრავალჯერადი მონიტორინგი. გამოვლინდა ბავშვთა უფლებების დარღვევა სხვადასხვა სფეროში: სოციალური აღზრდის, განათლების, დასაქმების კუთხით. შედეგების შესახებ ეცნობა ქ.თბილისის მერს ბატონ გიორგი უგულავას. სახალხო დამცველმა, აგრეთვე, შეიმუშავა რეკომენდაცია ადაპტაციის ცენტრის საორგანიზაციო სტრუქტურისა და ადმინისტრაციის რეორგანიზაციის თაობაზე, რათა მოზარდები, რომლებიც განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბდნენ. სექტემბრის თვეში ჩვენი თანამშრომელი ქეთევან კობალაძე დაინიშნა ცენტრის დირექტორად და ვითარება უმჯობესდება.

- ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა სახალხო დამცველის აპარატს მომართეს ორი მცირეწლოვანი ბავშვის თაობაზე, რომლებიც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდნენ. მითითებულ მისამართზე იმყოფებოდნენ აპარატის თანამშრომლები, რომლებმაც მცირეწლოვანი ბავშვების ყოფა ადგილზე შეისწავლეს და დააფიქსირეს ბავშვების ელემენტარული სასიცოცხლო და ჯანსაღ გარემოში აღზრდის უფლების უხეში დარღვევა. სახალხო დამცველმა წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ თამარ გოლუბიანს. სამინისტრომ შუამდგომლობა გაუწია ბავშვებს, რათა ისინი ჩარიცხულიყვნენ იმავე რაიონის სარეაბილიტაციო ცენტრ „სათნოებაში”.

საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვები სხვა ქვეყნების ომბუდსმენებისადმი საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დასაცავად

მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა ორჯერ მიმართა სხვა ქვეყნების ომბუდსმენებს საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის. პირველი შემთხვევა უკავშირდებოდა ფინეთის საზღვარზე ქართველის მანდილოსნების დაკავებას, ა.წ. 21 მარტს, ხოლო მეორე - ესპანეთში, ბარსელონაში ა.წ. ივნისში (19-20) ქართველი ბავშვების დაკავების ფაქტს.

პირველ შემთხვევაში (21 მარტს) ბ-ნი სოზარ სუბარი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ფინეთის საპარლამენტო ომბუდსმენს, ქ-ნ რიიტა-ლეენა პაუნიოს და სთხოვა მას როგორც ვითარებაში გარკვევა, ისე ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვა ადგილზე.

ქ-ნმა პაუნიომ აღუთქვა საქართველოს სახალხო დამცველს, რომ იგი განახორციელებდა მონიტორინგს გამოძიების მიმდინარეობაზე და, დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მოახდენდა შესაბამის რეაგირებას.

ასევე, მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ მიმართა კატალონიის ბავშვთა უფლებების ომბუდსმენს, ბ-ნ გომას ფიუნესს. ამ შემთხვევაშიაც, თხოვნა იყო სწორი ინფორმაციის მოპოვება და ჩვენი თანამოქალაქე ბავშვების უფლებების დაცვა ადგილზე.

აღნიშნული გამოცდილება სახალხო დამცველის პრაქტიკაში და ომბუდს-ინსტიტუტის „წონა" დასავლეთში ნამდვილად შეიძლება გახდეს სერიოზული საწინდარი იმისა, რომ ამოქმედდეს დიპლომატიური (საკონსულო) არხის „შემხიდავი" საერთაშორისო ომბუდს-ქსელი. ასეთი მიდგომა, გარდა სხვადასხვა ქვეყნის ომბუდსმენებთან ორ და მრავალმხრივი თანამშორმლობისა, ბუნებრივია, გულისხმობს სერიოზულ თანამშრომლობას საქართველოს საკონსულო სამსახურებთან - უფლებადაცვით სფეროში - და საქართველოს კონსულების სპეციალურ ტრეინინგებსაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

იმპორტიორთა უფლებების დარღვევა საბაჟო „აღმოსავლეთში“

2005 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართეს მოქალაქეებმა, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სახის საქონლის იმპორტს აზიის (ირანი, თურქეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი) ქვეყნებიდან. იმპორტიორთა განცხადებით, რეგიონულ საბაჟო „აღმოსავლეთში“, ტვირთის განბაჟების დროს, ადგილი ჰქონდა მათი უფლებების დარღვევას. იმის ნაცვლად, რომ ბაჟის ოდენობის განსაზღვრა მომხდარიყო ტვირთის საბაზრო ღირებულების მიხედვით, განმცხადებლებისაგან ითხოვდნენ 1000 ლარის გადახდას თითოეულ კუბურ მეტრ საქონელზე, მიუხედავად ტვირთის სახეობისა. იმის გამო, რომ იმპორტიორები უარს აცხადებდნენ აღნიშნული უკანონო მოთხოვნის შესრულებაზე, შეფერხებული იყო განბაჟების პროცესი და მათ დამატებით უხდებოდათ კონტეინერების შენახვის ხარჯების გაღება.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ ე.წ. „მესამე ჯგუფის“ ანუ აზიის ქვეყნებიდან შემომავალი ტვირთების განბაჟებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ხელმძღვანელს ბ-ნ დავით ჩუბინიძეს, რომელმაც კატეგორიულად უარყო 1000 ლარის მოთხოვნის ფაქტი და აღნიშნა, რომ, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში ხდებოდა აზიის ქვეყნებიდან შემომავალი ტვირთის წარმოშობის სერთიფიკატისა და ინვოისის გაყალბება, საქონლის რეალური ღირებულების დასადგენად ტარდებოდა ტვირთის დათვალიერება და შეფასება ექსპერტის მიერ, რასაც ესწრებოდანენ მებაჟე და ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი, უკვე დადგენილი საბაზრო ღირებულებიდან კი ხდებოდა საბაჟო გადასახადის განსაზღვრა. დ.ჩუბინიძის განმარტებით, ტვირთის ექსპერტიზას თვითონ იმპორტიორები ითხოვდნენ, ისინი მიუთითებდნენ, რომ არ ესწრებოდნენ მათ მიერ შეძენილი საქონლის ჩატვირთვას, რის გამოც არ იცოდნენ ტვირთის ზუსტი რაოდენობა. ჩუბინიძე ასევე აღნიშნავდა, რომ ამით იმპორტიორები თავს იზღვევდნენ, რათა ზედმეტი ტვირთის აღმოჩენის შემთხვევაში თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა კონტრაბანდისათვის.

ექსპერტიზის შეფერხების მიზეზების გარკვევის მიზნით, ჩვენ შევხვდით ექსპერტთა ჯგუფის უფროსს, ქ-ნ ნინო ბერიძეს. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ განახლდა განბაჟების პროცესი, რის შემდეგაც იმპორტიორებმა ჩათვალეს, რომ არსებული პრობლემა მოგვარდა.

მეორე დღეს ისევ დაგვიკავშირდნენ იმპორტიორები, რომლებიც კვლავ ვერ ახერხებდნენ განბაჟების პროცედურის გავლას. მათ განაცხადეს, რომ იმ იმპორტიორების მიმართ, რომლებმაც ინტერვიუ მისცეს ტელევიზიის წარმომადგენლებს, ადგილი ჰქონდა მუქარას, რის გამოც ეს პირები იძულებულნი გახდნენ, საერთოდ აღარ გამოჩენილიყვნენ საბაჟოს ტერიტორიაზე. თითქმის ყველა იმპორტიორი უარს აცხადებდა საკუთარი ვინაობის დაფიქსირებაზე, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში შეიძლება საერთოდ ვეღარ გაეტანათ ტვირთი საბაჟო ტერმინალიდან.

განმცხადებელთა ნაწილის კუთვნილ ტვირთს ჩაუტარდა ექსპერტიზა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მებაჟეები ეთანხმებოდნენ ექსპერტის მიერ დადგენილ ფასებს, მაინც ვერ ახდენდნენ შესაბამისი დოკუმენტაციის ბეჭდით დამოწმებას. იმპორტიორთა განმარტებით, პროცესის შეფერხება ხდებოდა ფინანსური პოლიციის მითითებით, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ ექსპერტის მიერ მითითებული ფასები იყო ძალიან დაბალი და ითხოვდნენ მათ კორექტირებას იმ ზღვრამდე, რაც ფაქტობრივად უთანაბრდებოდა 1000 ლარს კუბურ მეტრზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც განმცხადებლები აღნიშნავენ, უთანხმოება მოხდა ექსპერტთა ჯგუფის უფროსსა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებს შორის, რის შემდეგაც ექსპერტთა ჯგუფის უფროსისათვის სასწრაფო დახმარების გამოძახებაც კი გახდა საჭირო.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების შემდეგი ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ბ-ნმა დავით ჩუბინიძემ განცხადებით მიმართა ხელმძღვანელობას თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ განცხადება ჯერ არ იყო დაკმაყოფილებული, მან უარი განაცხადა საბაჟო ტერმინალზე შექმნილი სიტუაციის შესახებ კომენტარის გაკეთებაზე და აღნიშნა, რომ იქ აღარ მუშაობდა. ექსპერტთა ხელმძღვანელის მსგავსად, ბ-ნმა დავით ჩუბინიძემაც უარყო მასზე ზეწოლის ფაქტი და მიუთითა, რომ საბაჟოზე მზე იყო, ცხელოდა, ხელფასიც არ ჰქონდა მაღალი, რის გამოც კერძო სტრუქტურაში გადაწყვიტა მუშაობის გაგრძელება.

რეგიონალურ საბაჟო „აღმოსავლეთში“ მისვლისას, იქ დაგვხვდა ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, რომელიც ცხელ ხაზზე შესული ინფორმაციის საფუძველზე ახდენდა კონკრეტული შემთხვევების შესწავლას. შედგა ჩვენი და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლის შეხვედრა რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთი“-ს უფროსის მოადგილესთან, ბ-ნ ნიკოლოზ ქიზიყურაშვილთან (საბაჟოს უფროსი ადგილზე არ აღმოჩნდა). ქიზიყურაშვილმა ჩვენთან საუბარში თავდაპირველად უარყო ისეთი იმპორტიორების არსებობა, რომლებსაც შეფასებული ჰქონდათ ტვირთი, მებაჟეც ეთანხმებოდა ამ შეფასებას, ტვირთის მეპატრონე თანახმა იყო თანხის გადახდაზე, მაგრამ პროცესი მაინც ფერხდებოდა.

როდესაც ჩვენ ვუთხარით საბაჟოს უფროსის მოადგილეს, რომ ასეთი ადამიანები ქვემოთ გველოდებოდნენ და შეგვეძლო მათი აყვანა მის კაბინეტში შესაბამისი საბუთების თანხლებით, მან განაცხადა, რომ ეს პროცესი მოგვარდებოდა, თუმცა ვერ დააკონკრეტა როდის. მან აგრეთვე განაცხადა, რომ საბაჟოს არავინ არაფერს ეკითხებოდა, რომ ისინი „მარიონეტები“ იყვნენ და ყველამ კარგად იცოდა, რაც ხდებოდა, საბოლოოდ კი ისევ საბაჟოზე აპირებდნენ ყველაფრის გადმობრალებას. საბაჟოს უფროსის მოადგილემ აღნიშნა, რომ მაინც ვერ მისცემდა თავის თანამშრომლებს მითითებას დოკუმენტაციის დამოწმების თაობაზე, რადგან ამას შეიძლება გამოეწვია მებაჟეების დაკავება, რეალურად კი პასუხისგებაში მიცემის მიზეზად სხვა ფაქტი მიეთითებინათ.

ქიზიყურაშვილის განცხადებით, იმპორტიორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოყვებოდა მებაჟეების უფლებების დარღვევა, ისინი შეიძლება ციხეში აღმოჩენილიყვნენ, მან კი არ იცოდა, რა პასუხი გაეცა შემდეგ მათი ოჯახის წევრებისათვის. ჩვენ შეკითხვაზე, რატომ არ აცხადებდნენ საბაჟოს თანამდებობის პირები მათზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ და რატომ არ ერთიანდებოდნენ იმპორტიორებთან აღნიშნული უსამართლობის აღსაკვეთად, ქიზიყურაშვილმა განაცხადა, რომ ასეთ ერთიანობას ძალიან მარტივად

დაშლიდნენ და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია იყო მხოლოდ 5% იმისა, რაც რეალურად ხდებოდა. აღნიშნული საუბრის დროს, საბაჟოს უფროსის კაბინეტში შემოვიდა ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი მიხეილ ხახმიაშვილი, რომლის გამოჩენის შემდეგაც ნიკა ქიზიყურაშვილი „ნაკლებად გულახდილი“ გახდა. ხახმიაშვილი, მას შემდეგ რაც გაიგო ჩვენი მისვლის მიზეზი, ქიზიყურაშვილს ეკითხებოდა განბაჟების შეფერხების მიზეზს და ზოგადად აღნიშნავდა, რომ აზიის ქვეყნებიდან ტვირთების შემოტანისას ადგილი ჰქონდა წარმოშობის სერთიფიკატების გაყალბებას.

ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი აღნიშნულ საუბარში არ ჩარეულა, ქიზიყურაშვილის ოთახის დატოვების შემდეგ კი განგვიცხადა, რომ ძირითად საკითხებში ისიც გვეთანხმებოდა, თუმცა ამას ხმამაღლა ვერ იტყოდა. ასეთი განცხადება გააკეთა საბაჟოს რამდენიმე თანამშრომელმაც, მაგრამ ყველა მათგანი ერიდებოდა ვინაობის გამჟღავნებას. ერთ-ერთმა მებაჟემ განგვიცხადა, მე „პეშკა“ ვარ, ვინ რას მეკითხება, თვის ბოლომდე მამუშავეთ და მერე ისედაც მივდივარო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან გათავისუფლებილნი იქნენ ის ადამიანები, რომლებიც ახდენდნენ აღნიშნული შემთხვევის შესწავლას. ცხადია ჩვენ გადაჭრით ვერ განვაცხადებთ, რომ ეს სწორედ საბაჟო „აღმოსავლეთის“ საქმეს უკავშირდებოდა, თუმცა ამის რეალური ეჭვი არსებობს.